ვარლამ ხუროძე

ხალხური ზეპირსიტყვიერება
საშუალო სკოლაში

ხახელმწიფო 1934 სასწ. პედაგოგიური
გამომცემლობა ტფილისი ხ ე ქ ტ ო რ ი

899.962
ბ. 98

რედაქტორი — ვ. ასათიანი
ლიტრედაქტორი — ქ. რაჟველიშვილი
რეცენზენტები { მ. ზანდუკელი
ქ. ქალაძე
ტექრედაქტორი — ვ. გორგაძე
კორექტორი — ა. ჯალალანია

გადაეცა წარმოებას 2/XII - 33 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდათ 5/V-34 წ.
წ. ზომა $6^1/_2 \times 11$
ქ. ზომა 62×94

მთავალიტი № 41
შეკ. № 1780
ტირაჟი — 5000

საქ. სახ. პ/სკოლის სტამბა აკაკი წერეთლის ქ. № 3/5

შ ე ს ა ვ ა ლ ი

დღევანდელი ადამიანი ბევრით განირჩევა წინა ეპოქებში მცხოვრებ თავისი წინაპრებისგან. განვითარების გრძელ გზაზე მან მრავალი ცვლილება განიცადა.

არც ჩვენი დროის ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება გავს ძველს: ისტორიის მანძილზე ყოველ ხალხში გამოცვლილა საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმები.

ხალხთა სულიერი ცხოვრებაც მუდმივ ცვალებადობას განიცდიდა. ერთი ეპოქის აზრები მეორე ხანას არ მიუღია, ერთი დროის სათაყვანებელი იდეალები მომდევნო თაობას უარუყვია; ისტორიის ერთ საფეხურზე არსებული შეგნება და მისი გამოხატულების ფორმები მეორე პირობებში გაუგებარი ყოფილა და ადამიანთა გონებრივი მუშაობა სულ სხვა გზით მიმართულა.

რა არის ყოველივე ამის მიზეზი?

რა იწვევდა მის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი ცხოვრების შეუჩერებელ ცვლას?

რაში უნდა ვეძიოთ ადამიანის აზროვნების მუდმივი ნაირნაირობის მიზეზები?

ბურჟუაზიული მოაზროვნეები ამტკიცებენ, რომ თანამედროვე ცხოვრების მოვლენები წარსული ისტორიული ეტაპების განმეორებაა და სხვა არაფერი. მათი აზრით, მდიდრები და ღარიბები მუდამ ებრძოდენ ერთმანეთს, სამართლიანობა და უსამართლობა დაუსრულებლივ ომობენ, თავისუფლების მოსაპოვებლად ყოველთვის იბრძოდა ადამიანი,—მაგრამ არცერთ ამ ჭიდილს და, ხშირად სისხლისღვრასაც კი, საბოლოო გამარჯვება არ მოჰყოლია: დროებით გამარჯვებული ღარიბები ისევ ძლიერებს ჩავარდნიან ხელში, მოპოებული სამართლიანობა ისევ უსამართლობას შეუცვლია და ფრთებგაშლილი თავისუფლებაც ისევ ბორკილებში ჩაუქედიათ...

მაგრამ ადამიანი საბოლოოდ არცერთ ამ მოვლენას არ შერიგებია და დამარცხების შემდეგ წელში გასწორებულს, ხელ-ახლა დაუწყია ბრძოლა თავისი მისწრაფებების განსახორციელებლად; იგი ისევ იმ წერტილიდან იწყებს წინსვლას, საიდანაც განვლილი დამარცხების წინ ბრძოლა დაიწყო... და ისევ ძველი ამბები მეორდებაო.

ისტორიის ასეთნაირად გაგების თაობაზე კაუცკი ლაპარაკობს: „ამნაირად, მთელი ისტორია იქცევა ციკლისებურ პროცესად, რომელიც დაუსრულებლად უბრუნდება თავის გამოსასვლელ პუნქტს და მარადიულად მეორდება ერთიდაიმავე ხასიათის ბრძოლა; იცვლება მხოლოდ გარეგნული

მხარე, კოსტიუმები, კაცობრიობა კი ერთსადაიმავე ადგილის ტკეპნას განაგრძობს[1].

მარქსისტული მოძღვრება ძირიანად უარყოფს ისტორიის ასეთნაირ გაგებას: ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების ევოლუციას და საზოგადოებრივი ცხოვრების ცვალებადობას იგი სულ სხვა თვალსაზრისით აშუქებს. ადამიანთა შეგნების ცვლის მიზეზებსაც ერთიანად განსხვავებული მსოფლმხედველობით ეძიებს.

ეს მსოფლმხედველობა არის საზოგადოდ დიალექტიკური მატერიალიზმი და კერძოდ ისტორიული მატერიალიზმი, დიალექტიკური მატერიალიზმი როგორც საზოგადოდ მარქსიზმის ფილოსოფია და მეთოდოლოგია, რომელიც სწავლობს ბუნებას, ადამიანთა საზოგადოებას და აზროვნების განვითარებას,—ისტორიული მატერიალიზმი კი, როგორც მარქსისტული მეთოდოლოგია საზოგადოებრივი საკითხების შესწავლის საქმეში.

დიალექტიკური მატერიალიზმის მამამთავარს—მარქსს, უეჭველ ისტორიულ მოვლენად მიაჩნია, რომ ადამიანი ხანგრძლივი ევოლუციის შედეგია და მის მსგავსთა მიერ შექმნილი სოციალური ცხოვრებაც შეუჩერებელი ტრანსფორმაციის კანონს ექვემდებარება.

საზოგადოებრივი იდეების ცვალებადობაც მარქსიზმისათვის შეურყეველ ჭეშმარიტებას შეადგენს.

რა იწვევდა და რა იწვევს ამ სამგვარი ხასიათის ცვლილებებს? რა შეადგენს ისტორიის მამოძრავებელ ძირითად მიზეზს?

ე. წ. სუბიექტიური სოციოლოგიის წარმომადგენელნი ასეთ ძალად რამდენიმე ფაქტორის შეერთებულ მოქმედებას აღიარებენ. პ მილიუკოვის აზრით კაცობრიობის ისტორიას ეკონომიური, სოციალური, სახელმწიფოებრივი, გონებრივი, ზნეობრივი, რელიგიური და ესთეტიური ფაქტორები ამოძრავებენ. მისი აზრით—„არ არსებობს მთავარი და აუცილებელი, შემთხვევითი და მეორეხარისხოვანი მიზეზები". „ძირითად სოციოლოგიურ ტენდენციების და გარემოს ზედმოქმედება არსებითად გვიხსნის სოციალური ხასიათის დაწესებულების და ზნეჩვეულებათა ევოლუციას"[2].

ისტორიულ მეცნიერებაში ასეთ შეხედულებას ფაქტორების თეორია ეწოდება. ეს თეორია გამანადგურებელი კრიტიკის ცეცხლში გაატარა ლენინმა თავის ცნობილ—„ვინ არიან ხალხის მეგობრები" და პლეხანოვმა „მონისტურ შეხედულებაში".

მარქსიზმი სრულებითაც არ უარყოფს სხვადასხვა ფაქტორების გავლენას ისტორიაზე. მაგრამ ამასთან ერთად აღიარებს, რომ ყველა ეს ფაქტორი საბოლოო ანგარიშში დამოკიდებულია ეკონომიურ ფაქტორსა და საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, რასაც საწარმოო ძალთა განვითარების დონე განსაზღვრავს.

---

[1] „Антич. мир. иуд. и хр.", вз. 16, 1909, СПБ.

[2] П. Милюков, „Оч. по ист. русской культ". вз. 3-14, 1896

ერთდაიმავე მიწა-წყალზე მობინდარე ხალხს თავისი ისტორიის განმავლობაში მრავალგვარი ხასიათის ბრძოლა უწარმოებია და სხვადასხვა ისტორიულ პირობებში სხვადასხვაგვარი მიზნების განსახორციელებლად ამოძრავებულა. ამავე დროს ცნობილია, რომ ამ ხალხის საცხოვრებელი ადგილი ზოგადად რომ ვთქვათ, ერთიდაიგივე ყოფილა: უცვლელად დარჩენილა მისი გეოგრაფიული მდგომარეობა, რელიეფი, ფლორა, ფაუნა. მზე და მთვარე ყოველთვის ერთნაირად დანათოდა, ჰავის ცვალებადობაც საერთოდ ნაკლები ყოფილა და სხვ. მაშ რა მიზეზია, რომ ეს ხალხი სხვადასხვაგვარი მიზნებისათვის იბრძვის?

ეს არის ეკონომიური ფაქტორი და ადამიანთა ურთიერთობა, რომელიც საწარმოო ძალთა შეუჩერებელი განვითარების გამო მუდამ მოძრაობს და ვითარდება. ადამიანის გარშემო მყოფ ბუნების ძალებთან შედარებით ეკონომიური ვითარება მუდამ მოძრავი და დაუდეგარია. ის ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც არსებობს ადამიანთა სხვადასხვა ფენებს შორის და, რომელიც საწარმოო ძალთა განვითარებას ეყრდნობა, მუდმივ წინააღმდეგობაშია საწარმოო განვითარების დონესთან. კლასობრივი ბრძოლა ფარული თუ აშკარა, მთელ ცხოვრებას მუდმივ მოძრაობასა და განვითარების პროცესში ამყოფებს. ადამიანთა აზროვნების ცვალებადობის მიზეზებიც ამ ცვალებად ფაქტორში უნდა ვეძიოთ.

საწარმოო ძალთა განვითარება ყოველთვის არ მიდის პირდაპირი გზით, ხშირად იგი ტეხილი ხაზით მიიმართება. არის ეპოქა, როდესაც ერთ დონეზედაც შედარებით ხანგრძლივად ჩერდება, მაგრამ საბოლოო ანგარიშში მაინც წარმოების უფრო დაბალი ფორმა უფრო მაღალში გადადის და ამნაირად, ევოლუციის კანონი ერთიანად მართლდება. არც იმისი თქმა შეიძლება, ბუნება, თითქოს, უცვლელი რჩებოდეს და მით ადამიანთა ცხოვრებაზე ნაკლებ გავლენას ახდენდეს. ბუნება უსათუოდ იცვლება ისტორიის გზაზე, მაგრამ ეს ცვლილება გამოწვეულია ადამიანის საწარმოო ძალთა ზედმოქმედებით და ეკონომიური ვითარების წყალობით. თანაც ეს პროცესი ერთობ ნელა და აუჩქარებლად მიმდინარეობს.

მთელ კაცობრიობის ისტორიას წითელ ზოლად თანასდევს ადამიანის ბუნებასთან დაუსრულებელი ბრძოლის პროცესი. ამ ბრძოლას ადამიანი აწარმოებს საკუთარ ცხოვრების უკედ მოსაწყობად. ყოველგვარი ხასიათის ბრძოლისათვის საჭიროა საწარმოო იარაღები, რომელთა საშუალებით ადამიანს შეეძლება ბუნებაზე ზედგავლენის მოხდენა. რაც უფრო უკედ არის იგი შეიარაღებული, მით უფრო ღრმად იმორჩილებს ბუნების ძალებს თავის სასარგებლოდ. ბუნებასთან ბრძოლის პროცესში დიალექტიურად არის ჩაქსოვილი ადამიანთა შორის დამოკიდებულების მომენტიც. როგორ ნაწილდება საზოგადოებაში ის პროდუქტი, რომელსაც საწარმოო იარაღის წყალობით ქმნის ადამიანის შრომა? ვინ შრომობს და ვინ ითვისებს ამ შრომის ნაყოფს? ვის საკუთრებას შეადგენენ საწარმოო იარაღები? ამ ნიადაგზე ადამიანთა ფენებს შორის მუდმივი ბრძოლა და ჭიდილი არსებობს, ამ წინააღმდეგობათა გადაჭრა ვერცერთმა ისტორიულმა საფეხურმა ვერ

შესძლო წარსულში: მისი სამართლიანად გადაჭრა სოციალიზმის საქმეა. მუდმივი წინააღმდეგობის ფაქტი წინ მიაქანებს კაცობრიობას: იცვლება საწარმოო ძალთა განვითარება, იცვლება ადამიანთა შორის დამოკიდებულება და საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმები; ყველაფერ ამასთან ერთად ადამიანთა აზროვნებაც მუდმივ ცვალებადობაშია. მარქსიზმის ერთერთ ძირითად დებულებას ის აზრი შეადგენს, რომელიც ამბობს, რომ „მდგომარეობა განსაზღვრავს შეგნებას“.

ზოგიერთი იდეალისტები, რომელნიც მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ამტკიცებენ, რომ ისტორიას ამოძრავებს არა ეკონომიური მიზეზი, არამედ იდეა, აზრი და საერთოდ ფსიქოლოგიური ფაქტორი, სრულებითაც არ უარყოფენ ტექნიკის განვითარების დიდმნიშვნელობას ისტორიაში. მაგრამ ამ საკითხს ისინი თავისებურად უდგებიან: მათი გაგებით ისე გამოდის, თითქოს ადამიანი ტექნიკური გაუმჯობესების აუცილებლობის შეგნებამდე აზრმა მიიყვანა,— ჯერ იყო აზრი და მას მოყვა საწარმოო ძალთა გამოგონებაო.

მარქსმა ასეთი მოსწრებული გენიალურად უბრალო და განმანადგურებული პასუხი გასცა ამგვარ მსჯელობას: თევზის დასაჭერი იარაღების გამოგონების აზრი ადამიანს დაებადებოდა იმ მდინარის ნაპირას, რომელშიც თევზი იყო, — იქ კი, სადაც თევზი არ მოიპოვებოდა, ადამიანი ამ მხრით თავს არ შეიწუხებდაო.

ამნაირად, პირველადი მოვლენა მატერიაა, მეორედი—აზრი. აზროვნების მამოძრავებელი ძალა ნივთიერ მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ. მარქსი ამბობს: „ადამიანები თვითონ ჰქმნიან თავიანთ ისტორიას, მაგრამ ქმნიან არა თვითნებურად, არა თავისუფლად არჩეულ, არამედ ნაპოვნ ან უშუალოდ მოცემულ, მემკვიდრეობით მიღებულ პირობებში. ყველა გარდასული თაობის ტრადიცია ალპიის მთების სიმძიმით აწევს ცოცხალთა ტვინს და სწორედ იმ დროს, როცა ადამიანები თითქო ცდილობენ რადიკალურად გარდაქმნან თავიანთი თავი და გარსშემორტყმული ქვეყანა, ცდილობენ შექმნან არასოდეს არ არსებული რამ,— სწორედ ასეთ რევოლუციურ კრიზისების ხანაში ისინი მზრუნველობით იხმობენ წარსულის სულებს, იღებენ მათგან სახელებს, საომარ ნიშნებს, ტანსაცმელს, რათა ამ საუკუნოებით ნაკურთხ სამოსში, ამ წინაპართაგან ნასესხევი ენით შეასრულონ ახალი საქმე მსოფლიო ისტორიულ სცენაზე. ასე ატარებდა ლუთერი პავლე მოციქულის ნიღაბს, ასე იმოსებოდა 1789-94 წლების რევოლუცია ხან რომის რესპუბლიკის, ხან რომის იმპერიის სამოსელით.... პ. დემულენი, დანტონი, რობესპიერი, სენჟიუსტი, ნაპოლეონი — ძველი საფრანგეთის რევოლუციის გმირები, პარტიები და მასები სარგებლობდენ რომაული ფრაზებით და ანხორციელებდენ თავიანთ დროის ამოცანას: ანთავისუფლებდენ ბორკილებისაგან **და აშენებდენ ახალ ბურჟუაზიულ საზოგადოებას“**[1].

---

[1] მ. გოგობერიძე. „ისტ. მატერ.“ გვ. 132-33.

ამავე აზრს ასე განმარტავს კაუცკი: „თუ ჩვენ გამოგვირკვევია სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში ადამიანთა შორის არსებული ეკონომიური ურთიერთობანი, ჩვენს თვალწინ მაშინვე გაქრება ერთდაიმავე იდეების, მისწრაფებათა და დაწესებულებათა მარადიული განშორების სურათი, ჩვენ მაშინ გავიგებთ, რომ ისტორიის მანძილზე ერთდაიმავე სიტყვებში სულ სხვადასხვა აზრი იდებოდა, რომ გარეგნულად ერთმანეთის მზგავსი იდეები და დაწესებულებანი თავის ძირითად თვისებებით სრულიად განსხვავდებიან, ვინაიდან ისინი წარმომდგარნი არიან სხვადასხვა პირობებში და სხვადასხვა კლასის მოთხოვნილებიდან. თავისუფლება, რომელსაც დღევანდელი პროლეტარიატი მოითხოვს, ძალიან დაშორებულია იმ თავისუფლებისგან, რომელსაც 1789 წ. საფრანგეთში მესამე წოდება მოითხოვდა"[1].

ადამიანების მოქმედება ისტორიის უგრძელეს მანძილზე მარტო ბუნებასთან ჭიდილით არ განისაზღვრებოდა. ამ ხასიათის ბრძოლასთან შედარებით, არა ნაკლების გულმოდგინებით იბრძოდა იგი და თავისივე მსგავს არსებათა შორის საზოგადოებრივი ცხოვრების უკედ მოსაწყობად. ადამიანთა ჯგუფებ შორის თანდათან წარმოშობილი ინტერესთა წინააღმდეგობა მუდმივი ბორგვის, დაუდგრომლობისა და ხშირად სისხლისმღვრელი შეტაკების მიზეზი ყოფილა.

საწარმოო ძალთა გამოყენება და აქედან გამომდინარე ეკონომიური კეთილდღეობა ისეთი გზით წავიდა, რომ ნაკლებად ემსახურებოდა ხალხის უმეტესობის ინტერესებს. ერთგვარი თანასწორობა ადამიანთა შორის მხოლოდ პირველყოფილი კომუნიზმის დროს არსებობდა. ეს თანასწორობა დამყარებული იყო მაშინდელი შრომის პირობების წყალობით: ველურ ადამიანთა ბრბო საზრდოს კოლექტიურად იძენდა, სანადიროდ ერთად დაიარებოდენ და თავიანთი შრომის პროდუქტსაც თანასწორად ინაწილებდენ. იმ დროის წარმოების წესები მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას შესაფერ საფუძველს აძლევდა: ყველას ბევრ მოპოებული ყველას უნდა გაინაწილებინა.

ამავე საზოგადოებაში არსებობდა პირველიდან გამომდინარე ასეთი ადათიც: იმ შემთხვევაში, თუ კერძო პიროვნება რაიმე საკუთრებას შეიძენდა, ეს მონაპოვარი პირადად მას ეკუთვნოდა.

დროთა განმავლობაში, საზოგადოებრივი შრომის გართულების პროცესში, უპირატესობა ამ მომენტს მიენიჭა და პირველყოფილ კომუნიზმსაც ძირი გამოეთხარა. ამათუიმ საწარმოო იარაღს **ცხოვრების მოთხოვნილებათა** კარნახით კერძო პიროვნება იგონებდა, ან აუმჯობესებდა. მაშინდელი ადათის თანახმად ეს იარაღი გამომგონებელის საკუთრებას შეადგენდა. ამ იარაღს იგი ცხოვრების გზაზე ნელნელა მხოლოდ თავის სასარგებლოდ ამუშავებდა და, ამნაირად, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მხრით ზედმეტი ნაშრომის დაგროვების საქმეში ეს პიროვნება თავისიანებს უკან მოიტოვებდა: მის ხელში უფრო მეტი დოვლათი დაგროვდა, ვიდრე

[1] „Античн. мир". 17.

სხვებს ჰქონდათ. ღარიბი იძულებული იყო მდიდარისათვის მიემართა და ეს უკანასკნელიც თანდათან იმორჩილებდა საწარმოო იარაღებს მოკლებულ ადამიანებს.

საწარმოო იარაღებს კერძო ადამიანები მაშინდელი თავდასხმების და ომების გზითაც იძენდენ: როცა ერთი ტომი თავს ესხმოდა მეორეს, იგი ერთიანად სცარცვავდა თავდამსხმელს და სარჩო-საბადებელთან ერთად საწარმოო იარაღებსაც ართმევდა: საომარ იარაღებს მიწის დასამუშავებელ საშუალებებს და სხვ. საერთოდ ნაძარცვს, რასაკვირველია, ყველა თანასწორად ინაწილებდა. მაგრამ, თუ კერძო პიროვნება საკუთარის ძალღონისა და მოხერხების წყალობით ომში რაიმეს იშოვიდა, ეს პირადად მისი იყო. მაშინდელ ომში დიდი ადგილი ეჭირა მეომარის პირად ღირსებებს,მუშტის ძალას, იარაღის მოხერხებულად მოხმარას, მოულოდნელად თავდასხმას, დამარცხებულთა ძარცვას. ამიტომ ომი ძალიან უწყობდა ხელს კერძო პირთა ხელში საწარმოო იარაღების დაგროვებას და მით საზოგადოების ორ ნაწილად გაპობას: საწარმოო იარაღების მეპატრონეებად და ასეთებს მოკლებულებად—მდიდრებად და ღარიბებად, გაბატონებულებად და დამონებულებად. გაბატონებულსა და დამონებულს შორის ინტერესთა წინააღმდეგობა არსებობდა. ეს წინააღმდეგობანი ხშირად უჩინარი იყო, ხშირად კი შეჯახებას და ბრძოლას იწყებდა.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ ვკითხულობთ: „ისტორია დღემდე არსებულ მთელი საზოგადოებისა არის კლასთა ბრძოლის ისტორია. თავისუფალი და მონა, პატრიცი და პლებეი, ბატონი და ყმა, ამქრის ოსტატი და ქარგალი, მოკლედ, დამჩაგვრელი და დაჩაგრული მუდმივ წინააღმდეგობაში უდგნენ ერთმანეთს, ეწეოდენ შეუწყვეტელ ხან ფარულ, ხან აშკარა ბრძოლას, რაც მუდამ თავდებოდა მთელი საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნით, ან მებრძოლ კლასთა დაღუპვით“.

მარქსისტული მსოფლმხედველობის გაგებით ადამიანის ბრძოლა ბუნების ძალთა წინააღმდეგ და მეორე მხრით კლასთა შორის არსებული ჭიდილი, არსებითად ერთდაიმავე ხასიათის ბრძოლაა. სინამდვილეში ეს ორგვარი ბრძოლა განუშორებლად სწარმოებს, მაგრამ ამის შესახებ ქვევით გვექნება ლაპარაკი.

როგორც ბუნების ძალთა დამორჩილების პროცესში, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებისათვის მუდმივი ბრძოლის დროს ადამიანი იარაღად ხმარობდა როგორც საწარმოო იარაღებს, ისე საკუთარ შეგნებას და აზრს. საწარმოო იარაღთა შეუჩერებელი ევოლუცია, რაიც ეკონომიური კეთილდღეობის წყარო იყო, ადამიანის აზრსაც მუდმივი ცვალებადობის გზაზე აყენებდა. თავის მხრით ადამიანის უკვე წარმოშობილი აზრიც რევოლუციურად მოქმედებდა საწარმოო ძალთა შემდგომს განვითარებაზე.

წინამდებარე წიგნის მიზანდასახულობას შეადგენს ახსნას და განმარტოს, თუ რაგვარ ცვლილებებს განიცდიდა ადამიანთა შეგნება ისტორიის

სხვადასხვა საფეხურზე. რა იყო ამ ცვლილებათა მიზეზები, როგორ და რა პირობებში იყენებდა კერძო ადამიანი, თუ ადამიანთა ჯგუფი ბრძოლის აზრს და, ბოლოს, რანაირი ფორმით გამოთქვამდა იგი თავის ნააზრევს.

დასახული მიზნის ნათელყოფას ჩვენ ვაწარმოებთ ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალების საშუალებით მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურის მცოდნეობის საფუძველზე დაყრდნობით.

I ადამიანი და მისი მოქმედება ბუნებაში

ხშირად ამბობენ—ადამიანი ცხოველი არისო. ამ აზრს ზოგჯერ მეცნიერებიც კი იმეორებენ. ადამიანიც რომ მართლაც ცხოველია, ეს უდავო ჭეშმარიტებაა, მაგრამ ამის თქმით იგი მხოლოდ ნაწილობრივად ხასიათდება: ადამიანსა და ცხოველს შორის იგივეობის ნიშანი ვერ დაისმება.

ძირითადი განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ადამიანი ბუნებაზე ზედმოქმედებს და ცვლის მას თავის სასარგებლოდ, ცხოველი კი ამ ნიჭს მოკლებულია, მისი გავლენა ბუნების ძალებზე ნულს უდრის. ენგელსის აზრით „მარტო ადამიანმა შეძლო თავისი საკუთარი დაღი დაემჩნია ბუნებისათვის: მან არა მარტო სამშობლო გამოუცვალა მცენარეთა და ცხოველთა სამეფოს, არამედ თავისი საცხოვრებელ მიწა-წყალს და ჰავასაც კი ადგილი შეუცვალა, თანაც მცენარეები და ცხოველები იმდენად გადაასხვაფერა, რომ მისი მოქმედების შედეგები მხოლოდ მთელი მსოფლიოს დაღუპვასთან ერთად თუ გაქრებიან“.

რის საშუალებით მოაზდინა ყოველივე ეს ადამიანმა? უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად ხელებითაო, — აბრობს იგივე ენგელსი. ხელი კი ის ბუნებრივი იარაღია, რომელიც მხოლოდ ადამიანს გააჩნია და არცერთ სხვა ცხოველს არ მოეპოვება. მართალია, ხელი მაიმუნსაც აქვს, მაგრამ ადამიანის ხელთან შედარებით იგი სხვაგვარი აგებულობისაა და სრულებითაც ვერ მოქმედებს ისე მოქნილად, როგორც ადამიანის ხელი.

ბუნებაზე ხედმოქმედებით ადამიანი მატერიალურ კულტურას ქმნის, მაგრამ მარტო ამით ვერ კმაყოფილდება იგი: ხელებთან ერთად ადამიანი თავის გონებას და ენასაც ამოქმედებს, ნივთიერი კულტურის გვერდით გონებრივ კულტურასაც ქმნის. ამის მოთხოვნილება და ნიჭი მას ბუნებისაგან აქვს თანდაყოლილი.

ადამიანი თავის სულიერ მოთხოვნილებებს ხელოვნებისა და მეცნიერების საშუალებით იკმაყოფილებს, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანის სულიერი შემოქმედება მიმდინარეობს ხელოვნებისა და მეცნიერების გზით[1]).

[1] გამოთქმანი ადამიანის სულიერი კულტურა, სულიერი ცხოვრება, ჩვენ გვესმის მატერიალისტურად. პლეხანოვი: სიტყვით (ტ. XVII. გვ. 143) ხშირად ნაბილად ვერ დაუნახავთ სულ უბრალო ნივთები. ტერმინებს „ზორაი“, „სული“ ხმაროს სპეკულიანტური ფილოსოფია. ცნობილია, რომ მარქსიც ხმარობდა ამ ტერმინებს, მაგრამ თავისებურის გაგებით, იგი უყურებდა მათ მატერიალისტური თვალსაზრისით. სულიერი შემოქმედება მატერიალისტურის გაგებით მატერიის თვისებათა გამომჟღავნებაა. ჩვენც ამ გაგებით ვიხმარობთ ამ ტერმინს.

გონებრივ მუშაობას ადამიანს გარდა ცხოველიც აწარმოებს. მაგრამ ცხოველის გონებრივი შემოქმედება პრიმიტიული ხასიათისაა. ადამიანი კი, უმაღლესი ბარისხის მოაზროვნეა. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ადამიანს უაღრესად აქვს განვითარებული აზროვნების ორგანო—თავის ტვინი. „როდესაც ათასწლეულის მანძილზე ცდების შემდეგ, როგორც იქნა,ხელისა და ფეხის დიფერენციაცია მოხდა და ადამიანმა ამართული სიარული დაიწყო. აი, ამ მომენტიდან ადამიანი დაშორდა მაიმუნს და თანაც საფუძველი ჩაიყარა განაწევრებული ლაპარაკისა და ტვინის მძლავრად განსავითარებლად, რის გამო გაუვალი ნაპრალი წარმოიშვა ადამიანსა და მაიმუნს შორის“ (ენგელსი). ადამიანი ყველა სხვა ცხოველთან შედარებით, მაიმუნის უახლოესი ნათესავია; და თუ, როგორც ენგელსი გვეუბნება, თავისი უახლოეს ნათესავსაც კი ასე დაშორდა იგი ამართული სიარულის მეოხებით, რა უნდა ითქვას სხვა შორეულად მონათესავე ცხოველებისაგან დაშორების შესახებ!

ხელისა და ტვინის საშუალებით ადამიანი შეუჩერებელ ბრძოლას აწარმოებდა და დღესაც აწარმოებს ბუნების ძალთა დასამორჩილებლად და შესაცნობად. ხელის ფუნქციაა: მოქმედება, ტვინისა კი—აზროვნება და ჭკუა-გონების ნათელყოფა.

გონების საშუალებით ადამიანი აწარმოებს ბუნების ძალთა შეცნობა-შესწავლას. ხელის საშუალებით კი მისთვის საჭირო ცვლილებებს ახდენს.

თანაც უნდა ვიცოდეთ, რომ ხელი და გონება მუდმივ და განუწყვეტელ ურთიერთობაში არიან, არცერთი მათგანის ფუნქცია ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად არ სწარმოებს და მათი გათიშვა ერთი წუთითაც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ. სინამდვილეში არცერთი მოვლენა არ მდინარებს გამოცალკევებულად და სხვა პროცესზე დამოუკიდებლად. „ბუნების დიალექტიკაში“ ენგელის წერს:

„ბუნებაში არაფერი არ ხდება განმარტოებულად, თითოეული ცალკე მოვლენა გავლენას ახდენს მეორეზე და პირუკმო. ამ ყოველმხრივი მოძრაობისა და ურთიერთგავლენის დავიწყებაში ხშირადაა ჩამარხული იმ გარემოების მიზეზი, რომ ჩვენს ბუნებისმეტყველებს ხშირად, ნათლად ვერ დაუნახავთ სულ უბრალო ნივთები“.

როგორც უკვე ვთქვით, ადამიანის გონებრივი მუშაობა ხელოვნებისა და მეცნიერების გზით მიმდინარეობს. აშკარაა, შემოქმედების ორივე ეს დარგი ცხოვრების შეცნობა-შესწავლას ემსახურება.

წინამდებარე წიგნს უმთავრესად ხელოვნების ერთ-ერთ დარგთან აქვს საქმე, სახელდობრ პოეზიასა და კერძოდ არა მთელ კაზმულ სიტყვიერებასთან, არამედ მარტო ხალხურ ზეპირ შემოქმედებასთან.

II. ხალხურ ზეპირსიტყვიერების ზოგადი ხასიათი

ხალხური ზეპირსიტყვიერება ერთობ მდიდარია, როგორც რაოდენობით, ისე შინაარსითა და ფორმით. დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი ხალხი, რომელ საც თავისი საკუთარი ზეპირი შემოქმედება არ ჰქონდეს. ზღაპარი, არაკი, ლექსი, ანდაზა, ამოცანა, შელოცვა და სხვა ყველა ხალხის ენაზე მოიპოვება.

თითოეულ ამ ფორმაში ხალხის ესათეის ფენა გამოსთქვამს თავის აზრებს ბუნების, თუ ადამიანთა ცხოვრების სხვადასხვა მოვლენის შესახებ. ერთ შემთხვევაში ხალხურ ნაწარმოებში გამოთქმულია მისი შეხედულებანი მსოფლიოს აგებულობის შესახებ: რისთვის არის გაჩენილი ესათეის მნათობი, რა მიზნით ხდება სხვადასხვა მოვლენები, რას წარმოადგენს რომელიმე საგანი, თუ ცხოველი, რა დამოკიდებულებაშია გარეშე ბუნება ადამიანთან და სხვა.

მეორე შემთხვევაში ხალხური შემოქმედება ასწერს და შეფასებას უკეთებს ამათუიმ ადამიანის მოქმედებას და აზრებს. მესამე შემთხვევაში აწერილია რომელიმე შრომითი პროცესი, მაგ.; ხვნა, ნამგლის ლესვა, მკა, ნადირობა და სხვა. ანდაზებში გამოთქმულია ცხოვრების ხანგრძლივ მიმდინარეობაში გამომუშავებული პრაქტიკული აზრი და სხვა.

გზადაგზა ხალხური შემოქმედება გვაცნობს ხალხის კულტურული გახვითარების დონეს, ზნე-ჩვეულებებს, ყოფა-ცხოვრებას, ეკონომიური და პოლიტიკური სტრუქტურის ნაკვეთებს, წოდებათა თუ კლასთა შორის არსებულ ურთიერთობას, მასისა და მთავრობას შორის არსებულ დამოკიდებულებას, სხვადასხვა თანამდებობის პირის მოქმედების შეფასებას და სხვა.

ზევით ნათქვამი გვქონდა, რომ ადამიანი საკუთარი ცხოვრების გასაუმჯობესებლად იარაღად ხმარობს როგორც ხელს, ისე თავის გონებას და აზროვნებას. ამ უკანასკნელს იგი ამოქმედებს ერთი მხრით არსებული სინამდვილის შესასწავლად და ასაწერად, მეორე მხრით კი მის გარდასაქმნელად და თავის მიზნების მიხედვით შესაცვლელად. ამიტომაც ხალხურ პოეზიაში გვხვდება, როგორც აღწერითი ხასიათის ნიმუშები, ისე ბრძოლის სულით გაჟღენთილი ლექსი, ზღაპარი თუ ანდაზა. მაგ., „არსენას ლექსი“ თავიდან ბოლომდე მშრომელი კლასის დასაცავად არის მიმართული და ბატონყმობის დროს იგი ხმალზე ნაკლებად არ მოქმედებდა ყმების შეკავშირების და ბატონების საწინააღმდეგო ამოძრავების საქმეში. თანაც ახასიათებს მთავრობის მოქმედებას.

აშკარაა, ხალხური შემოქმედება თავის შინაარსით მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანთა საერთო ისტორიული განვითარების საფეხურებთან, ცალკე ადამიანის, თუ კოლექტივის ამათუიმ ხასიათის ბრძოლასთან ბუნების დასამორჩილებლად, სოციალური ცხოვრების მოსაგვარებლად; იგი გამოხატავს ხალხის, თუ მისი ნაწილის ჭირ-ვარამს, შეპყრობილებას. მისწრაფებას და სხვა.

საერთოდ ხალხური შემოქმედება შინაარსის მხრით შეგვიძლია გავყოთ ორ დიდ ნაწილად: პირველ ნაწილში შეგვიძლია მოვაქციოთ ისეთი შინაარსის ნიმუშები, რომელშიც გამოხატულა ბუნებასთან ხალხის დამოკიდებულება: მისი თავისებური გაგება, მის მოვლენებთან ბრძოლა, ცხოველებთან დამოკიდებულება და სხვა.

ამ ხასიათის ნიმუშები გვაცნობენ ადამიანთა საზოგადოების თანდათანობრივ განვითარებას, მისი კულტურის ზრდას, ბუნებაზე ადამიანის

ზედგავლენის შეუჩერებელ ზრდას და საერთოდ ბუნების წიაღში საკუთარი ცხოვრების გასაუმჯობესებლად ადამიანის მოქმედებას.

ხალხური სიტყვიერების მეორე ჯგუფის ნიმუშებს მიეკუთვნება ისეთი შინაარსის ნაწარმოებნი, რომლებიც გამოსახულია კერძო პიროვნების, თუ პიროვნებათა კრებულის ბრძოლა არსებული სოციალური პირობების გარდასაქმნელად, გაკიცხულია ესათუის უსამართლობა და საზოგადოდ ეხება ადამიანთა ყოფა-ცხოვრებას, თუ ურთიერთშორის დამოკიდებულებას. ამ ხასიათის სახალხო შემოქმედების ნიმუშებს მიეკუთვნება ისეთი სახალხო ლექსი ან ზღაპარი, რომელშიც ადამიანთა შორის ბრძოლაა ასახული, ან რომელიმე წესწყობილებაა გაკიცხული, კიდევ ესათუის პიროვნებაა გამოყვანილი უარყოფითი ან დადებითი თვისებებით, ასახულია აგრეთვე შრომის პროცესები, ყოფა-ცხოვრებითი მომენტები სიყვარული და სხვა.

ხშირად ამათუიმ ნიმუშში ორივე ხასიათის ბრძოლას ვხედებით: ადამიანი ბუნებასაც უპირისპირდება და თავისივე მსგავს არსებებსაც. ასეთი ხასიათის ნიმუშები, იმის მიხედვით, თუ რონელი ელემენტები სჭარბობს, ან პირველს ან მეორე ჯგუფს მიეკუთვნება.

III. რა მნიშვნელობით იხმარება ტერმინები: სიტყვიერება, ხალხური და ზეპირი

ადამიანი მოაზროვნე არსებაა. ყოველი ეპოქის ადამიანს აქვს თავისი აზრი და შეხედულება როგორც ბუნების სხვადასხვა მოვლენის, ასე ადამიანთა ცხოვრების შესახებ. თავის აზრსა და შეხედულებას ადამიანი ხან ხელოვნების ფორმების საშუალებით გამოსთქვამს, ხანაც მეცნიერულისა. ერთ შემთხვევაში იგი ლექსის ან ზღაპრის მხატვრულ სახეებში აქსოვს თავის ნააზრევს სინამდვილის თაობაზე, თხზავს მოთხრობებს და რომანებს,იგონებს პოემებს და კომედიებს. მეორე შემთხვევაში კი თავის ცოდნას იგი უშუალოდ გამოსთქვამს, პირდაპირ გვაცნობს თავის აზრს ამათუიმ მოვლენის შესახებ. მაგ. ასწერს საგნის თვისებას, ახსნის მოვლენის მიზეზებს და სხვა.

ამათუიმ ფორმით გამოთქმული ნააზრევი, რაც ხალხს სიტყვის საშუალებით წარმოუთქვამს სხვების გასაზიარებლად ფართო გაგებით **სიტყვიერად** სწორდება.

ხალხური ზეპირი სიტყვიერება კი უფრო ვიწრო ცნებაა, იგი შეიცავს მხოლოდ სიტყვიერების იმ დარგს, რომელიც ხელოვნებას ეკუთვნის და თანაც ისეთ ნიმუშებს წარმოადგენს, რომელთაც ინდივიდუალური ავტორი არა ყავს. ზღაპრები, ლექსები და მაირები, ლეგენდები, თქმულებანი, საგმირო და სავაჟკაცო ამბები, ენის გასატეხი, გამოცანები, ანდაზები, — აი როგორი ხასიათის ნაწარმოები ეკუთვნიან ხალხურ ზეპირსიტყვიერებას.

ყველა ამ სახის ნიმუშებს ხალხურს ვუწოდებთ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს რომელიმე მათგანი მთელი ხალხის მიერ იყოს შეთხზული, თითქოს იგი ერთად შეკრებილ ხალხს გამოეთქვას და შეემუშავებინოს. თითოეული ზღაპარი, თუ მაირი თავდაპირველად გამოუთქვამს ხალხის ერთ-

ერთ წევრს, რომელსაც თავის ნიჭის წყალობით სხვებზე უკეთ მოუხერხებია არსებული პირობების გათვალისწინება, სხვებზე უფრო ღრმად უგრძვნია ცხოვრების საჭიროებათა კარნახი და ამის მიხედვით ან ღრმა და სახელმძღვანელო აზრი წარმოუთქვამს, ან კიდევ მოსწრებული ლექსი შეუდგენია, ან ზღაპრის ფორმით გამოუსახავს ესათუის მოვლენა. კერძო პიროვნება რომელმაც ამათუიმ ფორმით რაიმე აზრი გამოთქვა, თავის ნამეტყველევს სხვებს გადასცემდა. თუ მსმენელს იგი მოეწონებდა, ითვისებდა და სხვასაც უზიარებდა. ამნაირად. თავდაპირველად ერთი ადამიანის მიერ წარმოთქმული, ვთქვათ, ლექსს სხვადასხვა პირები გაიმეორებდენ, ისინი კიდევ სხვებს გადასცემდენ და ამ გზით ეს ლექსი ხალხის ფართო მასებში გავრცელდებოდა. მსგავსად ზღვაში გადასროლილ ნაფოტისა, იგი ხან ერთ ადგილას ამოცურდებოდა, ხან მეორეს. ამ პროცესში მისი პირვანდელი ავტორი უკვე დაკარგულია და ახლა იგი მთელი ხალხის საკუთრებას შეადგენს, ავტორად ხალხი გადაიქცა, ინდივიდის ნაწარმოები კოლექტივმა მიისაკუთრა.

ლექსის თუ ზღაპრის ხალხის ფართო მასების მიერ მოწოდება და შეთვისება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ღრმად არის ამ ნიმუშებში გამოთქმული ხალხისათვის საჭირბოროტო აზრი და თანაც როგორი ფორმით არის ეს აზრი გამოხატული. „არსენას ლექსი", მაგალითად, როგორც თავისი შინაარსით, ისე მსუბუქი და მხატვრული ფორმით, იმდენად ნათლად მხატვრულად და ღრმად გამოსთქვამდა ბატონყმობის დროინდელ ქართველი მშრომელის ტანჯვას, რომ ჩვენი ხალხის მშრომელმა მასებმა საყვარელ ნაწარმოებად გაიხადეს იგი და მთელ საქართველოს მოფინეს.

ზევით ნათქვამი იყო, რომ ერთ დროს კერძო პიროვნების მიერ წარმოთქმული ნაწარმოების ავტორად ამ ნაწარმოების ნიმუშების გავრცელების პროცესში კოლექტივი გადაიქცა. ამ აზრს შემდეგი აუცილებელი განმარტება უნდა დაემატოს. ერთი პიროვნების მიერ წარმოთქმული ლექსი ან ზღაპარი ხალში გავრცელების დროს ხშირად იცვლება და გადაკეთდება ხოლმე. პოეტური გრძნობა და საკუთარი შემოქმედებისკენ მისწრაფება ყოველ ადამიანს აქვს. ეს ნიჭი მაშინ ილვიძებს, როდესაც მას წააქეზებ და რაიმე მიზეზით აამოქმედებ. ვთქვათ. ვინმემ მოისმინა რაიმე ლექსი, რომელიც მას ისე მოეწონა, რომ პოეტური შემოქმედება გაუღვიძა, მაშინ იგი ასეთნაირივე ნაწარმოებს თხზავს, ანდა ამ მოწონებულ ნიმუშს განაგრძნობს და გააფართოებს. შეიძლება რომელიმე მისი ნაწილი კიდეც შეცვალოს, გადააკეთოს და სხვ. ყველამ იცის, რომ ზოგიერთი ზღაპარი, ან შაირი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირად თავდება, ან იწყება. ეს გადაკეთება-გადმოასხვაფერება შეიძლება ისე დიდი იქნეს, რომ თავდაპირველი ნათქვამიდან ბევრი აღარ დარჩეს რა. ამ პროცესში გადმოკეთებულიც ისე უჩინარი ხდება, როგორც თავდაპირველი ავტორი. ამასთან გადმომკეთებელი შეიძლება ათობით და ასობით იქნეს დათვლილი.

აშკარაა ამ მომენტის გათვალისწინების შემდეგ ტერმინი „ხალხური" სრულიად მართებულად არის ამ შემთხვევაში ნახმარი. შაირები ხალხში

ახლაც ითხზება სხვადასხვა საპირბოროტო მოკლენის გამო. თუ ჩაუკვირდებით, ადვილად დავრწმუნდებით ზემოხსენებული მოსაზრების სისწორეში. როგორ ეძლევა დავიწყებას შაირის პირველად წარმომთქმელი, რა გზით ვრცელდება ხალხში შაირი და რა სახის ცვლილებებს განიცდის იგი გავრცელების დროს.

რატომ ეწოდება ხალხურ სიტყვიერებას ზეპირი?

ადამიანი განვითარების რომელ საფეხურზედაც უნდა მდგარიყოს, ყოველთვის გამოთქვამდა თავის აზრს ცხოვრების ამათუიმ მოვლენის შესახებ. მისი შემოქმედება წარმოებდა მაშინაც, როდესაც წერა-კითხვა არ იყო შემოღებული და მის შემდეგაც, როცა წერის საშუალება გამოაგონებინა მის ცხოვრების გართულებულმა პირობებმა. მაგრამ, ისიც უნდა ვიცოდეთ რომ წერა-კითხვის ცოდნა განელილ ისტორიულ საფეხურებზე გაბატონებული ფენების პრივილეგია იყო და ხალხის ფართო მასებისთვის არ იყო ხელმისაწვდომი. აშკარაა, წერა-კითხვის დაწყებამდე ხალხი ზეპირად გამოსთქვამდა თავის ნაფიქრსა და ნაგრძნობს. წერა-კითხვის შემდეგაც ეს მდგომარეობა დიდი ხნის განმავლობაში ძალაში რჩებოდა.

როგორც ნათქვამი გვქონდა, ხალხური ზეპირი შემოქმედება ახლაც წარმოებს, ე.ი წერა-კითხვის ფართოდ გავრცელების ეპოქაშიაც არ შეწყვეტილა. რა არის ამის მიზეზი?

როცა ამათუიმ ხალხში წერა-კითხვა წარმოიშვა და კერძო პიროვნებას, რომელსაც ამისი ნიჭი და მოთხოვნილება აქვს, წერის გზით შეუძლია თავისი შემოქმედების გამომჟღავნება. ეჭვი არ არის, ხალხური შემოქმედების სათავეს კრიზისი ეპარება. წერა-კითხვის ფართო გავრცელება უსათუოდ ნიადაგს უკარგავს ზეპირ შემოქმედებას: წერითი ლიტერატურა უდიდეს კონკურენციას უწევს ზეპირს. ამიტომ არის, რომ ჩვენს ეპოქაში არ იქმნება ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ხალხური ნაწარმოები, მძლავრი ნიჭი გამოსავალს წერითს ლიტერატურში პოულობს.

ჩვენი დროის ხალხურ შემოქმედებას ასულდგმულებს ჯერ ერთი ის გარემოება, რომ ხალხის ფართო მასები ჯერ კიდევ ვერ შეპრილან კაზმული სიტყვიერების უმაღლესად განვითარებულ სფეროში, ვერ დაუფლებიან თანამედროვე ლიტერატურულ ტექნიკას და მეორეც იმიტომ, რომ ყველა შაირი თუ სხვა რამე როდია ისე მნიშვნელოვანი, რომ დაბეჭდის და გავრცელების ღირსი იყოს.

IV. ადამიანთა დამოკიდებულება და ბრძოლა ბუნებასთან, ამ ბრძოლის დამახასიათებელი ხალხური პოეზია

ხალხური ზეპირი შემოქმედების იმ ნაწილს, რომელიც ახასიათებს ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულებას და ბრძოლას, ჩვენ ორ ჯგუფად ვყოფთ. პირველ ჯგუფს ეკუთვნის მითოლოგიური შინაარსის ნიმუშები, მეორეს-კი — გმირული.

თითოეული ამ ჯგუფის დამახასიათებელი ნაწარმოები შეეფერება ადამიანის და მისი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ამათუიმ

საფეხურს. მითოლოგიური შინაარსის ნიმუშები განვითარების უმდაბლეს საფეხურზე გვხვდება, უმეტეს შემთხვევაში პირველყოფილი კომუნიზმის დროს გრძელდება, რასაკვირველია, შემდეგშიაც. გმირული უფრო მაღალ საფეხურს ეკუთვნის—მონობის და ფეოდალურ ხანას. განვითარების უმაღლესი საფეხური ითვისებს, ინახავს და ხშირად ასხვაფერებს უფრო დაბალი განვითარების სათანადო შემოქმედებას. ამიტომაც ადამიანის თანდათანობრივი წინსვლის პროცესში ერთად ერევა ხოლმე სხვადასხვა დროის ნიმუშები და ძალიან ხშირად ერთი და იგივე ნაწარმოები სხვადასხვა ეპოქის დამახასიათებელ ელემენტებს ატარებს.

რა მიზეზი იწვევდა ადამიანთა შეგნების თანდათანობრივ განვითარებას ისტორიის მანძილზე?

პირველყოფილი ადამიანი ცხოველის მსგავსად ირჩენდა თავს. ეს ორი არსება ერთნაირი მიზნით აწარმოებდა არსებობისათვის ბრძოლას: სიცოცხლე რომ შეენარჩუნებინა, საზრდო უნდა მოეპოვათ. არც ერთ მათგანს განვითარების უმდაბლეს საფეხურზე ამ მხრით უპირატესობა არ ჰქონდა: როგორც ცხოველი, ისე ადამიანი მხოლოდ იმ საზრდოთი ირჩენდა თავს, რასაც მათ ბუნება მიაწოდებდა მზამზარეულად. მცენარეები და მათი ნაყოფი, ჭიები და ძწერები, გარეული თაფლი და წყალი, — აი მათი საარსებო წყარო. ყველაფერი ეს მზამზარეულად მოიპოვებდა ბუნების წიაღში.

მეცნიერება გვიმტკიცებს, რომ ადამიანთა ტომი თავისი ისტორიის დასაწყისში ნამდვილი ცხოველი იყო და ოთხფეხზე—ხელებზე და ფეხებზე დაიარებოდა. ამ პერიოდში მის სხეულს არ ჰქონდა განვითარებული მეტყველების ორგანოები და მას არ გააჩნდა განაწევრებული ლაპარაკის უნარი. საზრდოს უკეთ მოპოვების მიზნით ადამიანი უფრო ხშირად ხმარობს სხეულის წინა კიდურებს — ხელებს. გადის დიდი ხანი და ადამიანის ხელი თანდათანობით ვითარდება, ასე რომ განვითარების ამ გზაზე ფეხებს თანდათან რჩება მოძრაობის—ადამიანის გადაყვან-გადმოყვანის მოვალეობა, ხელები კი საზრდოს შოვნის ფუნქციას ასრულებენ. ჩვენ უკვე ვიცით ენგელსის სიტყვებიდან, რომ ხელისა და ფეხის ფუნქციების დიფერენციაციის შემდეგ ადამიანს განუვითარდა სალაპარაკო აპარატი — გაუფართოვდა გულ-მკერდი და საანთროვნო ორგანო—ტვინი. ამ მომენტიდან, როგორც იმავე ენგელსის სიტყვებიდან ვიცით, ადამიანსა და ცხოველებს შორის უფსკრული გაითხარა: ადამიანი გიგანტური ნაბიჯით დაშორდა თავის პირვანდელ ნათესავებს. ეს დაშორება უპირველეს ყოვლისა საზრდოს მოპოვების საქმეში გამოიხატა: **ხელის წყალობით ადამიანი ცხოველზე უფრო-ადვილად შოულობდა არსებობისათვის აუცილებელ სასმელ-საჭმელს.**

მაშასადამე, ადამიანის სიცოცხლეც, ცხოველთან შედარებით, უფრო უზრუნველყოფილი შეიქნა. ამის მიზეზი იყო სხვა ცხოველების წინაკიდურებთან შედარებით ადამიანის უფრო სახერხო ხელი, რომელიც პირველ საწარმოო იარაღად უნდა ჩაითვალოს.

პლეხანოვი ამბობს; „წინამხართან ერთად ხელი წარმოადგენს პირველ ინსტრუმენტს, პირველ იარაღს, რომლითაც ადამიანი სარგებლობს თავისი

არსებობისათვის პრძოლაში. ხელისა და მხრისკუნთები გადასროლისა .და დარტყმის დროს ზამბარის როლს ასრულებენ [1].

არსებობისათვის ბრძოლამ ადამიანი აიძულა ხელისათვის კიდევ სხვა რაიმე საგანი დაეხმარებია და ამნაირად იგი კიდევ უფრო გაეძლიერებინა და გაეგრძელებინა. „მანქანა თანდათან ცილდება ადამიანის სხეულს, -- განაგრძნობს იგივე პლეხანოვი, — პირველად ქვა ადამიანს თავისი სიმძიმით უწევდა სამსახურს, შემდეგი იგი მან ტარზე მიამაგრა და გამოვიდა ნაჯახი, ან ჩაქუჩი. თავისი პირველი იარაღი — ხელი ადამიანს სამსახურს უწევს სხვა იარაღების შექმნაში, ხელს უწყობს გამოიყენოს მატერია ბუნებასთან საბრძოლველად, ე.ი. მთელ დანარჩენ დამოუკიდებელ მატერიასთან. და რამდენათაც უფრო უმჯობესდება დამორჩილებული მატერია, რამდენად უფრო ვითარდება ინსტრუმენტებით სარგებლობა, იმდენად უფრო მეტად იზრდება ადამიანის ძალღონე ბუნების მიმართ, იმდენად უფრო მეტად ძლიერდება ადამიანის ძალა-უფლება ბუნებაზე“.

სანამ ადამიანი პრიმიტიულ მდგომარეობაშია და საწარმოო იარაღები ჯრ გააჩნია, მანამდე იგი ბუნების მონაა და ყოველგვარი მოვლენის წინაშე თრთის და კანკალებს. ამ ხანაში მისი ზედმოქმედება ბუნებაზე ან ნულს უდრის, ან და ძალიან მცირეა: მას არ მოეძევება მოხერხებული საცხოვრებელი ბინა, არა აქვს მხეცების მოსაგერებელი იარაღები, არ მოეპოვება საზრდოს საშოვარი საშუალებანი და მთელი მისი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. ყოველ ნაბიჯზე მას დაბრკოლება ხვდება, ყველაფერი ეღობება წინ და მის არსებობას ემუქრება.

ამ ეპოქის ადამიანი უმნიშვნელო წერტილად არის ჩაშხეფებული ბუნების წიაღში და ისე ემონება მას და მის ყოველგვარ მოვლენას, როგორც თითოეული პირუტყვი. წვიმა უბედურებაა მისთვის, ჭექა-ქუხილი თავზარს სცემს, ნადირები ყოველ წუთს ემუქრებიან, მდინარე ახრჩობს, ცეცხლი ანადგურებს, წელიწადის დრონი ხშირად უბედურებას გვრიან და სხვა და სხვა.

მართალია, განვითარების ამ საფეხურზე ადამიანი ძალიან ახლოსაა პირუტყვის მდგომარეობასთან, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ხელისა და ფეხის მოვალეობათა გამიჯვნის შემდეგ ადამიანს ტვინის განვითარების მეოხებით შეგნების უნარიც განუვითარდა. „ხელის განვითარებასთან ერთად პარალელურად ვითარდებოდა თავიც, — ამბობს ენგელსი „ბუნების დიალექტიკა“ ში,— ისახებოდა შეგნებაც, პირველად ცალკე პრაქტიკულ, სასარგებლო მოქმედებათა, შემდეგში კი ამის საფუძველზე, შედარებით უკეთეს პირობებში მცხოვრებ ხალხს, თანდათან განუვითარდა ამ სასარგებლო მოვლენათა გამომწვევი მიზეზების შეგნება. ხოლო ბუნების კანონთა შეცნობის სწრაფი ზრდის პროცესში, იზრდებოდა აგრეთვე ბუნებაზე ზედმოქმედების საშუალებანიც; მარტო ხელის საშუალებით ადამიანები ვერ შექმნიდენ ორთქლის მანქანას, ხელთან ერთად და ნაწილობრივ ხელისავე წყალობით ტვინიც შესაფერისად რომ არ განვითარებულიყო“.

---

[1] პლეხანოვი, ტ. XIV, გვ. 370

მაშასადამე, ხელის განვითარების გამო პირუტყვებისაგან გამოთიშულ ადამიანს გარემოს შეგნების და გააზრების უნარიც ახასიათებს. რა ხდება ჩემს გარშემო? ვინ ვარ მე? რას მიქადის გარეშე ბუნება—ავს, თუ კარგს, სიკვდილს, თუ სიცოცხლეს? — აი, ამ საკითხების გარშემო დატრიალდა პირველყოფილი ადამიანის აზრი და გონება. ეს საკითხები იყო მისი შეგნების საგანი.

ყოველი ეპოქის ადამიანი ამ საკითხებზე თავისებურ პასუხს იძლევა, ადამიანთა საზოგადოების ყოველ ხანას თავისი განვითარების შესაფერი ფილოსოფია აქვს.

ველურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანსაც თავისი ფილოსოფია ჰქონდა და ამ თვალსაზრისით აფასებდა იგი გარეშე ქვეყანას, ზევით დასმულ კითხვებზედაც ამ თვალთახედვით იძლეოდა იგი პასუხებს.

განვითარების უმდაბლეს საფეხურზე მდგომი ადამიანის მსოფლმხედველობა იყო ანიმისტური მსოფლმხედველობა. ანიმუს ლათინური სიტყვაა, ნიშნავს სულს. **ანიმისტური მსოფლმხედველობა არის ბუნების ძალთა და მოვლენათა გასულიერების ფილოსოფია.**

პირველყოფილი ადამიანის ზედმოქმედება ადამიანზე ძალიან მცირეა, ხშირად ნულს უდრის; ამის გამო მისი შეგნებაც ჯერ კიდევ ისე ვერ განვითარებულა, რომ ბუნების მოვლენათა მიზეზობრივი კავშირი სინამდვილით წარმოიდგინოს, ამიტომ იგი ანალოგიის მიხედვით იწყებს მსჯელობას გარემოს შესახებ.

პლეხანოვის აზრით, როდესაც პირველყოფილი ადამიანი თავის საკუთარ მოქმედებას უკვირდებოდა, ხედავდა, რომ მათ წინ უძღოდა ერთგვარი სურვილის აღძვრა. ასკვნიდა, რომ ესა თუ ის მოქმედება გამოწვეულია პირადად მისი სურვილით. ამიტომ, როდესაც მან ბუნებაში ესა თუ ის მოვლენა დაინახა, მაშინვე ანალოგიას მიმართა და ეს მოვლენაც ვიღაცის ნებასურვილით გამოწვეულად ჩასთვალა. ხოლო ის არსება კი, რომელმაც ბუნების მოვლენაში თავისი ნება-სურვილი გამოამჟღავნა, მისთვის, ადამიანისთვის, შეუცნობელია, მიუღწეველია. ამ შეუცნობელ, უხილავ და მიუღწეველ ძალას იგი სულს უწოდებს[1]. სული პირველყოფილი ადამიანის აზრით — მისი — ადამიანის მაცოცხლებელი და მამოძრავებელი რაარის.

მსჯელობს რა ასეთი ანალოგიის მიხედვით, ველური ადამიანი დარწმუნებულია, რომ ბუნების ყოველგვარ მოვლენას საკუთარი სული ამოძრავებს, ყოველ საგანში სულია და ყოველი არსის მოქმედებას ეს სული იწვევს. ასეთი არის ანიმისტური მსოფლმხედველობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი.

რას გრძნობს ადამიანი ამ სულების მიმართ?

მისი შეგნებით ყველა ეს სულები ერთად, თუ ცალცალკე მასზე ძლიერია: თითოეულ მათგანს შეუძლია მას უბრძანოს, აამოქმედოს თავისი

---

[1] პლეხანოვი, ტ. XVII გვ. 202.

ნებასურვილის მიხედვით და მოუვლინოს ავი ან კარგი. ადამიანი უძლურია სულის წინაშე, ისაა მისი ბრძანებელი და სიცოცხლის წინამძღოლი, სული ადამიანის ბედისწერის მატარებელია.

ასეთი მსჯელობის ნიადაგზე იზრდება მისი მონური მსოფლმხედველობა, საკუთარი ძალღონის უარყოფა და გარეშე ძალის წინაშე შიშით ქედის მოხრა.

როდესაც მას კარგ გუნებაზე მყოფი ადამიანი უნახავს, მისგან კარგის მეტი არ მიუღია რა, როცა მასაც ვინმე აამებს, კარგ გუნებაზე დგება, უცინის, ხტის და კარგისათვის კარმით უხდის. ყოველივე ეს ადამიანს გადააქვს ბუნების მოვლენებზე და ასე მსჯელობს: თუ რაიმე საშუალებით მე მდინარის საშიშ სულს მოვიმადლებ, მაშინ ეს მდინარეც კარგს მომაგებს სამაგიეროდ; თუ ქექა-ქუხილის სულს ვაამებ, ისიც ცუდს არას შემამთხვევს მე; თუ მზის სულს კარგ გუნებაზე დავაყენებ, ისიც სამაგიეროს გადამიხდის მე.

რით შეიძლება ამ და ათიათასი ასეთი სულის მომადლიერება? ყოველივე იმით, რითაც შეიძლება ჩემი მომადლიერება,—უპასუხებს იგი.

მსხვერპლი—ძღვენი, შეხვეწნა—ლოცვა, თაყვანისცემა და ვედრება,—აი ჩემი და, მაშასადამე, ამ სულების მოსამადლიერებელი საშუალებანიც.

ასე განაგრძობს მსჯელობას ანალოგიის მიხედვით პირველი ადამიანი.

ასეთი მსჯელობის ნიადაგზე წარმოიშვა მითოლოგია, ე. ი. ზღაპრები, ამბები, თქმულებები. მითი ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს ამბავს.

მითების საშუალებით ჩვენ ვეცნობით პირველყოფილი ადამიანის წარმოდგენას — ბუნების და საზოგადოდ მსოფლიოს შესახებ.

პლეხანოვის აზრით — მითი არის ისეთი მოთხრობა, რომელიც პირველყოფილ ადამიანს უპასუხებს შემდეგ კითხვებზე: რატომ? რისთვის? რანაირად? „მითი არის ადამიანის მხრით მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირის შეგნების პირვანდელი შეგნების გამოსახულება“[1].

მაშასადამე, შეგნების პირველ საფეხურზე ადამიანი ბუნების მოვლენებს სულების ნება-სურვილით ხსნის და თავისი თავიც ამ სულების მონა-მორჩილად მიაჩნია.

ამ ეპოქის ადამიანის შეგნებას ჩვენ გაეცნობით ხალხური შემოქმედების იმ ნიმუშების შესწავლით, რომელსაც ქვევით მოვიყვანთ. ამ ნიმუშებში დავინახავთ, თუ რა თვისებებს აწერს ადამიანი მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, ბატონებს, ჭინკებს, სხვადასხვა ცხოველებს და საგნებს; გავიცნობთ იმ შელოცვებით, რომელთაც იგი ამბობდა ყოველის შემძლე და მასზე ძლიერ სულთა მოსამადლიერებლად და გულის მოსაგებად.

ცხოვრებასთან ჭიდილში ადამიანი იძულებული იყო საწარმოო იარაღები შუდმივ განევითარებია. ადამიანს იარაღების გამომგონებელ ცხოველს უწოდებენ. ეს გარემოება ერთიანად აშორებს ცხოველთა სამეფოს და თანაც გამოყავს იგი ბუნების მონობიდან. საწარმოო იარაღების გამოგო-

---

[1] პლეხანოვი. ტ. XVII, გვ. 168.

ნებით ადამიანის ბუნებაზე ზედგავლენა თანდათან ძლიერდება. მისი ეკონომიური მდგომარეობა უმჯობესდება, მას უკვე არ ეშინია შიმშილით სიკვდილის, იარაღების წყალობით მიწას უკეთ ამუშავებს, ბუნების მოვლენებისაგანაც შედარებით ადვილად იცავს თავს, აქვს გაუმჯობესებული ბინა, ტანისამოსი, ებრძვის მავნე ცხოველებს და სხვა. განვითარების უმდაბლეს საფეხურზე თუ ადამიანი ბუნების მონა-მორჩილი იყო და ძლივს იცავდა თავს მის მოვლენებისაგან, — საწარმოო იარაღების გამოგონება— გაუმჯობესების წყალობით, ქონებრივად წელში გამართული ადამიანი, თავს ესხმის ბუნებას და შეუჩერებლად იბრძვის თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ მომენტს ერთვის საწარმოო იარაღების განვითარებიდან ბუნებრივად გამომდინარე საზოგადოებრივი ურთიერთობა: ვინ ისაკუთრებს გაუმჯობესებული იარაღის საშუალებით მიღებულ შრომის პროდუქტს, როგორ ნაწილდება იგი საზოგადოებაში? საწარმოო იარაღის პატრონი ეწევა მწარმოებლის — მუშახელის ექსპლოატაციას და ადამიანთა შორის იწყება ინტერესთა წინააღმდეგობა, რაც კლასთა ბრძოლად იქცევა. საწარმოო ძალთა განვითარებამ წარმოშვა კლასთა ბრძოლა; ამ ხასიათის ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელი იყო და ხელს უწყობდა ადამიანთა ყოველ მხრივ განვითარებას. კაცობრიობას პროგრესის გზაზე მიაქანებდა საწარმოო იარაღების განვითარებით განსაზღვრული კლასთა ბრძოლა.

ამ ხანგრძლივ ბრძოლაში ადამიანთა ფსიქოლოგიაც თანდათან იცვლება: საწარმოო იარაღებით შეიარაღებული ადამიანი უკვე არ გრძნობს თავისთავს გარემოს მონად; მას უკვე არ ეშინია ბუნების ყოველგვარი მოვლენებისა და წინანდელ პასიობიდან გამოსული აქტიურ არსებად ხდება.

საწარმოო იარაღების განვითარებასთან ერთად იზრდებოდა აგრეთვე მისი გონებრივი მუშაობაც: ყოველდღიურმა პრაქტიკამ მას ბევრი რამ ასწავლა ბუნების მოვლენათა მიზეზების გამორკვევის საქმეში: მის ახლო მყოფი ნივთები და მარტივი მოვლენები ახლა მისთვის ასეთუისე ცნობილია; ის უკვე შეეჩვია მრავალ უხილავ სულს, რომელიც წინად აფრთხობდა. ამ საფეხურის ადამიანი უკვე არ არის ისე უსაზღვრო ანიმისტი, როგორც მისი წინაპრები იყვნენ. მან უკვე თავი დაანება ბავშვურ აზროვნებას და კრიტიკული უნარით არის გაჟღენთილი. მას აქვს გარემოს შესწავლა-შეგნების მეტი უნარი, არ ემორჩილება ბუნების მრავალ მოვლენას და ყოველ ფეხის ნაბიჯზე იმის ცდაშია, რომ თავისი ინტერესების შესაფერად დასმული მიზნები განახორციელოს.

ამ პროცესში ადამიანი ებრძვის ბუნებას, ამარცხებს მომხვდურ მხეცებს და მით სისრულეში მოყავს დასახული მიზანი, მაგ., კარგი საცხოვრებელი ადგილის მოძებნა, ბინის გაუმჯობესება, მხეცების თავსხმისაგან უზრუნველსაყოფ საშუალებათა გამონახვა და სხვა.

„ადამიანთან ერთად,—ამბობს ენგელსი უკვე დასახელებულ თხზულებაში,—ჩვენ შევდივართ ისტორიის ფარგლებში. ცხოველებსაც აქვთ ისტორია, სახელდობრ, თავიანთი წარმოშობის, განვითარების და დღევანდელ მდგო-

მარეობამდე მოსვლის. მაგრამ ეს ისტორია მონდინარეობს მათი ნება-სურვილის გარეშე, მათთვის, ხოლო რამდენად ისინი თვითონ ღებულობენ ამაში მონაწილეობას, ეს ხდება მათის ცნობიერებისა და სურვილის გარეშე. ადამიანები კი რაც უფრო მეტად შორდებიან ცხოველებს ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, მით უფრო შეგნებულად იწყებენ თავიანთი ისტორიის კეთებას, იმდენად უფრო მცირდება ამ ისტორიაზე მოულოდნელ ფაქტორების, კონტროლს დაუმორჩილებელ ძალთა ზეგავლენა და მით უფრო თვალსაჩინო ხდება ისტორიის მანძილზე დასახულ მიზანთა მიღწევების შედეგები".

ბუნებაზე თანდათანი გაბატონების პროცესში ადამიანი ნელნელა პოულობს თავისთავს, დგება საკუთარ ფეხებზე და დამოუკიდებელ არსებად იქცევა. ამ გზაზე ის მარტო არ არის, მის გარშემო იბრძვიან მისივე მსგავსი არსებანი, მათი შეერთებული ბრძოლა საგრძნობ ძალად იქცევა ბუნების წინააღმდეგ. ამასთანავე ადამიანთა კოლექტივი, როგორც გონიერ ერთეულთა კრებული, წარსულ თაობათა ცოდნა-გამოცდილებასაც ითვისებს, სხვა ხალხთაგანაც სესხულობს ამათუიმ დარგის მიღწევებს და ამნაირად აჩქარებულად მიიმართება ევოლუციის გზაზე: ეკონომიურად წელში მომაგრებული ფართოდ შლის სულიერ შემოქმედებას როგორც მეცნიერების, ისე ხელოვნების სფეროში.

ხელოვნების დარგში ამ ეპოქის დროს მისი შემოქმედება გამოსახულია გმირული ბრძოლის სულით გაჟღენთილ ნიმუშებში. მარქსი ამბობს: „ყოველი მითოლოგია სახავს და სძლევს ბუნების ძალას ფანტაზიის გზით და მხოლოდ ფანტაზიაში, რა წამს დაიწყება ნამდვილი ბატონობა ამ ძალებზე, იმ წამსვე გაქრება მითოლოგიაც".

გმირული ხასიათის თხზულებები ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში არის: თქმულებები ამირანზე, როსტომზე, ბეჟანზე, „ეთერიანი", ხალხური „ვეფხვის ტყაოსანი" და მრავალი სხვა. ამ ნიმუშების განხილვა დაგვანახვებს, რომ შიგ მომქმედი პირები აქტიობით და ბრძოლის ჟინით არიან შეპყრობილნი და თავდადებით ებრძვიან ბუნების სხვადასხვა მოვლენას.

V. ადამიანთა ბრძოლა სოციალური ცხოვრების მოსაწყობად და ამ ბრძოლის დამახასიათებელი ხალხური პოეზია

როგორც ცალკეულად აღებული ადამიანი, ისე ადამიანთა კრებული ბუნების ძალთა დასამორჩილებლად მიმართულ ბრძოლასთან ერთად სოციალური ცხოვრების მოსაგვარებელ ბრძოლასაც აწარმოებდა. ეს ორი ხასიათის ბრძოლა განუშორებლად იყო და დღესაც არის ერთი მეორეში გადახლართული: ადამიანი ბუნების ძალთა დამორჩილება-გამოყენებასთან ერთად თავისავე მსგავს არსებებთან დამოკიდებულების გაუმჯობესებისათვისაც გამუდმებით იბრძოდა.

სოციალური ცხოვრების ისტორიამ იცის ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების შემდეგი ფორმები: პირველყოფილი კომუნიზმი, მონობა, ფეოდალური წყობილება და ბურჟუაზიული წყობილება. ხოლო დღეს საბჭოთა კავშირის სივრცეზე ფეხი მოიდგა სოციალისტური ცხოვრების აღმშენებლობამ.

თუ გვსურს გავიცნოთ ამათუიმ საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმა, უპირველესყოვლისა უნდა გავიცნოთ როგორია ამ ცხოვრების პირობებში შრომის ხასიათი და რა სახე აქვს შრომის ნაყოფის განაწილებას. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია სისწორით გავიგოთ, როგორია ამ საზოგადოებაში უმეტესობის ცხოვრება: კმაყოფილია იგი თავისი მდგომარეობით თუ არა, ვინ იჩაგრება, რომელი ფენა გამოდის მჩაგვრელის როლში და სხვა.

როგორც ვთქვით, ბუნების მოვლენებთან ბრძოლა, რაც საწარმოო იარაღების საშუალებით სწარმოებს და, რაც ამ იარაღების გაუმჯობესებაგარდაქმნას იწვევს, განუშორებელ მომენტად ერთვის ადამიანთა შორის წარმოებულ ბრძოლას და, საზოგადოდ, მათ ურთიერთობას. ვიტყვით მეტსაც, ადამიანთა ურთიერთობის ფორმა საწარმოო ძალების განვითარების ხარისხზეა დამოკიდებული, ე. ი. იმის მიხედვით, თუ რა დონეზე დგას საწარმოო ძალთა განვითარება, განისაზღვრება წოდებითა თუ კლასთა შორის დამოკიდებულებაც.

მარქსი ამბობს: „საზოგადოებრივი წარმოების დროს ადამიანები ამყარებენ განსაზღვრულ აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას—წარმოების ურთიერთობას, რომელიც შეეფერება მატერიალურ საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს. მაგ., იმ დროს, როდესაც ადამიანებისათვის ნადირობა შეადგენდა ერთ-ერთ საარსებო წყაროთაგანს, ისინი იძულებული იყვნენ ნადირობის დროს შეგროვილიყვნენ და კოლექტიური ძალით მოეკლათ ნადირი. ასეთი გზით მოპოებულ ხორცს მაშინდელი ადამიანები თანასწორად იყოფდენ. ესკიმოსები საერთო ძალით აწარმოებენ ზღვის ლომებზე ნადირობას და ნანადირევსაც თანასწორად იყოფენ. მონაპოვარის თანასწორად განაწილება ახასიათებს პირველყოფილ კომუნიზმს“.

ამნაირად, როგორც ბუნების ძალთა წინააღმდეგ, ისე ადამიანთა შორის არსებული ბრძოლა, ერთდაიმავე მომენტში ხდება და, მაშასადამე, ამ ბრძოლის ნიადაგზე შექმნილი ხალხური შემოქმედებაც ორივე ამ მომენტს შეიცავს.

ადამიანთა ურთიერთობის ამსახველ ნიმუშებში ჩვენ განვიხილავთ შემდეგი ხასიათის ნიმუშებს: 1) საოჯახო ურთიერთობის გამომხატველ ლექსებს, ზღაპრებს, თქმულებებს და სხვა, 2) საალხინო ლექსებს, 3) სამგლოვიარო ლექსებს, 4) სატრფიალო ლექსებს, 5) შრომის პროცესების ამსახველ ლექსებს, 6) წოდებათა და კლასთა შორის არსებული ბრძოლის დამასურათებელ ნიმუშებს და 7) საისტორიო ხასიათის ლექსებსა და თქმულებებს. ამ უკანასკნელი ხასიათის შემოქმედებაში განსაკუთრებულის სიცხადით გამოჩანს კლასთა ბრძოლის ასახვა რომელიმე ისტორიული ცხოვრების ნაკვეთზე, ამ ბრძოლის მიზეზები და მიზნები. ყველა ის-

ტორიული პიროვნებანი, რომლის საქებრად ხალხს ლექსი შეუქმნია, თავის დროზე საკუთარი წრის და სოციალური ფენის ინტერესების დასაცველად მიმართულ ბრძოლას მეთაურობდენ. მათი შესაქები ლექსიც ამ წრეში შექმნილია და მერე ფართო მასებს მოდებია.

VI. რა მიზნებს ემსახურება ხალხური ზეპირ სიტყვიერების შესწავლა?

ხალხური ზეპირსიტყვიერების შესწავლის, როგორც თითოეულ სასწავლო საგანს, აქვს როგორც თავისი პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მიზნები. მის პირდაპირ მიზანს შეადგენს ხალხური შემოქმედების ნიმუშების გაცნობა-შესწავლა შინაარსისა და ფორმის მხრით. რას შეიცავს ესათუის ნიმუში შინაარსის მხრით, რა მიზნით შეთხზულა, რაგვარ ფორმაშია გამოხატული, ხალხის განკითარების რომელ საფეხურზეა წარმოშობილი, რომელი სოციალური წრის, წოდების თუ კლასის მისწრაფებებს ემსახურება იგი? ამ საკითხებზე პასუხის გაცემით მიღწეული იქნება ამ საგნის სწავლების პირდაპირი მიზნები.

ამ მუშაობის პროცესში ეს საგანი ემსახურება აგრეთვე შემდეგ მიზნებს: ა) მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობის თვალსაზრისით სალიტერატურო მოვლენების გაგება- განმარტებას, ბ) ანტირელიგიურ პროპაგანდას, გ) ენის შესწავლას და დ) ხელოვნების წარმოშობის მომენტების ნათელყოფას.

თითოეული ნაწარმოები უშუალოდ უკავშირდება განსაზღვრულ გარემოს და წარმოების ფორმებს, რომელიც დამოკიდებულია საწარმოო იარაღების განვითარების დონეზე.

მარქსისტული მეთოდოლოგიისათვის ასეთი მიდგომა გამოსაყალ მომენტს შეადგენს, შეგნების რაობის და ცვალებადობის მიზეზთა შესასწავლად მასალები აქ უნდა ვეძიოთ. მაგრამ დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდოლოგიას მარტო ამ მომენტით არ შეუძლია დაკმაყოფილდეს. მარქსი აბბობს: „ხელოვნების სფეროში ცნობილია, რომ მისი აყვავების პერიოდები სრულიადაც არ არიან შეფარდებულნი საზოგადოების საერთო განვითარებასთან, ე. ი. ისინი არ არიან შეთანხმებულნი არც მისი ეკონომიურ საფუძველთან, რომელიც ვითომ ჩონჩხი იყოს მისი ორგანიზაციისა“.

ენგელსის აზრით „ისტორიის მატერიალისტური გაგების თანახმად ისტორიულ პროცესში ს ა ბ ო ლ ო ო ა ნ გ ა რ ი შ ი თ განმსაზღვრელ მომენტს წარმოადგენს წ ა რ მ ო ე ბ ა და განმეორებული წარმოება ნამდვილი ცხოვრებისა. ამაზე მეტი არა გვითქვამს რა არც მე და არც მარქსს. თუ ვინმე ამ დებულებას დაამახინჯებს, ვითომ ეკონომიური მომენტი ერთადერთი განმსაზღვრელი მომენტი იყოს, მაშინ ეს დებულება უშინაარსო, უაზრო, განყენებულ ფრაზად იქცევა. ეკონომიური მდგომარეობა — ეს საფუძველია; ხოლო ისტორიული ბრძოლის მსვლელობაზე გავლენას ახდენს და ბევრნაირად საზღვრავს უმთავრესად მის ფორმას—ზედნაშენის სხვადასხვა

მომენტები: კლასობრივი ბრძოლის პოლიტიკური ფორმა და მისი შედეგები — კონსტიტუცია, გამარჯვებული კლასის მიერ დამყარებული და სხვ. უფლებრივი ფორმა, ყველა ამ მოძრაობისა და ბრძოლის ანარეკლი მონაწილეთა გონებაში პოლიტიკური, იურიდიული, ფილოსოფიური თეორიები, სარწმუნოებრივი შეხედულებანი და განვითარებული დოგმატიური სისტემები"[1].

ამ ციტატებიდან ნათელია, რომ მარქსისტული ფილოსოფიის ძირითადი დებულების სისწორით შესაგნებად — მდგომარეობა განსაზღვრავს შეგნებას, სრულებითაც არ კმარა მარტო წარმოებითი მომენტის გამორკვევა, საჭიროა აგრეთვე მოცემული საზოგადოების იდეოლოგიურ სფეროში გარკვევაც. იდეოლოგია, რომელიც ლენინის აზრით ყოველთვის კლასობრივია, არა მარტო მოცემული მომენტის ანარეკლია, არამედ წარსულის ტრადიციებითაც განისაზღვრება და სხვა ქვეყნებიდან შემოსულ აზრთა გავლენასაც განიცდის. წარსულის ტრადიციის შესახებ მარქსი ამბობს: „ადამიანები თვით ქმნიან თავიანთ ისტორიას, მაგრამ ქმნიან მას არა თვითნებურად, არა თავისუფლად არჩეულ, არამედ ნაპოვნ ან უშუალოდ მოცემულ მემკვიდრეობით მიღებულ ფორმებში. ყველა გადასული თაობის ტრადიცია ალპიის მთების სიმძიმით აწევს ცოცხალთა ტვინსო".

გავლენების შესახებ პლეხანოვი ამბობს, რომ მისი გარეშე არსებობა არცერთ ხალხს არ შეუძლია.

ყოველივე ზემონათქვამიდან აშკარაა, რომ დიალექტიური მატერიალიზმის პრინციპებზე დამყარებული ლიტერატურის მცოდნეობა ადამიანთა შეგნების გამოსარკვევად რთულ მუშაობას გულისხმობს და მარტო წარმოებითი მომენტის სახეში მიღება ამ მოძღვრების სრული დამახინჯება იქნებოდა.

რა გზით შეგვიძლია ავიშოროთ თავიდან ეს ცალმხრიობა და დამახინჯება ხალხური სიტყვიერების სწავლების დროს?

სანამ ამ კითხვას გავცემდეთ პასუხს, ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთ დამახასიათებელ მომენტზე უნდა შეეჩერდეთ.

როგორც უკვე გვქონდა ნათქვამი, ხალხური სიტყვიერება უმთავრესად მაშინ არის ფრთაგაშლილი, როდესაც ხალხში წერა-კითხვა ჯერ კიდევ ან არ წარმოშობილა, ან და ნაკლებად არის იგი ფართო მასებში გავრცელებული.

უნდა ვიცოდეთ, რომ წერა-კითხვის ცოდნა მრავალ საუკუნეთა მანძილზე მარტო გაბატონებულთა მონოპოლიას შეადგენდა, საყოველთაო სახალხო სწავლება—ეს უახლესი ისტორიის შვილია. მაშასადამე, ხალხის ფართო მასების დიდი უმეტესობა, ზეპირი შემოქმედებით იკლავდა თავის მისწრაფებას ხელოვნებისადმი.

ამ ეპოქებში, შედარებით რომ ვილაპარაკოთ, ადამიანთა ცხოვრება ერთობ მარტივად მომდინარეობდა: პირველყოფილი კომუნიზმის დროს,

---

[1] „ისტ. მატერიალიზმი", მ. გოგობერიძე, გვ. 42-3.

მაგ., საზოგადოების კლასებად დაყოფა არ არსებობდა; შემდეგ კი ეს მოვლენა ნელნელა იკიდებს ფეხს და კაპიტალისტურ საზოგადოებაში უმაღლეს საფეხურს აღწევს. „კომუნისტურ მანიფესტ-“ში ეკითხულობთ: „ყველგან, სადაც კი ბურჟუაზიამ გაბატონებას მიაღწია, მან დაარღვია ყველა ფეოდალური, პატრიარქალური, იდილიური ურთიერთობანი, მან უმოწყალოდ დაწყვიტა ფეოდალური ძაფები, რომლებითაც ადამიანი მიბმული იყო მის ბუნებრივ მბრძანებლებზე და არ დასტოვა არაფერი კავშირი ადამიანსა და ადამიანს შორის გარდა გაშიშვლებული ინტერესისა, გარდა უსულგულო, „ნაღდად გასწორებისა“. ეგოისტური ანგარიშის გაყინულ წყალში მან ჩაახრჩო საღმრთო ერუანტელი ღვთისმოსავთა აღტკინებისა, რაინდული აღფრთოვანებისა, მეშჩანური გრძნობებისა. მან პირადი ღირსება საცვლელ ღირებულებად გადააქცია და უთვალავ დამტკიცებულ და კეთილ-შენაძენ თავისუფლებათა ალაგს დაამყარა ყოველივე სინდის მოკლებული მხოლოდ ერთი თავისუფლება ვაჭრობისა. ერთი სიტყვით, რელიგიურ და პოლიტიკურ ილუზიებით მიჩქმალულ გაყვლეფის ალაგას მან დაამყარა აშკარა, ურიცხვი პირდაპირი და ტლანქი გაყვლეფა. ბურჟუაზიამ ახადა წმინდანობის გვირგვინი ყველა იმ მოქმედებას, რომელსაც აქამდე პატივსა სცემდენ და მოწიწების გრძნობით უყურებდენ. ექიმი, იურისტი, მღვდელი, პოეტი, მეცნიერი მან თავის ჯამაგირიან, დაქირავებულ მუშად გადააქცია“.

ამნაირად, საზოგადოების კლასობრივად მკაცრად ჩამოყალიბება და კლასობრივი ბრძოლის უაღრესად გაშიშვლება - გამძაფრება ბურჟუაზიის მეფობის დროის მოვლენაა. „თავისი კლასობრივი ბატონობის ხანაში,— ამბობენ „კომუნისტური მანიფესტის“[1] ავტორები, — რომელიც ერთი საუკუნეც არ არის რაც გრძელდება, ბურჟუაზიამ შექმნა უფრო მეტი მასობრივი და კოლოსალური საწარმოო ძალები, ვიდრე ყველა ძველმა თაობამ ერთად“.

ეს ადგილები იმისთვის ამოვიწერთ, რომ გვეჩვენებინა იმ ეპოქათა სიმარტივე, როდესაც უმეტეს შემთხვევებში ხალხური შემოქმედების ცნობილი და საუკეთესო ნიმუშები იქმნებოდა. ეს გარემოება კი აი რისთვის არის ჩვენთვის საჭირო.

პლეხანოვის აზრით, ბიუხერი, თავის საქვეყნოდ ცნობილ თხზულებაში, ხალხური პოეზიის წარმოშობას ველური ადამიანის მუშაობის ხასიათით ხსნის. ეს აზრი პლეხანოვს სრულ ჭეშმარიტებად მიაჩნია. „რისი თქმა შეიძლება მისი შემდეგი განვითარების შესახებ? როგორ არის პოეზიისა და საზოგადოდ ხელოვნების საქმე საზოგადოებრივი განვითარების უფრო მაღალ საფეხურებზე? შეიძლება თუ არა და რომელ საფეხურებზე აღმოჩენილ იქნა მიზეზობრივი კავშირი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ს ა და შ ე გ ნ ე ბ ა ს შ ო რ ი ს, ტ ე ქ ნ ი კ ა ს ა და ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ე კ ო ნ ო მ ი კ ა ს

[1] მარქსისა და ენგლესის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ გამოქვეყნდა 1848 წელს.

ერთი მხრით და მის ხელოვნებას შორის მეორე მხრით?" ასეთ კითხვებს აყენებს პლეხანოვი და მრავალი ისტორიული მაგალითის შემდეგ დასკვნის: „გაბატონებული კლასების წიაღში წარმოშობილ ხელოვნებას არა აქვს უშუალო კავშირი ამ კლასების საქმიანობასთან. მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში თითქოს ყოფისა და შეგნების დამოკიდებულება სუსტდებოდეს. „არა, სრულებითაც ამას არ ნიშნავს, იმიტომ რომ თვითონ საზოგადოების კლასებად დაყოფა დამოკიდებულია მის ეკონომიურად განვითარებაზე",—ამბობს პლეხანოვი, რომლის აზრით ამ შემთხვევაში საბოლოო ანგარიშში შეგნების განმსაზღვრელი მაინც ეკონომიური მომენტია; უკლასო საზოგადოებაში ამ მომენტის გავლენა უშუალოა, კლასებად დაყოფილში კი სხვა მომენტების მეშვეობით ხდება [1].

ხალხური სიტყვიერების ნაწარმოებნი ნაწილობრივად შექმნილია კლასებად დაუყოფელ საზოგადოებაში, ნაწილობრივად კი იმ ხანაში, როდესაც კლასობრივი ჩამოყალიბება არ იყო ისე მკვეთრი, როგორც ეს მოახდინა ბურჟუაზიულმა ურთიერთობამ. მესამე ნაწილი კი გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლის პირობებში ითხზება.

ასეთ პირობებში, თუ პლეხანოვის აზრსაც მივიღებთ მხედველობაში, ყოფისა და შეგნების მიზეზობრივად უშუალოდ დაკავშირება, მრავალ შემთხვევაში სწორი იქნება. მაგ., ხელოვნების წარმოშობის მომენტების გასათვალისწინებლად, მითოლოგიის და გმირული ხანის შესასწავლად, ე. ი. პირველყოფილი კომუნიზმის, მონურ საგვარეულო და რამდენიმეთ ფეოდალურ ეპოქაშიც. შემდეგ კი, როცა უფრო გართულებული ხანის ნიმუშებთან გვექნება საქმე, ეკონომიური მომენტის მეშვეობითი გავლენის ძიებაც უნდა მოვიმარჯვოთ.

ქვეყნის ერთ რომელიმე კუთხეში, წარმოებისა და საყოფაცხოვრებო პირობებში წარმოშობილი ლექსი თუ ზღაპარი სხვა ადგილებში და სხვა ყოფაში მცხოვრებთა შორისაც არის გავრცელებული. ერთიდაიგივე ზღაპარი, თუ თქმულება სულ სხვადასხვა ხალხში არის ფეხმოკიდებული. ხალხის ერთ ფენაში შექმნილი ნიმუში მეორე ფენაშიც არის გავრცელებული, გადაკეთებული და სხვ. ყველა ეს მომენტი გამოყენებულ უნდა იქნეს იმ დებულების გასაშუქებლად, რომ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში ეკონომიკა ყოველთვის უშუალო გავლენას არ ახდენს ხელოვნებაზე. ან მუშაობის სათანადოდ გაშლით იწარმოებს მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიის გაღრმავება და ყოველმხრივი შესწავლა.

ერთ გარემოებაზე კიდევ უნდა შევჩერდე: რამდენად მართებული იქნებოდა ხალხური სიტყვიერების განვითარების საფეხური ზუსტად და უშუალოდ დაგვეკავშირებინა საზოგადოების ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარების პერიოდებთან? ზოგადად აღებული ეს დებულება, რასაკვირველია სწორია, ამ აზრს და მტკიცებას ემსახურება მთელი ეს წიგნი. მაგრამ

[1] პლეხ. ტ. XVII, გვ. 95—6,7.

იდეოლოგიური სფერო იმდენად რთული, მრავალფეროვანი და ტრადიციების მორჩილია, — მარქსი ამბობს: „ყველა გარდასული თაობის ტრადიცია ალპიის მთების სიმძიმით აწევს ცოცხალთა ტვინსო", — ერთის სიტყვით საზოგადოებრივი შეგნების სათანადოდ გარკვევის საქმე იმდენი განმსაზღვრელი მომენტის გათვალისწინებას მოითხოვს, რომ ეკონომიურ-საზოგადოებრივ ფორმაციებთან მისი მექანიკურად დაკავშირება უდიდეს შეცდომაა და სქემატიურობაში გადაგვაგდებს. მარქსისტული პრინციპები ამ გზით სრულ გაუულგარებამდე იქნება მიყვანილი. ამიტომაც, ამ მომენტს ჩვენ დიდის სიფრთხილით ვუდგებით და სასკოლო მუშაობაც ამ გზით უნდა მიმართებოდეს.

ხალხური სიტყვიერება ანტირელიგიური მუშაობისათვისაც დიდ მასალას იძლევა. სარწმუნოების ძირითადი ფესვები ანტიმისტურ მსოფლმხედველობაშია ჩამარხული. ეს მსოფლმხედველობა თანდათანი განვითარების და გარდაქმნის გზით თეოლოგიურ მსოფლმხედველობად იქცევა. თეოს — ბერძნულად ღმერთია, თეოლოგია ღვთისმეტყველება.

მარქსისტული მოძღვრების მიხედვით ყოველი მოვლენა სწორედ შეცნობის მიზნით მისი წარმოშობის და განვითარების მხრივ უნდა იქნეს შესწავლილი. ასე უნდა მოვიქცეთ ანტირელიგიური მუშაობის წარმოების დროსაც: ეს მუშაობა მხოლოდ მაშინ იქნება ღრმა და ნაყოფიერი, როდესაც რელიგიის ფესვებს შევისწავლით. ამის საშუალებას კი ხალხური სიტყვიერება ფართოდ იძლევა. მითოლოგიური ხანის ღმერთები და მათ წინაშე წარმოებული სხვადასხვა სახის რიტუალები სხვადასხვა სახით დღესაც ცოცხალია რელიგიაში. მითოლოგია თითოეული რელიგიის ძირითადი დასაყრდენია. ყოველივე ამის სათანადო ახსნა-განმარტება აშკარად დაარწმუნებს მოწაფეს, რომ სარწმუნოებრივი გრძნობა უაღრესად კონსერვატულია და ხელს უწყობს ყოველგვარ ჩამორჩენილობას, უვიცობას და სიბნელეს.

ხალხური პოეზია დიდად უწყობს ხელს ენის შესწავლასაც. ხალხური მეტყველება უაღრესად მდიდარია ფორმებით, სიტყვებით, მარტივია აზრის გამოთქმისა და წინადადების აგების საქმეში და თანაც დაუშრეტელი წყაროა პოეტური შედარებების და განპიროვნების მხრით.

მ ი თ ო ლ ო გ ი ა

მზე, მთვარე და ვარსკვლავები

1. მზე დედაა ჩემი,
მთვარე—მამა ჩემი:
წვრილ-წვრილი ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.

2. მზე და მთვარე

ნათელმა მთვარემა ბრძანა:
ბევრით მე ვჯობივარ მზესა.
დაჯდა, დასწერა წიგნები,
ზენა ქარი მიართმევსა.
მზეს რომ კაცი მიუვიდა,
მზე ძალიან გაჯავრდესა:
მე და ვარ და ის ძმა არის,
რათ ვძულდებით ერთმანეთსა?
ავი ამინდი რომ დადგეს,
ის ხომ ვერ გააშრობს გზებსა,
მცივანა კაცს ვერ გაათბობს,
თუ არ დაანთებდა ცეცხლსა.
თუ ეს სიტყვა ტყუილია,
ჰკითხევით ღამის მეხრესა.

3. მზე და სიკვდილ-სიცოცხლე

მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა:
სიცივეს კაცი მოუკლავს,
საწყალი აგერ გორავსა.

4. მზის საგალობელი

(ახალ შობილის აკვანზე)

მზე შინა და მზე გარეთა, მზევ, შინ შემოდიო!
უყივლია მამალსაო, მზევ, შინ შემოდიო!
ძილო, რასა მეძინები? მზევ, შინ შემოდიო!

გათენდი, თუ გათენდები! მზეე, შინ შემოდიო!
ტანს პერანგი არ ბაცვია, მზეე, შინ შემოდიო!
მზე შინა და მზეე გარეთა, მზეე, შინ შემოდიო!

5. მზეო, ამოდი, ამოდი

ცხვარს დაგიკლავ ბაკესა,
შეგიწვამ, შეგიმარილებ,
წინ დაგიდებ ტაბაკითა.

სავარჯიშო პირველი [1].

1. ვის ადარებს ამ ნიმუშებში ადამიანი მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს და რატომ?
2. ვისი თვისებებით არიან აღჭურვილი ეს მნათობები?
3. ვინ უფრო ძლიერია — ადამიანი, თუ მზე, ან მთვარე? ვინ ვისგან არის დაჩოკიდებული?
4. როგორი მსოფლმხედველობის ნიადაგზეა აღმოცენებული ამ ლექსებში გატარებული შეხედულებანი?

6. ბურო, იარე, იარე,
ცხრა მთა იქით გადაიარე!
შენი ცოლი ორსულია, ორგულია,
სამი შვილი ყოლებია:
ერთი ბრუცი, ერთი კოქლი,
ერთი ყველას ჯობნებია;
მალე მიხვალ — მოგირჩება,
გვიან მიხვალ — მოგიკვდება.

ბატონების საგალობელი

(ავადმყოფის საწოლთან).

იავ ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!
პატონებისა დედასა, იავ-ნანინაო!
უდგია ოქროს აკვანი, ვარდო ნანინაო!
შიგ უწევ, ბატონის შვილი, იავ ნანინაო!
უსხია ოქროს ქოჩორი, ვარდო-ნანინაო!
ხანდახან გადაარწევენ, იავ-ნანინაო!
ტკბილად ეტყვიან ნანასა, ვარდო ნანინაო!
იავ-ნანა, ბატონებო, იავ-ნანინაო!

დატკბით, დატკბით, ბატონებო, იავ-ნანინაო!
შაქრად, შაქრად, დასიამდით, იავ-ნანინაო!
— თეთრი ზღვიდან გიახლებით, იავ-ნანინაო!

[1] სავარჯიშოს ცალკე მუხლები მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს რეფერატისა და მოხსენებისათვის.

შვიდნი და-ძმანი ბატონნი, ვარდო ნანინაო!
შვიდ სოფელს შეევფინენით, იავ ნანინაო!
ასე დავდივართ სოფელში, იავ-ნანინაო!
არც კაცი დაგვიწვენია, იავ-ნანინაო!
არც რწყილი აგვიფრენია, იავ-ნანინაო!
იავ-ნანა, ბატონებო, იავ-ნანინაო!

8. საწერლის ლოცვა

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ.

საწერელი მიდიოდა ჟამსა შუალამისასა. გზაში შამოეყარა მთავარანგელოსი მიქელ-გაბრიელი.

— სად მიბრძანდები, საწერელო?

— სად მივალ — და

ხორცის საკმელად.
სისხლის სასმელად,
ძვალის სატკვერად,
ტვინის სალოკად.

— არ გაგიშვებთ, მამისა, ძისა და სულისა წმიდისა სახელითა! გეითხარ, რა არის შენი წამალი

— რა არის-და

ღორის ქონი,
ძეწნისა ცილი,
ქვაბისა ჟანგი,
ნიგოზი და პრასა,
კვერცხისა ცილი...

. . .

ვაი, რა მოვიგონე ჩემი თავის ჭირი,

9. თვალის ლოცვა

სახელი, სახელითა ღვთისათა,
მამისა ძისათა
სულისა წმიდისათა.
ალისასა, მალისასა
შეგილოცავ თვალისასა,
პირველ ჩემი თვალისასა,
შინაურისასა, გარეულისასა,
მოხუცებულისასა,
ყმაწვილისასა,
თვალჩიჩხისასა,
თვალშავისასა,

კოპმაღლისასა,
ჯოპდაბლისასა,
ბიპისასა, გოგოსასა.
შენთა თვალთა მთვალავთა,
გულით არამთა
თვალთა ნაცარი,
გულთა ლახვარი!
ასი კოდი მახათი გულთა ასვია,
ასი კოდი ნაცარი თვალთა აყრია!
ჯურღმულსა ქვეშე ვნახე შუა ასპიტი,
ერთი თვალი ედგა წყლისა, ერთი ცეცხლისა,
გასკდა წყლისა, დაშტა ცეცხლისა,
ისე დაშტება შენი ყოველი თვალი მთვალავი,
გულით არამი,
წაიქცა ორი ძირი მწარე ბალი,
წავარდა ორივე სახედავი ხარბი თვალი,
გაიარა ეზო,
მოიტეხა თეძო,
გაიარა საბზელი,
დაეფსო თვალი სამზერი,
წავიდა წისქვილში,
ქვა მოხვდა წინ ცხვირში!
დასწერე, ღმერთო, შენ ჯვარი!
არგე ლოცვა ჩემი!

კალანდა[1] (ძველად) გურიაში

(მ. კეულენჯერიძის ტექსტი)

კალანდას, ან კალანდობას გურიაში ახალწელს ეძახიან. მას ახალი ტანისამოსით მიეგებებიან. სასუქების დაკვლაც აუცილებელია: ღორის, ინდაურის, მამლის, ყვერულის, იხვის, ბატის. როცა მამაკაცები ღორს ჭკლავენ, იმ დროს დედაკაცს პირში მარილი აქვს და ხელში მუგუზალი. როცა ღორი პირს დააბჩენს, დედაკაცი მუგუზალს ჭკრავს პირში, გემრიელი ხორცი ექნებაო! ღორზე მამალს წააკლავენ. მამალს „ზვარაკს“ (მსხვერპლს) ეძახიან. ახალწლის საღამოს ეძახიან „ცხემლის (რცხილის) ჭრა“ საღამოს. დილით ყველა ცდილობს სხვას ადგომა მოასწროს, თუ მოასწრო ზაფხულშიაც ყანის დამუშავებას მოასწრებს. ადგებიან თუ არა, გობზე დააწყობენ: ქათამს, ღორის ხორცს, ოქროს, ვერცხლს, კოთხოთი ღომს და დედო-პურს. აიღებს გობს მამაკაცი და გადის კარში. მას „ჩიჩილაკი“ მიუძღვის. ჩიჩილაკზე კიდია: ფორთოხალი, ვაშლი, ორი პორი, კორკინტელი[2],

[1] ლათინური calendae — ახალ წლის დღესასწაული.

[2] შავმარცვლიანი მცენარეა.

თხილის ბიბილო, აბრეშუმი ღა ქარვა. მიდიან მარანზე. მოხდიან უფროს ჭურს (ქვევრს) და იღებენ ღვინოს. ღვინის ამოღებაზე მამაკაცი ლოცულობს და შემოუვლის ჭურს სამჯერ. სხვები უკან მიჰყვებიან. ამის შემდეგ სახლში წამოვლენ; წინ „ჩიჩილაკი" მოუძღვით, მას გობი მისდევს და ბოლოს მოდის ღვინო, მოადგება კარს მამაკაცი და იტყვის:

— კარი გამიღე!

— რა მოგაქვს — კითხავენ შიგნიდან.

— წმიდა ბასილე მობრძანდება და თან მოაქვს თეთრი საქონელი, სიცოცხლე, ჯანმრთელობა.

— კარი გამიღე! — დაიძახებს კიდევ.

— რა მოგაქვს?

— ოქრო, ვეოცხლი, მარგალიტი.

— რა მოგაქვსთ?—კითხავენ მესამეჯერ.

— ნაშოვარი, მონაგები.

გაუღებენ კარს და მოულოცავენ ერთმანეთს. დაიკავებენ სანთელს ხელში და ლოცულობენ. მერმე გამოდიან კარში და სამჯერ ისვრიან თოფს. წინადღით ცხემლაა მოკრეული და ისე უნდა შემოიტანონ სამ-სამი ღერი; დააყრიან ცეცხლზე და უცქერიან, ვისი შემოტანილი უმალ გაიპობა ბუაზე. ამას აიღებენ და ტკეჩს ახდიან. ამ ტკეჩს შეინახავენ, მოღუნავენ და პირველ გამოჩეკილ წიწილს გააძვრენენ შიგ. ამას მოჰკვება ჭამა და სმა. აგრეთვე დილით მიდიან ღვინით და ჭიქით ხელში ბროწეულთან და ვაზთან. იქ ჯერ ბროწეულს დაულევენ (შესთავაზებენ) ღვინოს, შემდეგ ვაზს. დათვრებიან, ამას მოჰყვება წირვაზე წასვლა, თოფის სროლა და მეზობლებში სიარული მისალოცავად. ყველგან სუფრაა გაწყობილი. საღამოს განოიტანენ ღორის თავს, სამკუთხიან პურს და დასდებენ მაგიდაზე. ახალგაზრდები სუფრას წაიღებენ მარანში, საწნახელთან. აქ ერთი დაიკავებს ნაჯახს ხელში, ყუით სცემს საწნახელს და ამბობს:

სხვის მამულში ფურცელი,
ჩვენს მამულში ყურძენი;
ჩვენს ქალებს კვირისთავი,
სხვის ქალებს ვირისთავი.

შემდეგ ნაჯახიანი დაიყვირებს:

— აგუნა!

— ვიო, ვიო, - მიაძახებენ სხვები.

— ბახვი, ასკანა, იაკუეთი,
მასვი, მაჭამე, მისთვის მოვედი!

— ვიო! ვიო!

ამას მოყვება ალი-ფაშა და 1 იანვარიც გათავდება. იანვრის ორს არის ქათმების **ფერხვა**. დილას ადგება დედა-ქალი და გასტეხს ოცდაათ კაკალს. ეს იმ რწმენას ნიშნავს, რომ ყოველ კვერცხიდან წიწილი გამოვა. მერე აბნევს სახლში ღომისა და პურის მარცვლებს და ამბობს:

– ჯი, ჯი, ჯი მამალაო!
გამოეკე დედალაო!
ეს დედალი, ეს მამალი
ესი ვისი მოჩხოროზი

} ს ა მ ჯ ე რ.

ამ დღეს სახლს არ გამოხვეტენ. მფერხვავი დედაკაცი საჯდომს ვერ გამოიცვლის, თუ არა კრუხიც ერთ ბუღეზე არ გაჩერდება! ფერხვის შემდეგ უცდიან, ვინ მოვა პირველად მომლოცავი, მეფეხე, თანაც დაიმახსოვრებენ, ვინ იყო კაი ფეხის და ვინ არა. ამას ეძახიან **ბარძნას**.

დამწვარის ლოცვა

ელი ელავდა,
ქვიშა ღელავდა,
ზღვა ფოფინობდა,
წითელ ხუცესსა ხარი გაება,
ზღვას ხნავდა, ქვიშას სთესავდა.
ვინ გაიგონა ზღვა ხნული,
ქვიშა თესილი,
სამ დღეს იქით
დამწვარი გაძნელებული!

სავარჯიშო მეორე

1. რა მოვლენაა თითოეულ ამ ნიმუშში ადამიანის თვისებებით დაჯილდოვებული?
2. განიხილეთ ეს ნიმუშები პირველი სავარჯიშოს მეორე, მესამე და მეოთხე კითხვების მიხედვით.
3. ჩაიწერეთ თქვენს სოფელში გავრცელებული ცრუმორწმუნეობანი: ნათვალევის შეშინებულის და შაკიკის და უკმეხის შელოცვანი; როგორ ლოცულობენ სხვადასხვა სალოცავზე: სამლვთოს კუთხევის დროს, თემობაზე ღამისთევის დროს, მოზვრის და თხის სალოცავზე და სხვა. ბუნების რომელი ძალის წინაშე ლოცულობენ თითოეულ ამ შელოცვაში და რა მიზნით?
4. გამოკითხეთ მორწმუნეებს ქრისტიანული ლოცვები. ვის მიმართ წარმოითქმის თითოეული ლოცვა („მამა ღმერთის", „ღვთის მშობლის", „ძილის ანგელოსის") და რა მიზნით?
5. აღმოაჩინეთ — რა არის საერთო მოყვანილ ნიმუშებსა და ქრისტიანულ ლოცვებ შორის?
6. წაიკითხეთ ანტილეგიური ხასიათის მოხსენება ქრისტიანული ლოცვების შესახებ.

12. მოდი ვნახოთ ვენახი

მოდი, ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი?
თხამ შეჭამა ვენახი.
თხა, თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ თხა, რამ შეჭამა თხა?
მგელმა ჭამა თხა.
მგელი, მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ მგელი, რამ შეჭამა მგელი?
დათვმა ჭამა მგელი.
დათვი, დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ დათვი, რამ შეჭამა დათვი?
თოფმა ჭამა დათვი.
თოფი, თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ
ვენანახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ თოფი, რამ შეჭამა თოფი.
ჟანგმა ჭამა თოფი.
ჟანგი, ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი,
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ ჟანგი, რამ შეჭამა ჟანგი?
მიწამ ჭამა ჟანგი.
მიწა, მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი,
დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ მიწა, რამ შეჭამა მიწა?
თაგვმა ჭამა მიწა.
თაგვი, თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,
თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ თაგვი, რამ შეჭამა თაგვი?
კატამ ჭამა თაგვი?
კატა, კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა
თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ კატა, რამ შეჭამა კატა?
მელამ ჭამა კატა.
მელა, მელა, მელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ
ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი,
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი ვნახოთ მელა, რამ შეჭამა მელა?
ძაღლმა ჭამა მელა.

ძაღლი, ძაღლი, ძაღლმა მელა, მელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახოთ ძაღლი, რამ შეჭამა ძაღლი?

ვეფხვმა ჭამა ძაღლი.

ვეფხვი, ვეფხვი, ვეფხვმა ძაღლი, ძაღლმა მელა, მელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახოთ ვეფხვი, რამ შეჭამა ვეფხვი?

ვიგრმა[1] ჭამა ვეფხვი.

ვიგრი, ვიგრი, ვიგრმა ვეფხვი, ვეფხვმა ძაღლი, ძაღლმა მელა, მელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახოთ ვიგრი, რამ შეჭამა ვიგრი?

ლომმა ჭამა ვიგრი.

ლომი, ლომი, ლომმა ვიგრი, ვიგრმა ვეფხვი, ვეფხვმა ძაღლი, ძაღლმა მელა, მელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახოთ ლომი, რამ შეჭამა ლომი?

ხმალმა ჭამა ლომი.

ხმალი, ხმალი, ხმალმა ლომი, ლომმა ვიგრი, ვიგრმა ვეფხვი, ვეფხვმა ძაღლი, ძაღლმა მელა, მელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახოთ ხმალი, რამ შეჭამა ხმალი?

ცეცხლმა ჭამა ხმალი?

ცეცხლი, ცეცხლი, ცეცხლმა ხმალი, ხმალმა ლომი, ლომმა ვიგრი, ვიგრმა ვეფხვი, ვეფხვმა ძაღლი, ძაღლმა მელა, მელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახოთ ცეცხლი, რამ შეჭამა ცეცხლი?

წყალმა ჭამა ცეცხლი.

წყალი, წყალი, წყალმა ცეცხლი, ცეცხლმა ხმალი, ხმალმა ლომი, ლომმა ვიგრი, ვიგრმა ვეფხვი, ვეფხვმა ძაღლი, ძაღლმა მელა, მელამ კატა, კატამ თაგვი, თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

---

[1] ლომის ჯიშის ნადირია.

13. საბრალო დედაბერი

საბრალო დედაბრისასა თაგვნი ყანასა მკიანო,
ლომნი უგრეხენ ულოსა[1] და ვეფხვნი შეუკვრიანო,
დევნი ურემსა აბიან, ირემნი ძნასა ჰყრიანო,
შველნი კევრებში შებმულან, კალოს გარს დარბენიანო,
ზედ ანგელოზნი უსხედან წვრილ ხმაზედ დასძახიანო,
ჭინკები მარდად უქცევენ, ყანასა გაჰფორცხიანო;
ტახნი მისდევდენ კალოსა, მელები კუდით ჰგვიანო,
წერონი ანიავებენ და ბატნი დაკმაზიანო.
დათვებს ჰკიდიათ ტომრები, ორმოში პურსა ჰყრიანო,
მგლები წისქვილში გაგზავნეს, პურს მალე დაუფქვიანო,
შაშვნი ფქვილს მტკიცავს, გნოლი ჰზელს, კაკაკენი ამოკბრიანო,
მტრედნი ჩააკვრენ ლავაშსა და გვრიტნი ამოჰყრიანო,
ვარიები ამზადებენ, იხვნი სუფრასა შლიანო;
ზეცას ტოროლა გაგზავნეს ფრინველთა მოჰკრებიანო,
შენს მადლსა, ჩხიკვნი ნუ გვინდა, სუფრასა აგვიშლიანო,
სილამაზითა ხოხობი შუაში ჩაისვიანო,
ბულბულნი გალობისათვის სულ თავსა დაისვიანო;
საწყალი ბერი ქედანი ბოლოში მოიგდიანო,
ერთად სმენ, სჭამენ, ლხინობენ ჰარალეს დასძახიანო.

14. მელია, მამალი, ბატკანი და ჩიტი

ერთი მელია, მამალი, ბატკანი და ჩიტი დაძმობილდენ. წავიდენ გზასა; დაულამდათ და დადგნენ ერთ ადგილს. დაანთეს ცეცხლი. მელიამ უთხრა მამალს: „აბა, მამალო, მოდი ვიჭიდაოთო!“ დაიჭიდენ. მოჰგლიჯა მელიამ თავი და ჩაახრამუნა. მერე ბატკანიც შეჭამა. — „მელიავ, მე მარტო ცალიერი ქონი ვარ, პირი გააღე, ჩაგივარდები და შემჭამეო“, უთხრა ჩიტმა. გააღო პირი მელიამ; აიღო ჩიტმა ერთი მუგუზალი და შიგ პირში ჩაჰჩარა და გამოსწო პირი. მელიამ ვეღარ შეჭამა ჩიტი.

ჩიტი გაფრინდა. გზაზე ორ კაცს შეხვდა, ერთ ძაღლს სცემდენ. ჩიტი მივიდა და სთხოვა: „მე მომეცით ეგ ძაღლი და, რაც გინდათ, იმას მოგცემთო“. კაცებმა უთხრეს: „ოღონდ ეგ მოგვაშორე და, პირიქით, ჩვენ მოგცემთ ფულსაო“. წამოიყვანა ჩიტმა ძაღლი.

ძაღლი მშიერი იყო. ჩიტმა უთხრა: „აი ის დედაკაცები რო სხედან და მაწონს შეექცევიან, ხო ხედავო“—ვხედავო, უპასუხა ძაღლმა.—„მაშ მე მივალ, დავიწყებ ნელა ფრენას, ისინი დასაპერად გამომიდგებიან, მიდი შენ და მაწონს მიაძეხიო“. ჩიტმა მართლა გაიტყუა დედაკაცები. ძაღლი კარგა გაძღა.

---

[1] ძნის შესაკრავი, საკონავი.

წამოვიღენ იქიდან. გზაზე მელიას შეჰხვდენ: ჩიტმა ძაღლი დამალა. შელიას დაუძახა: „გამარჯვება, მელიავ! მოგირჩა პირი თუ არაო?“ მელიამ დაუძახა: „პირი კი მომირჩა, მაგრამ ლეში კი აღარსად მიქამიაო“. ჩიტმა დაუძახა: „აქ წამო, აქ არის ლეშიო“; ძაღლს უთხრა: წაწექ გზის პირზე და, როდესაც მელია მოვა საქმელად, წამოუხტი და ტყავი გააძრეო“. მივიდა მელია და დასწვდა ძაღლს კუდზედ. წამოხტა ძაღლი და შემოაცალა ქურქი.

ჰირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

თხეები და მგელი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბებერი თხა და ჰყავდა სამი შვილი. თხას სულ აცივებდა შიშით, იმ წყეულმა მგელმა შვილები არ დამიჭამოსო და როცა საბალახოდ წავიდოდა, ერთ შვილს სახლში სტოვებდა სადარაჯოდ და უბარებდა, არავის კარი არ გაუღო ისე, თუ არ გაიგონო ჩემგან:

„ქიცი-ქიცი მეეე!
კარი გამიღეე!“

ამასაც ნუ დაჯერდები, შვილო, ეუბნებოდა დედა შვილს, გამოჰკითხე კიდევ, ვინაა კარზე, და თუ არ გიპასუხოს:

მსურს კვარკვანტია,
მე ვარ ეგნატია,

ისე კარი არ გაუღოო.

თხა წავიდა. თურმე ის შეჩვენებული მგელი ყურს უგდებდა ამ ლაპარაკს, მოვიდა კარებთან, დაუკაკუნა და ჩაიკიკინა:

ქიცი-ქიცი მეეე!
კარი გამიღეეე!

— ვინა ხარ კარზე? ჰკითხა თიკანმა.

მსურს კვარკვანტია,
მე ვარ ეგნატია!

— მიუგო მგელმა.

გააღო კარი, სტაცა ხელი მგელმა თიკანს და გაარბენინა ტყეში.

საღამოს მოვიდა დედა, მაგრამ კარები რომ ღია დახვდა და სახლში არავინ, მიხვდა, რაშიც იქნებოდა საქმე, მაგრამ რას იზამდა. მეორე დილას მეორე შვილი დასტოვა, ერთი თვითონ წაიყვანა და წავიდა. მგელმა ისე მოატყუა მეორეც და შეეჭამა. მერე შეეჭამა მესამეც. დარჩა დედა-თხა მარტო. ბევრი იტირა, მაგრამ მაინც ფიქრობდა, იქნება შვილები ცოცხლები იყონ და მომივიდენო. მაგრამ ისე თქვენი მტერი!

მგელმა რომ გაიგო, თხა შინააო, მივიდა, დაუკაკუნა კარებზედ, დაიკიკინა:

ქიცი-ქიცი მეეე!
შენი ეგნატეეე!

თხას ეგონა ეს სწორედ ჩემი შვილებიაო, გააღო კარი და მგელი დაბვდა! სტაცა პირი მგელმა და გაუყენა ტყისაკენ.

16. ᲛᲒᲚᲘᲡ ᲑᲔᲠᲐᲓ ᲨᲔᲓᲒᲝᲛᲐ

ერთი საწყალი მგელი ლეშით გაძღა, გაიზმორა და იფიქრა: „ბიპო, აქამდის სულ ცოდვებს ვშვრებოდი, მოდი, ეხლა სულის საქმეზე დავდგები, იერუსალიმში წავალ, ბერად შევდგებიო“. იფიქრა და საქმეს შეუდგა. ახსენა ღმერთი და გაუდგა იერუსალიმის გზას.

გზაზე ერთ მოზვერს შეხვდა. „გამარჯობა, მოზვერო!“ დაუძახა მგელმა. — „გაგიმარჯოს, მგელო!“ უპასუხა მოზვერმა: „სად მიექანები, რა საქმე გამოგჩენია?“ — „ბერად შევდეგ, იერუსალიმს მივალ სულის საცხონებლად“. — „ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მგელო, თუ იზამ ბერობასო!“ დაუძახა მოზვერმა.

გასცდა მგელი და წავიდა. გზაზედ ორ ერკემალს[1] შეჰხვდა, ყანას სძოვდენ; დიდი დუმები ჰქონდათ, მაგრამ მგელს მაინც ვერ დასძლია ეშმაკმა.— „გამარჯვებათ, ერკემლებო!“ დაუძახა მგელმა. — „გაგიმარჯოს, მგელო!“ უპასუხეს ერკემლებმა: „სად გამგზავრებულხარ, რა გზა მიგელისო?“— „იერუსალიმში მივდივარ, ერკემლებო, სული უნდა ვაცხონო, ამდენმა ცოდვებმა წელი მომწყვიტაო“. — „ღმერთმა ხელი მოგიმართოსო“, დაუძახეს ერკემლებმა. გასცდა მგელი და წავიდა.

გზაზედ ვირს შეჰხვდა. იმანაც გამარჯვება უთხრა და დაულოცა იერუსალიმის გზა. წავიდა მგელი იერუსალიმში და ბოლოს მივიდა კიდეც.

მგელს ამასობაში მოჰშივდა. იერუსალიმი ღელეში იყო. მივიდა მგელი და გადიხედა სერიდან. იერუსალიმი სუ საყდრებით იყო სავსე. აქეთ-იქით არგნიანი[2] ბერები მიდი-მოდიოდენ. მგელმა იფიქრა: „ამ იერუსალიმში რომ მოველი, საყდარში ხომ არავინ შემიშვებს. იტყვიან მგელიაო, და რა ჭკუა დავფქვი, რომ არც არაფერი მოზვერს ვუყავ და არც არაფერი ერკემლებს და ვირსაო“.

გამობრუნდა ეს სულზე დამდგარი მგელი ვირის, ერკემლების და მოზვრის საძებნელად. მგელი გზაზე მართლა ისევ შეჰხვდა ვირს. ეხლა კი აღარ მოჰგონებია „გამარჯვება“ და პირდაპირ მიუხდა ვირს შესაჭმელად.

ვირმა გაიკვირვა. „აკი იერუსალიმს მიხვიდოდი სულის საცხონებლად, რადღა მჭამო?“—„როდესაც მუცელი ცალიერია, იქ იერუსალიმს რა ხელი აქვსო?“ უთხრა მგელმა: „მოემზადე, ეხლავე უნდა შეგჭამოვო“. ვირმა უთხრა: „კარგი, მგელო, შემჭამე, მაგრამ საწყალმა ჩემმა პატრონმა ჩემზედ გუშინ ფული დახარჯა, ნალები დამაკრა, და ამყარე ისინი მაინც, რომ ორნაირი ზარალი არ მიეცესო“.

---

[1] ერკემალი — მამალი ცხვარი, ვერძი

[2] არგანი — ჯოხი, ყავარჯენი.

მგელი დააფრინდა კბილებით ფეხზე ვირს და დაუწყო ნალებს ყრა-ვირმა უტყუპა, გააგორა ჩვენი ბერი კბილებ-ჩამტვრეული და გაოთხდა[1]. ცოტა ხნის შემდეგ მგელი გონს მოვიდა, წამოდგა და სთქვა: „აბა რა, ჩემი საქმეა ნალბანდობა, ახია ჩემზედ, რომ ასე მომივიდაო“.

17. წიქარა

ფშავში გაგონილი

იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი ცოლ-ქმარი; ჰყავდათ ერთი ვაჟი. კაცი მალე დაქვრივდა. ვაჟიც დაობლდა, დარჩა პატარა. სახლისა და შვილის მოსავლელად ვაჟის მამამ მეორე ცოლი შეირთო. ვაჟი დედინაცვალის ხელში ჩავარდა. უდიერი[2] დედინაცვალი ჰყავდა, მუდამ სცემდა პატარა ვაჟს და აყენებდა ცეცხლის კალოში.

დედინაცვალს მეგობარი ჰყავდა, ქმარმა-კი არ იცოდა; ვაჟმა იცოდა და დედინაცვალსაც გულით იმიტომ უნდოდა ვაჟის მოშორება.

კაცს ერთი ხარი ჰყავდა — წიქარა. ვაჟს და წიქარას ერთმანეთი საშინლად უყვარდათ. მუდამ დადიოდა წიქარასთან, აძოებდა იმასაც და თვითონაც ერთობოდა.

დედინაცვალი-კი დროს ელოდა, რომ ვაჟი თავიდამ როგორმე მოეშორებინა. ერთხელ მოიავადა[3] თავი და დაიწყო ტყვილად კვნესა და გმინვა. ქმარმა ჰკითხა: რა გიშველისო? ცოლმა უთხრა: შენის შვილის გულ-ღვიძლის მეტი ვერაფერი მიშველისო! მამა ცოტა შეწუხდა ამ სიტყვის გაგონებაზე, მაგრამ, რო მეტი ღონეც არა ჰქონდა, ცოლი ირჩია შვილსა და დაკვლა დაუპირა.

მეორე დილაზე ვაჟი ჰხედავს, რომ მამა დანებსა ჰლესავს.— „რად გინდა, მამავ, ეგ დანა, რო ლესავ? ჰკითხა ვაჟმა.

— წაიყვანე, შვილო, — ეტყვის მამა ვაჟს, — წიქარას წყალი დაალევინე, უნდა დავკლათო.

წაიყვანა ვაჟმა წიქარა წყალზედ. ასმევს წყალს და ტირის, ტირის, რომ იმის ცრემლები წყალთ ეწევიან.

— რა გატირებს, ჩემო მეგობარო? ჰკითხავს წიქარა: რაზედ ითხრი თვალებს, შემოგეელოს შენი წიქარა თავს!

— დაკვლას გიპირებენ, დაკვლას! ეტყვის ვაჟი.

დაღონებული წიქარა ამოიდგამს ენას და ეტყვის ვაჟს: „მე კი არა მკვლენ, შენ გიპირებენ ყელის გამოჭრასაო. წადი, წამოიღე ერთი სალესავი ერთი სავარცხელი და ერთი ბოთლი წყალი, შემჯექ და წავიდეთო“.

წავა ვაჟი, მოიტანს ყველაფერს, რაც წიქარამ უთხრა, და მოვა. შეჯდება ვაჟი წიქარაზედ და გაქუსლავს.

გაიგო ვაჟის მამამ შვილის წასვლა, შეჯდა ერთს წყეულ ღორზედ და გამოუდგა. მირბის წიქარა, მიარბენს პტარა მეგობარს, მისდევს მამაც, ღორზე მჯდომი, დალესილი დანებით; მისდევს და ის არის, უნდა დაეწიოს.

---

[1] ე. ი. მოჰკურცხლა. [2] უდიერი—თავისნება, უჯათი, ახირებული, შეუძლებელის მდომი.
[3] მოიავადა—მოიავადმყოფა.

წიქარამ უთხრა ვაჟს: „რაღას ელი, მეგობარო, სიკვდილი თვალწინ გვიდგა, გადაღვარე წყლიანი მინაო!“ გადააქცევს წყალს ვაჟი, გაჩნდება საშინელი ზღვა. ჰღელავს შავად ზღვა, გაბრაზებულია, ტალღები სიკვდილს უქადიან ყველას, მაგრამ ღორი არ უდრკება ზვირთებისცემას და მისცურავს. სანამ ზღვას გადაცურდება, წიქარა და მისი მეგობარი კარგა გზას გაივლიან. ბოლოს გამოვა ღორიც. წიქარა ეტყვის ვაჟს: თავი მიიბრუნე, აბა მოდის თუ არაო?

მიიბრუნებს ვაჟი თავს; შორს ბუზივით რაღაც მორბის და მოფრინავს. წიქარას ეტყვის: ბუზის ტოლად კი სჩანს რაღაცაო!

— ეგ ღორია და ზედ მამაშენი ზისო, ეტყვის წიქარა და გაეშურება: წავიდეთ მეგობარო, გავექცნეთ უსამართლობას, როდესაც იმის წინააღმდეგი ფარი არა გვაქვსო!

მირბის წიქარა და მიაჭროლებს პატარ ვაჟს; მორბის ღორი და მოაელვებს ვაჟის მამა დააფთრებულ დანებს... ცოტა კიდევ და ღორი დაეწევა წიქარას!

— გადააგდე სავარცხელიო! შესძახა ვაჟს წიქარამ,

გადააგდო ვაჟმა სავარცხელი. უცებ ისეთი წვრილი და ხშირი ტყე აიყარა, რომ შიგ თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებდა. სჭრა კბილით ღორმა, სჭრა და გავიდა. წიქარა და ვაჟი მირბიან.

კარგა გზა აქვთ გავლილი. მოიხედავს ვაჟი: შორს ბუზივით რაღაც მოჩანს. — ღორი მოგვდევსო! ეტყვის წიქარა... ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ და ღორი წიქარას დაეწევა; მაგრამ გადააგდებს ვაჟი სალესავს და აიმართება საშინელი თვალუწვდენელი კლდე წიქარასა და ღორს შუა. სჭრის ღორი, სჭრის, რაც ძალი და ღონე აქვს, აკეთებს კლდეში საკიბურებს და ადის ზევით. შუა ადგილში რომ მივიდა ღორი, ჩააჭრა კლდის ფხას[1] ფეხი და თავის მხედრით უფსკრულში კი ჩაინთქა... წაიღო ჩემიცა და თქვენი ჭირიც! ვაჟსა და წიქარას ხსნის იმედი მოეცათ.

იარეს და გავიდენ სამშვიდობოს, წიქარამ გაიყვანა ვაჟი ერთს ტრიალს მინდორზე[2]. იქ ერთი ალვის ხე იდგა, რომ იმის წვერი ცასა ჰხევდა. შესვა ზედ, მისცა ორი სალამური, ერთი საჭირო, ერთი სალხინო და უთხრა: „მე წავალ, მარტოკა ვივლი მინდვრებზედ, ვძოვ, დავირჩენ თავსა, შენ აქ იჯექ: გაგიჭირდეს, დაუკარ საჭირო სალამური და მე მაშინვე აქ დავიბადები; გილხინდეს, დაუკარ სალხინო სალამური, საქმელსაც ის მოგიტანს და სასმელსაცაო“. გამოეთხოვა და წავიდა წიქარა.

ვაჟი იჯდა ალვის ხეზე და უკრავდა სალხინო სალამურს. გაიგონა ერთმა მეცხვარემ სალამურის ხმა, საშინლად მოეწონა და გადაწყვიტა იმისი შოვნა. მიჰყვა სალამურის ხმას, მივიდა ალვის ხესთან და ნახა, რომ ბიჭი სალხინო სალამურს უკრავს, პეპელები კი მოგროვილან იმასთან და სალამურის ხმაზედ თამაშობენ და ირევიან ერთმანეთში. მეცხვარეს შურით თვალები გადმოუბრუნდა: ვაჟს დაუძახა: „ჩამოდი ძირს, სალამური მაჩვენე, რისაა

---

[1] ფხა — მოლესილი პირი ან ზურგი. [2]ტრიალი მინდორი — უდაბური მინდორი.

გაკეთებულიო“. მაგრამ ვაჟი არ ჩამოვიდა: წიქარასგან ჰქონდა ნათქვამი, რომ ალვის ხიდან არ ჩამოხვიდეო. ვაჟმა არ გაუგონა მეცხვარეს და არ ჩავიდა.

ადგება შურიანი მეცხვარე და წავა ხემწიფესთან. ხემწიფეს მოახსენა: ამა და ამ ადგილას ერთი ვაჟი ზის ალვის ხეზდ და ისე უკრავს სალამურს, რომ იმისი დაკვრით მთელი ქვეყანა ხარობსო. ხემწიფემ მაშინვე დაიბარა თავის ნაზირ-ვეზირი[1] და უთხრა: ან თქვენ უნდა მოიყვანოთ ის ვაჟი და ან უნდა იშოვოთ იმის მომყვანიო.

ნაზირ-ვეზირმა ხემწიფესთან ერთი ბებერი მოიყვანეს. ბებერმა უთხრა:„ მე მოვიყვან იმ ვაჟსო“. ადგება ბებერი, წაიყვანს ერთ თხას, ერთს სადგისს წაიღებს და მიეა ალვის ხის ძირში. ვაჟი ზის ალვის ხეზედ და უკრავს სალხინო სალამურს. ბებერი ალვის ხის ძირში დგა, ჰჩხვლეტავს სადგისით თხას და აჩხავლებს. ვაჟი დაინახავს, რომ ბებერი თხას აჩხავლებს, და დაუძახებს: „რასა ჰშვრები, დედილო, რად აჩხავლებ მაგ თხასაო?“

— დაკვლა მინდა და ვერ დამიკლავს. ამდენი სიკეთე მიყავ ჩამოდი, დამიკალიო!

ვაჟი რას მოიფიქრებდა, თუ ბებერს ღალატი ედვა გულში! ჩავიდა ძირს, ბებერმა დაათრო და დააძინა.

წაიყვანეს ხემწიფის კაცებმა და ჩასვეს ცხრაკლიტულში[2]. ვაჟს გამოეღვიძა, ნახა თავის-თავი დატყვევებული და დაღონდა. დაიწყო ტირილი, ინატრა თავის სალამურები, მაგრამ იმის სალამურები ალვის ხეზედ იყვნენ ორად დარჩენილები. ვაჟი ფანჯარასთან იჯდა და გაჰცქეროდა ცასა. ცხრაკლიტულს ყვავმა გაუარა გვერდზედ. დაინახა ვაჟმა და შესძახა: „ყვაო, ყვაო! სად მიფრინავ, სად მიგეჩქარება? წადი შენი შვილების მზეს, მინდორთ რო ალვის ხე დგას, იქ ჩემი სალამურებია და აქ მომიტანეო!“

—მე რომ ლეშსა ვჭამდი და შენ-კი ქვებს მესროდი, აღარ გახსოვსო? უპასუხა ყვავმა და გაუდგა გზას.

გააყოლა თვალი ვაჟმა და ჩამოჰყარა ცრემლები.

გაუარა ყორანმა.

— ყორანო! ყორანო! წადი შენის შვილების მზეს, ალვის ხეზე სალამურები დაჩრჩა და აქ მომიტანეო! გასძახა ვაჟმა ახლა ყორანს.

— მე რო წიქარას ლეში გთხოვე, და არ მომეცი, სალამურს რად მოგიტანო! ჩამოსძახა ყორანმა, გასცილდა და თავის სიშავით უფრო გაეშავა ისეც შავი და მწარე დღე პატარა ტყვისა.

გადაუარა არწივმა.

— არწივო- არწივო მხარკვერიანო! გასძახა ვაჟმა: ფრინველთ მეფე ხარ; სადაც მაღალი კლდე არის და ხე, შენი საბუდარია. მაშ წადი და, მინდორთ ალვის ხე დგა, იქ სალამურები დამრჩა და მომიტანე.

---

[1] ნაზირი —სასახლის ხედამპყრველი, მოურავი, ვეზირი — მეფის უახლოესი მოხელე, მინისტრი. [2] ცხრა-კლიტული ისეთი ოთახი ან კოშკი, რომელსაც ზედი-ზედ ცხრა კარი აქვს გაკეთებული და ცხრავე დაკეტილია.

— მე ჩემი საქმე მაქვს: შენგან კრავი როდის მიმიღია საჩუქრად, რო მე სალამური მოგიტანო! უპასუხა არწივმა და მხრების შხლარტუნით გასცდა.

გადმოიფრინა ჩიტმა, ამასაც შესძახა ვაჟმა: ჩიტო, ჩიტო, შენის ბარტყების გაზდას, მინდორთ სალამურები დამრჩა და მომიტანე!

— შენ რომ მახეს გვიგებდი და ბუდეს გვიშლიდი! მე ვერ მოგიტან, სხვას სთხოვეო, უთხრა ჩიტმა და გასცდა ჟივილ-ხივილით.

გააყოლა თვალები ვაჟმა და ჩამოსცვივდა ცრემლები.

ბოლოს მერცხალი დაინახა; ვაჟმა შესტირა: „მერცხალო, მერცხალო, გაზაფხულის მახარობელო! მინდორთ სალამურები დამრჩა, წადი და მომიტანეო“.

გაფრინდა მერცხალი და მოუტანა სალამურები.

დაუკრა საჭირო სალამური ვაჟმა, დაუკრა და აატირა. წიქარამ გაიგონა სალამურის ხმა და გაეშურა ვაჟისაკენ. გააფთრებული[1] ეცა რქებით ცხრაკლიტულს და დაუწყო მტვრევა. რვა კარი გატეხა, მაგრამ მეცხრე კარი გასატეხი ჰქონდა და მოსტყდა ერთი რქა. დაღონდა წიქარა. ისე თავის რქას არა სჩიოდა, როგორც თავის მეგობრის ტყვეობას. ღმერთს რქა შესთხოვა.

ერთი თაგვი გამოძვრა და წიქარას უთხრა: „რას მომცემ, რომ რქა მოგაბაო? შენს ლეშს ხო მაჭმევო?“

—გაჭმევო, უთხრა წიქარამ. თაგვმა გაუმთელა რქა. ეცა წიქარა და შელეწა მეცხრე კარიც. შევიდა ვაჟთან, შეისვა ზურგზედ მეგობარი და გააშურა ალვის ხისაკენ. შესვა წიქარამ ვაჟი ალვის ხეზედ და თვითონ კი ისევ მინდორში წავიდა.

არის ვაჟი ალვის ხეზედ, უკრავს სალხინო სალამურს და ერთობა. ბოლოს მოაგონდება წიქარა, მოუნდება იმისი ნახვა, დაუკრამს საჭირო სალამურს, დაუკრამს, მაგრამ არსად არ არის წიქარა! ელის ვაჟი წიქარას, მაგრამ არსად ჩანს წიქარა! დაღონდა ვაჟი, ჩამოვიდა ძირს, დაუკრა საჭირო სალამური, დაუკრა და აატირა მთელი ქვეყანა! იმის ცოდვით ბალახნი ტიროდენ, პეპელებიც აღარა ფრინავდენ და ცრემლებსა ღვრიდენ, ხეებიც აღარ ინძრეოდენ. უკრავდა სალამურს, და ცივ კლდეებსაც ცხელი ცრემლები სდიოდათ. უკრავდა სალამურს, და შავი-ყორანი-კი ნალეშარით საითლაც მიეშურებოდა. წავიდა ვაჟი, ეძება წიქარა და ბოლოს მინდორში მკვდარი იპოვა: შავს ყორანსა და უგვარო სვავს-ყაჟირებს[2] თვალები დაეთხარათ, ყვავ-კაჭკაჭებს გამოეხრათ. დასტირა ვაჟმა წიქარას, დასტირა მცხარედ: აღარც სალხინო და აღარც საჭირო სალამური არ დაუკრავს, შეძვრა წიქარას გვამში და მოკვდა იმასთან.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა!
ელასა, მელასა,

---

[1] გააფთრება — გაშმაგება, გაბრაზება, გაანჩხლება.

[2] სვავი და ყაჟირი მტაცებული ფრინველებია.

ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსაც,
ღმერთი გწყალობდეთ ყველასა.

კ ა ტ ა დ ა ლ ო მ ი

საინგილოში გაგონილი

ერთმა კაცმა კატა წაიყვანა და სახნავზე წავიდა. კატამ იქ ნახნავისა და ტყის პირებზე იტრიალა, ინადირა ჩიტები და თაგვები დაიჭირა. უცბად ტყიდან ლომი გამოვარდა.

— გამარჯობა ძმაო!

— გაგიმარჯოსო!

— როგორ ხარ? კარგად ხარო?

მადლობა ღმერთს! როგორ უნდა ვიყო, ვარ ჩემთვის, ვცხოვრობ. როგორც შეეფერება ჩემისთანა კატა-მატასო.

— მიკვირს, მე მგევხარ, წვერ-ულვაში და სახე ჩემი გაქვს, და რატომ ეგრე პატარა დარჩომილხარო?

— ჩემ ბატონს რომ იცნობდე, გაიგებდი, რატომაც ასე დაბალი ვარო.

— ვინაა შენი ბატონი, ერთი ჯავრი ამოვიყაროო!

— ჩემი ბატონი — კაციაო.

ვერ მიჩვენებო?

— რატომ ვერ გიჩვენებ? გიჩვენებო!

— სად არისო?

— აგე! იქა ხნავსო?!

ლომი კაცთან მივიდა.

გამარჯობა!

გაგიმარჯოს! საიდან მოდიხარო?

ემანდ ტყეში ვიყავ, თქვენი ხმა მომესმა, გამოველ, მოველ, ჩემი ბიძაშვილი დამიხვდა, აქ შენთან მომიყვანაო.

— ბედნიერი იყოს შენი მოსვლა, კეთილი იყოსო!

მადლობა ღმერთს! ჩემი ფეხი ძალიან მოუხდება შენს საქმეს. გამიგონია: კაცი ბუმბერაზი რამეა, დიდი ღონე აქვსო; შენ კი თვალში პატარა მეჩვენები, ღონეც პატარა გექნებაო.

— დავიჭიდოთ და მაშინ ვნახავთ, მე და შენში ვინ უფრო ღონიერიაო!

— კარგი, ჩემი სურვილიც ეგ იყოო!

ნახნავში მოკრილი ხე ეგდო. კაცმა უთხრა ლომს: „მე ჩემი ღონით ამ ხეს გავხეთქავო“. დაჭრა ცული, სოლი ჩაუგდო, კიდევ დაჭრა და ხე შუამდე გააპო. ლომს უთხრა: „აბა ახლა დანარჩენი შენ გახეთქეო!“

ლომმა თათები ნახეთქში ჩაჰყო; კაცმა სოლს გამოჭრა და ამოაგდო. მერე სახრე აიღო, უშხიელა და უშხიელა ლომს, იმდენი ურტყა, რომ ლომი შეეხვეწა: „გამიშვი! ჩემზე ღონიერი ყოფილხარო!“

კაცმა შეიბრალა და გაუშო. ლომი წამოხტა, ერთი კი მიაძახა კატას: „ძმაო, შენი ბატონი მართლაც ლონიერი ყოფილა! მაგის ხელში შენოდენიც ვერ გავიზრდებოდიო!“ და შეევარდა ტყეში.

19. გველვაჟი

იმერეთში გაგონილი ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა?

იყო ერთი დედაბერი. ხანგადასულს გაუჩნდა შვილი, მაგრამ რომ სულ არ გაჩენოდა, ის ერჩია: გველი დაებადა. დედას მაინც უყვარდა თავისი გველშვილი, ძუძუს აწოვებდა, უვლიდა და ზრდიდა. გველიც გაიზარდა, დამსხვილდა, ბუხუნხალა[1] შეიქნა.

ერთხელ ამ გველმა ენა ამოიდგა და უთხრა დედას: „წადი ჩვენს მეფესთან და მოახსენე: ჩემმა გველვაჟმა შემოგითვალა, შენი მხოლოდ შობილი მზეთუნახავი ქალი მომათხოვე-თქო“.

დედა შეშფოთდა: შეეშინდა, რომ მისი შვილი, და ისიც გველი, მეფეს უბედავს დასიძებას და კიდევ მეტად იმან შეაშინა, რომ გველმა ენა ამოიდგა და კაცივით ლაპარაკი დაიწყო. მაგრამ მეტი ჯანი არ იყო, ვაჟი არ აძლევდა მოსვენებას: წადი და უთხარიო.

— „მომკლავს, შვილოვო“, — ეუბნებოდა დედაბერი, მაგრამ არც არაფერი ამ უარმა გააწყო. ბოლოს წაიდა, — გაბედა დედაბერმა.

მივიდა დედაბერი მეფესთან სასახლეში. მიიწოდა მეფემ და ჰკითხა: „რა გნებავს, დედაკაცო?“

— „ჩემმა გველვაჟმა მოსვენება არ მომცა, თქვენს ქალს გთხოვსთ საცოლოდაო“, და მოუყვა ყველაფერს.

მეფემ არ გაიკვირვა, გულდასმით მოუსმინა და პასუხად უბრძანა: „ყველა ჩემმა ხელქვეითმა იცის, რომ მე ვარ ერთი ღარიბი მეფე. მომძალებია ერთი მოსამზღვრე მეფე და განადგურებას მიქადისო. ახლაც გამოუგზავნია შუა-კაცები და სამ კითხვას იძლევა ასახსნელად; თუ არ ავუხსნი, დამარბევს და დამაქცევს. უთხარი შენს ვაჟგველს: თუ მოახერხებს და ახსნის ამ სამ კითხვას, ქალსაც მივათხოვებ, რადგანაც განსაცდელს ააშორებს თავზე ჩემს ქვეყანასაო“.

პირველი კითხვა: „მე მყავს, — ითვლევინება ის მეფე, — ცხენის ჯოგი: გამოიცანი, რომელია დედა და რომელია შვილები“.

მეორე: აგზავნის ქვასანაყს[2] და ითვლევინება; „ამაზე ამოქერით ათასი წყდა[3] თასმა და გამომიგზავნეთო“.

მესამე კითხვა: „ჩემს ქვეყანაში ერთი უწყლო მხარეა, წყარო არსადაა და გაუჩინეთო“.

---

[1] ბუხუნხალა — ფუნჩულა და მსხვილი.

[2] ქვასანაყი—წვრილი და მოგრძო რიყის ქვაა, რომელსაც სხვანაირად ფილთაქვას ეძახიან.

დედაბერმა სთქვა: „თუ გადავიკიდე ჭირი, ახლა გადავიკიდეო“ და ჯუნკულ-ჯუნკულით გამოქანდა შინისკენ.

— „რა ჰქენიო?“ ჰკითხა გველვაჟმა.

— „რალა რა ვქენიო“, მოუყვა ნერწყვგამშრალი დედა: სიკვდილი გველისა, მეტი არაფერიო. ამ ბოროტებას შენ გადამკიდეო და დაიწყო ქვითინი.

— „რა დაგემართა, რა იყო?“ — ჩააცივდა გველი: „მე ის ხელმწიფე ვერ მომერევა, თუ ძალაზეაო“. დედას ამ სიტყვის გაგონებაზე სულელივით გაეცინა:

— მეფე ვერ მოგერევა ერთ ღვაფს გველფუშსაო?

— „ვერაო!“ დარწმუნებით უთხრა გველმა.

„აბა, კარგი და აუხსენი ახლა ეს კითხვებიო“ და მოუყვა, რა კითხვებიც იყო ასახსნელი.

გველი ერთს წუთსაც არ ჩაფიქრებულა და უთხრა დედას:

— წადი ახლავე და მოახსენე მეფეს: „გაგზავნე შენი ვეზირი იმ მეფესთან და დააბარე — რამსისხლ თასმა უნდა, ნიმუში ამოკერი ამ ქვასანაყზე და მეც იმ ზომისას გამოვკერიო“. ვერ აკრის ამ ქვასანაყზე ნიმუშს და შერცხვენილი დარჩებაო. ცხენები დააწყურონ სამ დღეს და, როცა გამოუშვებენ, რომელიც დაიხვიხვინებს, ის იქნება დედაო. სადაც დამწყურვალებულია ხალხი, იმ ქვეყანაში ერთი მუხაა, ამა და ამ ადგილას მოთხარონ ის მუხა და ამოიღონ იქ ღრმა ორმო, სანამ წყალი არ ამოვიდეს. ის იქნება ჭა და მისი წყალი იხმარონო.

გაფრინდა დედა მეფესთან. მივიდა. მთელი სასახლე დამწუხრებული და უიმედო იყო. როცა მივიდა დედაბერი, ყველას სიცილი აუტყდა ამ გაჭირვების დროსაც. მაგრამ, როცა პასუხი გაიგეს, დიდი მოწიწებით მიიღეს; ეს ყოველივე გადასცეს შუაკაცებს, თან გაატანეს ვეზირი, და პირში ჩალაგამოვლებული დარჩა შარიანი მეზობელი მეფე; ეს კი გადარჩა გასაჭირს, და კიდეც გაიწვია თავისთან, პირობის თანახმად, სახელგანთქმული გველვაჟი.

შემოზოზინდა სახლში ბურუხუნა[1] გველი. დიდი თავაზით მიეგება ყველა: უფრო ეშინიათ მისი, ვიდრე მოსწონთ. შიშის ხათრია, რომ ეალერსებიან, მოუჯინეს[2] გველს დედოფალი, მზეთუნახავი, გვერდით და გამართეს ქორწილი.

ისეთია დედოფალი, რომ დანა კბილს არ უხსნის: მის მწუხარებას ზომა არა აქვს, მაგრამ რა გაეწყობა — პირია მიცემული და, ალბად, მისი ბედი ყოფილა.

გაიყვანეს ქორწილის შემდეგ ნეფე-დედოფალი სანთიობოში[1]. მიხურა მამა-მეფემ სანთიობოს კარები თუ არა, წაიღლო თმასა და წვერში ხელები და ბურქვა-ბურქვა[2] იბღვნიდა: „შეშვამს ის წყეული გველი ჩემს ქალსაო“.

---

[1] ბურუხუნა—ბუნჩულა, მსხვილი.

[2] მოუსვეს.

მაგრამ სანთიობოში კიდე უფრო ძნელი საქმე ხდებოდა: მზეთუნახავს კისერზე შემოხვევოდა გველი და ეალერსებოდა. ქალი სულს ლევედა, აღარც მკვდარი იყო, აღარც ცოცხალი, გაციებულიყო და თითქმის აღარაფერი ესმოდა. გველი კი ეუბნებოდა: „ნუ შემიზიზღებ, ნუ დამერიდები, იქნება ისიც მოხდეს, რომ შენ მეალერსებოდე და მე-კი გავიყინოო“. ამ ალერსსა და ეშხში რომ არის, გაძვრა მეტის-მეტი სიყვარულით კანში და, — ჰოი, სასწაულო, — მზესავით მანათობელი ყმაწვილი გამოვიდა. ახლა კი შეაკუსა[3] თვალები მზეთუნახავმა, გულმა საშინლად დაუწყო ძგერა და ცეცხლი აენთო სახეზე; აპრიალდა, მზესავით ანათებდა. ამათ ნახვას აღარაფერი სჯობდა. ვაჟის ოქროს თმა მზის სხივებივით ბრწყინავდა და ქალი სინაზით უსვამდა შიგ მარგალიტივით თითებს. ამ დროს ჭიჭიტალადან[4] შეიხედა სანთიობოში ერთმა გადიამ: „ეს რა სინათლე მოდის იქიდანაო? ვაი თუ ცეცხლი ამოუშვა გველმა პირიდან და დასწვა დედოფალიო!“ მაგრამ რა დაინახა? აღარაფერი სჯობდა სანახავად ვაჟს, და ორივეს ნეტარება აღარ ითქმოდა.

გამოიქცა გადია მტირალი მეფისთვის ამ ამბის მისახარებლად. შეიქნა ხმაური, ჟრიალი, მითქმა-მოთქმა; გაქანდენ სანთიობოსაკენ, მეტის-მეტი სიხარულით ჩაამტვრიეს კარები და მეფე ეცა გველის ხალთა-კანს.

შეკრთა ვაჟი, შეშინდა... დააპირა მაღლა ახტომა, ჰაერისკენ შენავარდება და... გადაიქცა სპეტაკ ტრედად. დაიწყო ფრიალ-ფრიალი სანთიობოში, ეძებს გამოსაფრენს კარს, ან სარკმელს. მზეთუნახავი უკან დაედევნება და უნდა მისი დაჭერა, თან გული მიუდის, ეშინია: არ დამეკარგოსო. თან ჩამოსდის ცრემლები, თანაც. იცინის. ბოლოსაც იშოვნა ტრედმა ღია კარი, და გამოძვრა შიგ, გამოფრინდა, მიფრინავს ნელ-ნელა. მზეთუნახავმა თხოვა მამა-მეფეს თავისი რაში. იმანაც მაშინვე მიაგება. შეჯდა ზედ მზეთუნახავი და გაჰყვა ფრენა-ფრენით თავის ტრედს.

მიფრინავს ტრედი და მიღუღუნობს, მიფრინავს რაში და მისდევს ტრედს კვალ-და კვალ მზეთუნახავი. შეჯდა ხეზე ტრედი, მივა მზეთუნახავი, ტრედი აფრინდა და ნელა, აუჩქარებლად, მიფრინავს კიდეე იქით. ამნაირი ფრენა-ფრენით მივიდენ ზღვის პირზე. ზღვაში პაწაწა კუნძული იყო კიდის მახლოპლად. კუნძულზე იდგა ერთი კოდალივით[5] სწორი მაღალი ალვის ხე; ამ ხეზე შეფრინდა ტრედი და დაიწყო ღუღუნი. გადააქანებს ნიავი ალვის ხის წვეროს, თან გადაჰყვება ღუღუნით სპეტაკი ტრედი, გადმოაქანებს — თან გადმოჰყვება. გააქანა მზეთუნახავმა რაში, ისკუპა რაშმა კიდიდან კუნძულზე, მაგრამ იმდენი ადგილიც აღარ იყო, რომ ოთხივე ფეხით დატეულიყო, მხოლოდ წინა ფეხებით დაეკიდა კუნძულს. ალვის ხემ ქედი იხარა; წაატოტინა ტრედისკენ ხელი მზეთუნახავმა, ტრედმაც ისკუპა, შეა-

---

[1] სანთიობო—ახლად ჯვარდაწერილთა ღამის გასათევი ოთახი.

[2] ბურქვა-ბურქვა—ბღუჯა-ბღუჯა.

[3] შეაკუსა — შეაჭყიტა.

[4] ჭიჭიტალა—ჭუჭრუტანა, პატარა ნახვრეტი.

[5] კოდალი, ყოდალი—წვერმრგვალი ისარი.

ჯდა მხარზე მზეთუნახავს და დაუწყო ყურებთან ღუღუნი. ისკუპა უკანვე რაშმა, დახტა ზღვის კიდეზე. ტრედი ხან თავზე ევლება მზეთუნახავს და ხან ფეხებზე აჯდება, მაგრამ ყოველივე ცდა მზეთუნახავისა, რომ მოიგდოს ხელში ტრედი, ამაოდ რჩება. დღესაც ასე დაფრინავს რაშით მზეთუნახავი და ტრედიც თავზე ევლება, ხან მხრებზე აჯდება. იმათი ფოფინი[1] და ფორთქინი დაუსრულებელია.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

თ ხ უ პ ნ ი ა

იყო ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი. ჰყავდათ ერთი ქალიშვილი, სახელად თხუპნია.

ერთხელ დედა ავად გახდა და სიკვდილის მოახლოება რო იგრძნო, მოიხმო შვილი და უთხრა:

„შვილო, ხომ ხედავ, ვკვდები, მამაშენი უცოლოდ არ დადგება, მოიყვანს შვილებიან ცოლს, დედინაცვალი ხო იცი, რა არის გერისთვის! კარგად ემსახურე, თვარა დაგლუპავს! ნუ გეშინია, ღმერთი შეგეწევა, შვილო, აბა შენ იცი, თუ არ შემარცხვენ“.

უთხრა შვილს და მოკვდა.

მამამ მართლა მოიყვანა მალე მეორე ცოლი: ცოლს ორი ქალიშვილი მოჰყვა, მაგრამ თხუპნია ორივეს სჯობდა სილამაზით. დედას არ მოწონდა ეს და ყოველნაირად ცდილობდა გერის დაჩაგვრას.

ერთხელ თხუპნიას მამა მეორე სახემწიფოში დაიბარა რაღაცაზე ხელმწიფემ და წასვლისას მამამ უთხრა შვილებს: რა მოგიტანოთო. გერებმა სთხოვეს: ოქროები წამოგვიღეო. — შენ რა გინდა, შვილო? ჰკითხა მამამ თხუპნიას.

— მე, მამა, იმ ხის ტოტი წამომიღე, დედი-ჩემის საფლავზე როა ამოსული. მამას შერცხვა, ეს შტერი რა სისულელეს მთხოვსო. დედინაცვალს და მის შვილებს კი სიცილი აუტყდათ.

მამამ ყველა შვილებს მოუტანა, რაც დააბარეს. გავიდა კაი ხანი და ხემწიფემ თხუპნიას მამა ისევ მიიპატიჟა ცოლ-შვილით. დაიწყეს ყველამ მზადება წასასვლელად. აიჩემა წასვლა თხუპნიამაც. დედინაცვალს ეწყინა ეს, შვილებს დამიჩაგრავსო, და უთხრა თხუპნიას:

„შენ აქ ეგდე ნაცარში, საქმე აკეთე, აგერ ამდენი ღერღილი და ღომია ერთად არეული, კარგად დაარჩიე და დამახვდერე“!

ყველანი წავიდენ, თხუპნია კი დარჩა ატირებული სახლში. როცა ტირილი დაასრულა, წავიდა დედის საფლავზე, დაუქნია ხის ტოტი ჩიტებს, მოფრინდენ ჩიტები და ჰკითხეს;

---

[1] ფოფინი—ტრფიალი, ალერსი.

— რას გვიბრძანებ, თხუპნიავ?

— ჩემო, ჩიტუნებო, თქვენ გენაცვალეთ, დამიხსენით ავი დედინაცვლისაგან. ეს ღერღილი და ღომი დამიტოვა გასარჩევად, თუ არ დავახვედრე გარჩეული, მომკლავს, მიშველეთ როგორმე!

— ნუ გეშინია, თხუპნია, — მიუგეს ჩიტებმა, დაესხეს მერე და ერთ წუთში გაარჩიეს ღომი და ღერღილი,

თხუპნიამ მოარბენინა სახლში ღომი და შეინახა. მერე ისევ დედის საფლავზე მიირბინა, დაუძახა ისევ ჩიტებს. იმ წამსვე გაჩნდენ თხუპნიასთან.

— რა გნებავს, თხუპნია! ჰკითხეს ჩიტებმა ქალს.

— რაი და ხომ ხედავთ, ნაცარში ვგდივარ, მიშველეთ, ჩემს მეტი ყველა ხემწიფესთან არიან ლხინში, შემიბრალეთ და ტანისამოსი მომიტანეთ, მეც წავიდე და თვალი გავახილო. ცოდვა ვარ, ცოდვა!

გაათავა თხუპნიამ. ჩიტები სადღაც გაჰქრენ და ერთ საათში ოქროს ტანისამოსი მოუტანეს თხუპნიას. შეიმოსა თხუპნია, მაგრამ როგორ მოუხდა! მის შეხედვას აღარა სჯობდა! წავიდა თხუპნია და შევიდა ხემწიფის დარბაზში. დიდი ლხინი იყო და ყველა თხუპნიას უცქეროდა, ეს მზეთუნახავი საიდან გაჩნდაო. ვერავინ ვერ იცნო, ვინ იყო. როცა სადილი გათავდა, თხუპნია გამოიპარა, გადაიცვა ძონძები და ,ჩაჯდა კერიას ძირში. მოვიდა დედინაცვალი და ღომი რო გარჩეული დახვდა, გაუკვირდა და გერს ვეღარაფერი ვერ ჰკადრა, თითიც ვერ დააწო.

შემდეგაც დაპატიჟა თხუპნიას მამა ხელმწიფემ. თხუპნია ისევ ისე მოიქცა. მაგრამ წამოსვლაზე ისე აჩქარდა, რო ცალი ქოში ხემწიფეს სასახლეში დარჩა. ეს ქოში რო ხემწიფის შვილმა იპოვნა, სთქვა: ვისაც ეს ქოში მოერგება, იმის მეტი არავინ მინდა საცოლოდო. შეკრიბეს მთელი სახემწიფოს ქალები, მარა არავის მოერგო, ყველასათვის პატარა იყო. მერე მოადგენ კარზე ვეზირებით თხუპნიას მამას. დედინაცვალმა რო შეიტყო, რაში იყო საქმე, თხუპნია სკივრში ჩამალა და თავის შვილები მოჰგვარა ვეზირებს. დააზომეს ფეხზე უფროს ქალს ქოში და არ მოერგო, პატარა იყო. დედამ გამოიყვანა ქალი მეორე ოთახში, მოსჭრა თითები და ძალით ჩაუტენა ფეხი ქოშში. წამოიყვანეს ეს ქალი ხემწიფესთან. გზაზე აედევნა ერთი ჩიტი და უძახოდა: ეგ არაა, ეგ არააო, ფეხიდან სისხლი სდისო. გაუკვირდათ ვეზირებს.

ვეზირებმა უკან მიგვარეს ქალი დედას და თვითონ დაღლილები სკივრზე ჩამოჯდენ. სკივრიდან თხუპნიამ მახათი უჩხვლიტა. ვეზირები წამოვარდენ, ახადეს სკივრს თავი და რა დაინახეს? ისეთი ლამაზი ქალი ზის შიგ, რო თვალი უკეთეს რას ნახავს! დააზომეს ქოში და კარგად მოერგო, შესვეს ცხენზე თხუპნია და წაიყვანეს. გზაზე ჩიტები აედევნენ და ჩამოსძახოდენ, „ეგაა მეფის საცოლე, ეგაა მეფის ცოლი!“ დაიწერა მეფის ვაქმა თხუპნიაზე ჯვარი და ცხოვრობდნენ ბედნიერად.

ალიართალი, მალიართალი,
ზოგი ტყვილი და ზოგი მართალი.

21. მონადირის შვილი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იყო; იყო ერთი გამოჩენილი მონადირე. მონადირე ნადირს მუდამ დღე ჰხოცავდა და მოჰქონდა სახლში. ერთხელ მონადირე ერთ ტრიალ მინდორზე გავიდა, უცებ წინ ერთი თეთრი ირემი ამოუხტა; გადაუდგა წინ და უთხრა: მესროლე, თუ დამკარ, ნეტავი შენ, და თუ ვერ დამკარ—ვაი შენაო!

ესროლა მონადირემ და გააცდინა. ირემი გაჰქრა. დაბრუნდა შინ მონადირე და ცოლს უთხრა: დღეს თეთრ ირემს თოფი ვესროლე, ვერ დავკარ, მოვკვდები, სუდარა მომიმზადეო. მართლაც იმ ღამეს მოკვდა მონადირე. მონადირის ცოლი ორსულად დარჩა. გაუჩნდა ვაჟი-შვილი, ისეთი ლონიერი და ყოჩაღი რამ იყო, რომ იმის დარი იმ ქვეყანაში არავინ იყო. ერთხელ ჩამოიღო თოფი შვილმა, გატენა, შავიდა დედასთან და ჰკითხა: დედავ, მამაჩემი რამ მოკლაო?—წერამ შვილოვო, უპასუხა დედამ. არა, უნდა მითხრაო, გადაეკიდა შვილი. ბოლოს დედამ უამბო ყველაფერი. მონადირის შვილი ადგა, მოჰთალა ერთ ხეს, ესროლა სამი და ნატყვიარი—ნატყვიარში გაატარა, გადაიკიდა მერე მხარზედ თოფი და გასწია იმ ირმის საძებნელად. გაიარა ტყეები, ხევები და იმ მინდორზე გამოვიდა, სადაც იმის მამას ესროლა ირმისთვის თოფი და დაეცდინა. უცებ გამოუხტა იმასაც თეთრი ირემი, დაუდგა წინ და უთხრა: მესროლე, თუ დამკარ, ნეტავ, შენ და თუ დაჰაცდინე—ვაი შენაო! დაუმიზნა ვაჟმა და შიგ გულში გაახვედა. წაიქცა ირემი და მოკვდა. მივიდა ვაჟი, ხორცი ამოაჭრა, გადაყარა, ტყავი თავის კუდით, ფეხებით და თავით წამოიღო შინ და მოვიდა დედასთან; დადო ტყავი და დაისვენა. შევხედოთ, გაცოცხლებულა ირემი, ბეწვზე თვალმარგალიტი ასხია, დადის და დააჟღარუნებს. მონადირის შვილი გაკვირვებულია. შეიყვანენ მაშინვე ირემს სახლში და დაჰტრიალებენ თავს. შეიბერტყება ირემი, სულ მარგალიტი და თვალი ჰცვივა: ერთ კვირაში ერთ სახლს ავსებს. გამდიდრდა ძალიან მონადირის შვილი; ისეთი სახლები დადგა, რომ ხემწიფეს ეკადრება. ბოლოს შვილი ეტყვის დედას: დედავ, რად გვინდა ამდენი სარჩო და ქონება, თუ ან ხალხში არ გამოვალთ და ან ქვეყანაში არ გამოვჩნდებითო; დავიპატიჟოთ ხემწიფე და ერთი ჩვენი სიმდიდრე ვაჩვენოთო. არა, არ გვინდა ხემწიფეო, უთხრა დედამ შვილს, ის ჩვენ აქ სიკეთეს არ მოგვიტანსო... არა ქნა შვილმა: უთუოდ უნდა დავპატიჟოვო. როგორც გინდოდესო, უთხრა დედამ. მაშინვე მოამზადებინა მშვენიერი სადილი ვაჟმა, ჩაიცვა მდიდრულად და წავიდა ხემწიფესთან საპატიჟოდ. ხემწიფე როგორც იყო წამოიყვანა, აჭამა კარგი სადილი და მერე თავის ირემი უჩვენა. ხემწიფეს თვალები დაებრიცა ირმის ცქერით.—ეგ ირემი მე უნდა წავიყვანოვო, უთხრა ხემწიფემ ვაჟს. ვაჟი უარზე შედგა, მაგრამ რა გაეწყობოდა? წაართვეს და წაიყვანეს.

დარჩა ხახაცალიერი მონადირის შვილი. გავიდა რამდენიმე ხანი, და, აი, ერთ დღეს ეძახის ხემწიფე ვაჟს თავისთან. ვაჟი წავა. ხემწიფე ეტყვის:

აი ეს ოთახები სავსეა თეალ - მარგალიტით, ოთხი ოთახი სავსე იყო და მეხუთე ნახევარზე,—ისეთი სახლები უნდა ამიშენო, რომ კაცს არ ენახოსო. ვაჟი შესწუხდა, ხემწიფეს უთხრა: დიდებულო ხემწიფევ, მე არც ხურო ვარ, არც კალატოზი, არც სხვა რამ ხელოსანი და საიდან აგიშენოთ სახლიო. როგორც გინდა, ისე ააშენეო, უთხრა ხემწიფემ. ვაჟმა იფიქრა და უთხრა: კარგი, ორასი ურემი კირი მომიტანეო, ორასი ურემი ლამი, და მე ვიცი. მოუტანეს ყველაფერი. ვაჟმა ალების ერთი ტბა იცოდა. იმ ტბაზედ სასმელად მთელი ალების ჯარი მიდიოდა. წაიღო ეს იმოდენა კირი და ლამი, ჩაყარა შიგ და ამოლესა ტბის ძირი და გვერდები, მერე მიუშო შიგ ბანგი. მოვიდენ ალები, დალიეს ეს წყალი, დაითვრნენ და დაეყარნენ იქვე. მიუსია კაცები მონადირის შვილმა ამ მთვრალ ალებს და ყველასთვის კბილები კი დაახეხინა. მერე წამოიღო ის კბილები, მოიწვია ხელოსნები და ურმებზედვე ისეთი სახლი დადგეს ალების კბილებისა, რომ იმაზედ საკვირველი აღარა იქნებოდა რა. გამოვიდა ხემწიფე, ნახა ეს სახლი და იქვე წაიქცა, ძლივ-ძლივობით მოაგონეს გულწასული ხემწიფე და შეაბძანეს შინ.

ერთი ბებერი იყო ამ ხემწიფის მოსამსახურეებში. ის ადგა და ხემწიფეს მოახსენა: დიდებულო ხემწიფევ! დროს ნუ ჰკარგავ, ეგ ბიჭი ყოჩაღი ყოფილა, მაგას შეუკვეთე, რომ აღმოსავლეთის ხემწიფის ქალი მოგიყვანოსო. დაიბარა ხემწიფემ მონადირის შვილი და უთხრა: შენ უნდა წახვიდე და აღმოსავლეთის ხემწიფის ქალი მომიყვანოვო. მონადირის შვილი ეტყვის: დიდებულო ხემწიფევ! თუ აღმოსავლეთის ხემწიფის ქალი გინდა მოგიყვანო, ათასნაირი ფარჩა მომეცი და ერთი ხომალდიც გამიკეთეო. უშოვა ხემწიფემ ათასნაირი ფარჩა, ისეთი ჭრელი, რომ კაცს თვალს აუჭრელებდა. ჩააწყო ხომალდში და გასწია ზღვით. კარგა გზა რო გაიარა, უცებ ერთი ქუხილი და ჭექა მოესმა, შეჰხედა და ნახა: ერთ თეთრ ქორს გამოუგდია წინ მტრედი და მოდევს. დაიხრება მტრედი და შევარდება ხომალდში — ნუ მიმცემო, ეხვეწება მტრედი ვაჟს. მომეცი, ეტყვის თეთრი ქორი მონადირის შვილს, და გამოგადგებიო. მისცემს ვაჟი მტრედს და გასწევს ქორიც. გაივლის კიდევ, და უცებ ერთი საშინელი შხაპუნი და წყლის ხევა მოისმის; მოიხედავს ვაჟი და დაინახავს, რომ ერთ თეთრ თევზს გამოუგდია წინ ერთი წითელი თევზი და მოჰდევს. ამოხტება თევზი და შევარდება ხომალდში. თეთრი თევზი შეეხვეწება მონადირის შვილს: ეგ თევზი მომეც და, თუ დაგჭირდეს ჩემი თავი, გამოგადგებიო მისცა თევზი თეთრ თევზს და გასწია თავის გზაზედ. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ქალის სახლთან. ამოალაგა რაც ფარჩა ჰქონდა. და გაჰფინა ქალის კარებზედ. გამოვიდა ქალი და შლის გაკვირვებით ფარჩას. ვაჟმა უთხრა: ქალბატონო, ეგ რა არის, საქმე იქ არის, მე რო გემი მაქვსო. თუ გნებავთ, წამობრძანდით და ნახეთო. ჩაიტყუილა ამრიგად ვაჟმა ქალი, ჩაისვა ხომალდში და გააქანა. გზაზედ ქალმა უთხრა: რა არის, რომ ერთი სანათურიც არ გიქნია, რომ ცა დაინახოს კაცმაო. ვაჟმა მაშინვე ამოჭკრა ზევით ხომალდს, იქცა ქალი მტრედად და გაფრინდ. დარჩა ცალიერი მონადირის შვილი. გაატარა ხომალდი და ერთიც ვნახოთ, დაუჭერია თეთრ ქორს ეს მტრედი და მოუყვანა ვაჟსა. ამრიგად, გაიარეს ქალმა და ვაჟმა

კარგა გზა. ბოლოს ქალი ეტყვის: ამ ცის ლაჟვარდს ხომ არ მაჩვენებ, და ეს ზღვის ტალღები მაინც მაჩვენეო. ამოჰკრა ვაჟმა ხომალდი; ქალი დგა და უცქერის ვითომ ზღვას; უცებ იქცევა თევზად და დაიკარგება ზღვაში. დაიწყებს მონადირის შვილი თავპირში ცემას, მაგრამ რაღას გააწყობს. წავა დაღონებული. უცებ შხლატუნი მოესმის, გაიხედავს და ნახავს, რომ თეთრ თევზს დაუპერია ეს თევზი და მოჰყავს. მოუყვანა თევზმა და შეუგდო ხომალდში. ქალმა ჰკითხა მონადირის შვილს, ვისთვის გინდივარო—ხემწიფისთვისაო, უპასუხებს ვაჟი—არა, მე ხემწიფის ცოლად არ გამოგყვებიო, ეტყვის ქალი: შენ ქმარი და მე ცოლიო.—ეგ როგორ მოხერხდება, ხემწიფე წამართმევს შენს თავსო.—ეგ მე ვიციო, უპასუხა ქალმა; შენ მარტო ის წაუღე ხემწიფეს, რაც გაგატანოვო. უთხარი: საჩუქარია ქალის გამოგზავნილი, თქვენა და თქვენმა ნაზირ-ვეზირმა გახსენითო. წაილო ვაჟმა, რაც ქალმა გაატანა, და წავიდა. მიუტანა ხემწიფეს და უთხრა: თქვენმა კაცებმა გახსენით, ქალმა მოგვართოთო. თითონ კი გაარიდა. ხემწიფემა და მის ნაზირ-ვეზირმა დაუწყეს ხსნა ქალის საჩუქარს. უცებ გატყვრა და იქვე მიაწვინა ყველანი. ქალიც მონადირის შვილს დარჩა და სახემწიფოც.

ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე;
ქატო იქ დავაგდე,
ფქვილი აქ მოვიტანე.

22. ფელია და მეწისქვილე[1]

ერთი წუწკი ფელია შეიპარა მეწისქვილის საქათმეში, დააჭრა ყელები ნასუქ დედლებს, მოუარა ყვერულ-მამლებს, ბატებიც მიაყოლა ზედ და იხვებიც. დედლები გადაალაგა თავის სოროში ფელიამ, ახლა ბატების გადათრევას ლამობდა, მაგრამ ამ დროს, საუბედურად, მოასწრო მეწისქვილემ და დაიჭირა. ფელია ჩამოჭიდა კუდით და უნდა გააძროს ტყავი. ფელია ეტყვის: კაცო, ჩემი ტყავი ხუთ შაურად რო გაჰყიდო, მეტად ვერ გაჰყიდი, და რო გამიშო კი, ბედსა გწევო.—რა ბედსა მწეო? ჰკითხა მეწისქვილემ.—თუ საქათმეში დამმარხავ, როცა მოვკვდები, ხემწიფის ქალს შეგრთავ ცოლადაო. — როგორაო? ჰკითხა გახარებულმა მეწისქვილემ. — ფე ერთი დედალი დამიკალ ვახშმად, და ამაღამვე შევუდგები საქმესაო. მაშინვე წამოხტა მეწისქვილე, ჩამოიყვანა ერთი ნასუქი დედალი, მოჰგლიჯა კისერი, მოუხრაკა ფელიას და მიართვა.

ფელია რო გაძღა, ადგა, მეწისქვილეს უთხრა: შენ ორი საცალო აიღე, წამოდი, შარაზედ მექუდეებს ურემი მოაქვთ; ქუდები უძევთ; მე გზაზედ გავძაბავ სულ-ტყავს, წავწვები, ისენი ამიღებენ, დამდებენ ურემზედ, მე ქუდებს გადმოვყრი, გადმოვყრი და შენ კი აკრიფე; მერე მეც გადმოვხტები და წავიდეთო. წავიდენ. წაწვა ფელია გზაზედ. დაინახა მეურმემ ფელია და დაუძახა ბიჭს: ბიჭო, აქ ერთი ფელია მომკვდარა, აიღე, ურემზე

[1] ეს ორი ზღაპარი ჩაწერილია თ. რაზიკაშვილის მიერ

შეაგდე, ხვალ ტყავი გავაძროთ, მანეთად მაინც გავყიდითო. აიღეს მელია და გადაისროლეს ქუდებში. ჰყრის მელია ქუდებს, მეწისქვილე კი ჰკრეფს ქუდებს და ჰყრის საცალოებში. ორი საცალო რო აავსო ნეწისქვილემ ქუდებით, მელიაც გადმოხტა. მოიკიდეს ქუდები და გადაალაგეს წისქვილში. მეორე დღეს წაიყვანა მელიამ მეწისქვილე ხემწიფის ქალზე დასანიშნად, თან ქუდებიც წაიღეს. ბევრი იარეს თუ ცოტა, მივიდენ ერთ ზღვასთან. გაიხედეს და ზღვის გალმა ხემწიფის სასახლე დაინახეს. მელიამ უთხრა მეწისქვილეს, შენ აქ დარჩი, მე წავალ და საქმეს დავიწყებო. წავიდა მელია, მივიდა ხემწიფესთან და უთხრა: აქ ზღვას გალმა ჩვენი ხემწიფეა ჩამომხტარი, ქალსა გთხოვთ და პასუხსაც ელის. ზღვაში გამოვიდეთ, თუ ხიდს გაგვიკეთებთ ზღვაზედაო.—გამოტოპონო, უთხრა ხემწიფემ. წავიდა მელია, მოხვეტა რაც ქუდები ჰქონდა და ჩაყარა ზღვაში. მოიდო ზევით ზღვამ ქუდები და მოაქვს. გაიქცევა მელია და გულგახეთქილი ეტყვის ხემწიფეს: დიდებულო ხემწიფევ, შემოვედით ზღვაში, შემოვიდა ჩვენი ხემწიფეც, მხებლები სულ წყალმა დაუღრჩო და მარტოდ-მარტონი დავრჩითო. აგე, აგე! მოაქვს, როგორ მოალიკლიკებს ზღვა ჩვენ ქუდებსაო. მაშინვე აი მცურავი, აი ნავები, ზოგ ქუდს სად იპერენ, ზოგს სად, მაგრამ სადღაა არის მხლებლები? ზღვამ დაძირაო.

მოვიდა მელია ხემწიფესთან და უთხრა: დიდებულო ხემწიფევ, რაც ან ტანისამოსი გვქონდა წამოღებული, ან სხვა რამე, სუ ზღვამ წაგვართვა, ბატონი ტიტველი დაგვრჩა, მეწისქვილის ტანისამოსი ვუშოვეთ და ის ჩავაცვითო; ერთი ხელი ტანისამოსი მოგვეცით, რო ჩავაცოთ და მოვიყვანოთ თქვენთანაო. მისცა ხემწიფემ მელიას ერთი ხელი ტანისამოსი, თანაც დაუმატა: რაც გენებოს, სხვა რამე მოიკითხეო. წავიდა მელია მეწისქვილესთან, ჩააცვა ტანისამოსი და ეუბნება: აბა, ჰა, ყოჩაღად მოიქეცი, არ შემარცხვინოვო! ან პირობა არ დაივიწყოვო. შიიყვანენ მეწისქვილეს; ხან ერთ გვერდზე გადიხედავს მეწისქვილე და ჰშინჯავს იმ ტანისამოსს, ხან სხვაზედ. ხემწიფე ჩუმად ყურში ეტყვის მელიას: რასა ჰშვება ჩემი სიძე, რად იყურება ტანისამოსზედაო? — მაგის ტანისამოსი კარგი იყო, დიდებულო ხემწიფევ, და იუკადრისა, როგორ თუ უკეთესი ტანისამოსი არ ჩამაცვესო. ჩააცვეს მეწისქვილეს უკეთესი ტანისამოსი. იმან უფრო ცქერაც დაიწყო. როგორც იყო, მორჩენ ამ ტანთცმეულს და შეუდგენ ნიშნობას. დაინიშნა მეწისქვილე, გატეხეს შაქარი და გამართეს ლხინი და წვეულება. მოიმკვდარუნა თავი მელიამ. მეწისქვილემ უთხრა: გაიტანეთ, გადააგდეთო. წამოხტა უცებ მელია, მიადგა მეწისქვილეს და დაუწყო: აი შე, ხრილიჭამიავ, შე მეწისქვილეე, შენაო! — სუ მელავ, სუ და დაგმარხავთ, დაჰპირდა მეწისქვილე. — რაო, მელიავ, რა სთქვიო, ჰკითხავდა ხემწიფე. — არაფერი, შენი ჭირიმე, სიზმარი მეზმანა, კინაღამ გავგიჟდი, ის იყო, სხვა არაფერი. იმ ღამეს ისევ თავი მოიმკვდარუნა მელიამ. შეიტანეს და საქათმეში დამარხეს, წამოდგა მელია, დააჭრა თავები დედლებს, ჩაალაგა შავ მუცელში და მეორე დღეს შეურიგდა ისევ მეწისქვილეს. ეხლა წამოიყვანეს ქალი, წამოიღეს აუარებელი სიმდიდრე, და თან ამალაც გამოიყოლიეს.

ზღვას რომ გავიდენ, მელიამ დააყენა მეწისქვილე და უთხრა: არა, შე უბედურო, ეს ამოდენა ჯარი რომ მიგიდის, სად მიგიდის, წისქვილში უნდა შეჰრეკო?! — მაშ რა ვქნა, მელიავ, მიშველე რამეო! უთხრა, შეეხვეწა მეწისქვილე მელიას. მელიამ უთხრა: ეს ამალა აქ შეაჩერე ცოტა ხანს, და მე ვიცი, რასაც ვიზამო. გაიქცა მაშინვე მელია, ერთ მინდორში უზარმაზარი თივის ძირები იდგა, მოუკიდა ცეცხლი, რო სუ ალი ცაში აადინა, მოირბინა გულგახეთქილივით ჯართან და დაიწყო ყვირილი: ხემწიფის სახლი დაიწვაო! ქალი კიდე წაიყვანეს, გააკეთეს კარგი სახლი და ეხლაც ტკბილადა და მეგობრულად ცხოვრობენ. რასაკვირველია, მელია საქათმის ზედამხედველად არის!!

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავაშენე,
წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით გამიძეხით,
საიქიოს ცხონებითა.

დავალება მესამე

1. ვისთვის მიუმგსავსებია ადამიანს თითოეულ ამ ნაწარმოებში გამოყვანილი ცხოველი და რა თვისებებით დაუჯილდოვებია იგი? რა მიზანი ჰქონდა ადამინს, როცა ასე იქცეოდა?

2. რა მიზეზებმა გამოიწვია ადამიანის ასეთი აზროვნება?

3. როგორი დამოკიდებულება არსებობს ადამიანსა და თითოეულ ამ თქმულებაში გამოყვანილ ცხოველს შორის? როდის დაიწყო ადამიანმა ცხოველების მობინადრება და რატომ?

4. ჩამოთვალეთ: რა და რა საწარმოო იარაღებია ნახსენები ამ ზღაპრებში. მონახეთ ამ ნიმუშებში კერძო საკუთრების არსებობის ნიშნები.

5. ამოიწერეთ ისეთი სიტყვები და გამოთქმანი, რომელიც მოგეწონათ,

6. როგორი წინადადება სჭარბობს ცალკე ნიმუშებში, მარტივი თუ რთული? დაასაბუთეთ თქვენი აზრი[1].

23. ამირანი

(ს. გორგაძის რედაქციით)

იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ბქვენი მწყალობელი!

იყო ერთი მოხუცი მონადირე, სახელად სულ-კალმახი. სახლი ედგა ისეთი უდაბური ტყის მაბლობლად, რომ ხის წვეროები ცას ებჯინებოდენ. შინ ჰყავდა ცოლი დარეჯანი და ორი პატარა ვაჟი — ბადრი და უსუპი. ერთი უფროსი ვაჟი შორეულ ქვეყანაში ჰყავდა გადახვეწილი.

ერთ დღეს სულ-კალმახს ნადირობაში შემოაღამდა. ბინად ერთ მაღალ კლდეს მიაშურა, სადაც გამოქვაბული ეგულებოდა.

[1]. ამ დავალების ესა თუ ის ნაწილი, ან მთლიანად მთელი დავალება, შეიძლება ცალკე ნაწარმოების შესწავლის დროსაც გამოვიყენოთ გზადაგზა — მუშაობის პროცესში შესაფერისი რედაქციით.

ეს წვრილი და მაღალი კლდე კოშკივით იყო ამართული და ზემოთ და ქვემოთ გამოქვაბულები ჰქონდა გამოკვეთილი. ქვემო გამოქვაბულში სულ-კალმახს უწინაც ბევრჯერ შეუფარებია თავი. ახლაც ამას მიაშურა.

ღამე მშვიდობიანად გაათია, მაგრამ განთიადისას რაღაც კივილი შემოესმა: ქალის ხმას ჰგავდა. წამოიჭრა ზეზე, გამოვარდა გარეთ და აშკარად შენიშნა, რომ ხმა ზემოთ გამოქვაბულიდან ჩამოდიოდა. დააპირა ასვლა, მაგრამ გაპოქვაბული ისე მაღლა იყო, რომ თვალიც ძლივსა სწვდებოდა, ასავალი კი არსაიდან ჰქონდა.

დაბრუნდა სახლში. ცოლს უბრძანა: ხვალისთვის საგზალი დამიმზადეო და თვითონ მეზობელთან გასწია, რომელსაც ერთი რკინის ხვედა[1] და ერთი გუდა სატეხე[2] შეუკვეთა. მეორე დღეს აიკიდა საგზალი და გუდა და გასწია კლდისაკენ. მივიდა კლდის ძირში და დაუწყო სატეხეებს კლდეზე მიჭედვა: რამდენ სატეხესაც მიაჭედდა, იმდენ საფეხურს აკეთებდა და სულ ზევით-ზევით მიდიოდა. ბოლოს, როცა სატეხები გამოელია და ხვედა გაუცვდა, — გამოქვაბულსაც მიაღწია. შევიდა შიგ და გაოცებული დარჩა.

გამოქვაბულში ნადირობის ქალღმერთი ქალი იწვა. ტანთ არაფერი ეცვა და მზესავით ნათელ სახეს ოქროს მოკლე თმები უმშვენებდა: ეტყობოდა, თმები დაპრილი ჰქონდა, რადგან ისეთივე ოქროს გრძელი ნაწნავები იქვე ეყარა. ქალი საშინლად კიოდა და აქეთ-იქით აწყდებოდა. მოხუცი მონადირე რომ დაინახა, თვალები გაუბრწყინდა და კივილი შესწყვიტა. მონადირე მოწიწებით მიუახლოვდა, თაყვანი სცა და ჰკითხა: ხომ არაფერს მიბრძანებო?

ქალმა თავი დაუქნია და ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებით შემდეგი უამბო: ჩემი საყვარელი ბინა ეს გამოქვაბულია, ჩემი საყვარელი სანადირო ეს ტყეა; მთელი ჩემი ღონე ჩემს ქალწულობაში და ამ ოქროს ნაწნავებში იყო, მაგრამ ეხლა აღარც ერთი აღარა მაქვს და ჩემი აღსასრულიც მოახლოვებულიაო. ერთ ღამეს, ღრმა ძილში რომ ვიყავი, აქ ვიღაც მონადირე შემოპარულიყო, ოქროს ნაწნავები ჩემი ოქროს მაკრატელით წაეჭრა და გვერდში მომწოლოდა; რომ გამომეღვიძა, წინააღმდეგობა ვეღარ შევძელი და შემაცდინაო. ახლა ჩემი სათხოვარი ეს არის: რადგან სიკვდილი არ ამცდება, ამ ცოდვის შვილს მაინც ნუღარ ჩამატან საფლავში; აიღე ჩემი ჯაყვა[3], გამეერი მუცელზე და ბავშვი გამოიღეო; თუ ვაჟი იყოს ამირანი დაარქვი, თუ ქალი იყოს რაც გინდა ის დაარქვიო. ჩემი შვილი გმირი გამოვა. მას რომ მუცელში დრომდე დასცლოდა, ისეთი იქნებოდა, თვით ღმერთს შეებმოდა. ახლა კი ნაკლები იქნებაო. როცა მუცლიდან გამოიღო, სამს თვეს დეკეულის[4] ფაშვში შეინახე და.შემდეგ კიდევ სამ თვეს—კუროს[5] ფაშვში, რომ, რაც დედის მუცელში დააკლდა, ის შეივსოს და გამოიშუშოსო.

---

[1] ხვედა—ურო, დიდი ჩაქუჩი.

[2] სატეხე—სადურგლო იარაღი რკინისა.

[3] ჯაყვა — ჯიბის დანა, მოსაკეცი დანა.

[4] დეკეული წლის ფური, წლის ძროხა.

[5] კურო — კურატი, დაუკოდავი ხარი.

შეწუხდა მონადირე, გაპრაზე უარი სთქვა, მაგრამ ქალი არ მოეშვა და ძალაუნებურად უნდა დათანხმებულიყო: გაუპრა ხელების კანკალით მუცელი და იქიდან მზის მსგავსი ვაჟი გამოვარდა. აიხუტა ბავშვი გულზე მონადირემ, დაუყვა რკინის საფეხურებს და დაბრუნდა სახლში. ცოლის დახმარებით, იქ სუყველაფერი ისე შეასრულა, როგორც ქალისაგან ჰქონდა დაბარებული. ბავშვი საოცარი სისწრაფით იზრდებოდა: ერთი დღისა— ერთი კვირისას ჰგავდა, ერთი კვირისა — ერთი თვისას და ერთი თვისა, ერთი წლისას. დარეჯანს ისე შეუყვარდა პატარა ამირანი, რომ თავის შვილებს ერჩივნა და, ამიტომ ამირანს „დარეჯანის შვილს“ ეძახდენ.

რადგან სულ-კალმახი ხანში შესული იყო და დღე-დღეზე სიკვდილს ჰოელოდა, გადასწყვიტა ამირანი მდიდარ კაცისათვის მოენათლებინა. „როცა მოვკვდები, ამირანს ნათლია წაიყვანს და გაზრდისო“. მართლაც, დაპატიჟეს ნათლიად მდიდარი კაცი, მაგრამ ნათლობის დღეს სულ-კალმახის სახლში გლახად ჩაცმულმა ქრისტე-ღმერთმა ჩამოიარა და სთხოვა მასპინძელს: ამირანი მე მომანათლინეთო. სულ-კალმახმა უარი ვეღარ უთხრა და მოანათვლინა. ქრისტე ღმერთმა ამირანს დაანათლა: გაქანებულის ზვავის სიმარდე, თორმეტუღელი ხარ-კამეჩის ღონე და მგლის მუხლი, ბალღობით სისაწყლე და სიბეჩავე, ვაჟკაცობაში ომი და ჭირსახდელი.

დიდხანს არ გაუვლია, მოკვდა სულ-კალმახი; მალე დარეჯანიც თან მიჰყვა. დარჩენ ობლები მარტოდ-მარტო. ამით ისარგებლეს სულ-კალმახის ძველმა მტრებმა -- დევებმა, დაეცენ ობლების სახლ-კარს და სულ ცეცხლის ალი ააღინეს, ააოხრეს და გადაბუგეს. დევების დაშინებული ძმები გადაიკარგნენ, სადღაც ჩაბალხეთში ჩაიხვეწნენ და დღედაღამე ცის ქვეშ ეყარნენ, კერა-ნაცარი ენატრებოდათ.

ბადრი, უსუპი, ამირან ობლები დავიყარენით;
დევების დაშინებულნი ჩაბალხეთს ჩავიყარენით;
ღველფ[1] არ გვინახავს, კერაი, საჩალეს მოვიზარდენით.

II

გავიდა ხანი. დაიზარდენ ობლები. დავაჟკაცდა ამირანი და ისეთი ღონიერი გახდა, რომ მიწას უმძიმდა მისი ტარება. საოცარი სმა-ჭამა იცოდა. თვალები საცრის ოდენა ედგა და ერთი კბილი ოქროსი ჰქონდა. უსუპი და ბადრი მშვენიერები იყვნენ.

ცოტა[2] კაცია ამირან, ცოტა სმა-ჭამა ეყოფა:
სადილად ბოლა კამეჩი, ვახშმად არც სამი ეყოფა.
ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა, საქმარედ გამზადებულსა,
უსუპი ბროლის ციხესა, თავ-ბოლო გამაგრებულსა,
ამირან — შავსა ლრუბელსა, საავდროდ დამზადებულსა.

---

[1] ღველფი — ნაღვერდალი, ცხელი ნაცარი.
[2] ცოტა — პატარა.

ერთხელ ამირანი და მისი ძმები სანადიროდ გავიდენ. ერთ ირემს დაედევნენ და ერთ მიყრუებულ მთაში „ბროლის კოშკს“ წაადგნენ. შიგ ბადრისა და უსუპის ძმისწული გმირი ცამცუმი ესვენა და თავზე ცოლი და დედა დასტიროდენ.

სანადიროდ წამოვიდენ ამირან და ძმანი მისნი.
გადიარეს ცხრანი მთანი, მეათენი ალგეთისნი[1].
მინდორს კვალნი გაუკვლიეს დანაკლიკნი[2] ეშმაკისნი.
მთას ირემი წამოუხტათ, ოქრო იყო რქანი მისნი.
უცხო მთაზე კოშკი ნახეს, ანაგები ბროლის ქვისი.
გაუარეს გარეგურგველად[3], ვერ იპოვნეს კარი მისი.
სადაც რო მზემ პირი მოჰკრა, ამირანმა მუხლი მგლისი,—
კოშკმა პირი იქ გააღო, იქ შეიბა კარი მისი.
კოშკში ლომი[4] წოლილიყო, გამძრეე არვინ იყო მისი.
იმას თავით რაში[5] ება, ტოტით მიწას სთხრიდა ისი;
მარცხნივ რომ შუბი ეყუდა, წვერი ცასა ხევდა მისი;
მარჯვნივ ედო თავის ხმალი, პირი ჰქონდა ალმასისი;
ერთ კუთხეში ოქრო-ვერცხლი, ნაგროვები ცამცუმისი[6].
გვერდით ეჯდა თავის დედა, ცრემლად დასტიროდა შვილსა,
თავით ერთი ქალი ეჯდა, ზღვას ერევა ცრემლი მისი,
თითებსა და თითებს შუა წიგნი ჰქონდა ქაღალდისი.
წაიკითხეს, შიგ ეწერა: „ძმისწულივარ უსუპისი.
სანამ ვიყავ, მტერი ვმუსრე, არ შევჭამე ჯავრი სხვისი.
მოვკვდი, მხოლოდ ჯავრი გამყვა, ერთი დევი ბაყბაყისა.
ვინაც მოჰკლავს ბაყბაყანსა, ჩემი შუბი ალალ[7] მისი;
ვინც მახარობლად მოვიდა, ჩემი ხმალიც ალალ მისი;
ვინც დედ-მამას დამიმარხავს, ჩემი ფული ალალ მისი;
ვინც რომ დებსა გამითხოვებს, ოქრო-ვერცხლი ალალ მისი;
ვინც მე მომიელის, დამმარხავს, ცოლიც, რაშიც ალალ მისი!

ეს რომ ძმებმა წაიკითხეს, სახეზე მწუხარება დაეტყოთ, რადგანაც ცამცუმი მათი ნათესავი გამოდგა. ამირანმა ურჩია: აქ რაღას ვდგევართ? იმ ბაყბაყ-დევს ხომ მოვკლავთ და მოვკლავთ!.. მიცვალებული, როგორც წესია, დავმარხოთ, ავიღოთ ბარემ ეს ფულები, ქალი და რაში წავიყვანოთ და წავიდეთო; ანდერძიც ხომ ასეაო. ძმებმა დაუშალეს: სირცხვილია, ვინ რას იტყვისო!

---

[1] ალგეთის მთები — ქართლშია, თბილისის სამხრეთით.

[2] დანაკლიკი — ნაფეხური.

[3] გარეგურგველად — გარშემო, ირგვლივ.

[4] ლომი — აქ გმირს ნიშნავს (იგულისხმება ცამცუმი).

[5] რაში — მერანი, ზღაპრული ცხენი.

[6] ცამცუმი — იმ მიცვალებულის სახელია; როგორც ქვემოთ სჩანს, ცამცუმი ბადრის და უსუპის ძმისწული ყოფილა.

[7] ალალი — სამართლიანი, კანონიერი, სიმართლით მოპოებული და შესარგო.

ნუ, ამირან, ძმათა მხესა, ნურა ვინდა ნურავისი,
თორემ გმირნი დაგძრახავენ: მკვდარი გაუცარცავს სხვისი.

მკვდარს მოუარეს, დაბარხეს, კოშკის კარი გამოხურეს და წავიდენ, ბაუბაყ-დევის საძებნელად. მარილაც, გზაზე ბაყბაყ-დევი შემოხვდათ: გაეგო ცამცუმი მომკვდარაო და შესაჭმელად მოდიოდა. ამირანმა შეუტია:

— სად მიდიხარ, შე აყროლებულო, საითკენ მიეჩქარებიო?

— უსუპის ძმისწული, ცამცუმი მომკვდარა და იმისი მძოვრის საჭმელად მივალ! — უპასუხა.

ამირან, დევი-ბაყბაყი ჩასაუბრობენ მტრულადა,
ხმალზე ხელი აქვს ამირანს, ცხარე ომი აქვს გულადა.

— შენ ქრისტიან კაცს არავინ შეგაჭმევსო,—უთხრა ამირანმა: ტყუილად მიხვალ და მიეხეტებიო!

— მაშ შენ დამიჭერ გზასო?! უპასუხა დევმა დაცინვით და ეძგერნენ ერთმანეთს.

ამირან, დევი შეიბნენ, მიწას გაჰქონდა გრიალი;
ამირანმა დევი დასცა, ადგილი შეხვდა ქვიანი,
დასცა და მხარი მოსტეხა, დაწყებინა ღრიალი.
დევი შეშინდა და შეეხვეწა:

ნუ მომკლავ, დარეჯანის ძევ, ხელი გაფიცო ხმლიანი,
მანდილი[1] დედიშენისა, თაკლია[2] ოქროიანი;
ზღვას გაღმა ქალი გასწავლო, სახელად ყამარ ჰქვიანი;
საყამაროსა კაბასა შვიდი დღე უნდა მზიანი;
შვიდკვირეული საპონი, შვიდმეტი კოკა წყლიანი;
წასვლა ადვილი იქნება, მოსვლა გახდება გვიანი;
მოყვარული ხარ ომისა, გზა იქ გექნება მტრიანი.
თან შიკრიკს[3] გამოგაყოლებ, ვაჟია ღალატიანი!

ამირანს უნდოდა დევი ცოცხალი გაეშვა, მაგრამ ძმებმა უთხრეს: „თუ არ მოჰკლავ, ცუდ საქმეს გიზამს; დევი არ დაიზავებაო[4]“.

ბაყბაყ-დევი სამთავა იყო. ამირანმა უსმინა ძმებს: ორი თავი მოსჭრა, და მესამესაც რომ დაუწყო ჭრა, ბაყბაყ-დევმა სთხოვა:

— ხომ მკლავ და მკლავ, ეს მაინც ამისრულე: ჩემი თავებიდგან სამი ჭია ამოძვრება და იმათ ნუ დახოცავო.

მოსჭრა ამირანმა მესამე თავიც. ბაყბაყ-დევის თავებიდგან მართლა სამი ჭია ამოძვრა. უსუპმა უთხრა ამირანს:

— რაკი ერთი ჭირი მოიშორე თავიდან, ბარემ მეორეც თან ააყოლე: ეგ ჭიები სასიკეთოდ არ ამოძვრნენ დევის თავებიდგან, ეგენიც დახოცეო?

[1] მანდილი—თავშალი, წამოსასხამი შალი.

[2] თაკლა—ამ სიტყვის მნიშვნელობა კარგად არ ვიცით: შეიძლება თაკლა თავის სამკაული იყოს.

[3] შიკრიკი ჩქარამავალი მეამბე.

[4] დაზავება—შერიგება.

— რას ამბობო, უპასუხა ამირანმა: დევმა რა მიყო, ჭიები რას მიზამენო? ჭამამ რა მიყო, ლოკვამ რა მიყოსო? ერთი თხოვნა ხომ შენ აგისრულე, ეს ერთიც დევისათვის ამისრულებია. არ დახოცა ჭიები, გაანება თავი.

რაკი ბაყბაყ-დევი მოიშორეს, ამირანმა უთხრა ბაყბაყის მოცემულ შიკრიკს: აბა, შიკრიკო, გვასწავლე გზა ყამარისკენ სავალიო. გაჩქარდი, ფეხი ააჩქარეო.

გაუძღვათ წინ შიკრიკი და გასწიეს.

III

ბევრი დღე და ღამე იარეს, მაგრამ გზას დასასრული აღარ უჩნდა. შიკრიკი ერთ გზაზე რომ გაატარებდა ძმებსა, სხვა გზით დააბრუნებდა და იმაზედვე წაიყვანდა. უნდოდა მათთვის გზა აერია და დაეხოცა. უსუპმა შეატყო შიკრიკს ღალატი და გავლისას ერთ კუნძს ისარი დაჰკრა, მართლაც მეორე დღეს შიკრიკმა ძმები იმავე გზაზე გამოატარა. უსუპმა თავისი ისარი იცნო, აემღვრა სისხლი, გაუშვირა ხელი ამირანს კუნძისაკენ და უთხრა:

ვერ გაგიგია, ამირან, არგამარჯვების ნიშანი?

მესამედ იქვე მოვედით, გუშინ რომ დავკარ ისარი!

ამირანი გაჯავრდა და შიკრიკს შეუტია:

შიკრიკო, გზანი გაიხვენ[1], თუ არ ხარ თავის მისანი[2],

თორე აგიღე, გაგთალე, რო საკიდობნე ფიცარი[3]!

გაუძღვა შიკრიკი ძმებს და გაიყვანა ერთს ტრიალ მინდორზედ. გაიხედა ამირანმა და დაინახა, რომ ის სამი ჭია, ბაყბაყის თავებიდან რომ ამოცოცდენ, ეშაპებად ქცეულიყვნენ: ერთი თეთრი იყო, ერთი წითელი და ერთი შავი; მიდიოდენ და მიიმღეროდენ.

მინდორში სამნი ჭიანი მიდიან, მიიმღერიან.

თვალს უცემს დარეჯანის ძე: „მაგათთან ომი მწადიან!“

— აბა ძმებო, მეტი ღონე არ არის, მაგ ეშაპებს უნდა შევებათო!, მაგრამ ბადრმა და უსუპმა ძლიერ შორს დაიჭირეს:

— აკი გირჩიეთ და არ დაგვიჯერე!.. ახლა, როგორც გინდოდეს ისე მოიქეცეო:

შენისა ცოლის გულისათვის სულ ძმები დავილიენითო.

მაშინ ამირანი თავის აბჯარს მიუბრუნდა და უთხრა:

ჩემო ხმალო და აბჯარო, საძალედ მომეშველენითო!

და დაუწყო ეშაპებს სასტიკი ომი. მოჰკლა თეთრი, მოჰკლა წითელიც და

შავსა შეება მაშვრალი[4]

მაგრამ შავმა ეშაპმა ჩაყლაპა დაღალული და თავის დედას (ზღვას) მიაშურა:

შავმა აიღო ჩაყლაპა, შავის ზღვისაკენ გასწია.

---

[1] გააღე.

[2] მისანი—გრძნეული, გულთვისანი.

[3] „რო საკიდობნე ფიცარი“—როგორც კიდობნის ფიცარი.

[4] მაშვრალი—დაღლილი.

ეს რო ძმებმა დაინახეს, გული მოუბრუნდათ ამირანზე და გამოუდგ-ნენ შავ ვეშაპს. უსუპმა სტყორცნა ისარი და ცხრა ადლი კუდი მო-სწყიტა. ვეშაპს ერთი რკინის ბოძი ჰქონდა; როცა ვისმე ჩაჰყლაპავდა, მივიდოდა, ამ ბოძს შემოეხვეოდა, დაამტვრევდა და მოინელებდა. ახ-ლაც ამ ბოძს მიაშურა, შემოეხვია, მაგრამ კუდი პირში აღარ მოსწვდა, რადგან მოწყვეტილი ჰქონდა,—და გადარჩა ამირანი დამტვრევას.

ვეშაპმა დედას შესჩივლა: მუცელსა მგვრემს, თითქოს ცეცხლი მე კიდებაო.

— ვაიმე, შვილო, თუ დარეჯანიანი ჩაჰყლაპე ვინმე, იმათ კაცს შენ ვერ მოინელებო! რა კაცი იყო, რა ფერი ჰქონდაო?

— საცერივით თვალები ჰქონდა და ერთი ოქროს კბილი ედგაო.

— ამირანი ყოფილა, შვილო, დარეჯანის ძე, და შენი შველა აღარ ეგებაო.

მართლაც, ამირანს ჩექმის ყელში ალმასის დანა ედო; ამოიღო, გამოსჭრა ვეშაპს მუცელი და გამოვიდა.

ძმები ისევ წავიდენ ყამარ-ქალის საძებრად. ათასი თავგადასავალი გადახდათ. ათასგან იომეს და ჰლვარეს სისხლი. ბოლოს მიადგენ ცხრა ძმა დევის კარს. ეს დევები ძალიან გახვიებულები[1] იყვნენ: ერთი უზარ-მაზარი ოჯახი ჰქონდათ, უთვალავი ქალი და რძალი ჰყავდათ, ბალღები და მოხუცებულები. მუდამ დღე აუღებელი სუფრა ედგათ, არცა მუშაობ-დენ და სულ უქმად ეყარნენ. ამირანი მივიდა დევების კარზე; გაი-ვლის და გამოივლის და უყურებს დევების კარებს. ერთმა ქალმა დაინა-ხა ამირანი, შეეიდა და უთხრა დევებს: აქ ვიღაც კაცი მოსულა, კარებ-ზე დასეირნობს და აინუნშიაც არ იგდებს, რომ აქა ხართო. დევებმა სთქვეს: ის თუ იქნება, დარეჯანის ძე იქნება, სხვა აქ არავინ მოვიდო-დაო. გამოგზავნეს ერთი ქალი და უთხრეს: გადი, გაუარ-გამოუარე, გაუცინე და ეგები, იმანაც გაგიცინოსო; თუ ოქროს კბილი გამოუჩნდა, შემოდი, შეგვატყობინე: თავდარიგი უნდა დავიჭიროთო, თორემ დარეჯა-ნის ძე ადვილი სასტუმრო არ არისო. გამოვიდა დევის ქალი გაუვლის და გამოუვლის ამირანს, გაუვლის და გაუცინებს. ამირანმა უთხრა:

რას იცინი, დევის ქალო, რას მიელვი თეთრსა კბილსა?
გამივლი და გამომივლი, გამისინჯავ ბაგე-კბილსა!
სომეხი ვარ, ტანტრე მქვიან, დავკარგე და ვეძებ ვირსა;
დღეს დავკარგავ, ხვალ ვიპოვნი, ჩემი ბედიც ასე სჭრისა!

ქალი შინ შეეიდა და მოახსენა დევებს: ოქროს კბილი და საცრის ოდენი თვალები აქვს იმ კაცს, ვირები დაუკარგავს და დაეძებსო.

სანამ ქალი ლაპარაკს გაათავებდა და დევები იარაღს აისხამდენ, ამირანი შეუვარდება დევებს და წაიკაფიავებს[2].

---

[1] გახვიებული—გაზრდილი, გამრავლებული.
[2] კაფია—შაირი; წაიკაფიავებს—შაირს იტყვის.

ვაჟიკაცო გულოვანო, ღვინის ფერო, მცინარეო!
ხმლის სიმოკლე რას დაგიშლის, ფეხი წადეი წინარეო!

დაერია დევებს თავისი მოკლე ხმლით და სულ ერთიან ამოჟლიტა. დევების სისხლით სახლი თავამდე აივსო. სისხლის გუბე ყელამდე მოადგა ამირანს, შეიკრა, შეკუთდა და დააღრჩობდა კიდეც, რომ ბედისაგან გაწირული ყოფილიყო. ბედად სისხლში ერთი დაჭრილი დევი ფართხალობდა ამირანის ახლოს. ამირანი დასწვდა დევს, ესროლა სახლის კარებს და გაამტვრია. სისხლმა ერთი დაიტეტა, დაიგრიალა და ბურთივით გავარდა კარში. რაკი სისხლი მოშორდა, ამირანმა მხრები გაიწია, გაიბერტყა და თავისუფლად ამოისუნთქა. გაწმინდეს ძმებმა სახლი, მიალაგ-მოალაგეს, მოაწყვეს და დაიწყეს შიგ ცხოვრება.

IV

მაგრამ ამირანს დიდხანს არ დაუდგა გული სახლში: ცხადადაც და სიძმარშიც თავისი ყამარი აგონდებოდა. ბადრს თეთრონი სთხოვა: უნდა მათხოვო შენი თეთრონი, ყამარის წამოსაყვანად მივდიეარ და, თუ იმოდენა სიკეთეს მიზამთ, თქვენც წამოხვალთ, ეგ ხომ ყველაფერს ემჯობინებაო:

ბადრო, მათხოვე თეთრონი. ზღვაში გავიდე ნგრევითა,
გავიდე, გამოვიყვანო, ქალია თეთრი მზე ვითა,
თან ყურძენ გამოვაყოლო, ტკბილია დედის რძე ვითა!

ათხოვა ბადრმა თეთრონი, ძმებიც გაჰყვნენ და წავიდენ ყამარის მოსაყვანად.

ამირანმა ძმები ზღვის გამოლმა დასტოვა, თვითონ კი თეთრონზე შეჯდა და შევიდა ზღვაში. გააპო ზღვა, გავიდა გალმა და გააშურა ცხენი ყამარისაკენ. ყამარს დედ-მამა ცაში ჰყავდა და მისი კოშკიც ცაზე იყო ჯაჭვით ჩამოკიდებული. ამირანმა ჰკრა დეზი თავის ცხენს, შეახტუნა მაღლა, მისწვდა ჯაჭვს თავისი ხმლით, გასწყვიტა და კოშკი მიწაზე ჩამოვარდა. მიაგდო ამირანმა ცხენი ფანჯარა[1]თან და შესძახა:

— ჩამოდი, ყამარო, ჩვენსა წავიდეთო!.

ყამარი ჯამ-ეურეელს რეცხდა და არ ეცალა. ჩამოსძახა: ამოდი, ცოტა შეისვენე, მეც ჯამ-ეურეელს დავრეცხ და მერე წავიდეთო..

ამირანმა დააბა რაში ძირს და თვითონ ყამაროან წავიდა. ყამარმა დარეცხა ჯამები და ამირანს უთხრა: შენ-კი დააწყეო, ფრთხილად დაალაგე, არაფერი გასტეხოო.

აწყობს ამირანი ჯამებს და ერთი ჯამი, რამდენჯერაც ამირანი პირქვე დასდგამს, იმდენჯერ გადმობრუნდება გულალმა. გაბრაზდა ამირანი, დასცა წიხლი ურჩს ჯამს და დაამსხვრია. გატყდა თუ არა ჯამი, მთელმა მთელს უთხრა, ნატეხმა ნატეხს, დადგა ერთი ერიამული და ხმაურობა. აიშალა ეურეელი და სულ ერთიან გასწია ცისაკენ, ყამარის მამისაკენ: ყამარი მოიტაცეს, მიეშველენით, დაგვეკარგა, მდევარიო!

[1] თეთრონი—ცხენის სახელია.

ყამარმა უთხრა ამირანს: ის ჭურჭელი ჩვენ კარგს არ დაგვაყრის: მამაჩემი გამოგვიდგება და ადვილად ვერ გადაურჩებით, თუ ჩქარა არ წაეედითო. შემოისვა თეთრონზე ყამარი ამირანმა და გაქუსლა.

ცოტა გზა რომ გაიარეს, საშინელი ქარი ამოვარდა, გრიგალი ასტყდა. ამირანმა აიხედა მაღლა და სთქვა: ამ ცაში კი არაფერი ნიშნებია და ამ მიწის პირზე რაღა ამბავიაო. კარგა გზა გაიარეს და დაუშვა წვიმამაც. ამირანმა კიდევ აიხედა ცაში და სთქვა: დიდება შენთვის, ღმერთო! წელან ცა ვათვალიერე, საავდრო ჰაერი არ იყო და ეხლა საით მოვიდა წვიმაო!

— ეგ ქარი მამიჩემის ლაშქრის ფეხის მტვერიაო, — უპასუხა ყამარმა: ეს წვიმა კიდევ დედიჩემის ცრემლია, ჩემს დაკარგვასა სჩივიანო. აჩქარდი, ამირანო, აჩქარდი! დააჩქარა ყამარმა:

ამირან, გვალე-გვალესა,[1] მუხლად გაქებენ მალესა,
ამბრნი, უმბრნი და არაბნი ცხენს შესხდებიან ჩქარესა,
მალადვე მოგეწევიან, ომს გაგიწევენ ცხარესა!

ამირანმა შეაგულიანა ყამარი: ამოდ იარეო!

ამოდ იარე, ყამარო, გზათა ვერ დაჰლევ ბრძოლითა.
არცა ვარ ტყისა ხოხობი, მომინადირონ ქორითა;
არცა ვარ ქალის კურდღელი, რომ დამიჭირონ მწევრითა;
არცა ვარ ხისა ფურცელი, გადამიტანონ ქარითა;
მოვლენ და მეც აქ დაეხვდები ამ ჩემის გორდა[2] ხმალითა;
უსუპითა და ბადრითა, მესამით ამირანითა;
სუყველას თავებს დაგიჭრი საპურყველია დანითა;
იმ მამიშენის ლაშქარსა, გაუმაძღარსა ღომითა,
მარტო გავუხდი[3] ჩხუბადა, მარტო ვეყოფი ომითა!

გამოვიდა ამირანი ზღვას, გამოიყვანა ყამარიც. მოდგა და მოდგა მდევარი ჯარიც ყამარის მამისა ხომალდებით. გაიესო ზღვის მიდამო.

ბადრს უთხრა ამირანმა: შეკაზმე, ძმაო, შენი თეთრონი, შეჯე, ჩადი და აბა, რამდენი ხანი დაგელევა ლაშქრის შამოვლაშიო. ბადრის თეთრონი ისეთი იყო, რომ ერთის წლის საავალს ერთს საათში გაირბენდა; ზღვა და ხმელი იმისთვის ერთი იყო. ადგა ბადრი, შეკაზმა თავის თეთრონი, შეჯდა და ჩავიდა. დაარჭო ერთს ადგილს ისარი, რომ იქვე მოსულიყო, საითაც წინა-წინ გააქცია ცხენი. ჩაარჭო ისარი, გააქცია ცხენიც, მაგრამ ეშმაკებმა მოგლიჯეს ისარი და უკან გამოუდგნენ ბადრს (ყამარის მამის ლაშქარი სულ ქაჯებისა და ეშმაკებისაგან იყო შემდგარი). არბენინა ბადრმა დიდხანს თავისი თეთრონი, მაგრამ ისართან მაინც ვერ მივიდა. ბოლოს დაბრუნდა ამირანთან და უთხრა: ტყუილად ვირბინეო!

---

[1] გვალე—იარე!
[2] გორდა—მოკლე.
[3] გავუხტები—მივუხტები.

ცხრა დღე მივლია, ცხრა ღამე, გარსა ვერ მამირბენია,
ამ ჩემი თეთრონისთვინა ოფლი არ შემიშრენია,[1]
ამ ჩემი მათრახისთვისა ფოჩი არ შემირჩენია!

მერე შეჯდა ამირანი და ჩავიდა ჯარის დასათვალიერებლად. დაარჭო ისარი და გააფრინა თეთრონი. მოცვივდენ ეშმაკები, დაებღაუჭნენ დარეჯანის ძის დასმულს ისარს, მაგრამ ვერ ამოაძრეს. შემოურბინა ამირანმა ლაშქარს ერთს წამიერა ხანს და მოვიდა ძმებთან. უსუპს უთხრა: ჩადი, უსუპო, იომე, მერე ჩვენც მოგეშველებითო!

ჩავიდა ვაჟი უსუპი, ჩავიდა სახელიანი, ჩავიდა და ჩაზომა სალაშქრო გზები, შეუტია ჯარს, იომა, იბრძოლა, გაანახევრა ჯარი, მაგრამ თითონაც იქ დადვა ვაჟკაცურად თავი. მოჰკლეს უსუპი, ამირანს გულმა გაუგო, უსუპის თავს ჰირიაო და ბადრს უთხრა:

ან ჩადი, ბადრო, ან ჩავალ, ან გამილესე ხმალია;
ჩავალ და ვეღარც ამოვალ, ვაიმე შენი ბრალია!

ამირანის წესი იყო: სადაც ომში ჩავიდოდა, ან გაიმარჯვებდა და ან მოკვდებოდა: სირცხვილიანის შინ მისელას, სივდილი სჯობს სახელოვანიო,—იტყოდა ხოლმე ამირანი.

შეჯდა ახლა ბადრი და ჩავიდა ძირს სისხლის საძებრად. იომა ბადრმაც, მაგრამ მოჰკლეს ისიც. მაშინ ყამარმა უთხრა ამირანს: შენი აბჯარი მე მომეც, მე ჩავალ საომრადაო. — რას ამბობო, გაუჯავრდა ამირანი: დედაკაცებს თავის საქმე ნუ გავიწყდებათ! რა შენი საქმეა ხმალი? ხმალიანი მე ვარ, მე ჩავალო. ეგ რა ნამუსია, ან სახელი ჩემთვის, რომ შენ იომო და მე აქით გიცქეროდეო!

მაშ, თუ ჩახვალო, უთხრა ყამარმა: არ დაიშალო, ეს მაინც ამისრულეო: ომშით[2] რო გამოდიოდე, ხმალს ნუ ჩააგებ, ჩემთან ხმლიანი ამოდიო. ჩავიდა ამირანი საომრად, გაუსვა და გამოუსვა სიმამრის ლაშქარს, სჭრა ცხვრებსავით თავები, გასწყვიტა მთელი ლაშქარი და შეხვდა ბოლოს პირისპირ სიმამრს. შეუტიეს ერთმანეთს ამირანმა და ყამარის მამამ. სცეს ერთურთს ხმალი, ფარი უფარეს. ორივეს ბექთრები[3] ეცვა: ვერცს ერთის ხმალი ვერა სჭრიდა ჯაჭვს. ამირანის ხმალი ყამარის მამის მუზარადს რომ მოხვდებოდა, ნაპერწკლის ცეცხლი ენთებოდა: ყამარის მამის ხმალი ამირანის ბექთარს რომ მოხვდებოდა, ჯაჭვი გველივით წიოდა. უცქეროდა ყამარიც დიდხანს ამირანისა და მამის უნაყოფობას; ჰხედავდა, რომ ამირანს გაუჭირდებოდა და უჭირდა კიდეც ქაჯთ ბატონის მოკვლა; შეუშფოთდა გული ყამარს და შეჰგმო ამირანი.

ამირან, ცოლ-დედა მკვდარო, ომი ვერ იცი კილოსა,
მაღლა- კი ნუ სცემ სპილოსა, დაბლა შემოჰკარ რბილოსა:

---

[1] არ შემიშრენია—არ შემიშვრია.

[2] ომშით—ომიდან.

[3] ბექთარი—ჯაჭვის ჩასაცმელი (საომარი)

დააწყდებიან ძარღვები, დაეცემიან ძიროსა:
ბოძნი რო დაეჭრებიან, დარბაზნი დაეცემიან!

გაიგონა ქალის სიტყვები ყამარის მამამ: მამისად ღალატი, ქმრისად მხრისჭერა; გული აემღვრია და დაუძახა ყამარს ყვედრებით:

უყურეთ კახპა ქალასა: ქმარი ირჩია მამასა!
ქმარი ხეს ასხა ფოთლადა, მამას ვინ მისცემს საწყალსა?!
რისთვის გაგზარდა დედამა, რისთვის გეტყოდა ნანასა,
რად გაწოებდა ძუძუსა, გირწებდა აკავანასა[1]!

დედაშენს რო შობამდისვე გასწყალებიყავ მუცელში, ან ძაღლი ეშობა და გაეზარდა შენს მაგიერ, ისა სჯობდა შენს გაჩენასა და შენს გაზდას, ის უფრო ნამუსი და სახელი იქნებოდა, ძაღლი უფრო ერთგული იქნებოდაო!

ყამარმა უპასუხა:

არცრა გამზარდა დედამა, არცრას მეტყოდა ნანასა;
მიმაგდის სახლის ყურეში, თაგვების ანაბარასა...
არცარას მათირებდოდით[2], არცრას მეტყოდით ნანასა,
დამსოდით დავიწყებული, მაღირებდოდით დანასა!

მაგას გაზდას ეძახით, რომ ერთხელაც არ მიბრუნებდით თავს, ტირილით რომ მოვკვდარვიყავიო?

ამირანმა გაიგონა ცოლის სიტყვები, შემოჰკრა ქაჯთ ბატონს ფეხებში ხმალი და დასჭრა. მოჰკლა სიმამრი, გასწყვიტა იმის ლაშქარი და გამარჯვებული და გახარებული მიდიოდა ყამართან. წინ ერთი ქალი შეხვდა. ნახა ხმალამოღებული ამირანი და უთხრა:

ნეტა ხმლიანი სად მიხვალ, ამირან თარაქამაო[3]?
გასწყვიტე ცოლეურები, ვინ გითხრა ბარაქალაო?

შენ თუ კაცი იყო, ხმალს ჩააგდებდი და წახვიდოდი ძმების საძებნელადო.

მოაგონდა უსუპის სიტყვა ამირანს: შენი ცოლის გულისთვის სუ ძმები დავილიენითო. დაავიწყდა ყამარიც, თავის თავიც და გამარჯვებაც. იმის გულში მარტო ძმების საგონარს ჰქონდა ადგილი: მაშ, თქვენი ცოდვის მზიდველი ვიყო, თუ არ გიპოვნოთ, მკვდრები იქნებით, თუ ცოცხლებიო,— გაივლო გულში ამირანმა: ცოცხლები იქნებით, მეც თქვენთან გავიხარებ, მკვდრები და მეც თქვენთან გავითხრი სამარეს და თქვენთან მოვკვდებიო. ესა სთქვა ამირანმა და გავიდა მკვდრებით მოფენილს ველზე ძმების საძებნელად. თვალგადუწვდენელი მინდორი დახოცილი ლეშით იყო შერთული და შეფარული. ყვავი და ყორანი ხარობდა მტრების მძორზედ. ცალკე ნადირნი ხარობდენ უპატრონო მკვდრებზედ და ცალკე ცის ფრინველნი.

---

[1] აკავანი—აკვანი.

[2] თირება—პირში ჩადება (მაგალითად, ძუძუსი)

[3] თარაქამა—მდაბიო ხალხი, თურქმენი (ზორბა ტანის ხალხია).

სისხლი რუებად მიდიოდა. ეძებდა ამირანი თავის დახოცილ ძმებს მკვდართა შორის, მაგრამ იმოდენა დუნიას[1] მკვდრებში ეგრე ადვილად როგორ იპოვნიდა? ბოლოს, როგორც იყო, იპოვნა მკვდარი უსუპი, აიღო ხელში ამირანმა და წავიდა ეხლა ბადრის საძებნელად. დიდის ძებნის შემდეგ იპოვნა ბადრიც, ისიც მკვდარი. დააწყო ერთად მკვდარი ძმები ამირანმა, დაჯდა თითონაც იმათთან და ერთხელ კიდევ ჩასძახა მკვდარს ძმებს: ძმებო, ნუ დამემდურებით, მეც თქვენთან წამოვალო! — და დაიცა გულში თავის მოკლე ხმალი: უნდოდა იმათთან ერთად სიკვდილი, მაგრამ ხმალმა არ გასჭრა: ამირანი არ მოკვდებოდა, თუ ნეკა-თითს არ მოიჭრიდა. დაჯდა ამირანი მკვდარ ძმებთან და დაიწყო ტირილი: სიკვდილიც აღარ მეღირსა თქვენთანო; ღმერთი სიკვდილსაც-კი იშურებს ჩემთვისაო.

ზის ამირანი და გარს ორად ნაკაფი ქაჯები ჰყრია. წამოიწევს ერთი მკვდარი ქაჯი და გადასძახებს მეორე მკვდარს ქაჯს: ადე! ადე! რა მოვიხლე: ამირანს თავის მოკვლა უნდოდა, ხმალი დაიცა გულში, მაგრამ არ მოკვდაო. იმან რომ ნეკა-თითი მოიჭრას, მეტიც არ უნდაო! გაათავა ეს სიტყვები მკვდარმა ქაჯმა, მიდვა თავი და ისევ მიწვა. დადგა ისევ სიჩუმე და სიკვდილი. გაიგონა ამირანმაც იმათი ლაპარაკი, ამოიღო ხმალი და მოიჭრა ნეკა-თითი. უდინა სისხლმა და მიწვა იგიც ძმებთან.

ყამარო, დამსხენ ძუძუნი, შენც ჩემთან დასთმე თავიო,
ცოცხალსა სიარსამულსა[2] მე გირჩევნივარ მკვდარიო!

ეს სიტყვები კიდევ მოასწრო და მიაბარა სული.

ცხრათა ფრინველთა მხარგრძელთა ალგეთის ჭალა გაექნა;
უძმოსა, უმამისძმოსა ამირანს თავი მაეკლა.

მივარდა ყამარიც ცრემლის შლით, დასტირა და დაჰგლოვა ამირანს, მაგრამ ვინ იყო იმის მეშველი!

ზის და ტირის ყამარი. იმის ცრემლები ზღვას ერთვიან, იმისი ცოდვით ხეებს ფოთლები სცვივა; ამირანი-კი გდია უმეშველო... უცებ გამოძერება ერთი თაგვი და დაუწყებს ამირანის სისხლს ლოკვას. მოუვა გული ყამარს, გაიძრობს ქოშს ფეხიდამ, დაკრავს თავში თაგვს და იქვე მოჰკლავს. თაგვის სიკვდილზე გამოვარდება იმისი დედა და დაუწყებს ჩხუბს და ლანძღვას ყამარს: შე კახპავ, შენა! შენის გულისათვის შენმა მამამ მოიკლა თავი; შენი ქმარ-მაზლები წინ გიწყვია მკვდრები; ამდენი ჯარი გაწყდა და შენ კი არ შეგრცხვა! იქნება ისა გგონია, რომ მეც არ მენანებოდეს ჩემი შვილი, როგორც შენ შენი მამა და ქმარ-მაზლები! ბრალი შენი, შენ რას უზამ მაგდენ მკვდრებს, თორემ მე ჩემს შვილს მალე გავაცოცხლებო! ესა სთქვა თაგვმა, გაიქცა, მიირბინ-მოირბინა, იპოვნა რაღაც ერთი ბალახი, მოიტანა, წაუსვა შვილს, გააცოცხლა და კისერში კინწისცემით გააქანა სოროში. ადგა ყამარიც, მოძებნა იგივე ბალახი, იპოვნა, მოიტანა, წაუსო

---

[1] დუნია—ქვეყანა.

[2] სიარსამული—სიასამური, საამური, ხაზიდი, მტაცებელი ნადირია, რომლის ბეწვიც ძვირად ფასობს.

ამირანს და გააცოცხლა. ადგა ამირანი, მოიფშვნიტა თვალები და სთქვა: ოჰ, რა ბევრი მძინებიაო! — ბევრი მაშინ გეძინებოდაო, — უთხრა ყამარმა, რომ თავვი არ გამოგვჩენიყოვო. მერე მოჰყვა ქალი ყველაფერს და უამბო, რაც საქმე გადახდა. გააცოცხლეს ბადრიც, უსუპიც და ოთხივე წავიდენ სახლში.

ნეტავი ძმათა მრავალთა, ცხარე მზე ამოუხდება[1],
ვერც ვინ წაართომს დიაცსა, ვერცვინ შინ შემოუხდება!..

V

გავიდა კარგა ხანი. ამირანმა ბევრი რამ გადაჰყარა[2], ბევრს დევს დაუბნელა წუთისოფელი. ბევრი გველ-ვეშაპი გამოასალმა ქვეყანას. ამირანს თავის მომრევი არავინ ეგონა ქვეყანაზე. ერთ დროს იქამდის მიიყვანა საქმე, რომ დედამიწაზე მარტო სამი დევი, სამი გარეული ლორი და სამი მუხა დასტოვა. თავის სიცოცხლეში ღმერთსაც ბევრი აწყენინა. მაგრამ უკანასკნელი დანაშაული ყველას აღემატებოდა: გაამაყებულმა ამირანმა სთქვა: ის ჩემი ნათლია, ღონე რო მომცა, ნეტარ ერთი მაჭიდა, მეცადა რა ვაჟკაცია. ერთხელ, ბართლაც, წინ ქრისტე-ღმერთი შეხვდა. ამირანმა უთხრა: ნათლიავ, შენ იმოდენი ღონე მომეცი, რომ ქვეყანაზედ ველარავინ მიწონს, და მოდი, რაც იქნება — იქნება, ერთი მეჭიდეო.

— ამირანო, ფილაფოზი[3] კაცი ხარ და მაგდენი როგორ არ იცი, რო ათლიას არ უნდა ეჭიდოვო? — უთხრა ქრისტე-ღმერთმა.

— არა, უნდა მეჭიდოვო, — დაიჟინა ამირანმა.

— მაშ კარგიო, — უთხრა ქრისტე-ღმერთმა: მე ამ ჯოხს, ხელში რო მიჭერია, დავარჭობ და თუ ამოიღებ, გამარჯვებული იქნებიო.

— კარგიო, უთხრა ამირანმა: მაგრამ ეგ ჯოხი თუნდა ამომიძვრია, თუნდ არაო.

დაარჭო ქრისტე-ღმერთმა ჯოხი. მივიდა ამირანი, დაეჭიდა და ადვილად ამოიღო. დაარჭო მეორედ ჯოხი ქრისტე-ღმერთმა, და ამირანმა კიდევ ამოსწია და ისევ ადვილად ამოიღო.

— ეჰ რას მეთამაშებიო! უთხრა ქრისტე-ღმერთსა: თუ გინდა, მეჭიდე, თუ არა და — თავი დამანებეო.

მაშინ აიღო ქრისტე-ღმერთმა თავისი ჯოხი, დაარჭო და უბრძანა, ისეთი ფესვები გაედგა, რომ მთელ ქვეყანას სარტყელივით შემორტყმოდა. მერე უბრძანა ამირანს: ამოსწიეო!

დაეზიდა ამირანი ჯოხს, მაგრამ ტყუილად, ძვრაც ვერ უყო.

მაშინ დასწყეველა ღმერთმა ამირანი, კავკასიონის ქედზე უზარმაზარი რკინის პალო ჩაასო და ზედ დიდი ჯაჭვით მიაბა. ამირანთან მიაჯაჭვა ღმერთმა ყურშა-ძაღლიც, რომელსაც ბევრი ღვთის საყვარელი ჯიხვი გაე-

---

[1] ამოუდგა.

[2] „ბევრი რამ გადაჰყარა ამირანმა“ — ბევრი რამ გადახდა ამირანს.

[3] ფილოსოფოსი, ბრძენი.

წყვიტა. ეს ყურშა ყორნის ნაშობი იყო და ზურგზე ორი ფრთა ესხა; ამი-ტომაც არა-ნადირი არ გაეცდებოდა, ვერ წაუვიდოდა. ამირანს დღეში ერთი პური და ერთი ჭიქა ღვინო აქვს გაჩენილი, რომელსაც ყოველდღე ყორანი უზიდავს. წლის განმავლობაში ამირანი და ყურშა სჭიმავენ რკინის ჯაჭვს და პალოს ზევ-ზევით სწევენ, იქამდინ მიიყვანენ, რომ ეს-ეს არის ამოძვრება მიწიდანო. მაგრამ ამ დროს ღვთის განგებით ბოლოქანქალა-ჩიტი მოფრინდება და პალოს დააჯდება. ამირანმა იცის, ვინ არის ეს ჩიტი, გულმოსული მოუქნევს რკინის ურაოს, ჩიტი აფრენას მოასრწობს, ურო პალოს მოხვდება და ისევ ძირამდის ჩაარჭობს. ასეა მუდამ წელს. რკინის ჯაჭვი ცვდება, თხელდება უფრო მისგან, რომ ყურშა ძაღლი განიადაგე-ბით ლოკავს და ათხელებს; წელიწადში ერთხელ ჯაჭვიც მიდგება ხოლმე გაწყვეტაზე, მაგრამ ქვეყნის მჭედლები დიდ ხუთშაბათ დღეს გრდემლზე კვერს დაჰკრავენ ხოლმე (ასეთია მათი ადათი) და გასაწყვეტად დამზადე-ბული ამირანის ჯაჭვი ისევ სქელდება; იქვე ახლოს უძევს თავისი მოკლე ხმალი ამირანს, მაგრამ ვეღარცარას ის არგია: ისიც ჟანგის და მიწის შეეშმულია. ასეთ ყოფაში არიან: ამირანი, მისი ერთგული ყურშა და იარა-ღი. „ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ამირანს აეწყვიტოს, თორემ მთელს ქვეყა-ნაზე საშინელებას დაატრიალებდაო", — ამბობს ქართველი კაცი: ყველაზე უწინ მჭედლებს დაერეოჯა და მერე, თვით ღმერთზე გულაყრილი, მთელ ქვეყნიერებასაც დააქცევდაო.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა, მელასა, ჭიქა მეკიდა ყელასა.
მთქმელსა და გამგონებელსა ღმერთი გვწყალობდეს ყველასა.
მთას ურემი ავიტანე, წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით დაგვიძეხით, საიქიოს — ცხონებითა.

საკარჯიშო მეოთხე

1. აწერეთ ამირანის გარეგნობა. ჩამოთვალეთ რა და რა იარაღებს ხმარობს იგი. დაასახელეთ თქმულებაში ნახსენები ლითონები.
2. როგორ დამოკიდებულებაშია ამირანი ბუნებასთან, ავსულებთან და ღმერთთან?
3. ჩამოთვალეთ — რა და რა თვისებები გამოიჩინა მან ცხოვრებაში. რომელია ამ თვისებებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი? რა თვისების-თვის ადიდებს მას ხალხი და რატომ? რა თვისებას აშფოთებს იგი, როდე-საც პალოზეა მიჯაჭული, მაგრამ ღმერთს მაინც არ ნებდება? გამოარკვიეთ თქმულებაში ხალხის წოდებებად დაყოფა.
4. რა მიზანი ამოქმედებს ამირანს?
5. რა მიზანს ემსახურება თქმულება ამირანზე?

24. როსტომიანი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი შესანიშნავი გმირი როსტომი. ერთხელ როსტომს კბილი სტკიოდა, მიწა — მიწად არ ეჩვენებოდა და ცა— ცად; მოავლებდა ხელს კოპლს დევს და ხან აქეთ უკრავდა თავს და ხან

იქით. ჩემზე რა ბიჭობას იჩენ, გმირო როსტომო? მიპოვე ერთი კოპლი და ხან რას მიშვრები და ხან რასაო, — უთხრა კოპლმა დევმა. თუ სახეღი გინდა და თავის გამოჩენა, წადი იმ დაბურულს ხევში, იქ შეგხვდება საფერი და ხმალი იქ იხმარეო. როსტომს შერცხვა, აიღო ლახტი[1] და ხმალი და გასწია ხევისკენ, საითკენაც კოპლმა დევმა გაასწავლა. კარგა გზა გაიარა როსტომმა და მიადგა ერთს კლდეს. ისეთი მაღალი კლდე იყო, რომ თვალი ვერ შესწვდებოდა იმის წვერს. კლდეს ზევით დრო და დრო სისხლი ჩამოსდიოდა. როსტომმა აიხედა ზევით და შენიშნა კლდეში გამოქვაბული. — რაღა ჩემი გმირობა იქნება, თუ იქ არ ავალო, — იფიქრა როსტომმა. მოგლიჯა ერთი ჭანდარი, მიაყუდა კლდეზე, მოგლიჯა სხვა, ავიდა ზევით და იქ მიაყუდა.

> როსტომმა თავის სიმაგრით მუხა მოჰგლიჯა ძირითა,
> ხელი გაუსო, გალოპრა[2], გასტყორცნა ჯირითივითა.

როსტომმა ახლა სხვა ჭანდრები მიაყუდა, ვიდრემდის იმათი წვერი გამოქვაბულს არ ასწვდა. როსტომი ავიდა კიბესავით ჭანდრებზე, შეიხედა ეხში[3] და ერთი უზარმაზარი არაბი დაინახა. არაბს ეძინა. მუხლების შუაზედ ხანჯალი ერჭო. როდესაც დასთვლემდა არაბს, დაჰხრიდა თავს და შუბლს დაჰკრავდა ხანჯლის წვერს. იმის სისხლი ჰჟონავდა კლდეში. ამ დროს გამოიღვიძებდა ხოლმე არაბი და გაიხედავდა აღმოსავლეთისკენ. როსტომი ცოტა შეკრთა, მაგრამ უკან დაბრუნება არ შეიძლებოდა, სირცხვილი იყო ვაჟკაცისათვის: რას იტყოდა ხალხი! როსტომმა იფიქრა: მაინც ხომ არაფერი გამოვა მაგასთან და ისევ ვეძმობიო. მიუახლოვდა არაბს და დაუძახა: ძმაო, მაგრე რათა შვრებიო?

არაბმა აახილა თვალები და უთხრა: ბედი შენი, რომ ძმობა მითხარ, თორემ გაყურებინებდი სეირსაო. — მოდი, დაჯექ ჩემთან, ყველაფერს გიამბობო. ვინა ხარო? ჰკითხა არაბმა. — როსტომიო. — შენა გაქვს დიდი ხმაო? ჰკითხა არაბმა. — მე მაქვსო, მიუგო როსტომმა.

არაბმა დაიწყო: აღმოსავლეთისაკენ იმისთვის ვიხედები, რომ იქიდგან წითელი არაბი ამოვა წითელის ზღვიდან და ერთს მზესავით ქალს ამოიყვანს. მე წინ უნდა დაეუხვდე, რადგანაც ჩემი კლდის წინ გამოატარებს. მე რომ წინ დავუხვდები, ვიომებთ და რომელიც დავძლევთ, ქალიც იმას დარჩება. სამი დღე და ღამე უძილო ვარ; რომ არ დამეძინოს და წითელმა არაბმა ის ქალი არ გამაცილოს, ხანჯალი დაეიყუდე მუხლებს შუა და, როდესაც ჩამთვლემს, ხანჯალს დავკრავ შუბლს და გამომეღვიძებაო. — შენ დაიძინე და მე ვუყარაულებო, უთხრა როსტომმა. როდესაც წითელი არაბი ქალს ამოაჩენს, გაგაღვიძებო. არაბმა უთხრა: შენ მე ვერ გამაღვიძებ, რამდენიც უნდა იყვირო, სანამ ფეხის გულში ხანჯალს არ ჩამცემო. არაბმა დაიძინა და როსტომმა ყარაულობა დაუწყო.

---

[1] ლახტი — საომარი იარაღი იყო, თასებისა და ლითონისგან დაწნული

[2] კანი გახადა.

[3] ეხი — გამოქვაბული, ნაპრალი.

დიდ ხანს არ მოუნდა ლოდინი როსტომს. მალე განათლდა აღმოსავლეთი, გამოჩნდა წითელი არაბი, მოჰყავს ქალი. როსტომმა ბევრი უყვირა არაბს, მაგრამ ვერ გააღვიძა. ბოლოს ხანჯალი მოაგონდა, წასცა არაბს ფეხის გულში და გააღვიძა. როსტომმა უთხრა: მეც გიშველი წითელ არაბთან ომშიაო. შავმა არაბმა უთხრა: მაშ ჩადი, ძირს რომ მინდორია, იქ ვიომებთ; ამოთხარე იქ ორმო და იმაში ჩაჯექ, თორემ ომის დროს ჩვენი ფეხის ქარი მოგიტაცებსო. თუ შემატყო, რომ წითელი არაბი მიპირებს მორევნას, ამოფრინდი ორმოდან და დასჭყიალე; წითელ არაბს მუხლი მოეჭრება და ხელს დავრეეო. როსტომი ჩავიდა ძირს და დაიმალა ისე, როგორც არაბმა ასწავლა. მალე მოფრინდა წითელი არაბიც ქალით. გამოეგება შავი არაბი. ჩახტნენ მინდორზედ და შეეკრნენ ბრძოლა. დიდხანს იომეს. იმათი ფეხის ქარი შოლტავდა ტყეს და ლერწამივით აკრავდა მიწის პირს.

ბოლოს წითელმა არაბმა დასძალა. ამ დროს ამოხტა როსტომი და დასჭყივლა არაბს: დაჭკარ, შავო არაბო, როსტომიც მოგეშველებაო.

როსტომს ცის ქუხილივით ხმა ჰქონდა. როცა უნდა დაეყვირა, თავზედ ერთი რკინის სალტე ჰქონდა, იმას დაიდებდა ხოლმე, რომ თავი არ გასქდომოდა.

იჭყივლ-იკივლის როსტომმა,
გაჰხვიელ-გაჰქუხის ხეთამდე.
ტოტით დათხარნის მიწანი,
გადაიყარის ზეცამდე!

წითელ არაბს მუხლი მოეჭრა, შავმა არაბმა დარია ხელი და მოკლა. ქალი შავ არაბს დარჩა. როსტომიც არაბთან იყო და ემსახურებოდა.

როსტომი დაღონდა. სთქვა: სახელოვანი ვაჟკაცი წამოვსულვარ სახელის საშოვნელად და მე აქ შავს არაბს ვემსახურებიო, — დახეთ ჩემს ლაჩრობას, სირცხვილს! განა დედაკაცები შინ არ შემძენდენ, რომ იმისთვის აქ არ წამოვსულიყავი და არაბისგან თავზე სირცხვილი არ ამეღოვო. მოდი, მაგას მოვკლავ, სირცხვილსაც ჩავრეცხ და ქალიც მე დამრჩებაო, — იფიქრა როსტომმა და შეუდგა ასრულებასაც. არაბს ეძინა. როსტომი მისწვდა იმის ხმალს, მაგრამ ვერ შესძრა, ისეთი დიდი იყო. ბოლოს ამოიღო თავისი ხმალი, გააზმანა არაბს კისერზედ, მაგრამ ხმალი ნახევრობამდინაც ძლივს გასწვდა კისერს. — ამ ხმლით მე არაბს თავს ვერ მოვჭრიო, იფიქრა როსტომმა და აი რა მოიგონა: მიუტანა არაბს ფეხები ერთად, გადაუწყო ზედიზედ, დაჭკრა ხმალი და დააჭრა ფეხები. ისკუპა როსტომმა და ამოეფარა კლდეს. წამოვარდა არაბი, მაგრამ ფეხზე ვეღარ დაეყუდა, მოავლო თავის ფეხს ხელი არაბმა, გასტყორცნა და გაატანინა ხეები. შეუვარდა როსტომი არაბს და აკაფა ხმლით. როსტომს უნდოდა ქალის წაყვანა, მაგრამ გაუვარდა ქალი და გაიქცა. ერთხელ-კი დაუძახა ქალმა: შენ ცოლად როგორ დაგიჯდები, არაბის ღალატით მომკლავსაო, შენ რომ ისე მოგეკლა შავი არაბი, როგორც იმან წითელი მოჰკლა, ცოლად მაშინ გამოგყვებოდი.

— ნახევარი მაშინაც ჩემი იყავიო, მიაძახა როსტომმა და გამოუდგა ქალს კვალზედ. ქალი გაფრინდა მთის ნიავივით და გაიპრა ტრიალს მინდორზედ. როსტომს შერცხვა. დალონდა გმირი. ქალი გაექცა. როსტომმა არ იცოდა, რა ექმნა. ისარი ესროლა ქალისთვის და მოეკლა, სირცხვილი იყო: ქალზე მახვილს როგორ იხმარებდა ვაჟკაცი. არ მოჰკლავდა და იტყოდენ: ქალმა აჯობაო. მინდორს როსტომისაკენ მთა ჰქონდა; ეს მთა ხელის გულივით დაჰხედავდა იმ ტრიალს მინდორს. აირბინა როსტომმა მთაზედ და დაჰქუხა იქიდგან ქალს. ქალს გული წაუვიდა და მიესვენა დაბლა; მალე მიიპრა როსტომიც ქალთან...

ადგა როსტომი და უთხრა ქალს:

— ვიცი, შვილი გაგიჩნდება და, თუ ქალია, შენთან იყოს; თუ ვაჟია, ეს ნიშანი დააკერე მხარზედ და ისე იაროსო. მისცა დედაკაცს. ამის შემდეგ შესძულდა როსტომს დედაკაცები. როსტომს სძულდა აგრეთვე შავი მატყლი. როსტომისთვის ქალი და სიკვდილი ერთი იყო.

როსტომმ სთქვა: „ჭკვა დიაცისა
არც მომწონ, არც მეკვეთება,
ვაჟკაცს, დიაცის მიმყოლსა,
სამარეც დაეკვეთება".
როსტომმ სთქვა: „იმ მთას, ამ მთასა
ხელს მოვკრავ, ერთად თავს ვუზამ;
თორმეტ ლიტრასა რკინასა,
კბილს მოუჭირებ, კნაპს ვუზამ;
ალაზანსა და იორსა
დაეაყენებ და ყლაპს ვუზამ;
თავაღებულსა დიაცსა,
აბა, მითხარით, რას ვუზამ?!"

როსტომის სიტყვა ასრულდა: ხურომანს გაუჩნდა ვაჟი, რომელსაც ზურაბი დაარქვა. ზურაბი ექვსი თვისა ისეთი ლონიერი იყო, რომ ბავშვებთან თამაშობის დროს მოუპერდა კოპებს ხელს და ამტვრევდა. ერთხელ ბალღებმა გააჯავრეს ზურაბი. ზურაბმა ერთი ბავშვი ატირა. ტოლებმა უთხრეს: თუ ლონიერი ხარ, მამა რომ დაგეკარგა, ის მოძებნე და იპოვნე, ჩვენზე რა ბიჭობას იჩენო? ზურაბს ეს ეწყინა, წავიდა დედასთან: უნდა მითხრა, ვინ იყო მამაჩემიო. დედამ ყველაფერი უამბო.

მაშინ ზურაბმა აიღო საომარი, ჩაიცვა ჯაჭვი და გასწია მამის საძებნელად. დედამ იფიქრა: მოდი გამოვცდი ჩემ შვილს, შეუძლია მტრის დახვედრა თუ ვერაო? ჩაიცვა ვაჟკაცურად, შეიკეცა ქუდში თმა, აიღო აბჯარი, შეჯდა ცხენზე და გადმოუხტა ზურაბსა: დაჰყარე იარაღები და დამნებდი! დაუყვირა ხურომანმა ზურაბს და ცხენი ზედ მიაგდო. მოტრიალდა ზურაბი, უტაცა ცხენს შუბი და ჰაერში აიტაცა. ხურომანს თავიდან ქუდი გადმოუვარდა, თმა ჩამოეშალა მხრებზე; ზურაბმა იცნო დედა, ხურომანი გადაეხვია ზურაბს და დაუწყო კოცნა.

ზურაბმა სთქვა:

შავი ტყიდან გამოვიდა
ვაჟი-კაცი გულოვანი;
ცხენსა იჯდა ნიავ-ქარსა,
აქროლებდა, როგორც ზღვანი.
ცხენსა შუბი დავუტაკე,
ავიტაცე, როგორც ქარი;
წყაზარეთი შეეკეცნა —
საყვარელნი გიშრის თმანი;
იმის მეტი ვეღარა სთქვა:
— „მე ვარ შენი ხურომანი!"

დედამ დალოცა ზურაბი, მამის ნიშანი მხარზედ დააკერა და გაისტუმრა როსტომის საძებნელად.

ბევრი სიარულის შემდეგ ზურაბი ერთ ქალაქში მივიდა. ქალაქის კარებთან ბერი კაცი შეხვდა, რომელმაც მაზინვე იცნო როსტომის ნიშანი ზურაბის მხარზედ. ბერიკაცმა იფიქრა: როსტომმა ისეც აგვაოხრა და ახლა შვილი რომ მოუვა, ხომ აგვყრის ამ ქალაქიდანაო. მოდი ერთმანეთს დავახოცინებ და მაშინ ჩვენც მოვისვენებთო.

ბერიკაცმა უთხრა ზურაბსა: ქალი ხომ არა ხარ, რომ [მხარზედ] რაღაცა დაგიკერებიაო? დაგცინებენ, აიხსენ, შეინახე ისე, რომ არ სჩანდესო.

ზურაბმა დაუჯერა ცბიერ ბერიკაცს და მამის ნიშანი იღლიის ქვეშ შეინახა. ბერიკაცმა ქალაქელებს შეატყობინა, როსტომის შვილი არის აქა, ერთმანერთი რომ იცნონ, აგვიკლებენ, მოდით, ისე მოვახერხოთ, ერთმანერთი როგორმე დავახოცინოთო.

წავიდენ როსტომთან და უთხრეს: ქალაქში ერთი გმირი მოსულა და საპიდაოდ გითხოვსო. როსტომმა უთხრა: მაშ, კარგი, წავალ, ჯერ დავზვერავ, რა ვაჟი-კაცია, გავიგებ და მერე დავეპიდებიო.

როსტომი მივიდა და, სადაც ზურაბი იყო, იმ სახლში ბანიდან ჩახედა.

ზურაბმა დაინახა და დაუძახა:

რას იპვრიტები ბანითა!
რად არ მოსდიხარ კარითა?

როსტომი რას იცნობს, თუ იმისი შვილია. წამოვიდა და ქალაქელებს უთხრა: ხვალ შევებმი თქვენს გმირსაო. ზურაბი მოსწონებოდა ხალხს, უთხრა:

ზურაბ იჯდა, კოშკსა ჰგვანდა,
ირგვლივ ევლო გალავანი,
მარჯვნივ ეგდო ავგაროზი[1],
მარცხნივ იყო ფალავანი.

[1] „ავგაროზი — აპოკრიფული წერილი, ედესის მეფის ავგაროზის მიერ ქრისტესთან მინაწერი, რომელსაც ახვევდენ და გულზედ იკიდებდენ, როგორც თილისმას.

მეორე დღეს ზურაბთან კაცი გაგზავნეს, ჩვენს გმირს უნდა დაეჭიდოვო. ზურაბი დათანხმდა. ნუ იკვეხნით, ირანელნოვო.

— ადე, ზურაბ, მოიკაზმე,
ტანთ ჩაიცვი საომარი!.
— წამოდექით, ირანელნო,
ვინ ხართ უფრო ფალავანი?
ნუ იკვეხით ფალავნობას,
თუ არა გაქვთ ბეჭი ბრტყელი,
თუ არ იცით, მე გასწავლით,
თუკი მოგავლევით ხელი.

ზურაბმა როსტომი რომ დაინახა, ცოტა ეშვი შეეპარა: დედის ნათქვამი ნიშანი, რომ მამაშენს კარიანი კბილები აქვს, ბეჭშია წახრილი და პარცხენა ფეხს ათამაშებს, როცა ცხენზე ზისო, ენიშნა. როსტომს უთხრა:

ბერიკაცო, ჩამომეხსენ,
გული რასღაც მეყოყმება,
მე დედეურთა ნიშანი,
მე ნიშანი მენიშნება:
კბილს კარი და ბეჭთა წახრა
მამეულთა მემსგავსება.

როსტომი ეტყვის:

არცა ვარ როსტომიანი,
არცა იმათი გვარისა,
ვარ ერთი თურქი მოლაშქრე,
მომკვლელი უზანფარისა[1].
ბატონის გამოგზავნილი,
ვარჯილო ცხენოსანისა.,
აქ ფალავანის მომკვლელი,
დამლევი მუჯა სისხლისა.

შვილი ეტყვის:

ეგ რა მითხარ, ბერიკაცო,
დამიკოდე წყლული გული?
ნეტავი კი არ მენახე,
შინვე დაგელია სული!

ზურაბს არ უნდოდა დასჭიდებოდა როსტომს; როსტომმა არა ქნა. დაიჭიდეს და ზურაბმა წააქცია. დაბრუნდა ქალაქში შერცხვენილი როსტომი. ხალხს უთხრა: ნუ გეშინიათ, ჯერ მაგის გულზე ვარდი არ აყვავებულაო, ვითომ ჯერ ქალი არ უნახია და გამოუცდელიაო.

როსტომი ქაქაოზ ბეფეს ეტყვის:

ერთი ჭაბუკი მოსულა,
ყველა მტრისათვის მახია.
ომშიაც ვნახე, ლახშტიაც.

[1] უზანფარი— გარეული მხეცი. აფთარი (ჰიენა).

ყველა იმასთან ჩატია.
იმისი ფეხის ნადგამი
სამარის კარსა გვანდია!

ქაქაოზ მეფეს ძალიან შეეშინდა. რაკი ეს ფალავანი წამიქცია, აქ აღარ მედგომინებაო. ბარგი ააბარგა და წასვლა დააპირა.

როსტომმა უთხრა:

ქაქაოზ, ბარგი აქ დადე,
სადაც რომ უწინ გდებია;
იმ ფალავნისა სიკვდილი,
ახლო მე მისაზრებია,
შხამში გავლესე ხანჯალი,
ჩექმაში ჩასადებია...

იმ ღამეს როსტომს არ სძინებია. ლესა და ლესა შხამში ხანჯალი დამალა და მეორე დღეს კიდევ გამოითხოვა ზურაბი.

ზურაბს კიდევ არ უნდოდა დაჭიდებოდა. გული ეუბნებოდა, რომ მამა არისო. როსტომმა გამოითხოვა: გუშინ გუნებაზე არ ვიყავ და დღეს გნახავო.

ზურაბმა კიდევ ისე უთხრა, როგორც გუშინ.

რისტომი არ მოეშვა:

ჩვენში ასეთი წესია:
ფეტვი ადგილზე სთესია.
ფალავანი ფალავანსა,
ერთხელ დასცემს, აუშვებსო,
თუ მეორედ წააქცია,
ცოცხალს აღარ გაუშვებსო.

დაიჭიდეს. ზურაბმა ისევ წააქცია. მაშინ ძირიდან ამოიღო ჩუმად ხანჯალი როსტომმა და მუცელში ჩასცა ზურაბსა.

ზურაბმა უთხრა:

შე ბერიკაცო, რად მომკალ?
ხმალი რად დამეც ვადამდე?
შენ მამაჩემსა როსტომსა,
საით წაუხვალ, სადამდე?
ზღვას გახვალ, იქ გამოგყვება,
ქვესკნელს ვერ დაემალები,
გერჩივნა ცას წასულიყავ,
ვარსკვლავთა ჭკვა აგეღო,
ხმელეთი საჭვრეტლად გჭქონდეს,
მიწა სურვილად წაგეღო.
ცოდვას მოინანიებდი,
თავი ძირს აღარ დაგეღო.

ის თქვენმა მტერმა იხადოს, რაც როსტომმა იხადა თავის სახელის გაგონებით!

მეორე ვარიანტი, ისაკა დალაქიშვილის ნასწავლები ს. უფლისციხეს.

შე ბერიკაცო, რად ნოქალ?
ხმალი რად დამე ვადამდე?
შენ მამაჩემსა როსტომსა,
საით წაუხვალ, სადამდე?
ან უნდა ცაში წახვიდე,
გარსკვლავთა ერი აიღო;
ან უნდა ზღვანი ჩახვიდე,
თეკზისა ალღო აიღო!,
ან უნდა მთანი წახვიდე,
ნადირთა კვალი გაიღო!
შენ მამაჩემის ყმობითა
ხმელეთზედ პირი გაიღო!

— შე, ბოზის დიაცის შვილო,
ნიშანი სად გაკერია?
— მხარს მეკრა, ზრახვით შევიხსენ,
აი არწივის კვერია!

უთხრა ზურაბმა, აიწია ხარი და იღლიის ქვეშ დაკერებული ნიშანი აჩვენა.

ასწია გმირისა მკლავსა,
ელვანი იყვნენ ცისანი,
აიღო და შემოიკრა
დიდი ნაჯახი ქვისანი:
— ვაიმე, შვილო, ზურაბო,
შენ მოგეც დანა სრეული,
რისთვის გაგზარდა დედამა,
სული ჩაგიდგა წყეული?!
მე მოგკალ, შვილო ზურაბო,
დავრჩი უშტოვო ხე ვითა!
ვაიმე, შვილო ზურაბო!
ათრთოლდა ფურცელივითა,
მიწას დაეცა რეევითა.

ზურაბმა უთხრა:

— შენ მამაჩემი არა ხარ,
არც როსტომიანთ გვარისა,
მოლაშქრე თურქი ჰყოფილხარ,
შვილი მოკალი თავისა!

გაგზავნა როსტომმა ქაქაოზ მეფესთან და შეუთვალა:

ჩემო ქაქაოზ შეფეო,
შენთვის შეევბმი დეესაო,
წამალი გამომაგზავნე,
ზურაბი ბკიდავ ყელსაო.

ქაქაოზ მეფე იყო მტერი როსტომისა; უნდოდა იმისი თავიდან მოშორება, მაგრამ წამლის გაუგზავნელობაც არ იქნებოდა,—როსტომი სამაგიეროს გადაუხდიდა. მერე ასე მოახერხა: ერთ გიჟ დიაკვანს გაატანა და უთხრა: როსტომთან რო მიხვიდე, წამოჰკარ ფეხი და დააქციეო, მაშინ რაღას გვიზამს?

წამალი გამოუგზანა
გიჟი დიაკვნის ხელითა,
ფეხი წამოჰკრა, დაღვარა,
აივსო იმის ცოდვითა[1].

შემოჰკრა ხმალი დიაკვანს როსტომმა და შუაზედ გაკნაპა.

როსტომ სთქვა: სიბერკაცითა
სიტყვა სათქმელად გაჭირდა,
სადაც რომ ომი გაჭირდა,
შეშა ხმალივით გასჭრიდა.
წადი და ჰკითხე დიაკვანს,
თუ ჩემი ხმალი არ სჭრიდა!

ზურაბმა დალია სული. წამოხტა გაცოფებული როსტომი და გაექანა ქაქაოზ მეფესთან. ქაქაოზ მეფეს ორი შვილი ჰყვანდა; შეუხტა როსტომი, წაგლიჯა იმის შვილებს ქათმებივით თავები და დაუყარა წინა: აბა, შვილის სიკვდილი თუ კარგია, იწვნიეო!

მერე გაიქცა როსტომი და ჩავარდა ზღვაში: თავი უნდა დაეხრჩო, მაგრამ ზღვამ პირი შეიკრა და აღარ ჩაუშვა ძირსა. იყო შიგ როსტომი, არც იხრჩობოდა, არც ნაპირზედ გამოდიოდა.

მოქალაქეებმა სთქვეს: ვინც როსტომს გამოიყვანს ზღვიდან, ამდენსა და ამდენს მივცემთო. ვერავინ ვერ გაბედა როსტომის ზღვიდან გამოყვანა. ბოლოს ერთმა ბებერმა სთქვა: თუ ცოცხალი დავრჩი, მაცხოვრეთ; თუ მოვკვდი და დამმარხეთ, როსტომს მე გამოვიყვანო!

ქალაქი დათანხმდა. წაიღო ბებერმა შავი მატყლი, მივიდა ზღვის პირზედ როსტომის პირდაპირ და დაუწყო მატყლს რეცხა. როსტომს საშინლადა სძულდა დედაკაცი და შავი მატყლი. ითმინა როსტომმა, მერე გამოსწია ბებრისკენ გარისხებულმა. ბებერმა დაიძახა:

---

[1] მეორე ვარიანტი:

წამალი გამოუგზავნა,
გიჟი დიაკვნის ხელითა,
როსტომ გულჩქარი კაცია,
ტანი წაიღე რუკვითა,
ფეხი ფეხზე გამაიკარ,
წამალი დაიკცევისა!

დიდება და მადლი ღმერთსა,
როსტომ გამოვიდა ზღვასა!
ცალსა ხელსა ზღვაში ურეეს,
ცალით მაიქნევდა ხმალსა!

როსტომი მიუახლოვდა კიდეს და დაუყვირა ბებერსა: შე სულელო ბებერო, შენა!

არ გათეთრდება ყორანი,
რაც უნდა ხეხო ქვიშითა!

ბებერმა გაიცინა და დაუძახა როსტომს: შე რეკვენო როსტომო!

მკვდარი ვის გაუცოცხლებია
ტირილითა და ვიშითა?!

როსტომმა ჩაავლო ფეხში ხელი ბებერს და ზღვაში გადისროლა. ამის შემდეგ აღარ შესულა ზღვაში როსტომი, დარჩა ხმელზედ და ბევრი ლექსი გამოსთქვა თავის მწუხარებაზედ.

როსტომ სთქვა: „დღენიმც კრულია
დაბადებისა ჩემისა!
სიყმე სიბერედ ვაქციე,
დღე ვერა ვნახე ლხენისა.
ვერ გავიხარე კისერი,
ულელი მედგა რკინისა!
სიბერე ძნელი ყოფილა,
შავი ქვა აეწონება,
დამჯდარი ვეღარ ადგება,
ყავარჯენს დაეღონება!"

25. როსტომი და ზურაბი

(ხვანური ვარიანტი)

როსტომი იყო თურანელი; ცხოვრობდა ქექევაზ კეისრის საბძანებელში—ადგილსა ყარაიას. თავისი სიცოცხლე როსტომმა დევ-მხეცების და გარეული ღორების ბრძოლაში გაატარა. როსტომს ორი ძმა ჰყავდა—გივი და გურგენი—და ერთიც ძმისწული—პეჟანი, გივის შვილი. ქექევაზ კეისარი დიდს პატივსა სცემდა როსტომს, რადგანაც ის რომ არა, ქექევაზის საკეისროს დევ-მხეცები აიკლებდენ. გაჩნდებოდენ დრო-გამოშვებით დევები, მოედებოდენ საკეისროს და აკვანში მწოლარე შვილებს ართმევდენ მცხოვრებლებს. ამ დროს ქექევაზი შეეხვეწებოდა როსტომს; ეს უკანასკნელი მოჰყვებოდა ერთი კიდიდგან მეორე კიდემდე და სულ გააწყალებდა მხეცებს. ამნაირად, გასწმენდდა ხოლმე საშეფოს. როდესაც როსტომი მოხუცებაში შევიდა, ქექევაზ კეისარმა თავისი ქვეშევრდომნი შეჰყარა და გამოუცხადა: ხომ ჰხედავთ, როსტომი მოკვეპუცდა, ის რომ მოკვდება, დევ-მხეცები

დაგვეპატრონებიან, ვეცადოთ და მოვახერხოთ, რომ როსტომი უშვილოდ არ გადაგვიშენდეს. თუ შვილი დარჩა, მამას ემსგავსება და მამის საქმეს განაგრძობს. საქმე ის იყო, რომ როსტომი, როგორც ჭაბუკი (გმირი), ქალს არ ეკარებოდა. ყრილობაში ერთი ქალი ერია, მან დაიჩემა, როსტომს მე შევუჩნდები და ჩემთან დავიწვენო. ქექევაზ კეისარი დიდ ჯილდოს დაჰპირდა ამ ქალს, თუ იგი დაპირებას აასრულებდა. ხალხი დაიშალა. ამ ქალმა როსტომი დაჰპატიჟა ვახშმად, კარგი ვახშამი აჭამა და შეაცდინა. როსტომი მეორე დღეს ადრე ადგა. ქალს დააბარა, ვაჟი თუ გეყოლოს, ზურაბი დაარქვი, როდესაც წამოიზარდოს და ჭაბუკობა მოინდომოს, ერთი შარნი[1] ყელზე შეაბი. ვინიცობაა ერთმანეთს სადმე შეეხვდეთ, ამით ვიცნობ ჩემს შვილსო. შენ კი სანამ ძლიერ არ გაგიჭირდეს, ნუ გაუმეღავნებ, რომ იგი ჩემი შვილია. ქალი თუ გეყოლოს, შენია და რაც გინდა ის დაარქვი და როგორც გინდა, ისე გამოზარდეო. უთხრა ეს როსტომმა და გასწია თავის გზაზე. ქალი მართლა ორსული გამოდგა; როდესაც ვადა გაუვიდა, ეყოლა ვაჟი და დაარქვა ზურაბი. ზურაბი ისეთი მშვენიერი რამ იყო, რომ ვარსკვლავს გავდა. მალე წამოიზარდა, დღე ტკაველს იმატებდა, ღამე—ოთხ თითს. ცოტა ხანში ვაჟკაცი შეიქმნა; დაიწყო მინდვრად სიარული. ვისაც შეხვდება გამვლელ-გამომვლელს, ყველასა ღაბავს; არ ზოგავს არც ქექევაზ კეისრის შვილებს. ერთ დღეს ქექევაზის შვილებმა წამოსძახეს ზურაბს: შენ თუ კარგი ჭაბუკი ხარ, მამაშენი მოძიე, კაცმა არ იცის, დევ-მხეცებმა შეგიჭამეს, თუ გარეულმა ღორებმაო. ზურაბმა რომ ეს გაიგონა, მაშინვე შინ დაბრუნდა. დედას ჰკითხა — მითხარი, ვინ იყო მამაჩემიო და რა იქმნაო. დედა ჯერჯერობით არ უმეღავნებდა მამის ვინაობას, მაგრამ ზურაბმა ძალა დაატანა და დედაც გაუტყდა. დედამ აუწერა როსტომი და მისი განთქმული ჭაბუკობა, ზურაბმა მაშინვე გაიპედა რკინის შვილდ-ისარი, შეიკაზმა ცხენი და გზას გაუდგა. ამ დროს დედამ, როგორც დაბარებული ჰქონდა როსტომისაგან, ყელს შარნი შეაბა. ზურაბი შემოაჯდა ცხენს და გასწია ყარაიასაკენ. გზაზე ზურაბს ქაჯი შეხვდა ქალის სახით და დაუძახა: ოჰ! რა კარგი ჭაბუკი (გმირი) ხარ, რომ ყელს ქალის საბმელი არ გებას, ჯიბას ქალის სამკაული არ გედვას და უნაგირის ტახტაზე მუზარადი არ გეკრასო. ზურაბმა ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო გზა. ეს ქაჯი, სხვანაირად ჩაცმული, ისევ წინ დაუხვდა და იგივე გაუმეორა, რაც პირველ შეხვედრაზე. ზურაბმა მიაფურთხა და უთხრა: ფუი! ქალი ქაჯისა ხარ, დაგლახვრა ღმერთმა, გამშორდი იქითო, და ისევ გასწია. ქაჯი მესამედ შეხვდა კიდევ სხვაგვარად ჩაცმული და ისევ ის სიტყვები გაიმეორა. ზურაბს გული მოუვიდა, შარნი ყელზე შემოიწყვიტა, ჯიბეში ჩაიდვა, მუზარადი შემოიხსნა და უნაგირქვეშ დამალა. იარა ზურაბმა და ყარაიას მიაღწია. ყარაია როსტომის სანადირო და მუდამ ბევრი ნადირია.

ზურაბმა დილით მოაღწია აქ; მოჰყვა ერთი ნაპირიდან ამ ვრცელს მინდორს და მეორე ნაპირს მისვლამდე იმდენი ნადირი დახოცა, რომ სალა-

---

[1] მძივი.

მოს ძვლებისაგან კარავი გააკეთა, ყავრით გადახურა და ღამის სათევად შიგ შევიდა. როსტომმა რომ ეს ამბავი გაიგო, შეკრთა, თავის გულში თქვა — ამაზე უკეთესი ნადირობა არც მე მიქნია როდისმეო. ამ ღამეს არაფერი. მეორე დილას ადრე მივიდა ზურაბის კარავში. ახედ-დახედა ზურაბს, მაგრამ ვერც შარნი უნახა ყელზე მობმული და ვერც მუზარადი უნაგირის ტახტაზე დაკრული. როსტომმა ზურაბი საჭიდაოდ გამოითხოვა. ზურაბმა უარი არ უთხრა; ეცნენ ერთმანეთს და ისე ჭიდაობდენ, რომ იქაურობას სულ მტვერი ააღინეს. მოიქნია როსტომმა ზურაბი, მუხლამდის მიწაში ჩაფლა; მოიქნია ზურაბმა — წელამდის ჩაფლა როსტომი. როსტომმა უთხრა ზურაბს. ჭაბუკებს ჩვეულება აქვთ, რომ სამჯერ იჭიდავებენ ხოლმე; დღეს ამიშვი, ხვალ და ზეგ კიდეე ვიჭიდაოთ და თუ მესამედაც დამცევ, მაშინ რაც გინდოდეს ის მიქენიო. ზურაბმა აუშვა როსტომი. მეორე დღეს იჭიდავეს, ისევ ზურაბმა დასცა როსტომი. ძლიერ შეწუხდა როსტომი. ამდენ დევებთან მიჭიდავნია, ვერაფის წაუქცევივარ და ეს ზურაბი ვინღა გამოჩნდა ამისთანა, რომ მომერიაო. გადასწყვიტა თავის გულში ზურაბი მოეკლა. მივიდა მეჭედელთან და ორი შუბი შეუკვეთა. მესამე დღეს როსტომმა ეს შუბები პაიჭებში ჩაიტანა, წვერები ზევით უქნა და ზურაბთან საჭიდაოდ გამოვიდა, შეიჭიდენ, — ზურაბმა დასცა; ამ დროს როსტომმა ქვეშიდამ ამოჭრა შუბები და მუცელში ჩასცა ზურაბს, ზურაბმა დაიკივლა: ოხ! შე ბოროტო! ჩემი მოკვლა შენ არ შეგრჩება, მამაჩემი როსტომი ყველგან მოგძებნის, — კლდეში შეხვალ, ჯიხვად გადიქცევა, ზღვაში — კალმახად და მიწაში — თაგვადო.

როსტომს თავს ზარი დაეცა, სწორედ ჩემი შვილი მოვკალიო, და შესძახა ზურაბს:

— შენ, ბიჭო (ბუშო), ბოზის ნაგდებო, ვინ არის მამაშენი?

— როსტომს ეძახენ ჭაბუკსა, ის არის მამაჩემი.

— შენ თუ როსტომის შვილი ხარ, მაშ სადა გაქვს შარნი?

ზურაბმა მამას ესენი აჩვენა და მათი დამალვის ამბავი უამბო. ახლა დარწმუნდა როსტომი, რომ თავისი შვილი ზურაბი მოჰკლა. მწუხარებისაგან კინაღამ მოკვდა. ზურაბს მოელა დაუწყო, მაგრამ მას ბევრხანს არ უცოცხლია და როსტომს ხელში შემოაკვდა. შეწუხებულმა როსტომმა ზურაბი ხელებზე დაიდვა, დაიჩოქა და ქვეყნის პატრონს (ღმერთს) შეეხვეწა: შვილი შემომაკვდა, ახლა ამასა გთხოვ, თორმეტი წელიწადი ორმოში ჩავალ, მზეს არ დავენახვები და ჩემი ზურაბი გამიცოცხლეო. როსტომმა ასე ქმნა. გაითხარა 12 მხარის სიღრმე ორმო, ჩავიტანა შიგ და ჩაიტანა ზურაბიც და იყო შიგ უსმელ-უქმელი ღვთის ხვეწნაში: ამავე დროს როსტომმა დაიბარა ქექევაზ კეისრის დიაკონი, სთხოვა წასულიყო ქექევაზთან და ზურაბისათვის უკვდავების წამალი (ანუ წყალი) მოეტანა. დიაკონი მიეგზავნა ქექევაზთან და გარდასცა როსტომის დანაბარები. ქექევაზმა უარი ვერ გაბედა, ჩაასხა უკვდავების წამალი თასში და მისცა დიაკონს; ამასთანვე დააბარა, რომ როდესაც როსტომთან მიახლოვებულიყო, ფეხი ფეხზე

დაედგა, დაცემულიყო და წამალი წაექცია. თორემო, სთქვა ქექევაზმა, როსტომს თუ თავის შვილიც თან ეყოლა ცოცხალი, კეისრობას წაგვართმევსო. ეშმაკმა დიაკონმა აასრულა, რაც ქექევაზმა დააბარა: როცა მიუახლოვდა როსტომს, ფეხი-ფეხზე დაიბიჯა, თასი ხელიდამ გაუშვა და წამალი წააქცია. როსტომი მიხვდა დიაკვნის ეშმაკობას და ამოაძახა: თუ ამ ორმოდან ამოსვლა მეღირსა, მაგიერს გადაგიხდი შენც და შენს კეისარსაც, რომელსაც მე რომ არა, ასჯერ შესჭამდენ აქამდის დევ-მხეცებიო.

როსტომი ორმოში დარჩა ათი წელიწადი. ზურაბი მუხლებზე უწევს და მოელის ღვთისაგან მის გაცოცხლებას. ამ დროის განმავლობაში წვერი ისე გაეზარდა, რომ ფეხებამდი სწვდებოდა. წვერის თმიდან სიმები დასწნა, ზურაბს მკლავებზე მოაბა და ჭიანური გაიკეთა. ამ ჭიანურზე დასტირის ყოველ დღე თავის თავგადასავალს და უკანასკნელს უბედურობას — შვილის მოკვლას.

გავიდა ათი წელიწადი მას აქეთ, რაც როსტომი ორმოში ზის და ზურაბის გაცოცხლებას ეხვეწება ღმერთს. ამ ხნის განმავლობაში დევ-მხეცი ისეე გამრავლდა ქექევაზის საკეისროში. შეწუხებულმა ქექევაზმა დიაკონი დაიბარა და უთხრა: წადი როსტომთან, ეგებ როგორმე მოუხერხო და ორმოდან ამოიყვანოო. დიაკონი წავიდა როსტომთან, დადგა იმ ქვაზე, რომელიც როსტომის სამყოფ ორმოს ეხურა, დააბრაგუნა და ვწყარალის ხმით ჩასძახა როსტომს: ამოდი, შე ბებერო, თორემ დევ-მხეცებმა შეგვჭამესო. როსტომმა იუკადრისა დიაკვნის ამგვარი საქციელი, ისეთი გული მოუვიდა, რომ მუხლებზე მდებარე ზურაბი, რომელსაც სიცოცხლის ნიშნები ეტყობოდა, გადააგდო და ზურაბზე სული დალია. ამოვიდა როსტომი. დიაკონს უთხრა,—სამართებელი მოეტანა წვერის მოსაპარსავად და ერთი ტყვიით დატვირთული ვირი მოეყვანა. დიაკონმა ასე ქმნა. როსტომმა წვერი მოიპარსა და შემდეგ დიაკონს უთხრა: ვირს ქვეშ დაწოლილიყო. დიაკონი ნებაუნებურად დაწვა. როსტომმა აიღო თავისი ხმალი და სთქვა: თუ ვემართლებოდე ამ დიაკონს, ერთი მოქნევით ეს ტყვიით დატვირთული ვირიც გაუჭრია ჩემს ხმალს და დიაკონიც, თუ არა—არაო

მოიქნია ხმალი, გასჭრა ვირი, დიაკონი და 12 მხარი მიწა. ეს შენ გქონდეს, სთქვა როსტომმა, რადგანაც მეორედ მომაკლევინე ჩემი ზურაბიო. შემდეგ როსტომი წავიდა ქექევაზთან. ქექევაზი ორი შვილით გამოეგება როსტომს. როსტომმა ორსავე შვილს თავები ერთმანეთს მიურახუნა და გაუჭყლიტა მამის წინ; ეს იმიტომ, რომ შენც იგრძნო, თუ რამდენად საამოა შვილის მოკვლაო, უთხრა როსტომმა ქექევაზს.

როსტომი მოხუცდა. დღეც კარავშია და ღამეც. დევებს გაუგიათ, რომ როსტომი მოხუცდა. ერთი დევი მოდის როსტომის კარავთან და უძახის: აბა, გამოდი, როსტომ საჭიდაოდო. როსტომს ეწყინა, რომ დევი მის კარზე მოდის და საჭიდაოდ ითხოვს, მაგრამ რას იზამს, უარს ვერ ეტყვის, თორემ უარესი სირცხვილია. ეჭიდება როსტომი დევს,— დევი ამარცხებს. როსტომმა სთხოვა, ხვალ კიდევ მობრუნებულიყო საჭიდაოდ. თუ ხვალაც წამაქციე, მაშინ, რაც გინდა ის მიქენიო. როსტომს ჰყავდა გმირი ძმისწული — ბეჟანი,

რომელიც სანადიროდ იყო წასული. საღამოს ბეჟანი მოდის ნადირობიდან; როსტომი ეტყვის დღევანდელ შემთხვევას დევსა და მას შორის და სთხოვს, ხვალ სახლში მოიცადოს და დევს შეეპიდოს. ბეჟანი რჩება სახლში. დევი მოდის დანიშნულს დროზე და უძახის როსტომს — გამოდი, დამეპიდეო. როსტომის ტანისამოსში დევთან გამოდის ბეჟანი. ეპიდება დევს — დასცემს ბეჟანი. შემოხედა დევმა ბეჟანს — შენ როსტომი არ უნდა იყოო. ბეჟანმა მიუგო — ჩვენ ისეთი გვარისა ვართ, რომ დღეს რომ მოხუცებული ვართ, ხვალ ვუმაწვილდებითო, გუშინ ბებერი ვიყავ, დღეს ხომ ხედავ, ყმაწვილი ვარო. დევი იმიტომ არის დევი, რომ დაიჯერა და წავიდა. ამიერიდან როსტომი ალარ ჰაბუკობს. ის განუშორებელი ცხოვრობს თავის ძმისწულ ბეჟანთან.

26. ცხრა ძმა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ცხრა ძმა. იმათი დედა მვათეზედ ორსულად იყო. ძმებმა ერთხელ სანადიროდ წასვლა დააპირეს და დედას უთხრეს: ჩვენ წავალ ი, თუ ვაჟი გაგიჩდეს, ულელი გამოდგი ბანზედ და თუ ქალი — ჯარაო. თუ ვაჟი გაგიჩნდა, ჩვენ წავალთ და დავიკარგებითო. წავიდენ სანადიროდ. გაუჩდა იმათ დედას ქალი და დადგა ჯარა ბანზედ; ერთმა წყეულმა ბებერმა უმტრო: აიღო ჯარა, დაღუპა და ულელი გამოდგა; მოდიან ძმები სახლში, დაინახავენ გამოდგმულ ულელს და იტყვიან: დედაჩვენს მეათე ვაჟი გაჩენიაო; ეწყინებათ საშინლად, წავლენ და გადაიკარგებიან ცხრა მთას იქით. იმათი და კი იზრდება და შვენდება. სხვა რო წლით იზრდება, ის დღით იზრდება. ისეთი გაიზარდა, თითქოს დევიაო. ერთხელ ქალი ბავშვებთან თამაშობდა: თამაშობაში ერთი გოგონა აატირა. გოგოს დედამ დასუყვლა ქალი და დააყვედრა: შე გასაწყეტო, თუ ეგეთი ლონიერი ხარ, ცხრა მთას იქით რომ ცხრა ძმა გადაგეკარგა, იმათ რატომ არ იპოვი და უშველიო. ქალს ჩაეკრა გულში დედაკაცის სიტყვები. მივიდა დედასთან და უთხრა: დედავ, ჟინმა მომიარა და ძუძუ მომაწოვეო. — რაღა დროს შენი ძუძუა, შვილო, უთხრა დედამ, ეხლა გასათხოვარი ქალი ხარო. ქალმა უთხრა კიდევ: დედავ, თუ გიყვარდე, მომაწოვეო. დედამ აუსრულა თხოვნა. ქალმა ძუძუ რომ ჩაიგდო პირში, რაც ძალი და ლონე ჰქონდა მოუპირა კბილი და უთხრა დედას: მითხარი, თუ მართლა ცხრა ძმა მყავსო.— არა შვილო, უპასუხა დედამ; მე იმის ღირსს ვინ გამხდის, რომ ცხრა შვილი მყავდესო.— სწორედ მითხარ, თორემ ძუძუს მოგაგლეჯავო, უთხრა ქალმა. დედა რო შეწუხდა ტკივილისაგან, მერე უთხრა: მართალია, შვილო, ცხრა შვილი მყვანდა, შენზედ ორსულად რომ ვიყავ, ისინი სანადიროდ წავიდენ; ვაჟი გამიჩნდებოდა — ულელი უნდა გამედგა, ქალი — ჯარაო. მე ჯარა გავდგი, მაგრამ ერთმა სულის მტერმა ბებერმა მიღალატა, ის ჯარა აიღო და ულელი გადგაო. ეხლა შენი ძმები ცხრა მთას იქით არიან დაკარგულებიო.— მაშ, მე ცოცხალი ნუ ვიქნებიო, სთქვა ქალმა, თუ არ წავიდე და არ მოვძებნო ჩემი ძმებიო. ჩაიცვა ქალმა კაცური ტანისამოსი, დაიპირა რკინის ჯოხი და გაუდგა გზას. ბევრი იარა ქალმა,

თუ ცოტა იარა, მივიდა იმ მთაში, ცხრა მთის იქით, სადაც იმისი ძმები იყვენ, ცეცხლის შუქს მიყვა და მივიდა ძმებთან. ჯერ მიესალმა და მერე ჰკითხა, დამაყენებთ თუ არაო. — რატომაო, უპასუხეს დიდი სიხარულით. იმ ღამეს დაიწყეს ლაპარაკი. ქალმა უამბო ყველაფერი თავისი გარემოება. წარსულ დავიწყებული ძმები გადაეხვიენ და დაუწყეს კოცნა: შენ ხარ ჩვენი და, ეხლა ერთად ვიცხოვროთო. იმ ღამეს სიხარულით ივახშმეს და დაიძინეს. მეორე დღეს ძმები სანადიროდ დაემზადენ და დას უთხრეს: არამც და არამც ცეცხლი არ გააქრო, თორემ ძალიან ძნელი საშოვარიაო. წავიდენ ძმები სანადიროდ. ქალს ცეცხლი გაუქრა. ბევრი იტირა, იტირა, მერე ავიდა ბანზედ და გაიხედა, იქნება ცეცხლი სადმე დავინახოო. გაიხედ-გამოიხედა ქალმა, შორს, ერთ დაბურულ ტყეში დაინახა ცეცხლი; ადგა, გაყვა სინათლეს, იარა, იარა, და მივიდა ცეცხლთან; ცეცხლი დევების სახლში ენთო, თვით დევები კი სახლში არ იყვენ, სანადიროდ წასულიყვენ. იმათი დედა იჯდა მარტო კერიას პირას.

ქალი შივიდა და სარკმლიდან ჩასძახა დევების დედას: დედავ, დედაშვილობას, ცოტა ცეცხლი მომაწოდეო! — დედაშვილობა არ გითქვა, მე ვიცოდი, როგორ დღესაც დაგაყენებდიო, უპასუხა დევების დედამ: ჩამოდი და წაიღეო. დაუყარა ცხრილზე ნაცარი, ზედ ცეცხლი დაუდო და გაისტუმრა. მოდის ქალი, ზოაქვს ცეცხლი და თან გზა-გზა ნაცარი ებნევა, თეთრი ნაცრიანი კვამლი მისდევს, მიიტანა ქალმა და დაანთო ცეცხლი. მოვიდა დევი სახლში, დედას უთხრა: დედავ, ადამიანის სუნი მომდისო. — არა, შვილო, აქ ადამიანს რა უნდოდაო, უთხრა დედამ. მითხარ დედავ და არაუერს დავუშავებო, დაუჟინა, დევმა.

ერთი ქალი იყო, ცეცხლი წაიღო, წადი, კვალს გაჰყევ, და ის კვალი პირდაპირ იმ ქალთან მიგიყვანსო, უთხრა დედამ. მივიდა დევი სახლთან და ქალს დაუძახა: ქალო, კარი გამიღეო. ქალმა იქიდან უპასუხა: წადი, აქედან დაიკარგე, თორემ ჩემი ძმები მოვლენ და სულ აგკუწავენო. დევმა უთხრა: თუ კარს არ გამიღებ, ხელი მაინც გამოყავიო. ქალმა ნეკა-თითი გაუყო. დევმა წოწნა დაუწყო. დევი მუდამ დღე მიდიოდა ქალთან, ქალი ძალიან დასუსტდა. ძმებმა შეატყეს დას, რომ ხდება, თანდათან ბეჩავდება ჰკითხეს: დაო, რატომ არ გვეტყვი, რა დაგემართა, რა არის შენ თავსაო. დამ უთხრა: თქვენ რომ სანადიროდ წახვედით, მე ცეცხლი გამიქრა, ავდექ, ბევრი ვიარე, ერთ ულრან ტყეში ცეცხლი დავინახე, დევის სახლი ყოფილიყო, მიველ და ჩავძახე ბანიდან, ცეცხლი მომეცით მეთქი. დევის დედამ ცხრილში ჩამიყარა ნაცარი, ცეცხლიც ისე ჩამიდო და წამოვიღე. კვალს დევი მოყვა და დამიძახა, კარი გამიღეო. მე კარი არ გავუღე. მაშინ იმან დამიძახა, ხელი მაინც გამოყავო. მე ნეკა-თითი გავუყავ, იმან კიდე წოვა დამიწყო სისხლისა. მას შემდეგ ისე მწოვსო. ძმები ძალიან შეწუხდენ და სთქვეს: ზოგი სანადიროდ წავიდეთ და ზოგნიც აქ დავიმალოთ, როდესაც დევი მოვა, მოვკლათო. მართლაც, ზოგნი სანადიროდ წავიდნენ, ზოგნიც კარებს უკან დაიმალნენ. მოვიდა დევი და დაუძახა ქალს: ქალო, კარი გააღეო. ქალმა გაუღო კარი, შევიდა დევი, მაგრამ კარებში გაიჭედა. ამო-

უხტნენ ძმები, აკუწეს და ჩაჰყარეს კარებს უკან ორმოში (ხაროში), თვითონ სანადიროდ წავიდენ დას უთხრეს: ეხლა მაინც გაუფრთხილდი, ცეცხლი არ გააქრო. ქალს ცეცხლი ისევ გაუქრა. ადგა მტირალი, ავიდა ბანზედ და გაიხედ-გაომიხედა. შორს, დაბურულ ტყეში დაინახა ცეცხლი, ისევ იმ დევის სახლში ენთო ცეცხლი. წავიდა ისევ იმასთან ქალი, ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა და დევის დედას ჩასძახა ბანიდან: დედავ, დედაშვილობას, ცოტა ცეცხლი მომაწოდეო. ბებერმა უთხრა: დედაშვილობა არ გეთქვა, შავ დღეს დაგაყენებდიო; ჩამოდი წაიღეო. მისცა ბებერმა ცეცხლი და თან ერთი მუჭა ქინძის თესლი გაატანა: წაიღე, შვილო, და სახლში კარებს უკან რომ ხარო გაქვსთ, იმაზედ დასთესეო. საღამოზე შენი ძმები ირემს მოიტანენ; ირემს რო მოჰხარშავთ, შენ ქინძი მოკრიფე, ხორცს დააჭერი, გემოს მისცემს და ძმებს ის აჭამეო. წამოიღო ქალმა ცეცხლი, ისევ დაანთო, დათესა ის ქინძიც კარებს უკან ხაროზედ. მოვიდენ ძმები, მოიტანეს ირემი. ხაროზედ მშვენიერი ქინძი ამოვიდა; ძმებმა დაჭერეს ირემი და მოხარშეს. ქალმა მოჭკრიფა ქინძი, დაუჭრა ძმებს ხორცზედ და აჭამა. ხორცის ჭამაზედ ცხრა ძმა ირმად გადაიქცა. სტირის ქალი მათი შემხედვარი. დილით მინდორზედ წაასხამს, აძოვებს ბალახს, საღამოს მორეკავს და დააყენებს. ერთხელ ქალს ირმები ბალახზედა ჰყვანდა, თვითონაც იქ იჯდა. ამ დროს სანადიროდ ერთი ხემწიფის შვილი გამოსულიყო. ნახა ირმები და დაუმიზნა შვილდ-ისარი, უნდოდა მოეკლა, მაგრამ ქალმა შეასწრო თვალი და დაუძახა: არ მომიკლა, ჩემი ძმები არიანო. ხემწიფის შვილს ძალიან მოეწონა ქალი, ვივიდა მასთან და უთხრა, შენ ცოლი უნდა იყო ჩემი ამას იქით და მე ქმარიო. არა, უპასუხა ქალმა, შენ ძმა და მე დაო. ხემწიფის შვილმა ორ დაიჯერა: შენ ცოლი და მე ქმარიო. მაშინ ქალმა უთხრა: თუ ღვთის ფიცს მომცემ, რომ ამ ირმებს არ დამიკლავ, ნებას მოგცემ, თუ არა და არაო. შეფიცა, დიდი ფიცით ხემწიფის შვილმა, არც შენ გიღალატებ და ეგ ირმებიც ჩვენთან გვეყოლებაო. წაჰყვა ქალი ხემწიფის შვილს, წავიდენ და ჯვარი დაიწერეს. ჯვარწერის შემდეგ მოახლემ უთხრა ქალბატონს: ქალბატონო. წყლისაკენ გავისეირნოთო.. გაისეირნეს წყლისაკენ. მოახლემ უთხრა: აბა, ქალბატონო, წყალში ჩავიხედოთ, რომელი უფრო ლამაზი ვართო. ჩაიხედეს წყალში; ქალბატონი ლამაზი იყო. მოახლემ უთხრა: აბა, ქალბატონო, შენი ტანისამოსი მე მეცვას, თუ უფრო ლამაზი არ-გამოვჩდეო. გაიხადა ქალბატონმა ტანისამოსი, მოახლეს ჩააცო თავისი და მოახლისა კიდევ თვითონ ჩაიცვა. ჩაიხედეს წყალში, კიდე ქალბატონი გამოჩდა ლამაზი. შეშურდა მოახლეს ქალბატონის სილამაზე, ჭკრა ხელი და თვითონ სასახლეში წამოვიდა და ხემწიფის შვილს უთხრა: მოახლე წყალში ჩამიეარდაო. ხემწიფემ ვერ იცნო, რადგანაც ედოფლის ტანისაბოლი ეცვა.—თქვენი ჭირის სანაცვალო იყოსო, უთხრა მოახლეს, იმისათვის რას დაღონებულხარო; მოიავადმყოფა თავი დედოფალმა, და ხემწიფის შვილს უთხრა: თუ დამიკლავთ უფროს ირემს მოვრჩები, თუ არა და მოვკდებიო. დაღონდა ხემწიფე: როგორ უნდა დავკლა, აკი ფიცი მოგეცი და შენც ფიცი ჩამომართვი, არ დამიკლაო.

შეწუხდა დედოფალი. ხელმწიფის შვილმა უბრძანა მსახურებს: დაჰკალით ირმებიო. დაიწყეს ხანჯლის ლესვა. ჩარეკეს ირმები წყალზედ. ჩაჰყვნენ წყლის პირს ირმები და ტირიან. მივიდა უფროსი ირემი წყალთან და დასძახა:

დაო, დაო, ვაშლა,
პირწითელა ვაშლა;
შენსა ძმასა ირემსა,
ულესავენ ჯიყ-დანასა.

თურმე ქალი წყალში თევზად იყო ნაქცევი, ნახევარი ტანი თევზისა ჰქონდა და ნახევარი კაცისა. ქალ-სირინოზი წყალში დაიწყებდა ბღერას, ირმები ნაპირას მიუვიდოდენ და დაიწყებდენ ერთად გართობას. ქალ-სირინოზმა ამოსძახა:

წადი უთხარ ხელმწიფესა,
ღვთისა ფიცსა რად გატეხსა!

გაიგონა ეს ვეზირმა, წავიდა და ხელმწიფეს მოახსენა: დიდებულო ხელმწიფეო, ირმები წყალზედ ჩავრეკეთ, უფროსი ირემი მივიდა და წყალს ჩასძახა: დაო, დაო, ვაშლა, პირწითელა ვაშლა, შენსა ძმასა ირემსა, ულესავენ ჯიყ-დანასა!. ახლა წყლიდან ვიღაცამ ამოსძახა: წადი უთხარ ხელმწიფესა, ღვთისა ფიცსა რად გატეხსა?! გაგზავნა მაშინვე ხელმწიფემ მებადურები და უთხრა: სადაც იქნება და სადაც არა, უნდა დაიჭიროთ ის ცხოველი და აქ მომიყვანოთო. წავიდენ მებადურები, ესროლეს ბადე, გააბეს ქალ-სირინოზი და მოუყვანეს ხელმწიფეს. გააკეთებინა აუზი ხელმწიფემ და ჩასვა შიგ თევზი: უყვარს ძალიან ხელმწიფეს ეს თევზი. მუდამ იმის ალერსშია. გახდება ისევ ავად დედოფალი. — თუ დაჰკლავთ იმ თევზს და მაქმევთ, მოვრჩები, თუ არა და — მოვკვდებიო, იძახდა ის. შეწუხდა ისევ ხელმწიფე. ბოლოს მაინც უბძანა. დაკალითო. დაკლეს და მოხარშეს. დედოფალმა უბძანა: ისე მოხარშეთ და მომიტანეთ, რომ ერთი ფხა არსად გადაგივარდესთო. ერთმა მოახლემ აიღო ერთი ფხა და გარეთ გადააგდო. თევზის ფხაზედ ისეთი ალვის ხე ამოვიდა, რო წვერი ცაში ჰქონდა მიბჯენილი. გააკეთებინა ტახტი ხელმწიფემ ალვის ხის ქვეშ, სიცხეში ჩავიდოდა და დაბძანდებოდა იმის ქვეშ... მოიავადმყოფა ისევ თავი დედოფალმა: თუ მაგის ფიცრის ტახტს შემიკრავთ, მოვრჩები, თუ არა და მოვკვდებიო. დაღონდა ხელმწიფე, როგორ უნდა გავიმეტოვო და ეს მშვენიერი ხე მოვჭრაო. რო შეწუხდა დედოფალი, უბძანა ხელმწიფემ, მოჰჭერითო. ისე მოჰჭერითო, უბძანა დედოფალმა, რომ ერთი ნაფოტი არსად გადავარდესო. მოსჭრეს ალვისხე. ბედად ერთი ნაფოტი გაფრინდა და შორს, სადღაცა სოფლის ბოლოს დაეცა. ამ დროს ბებერი ლოცვიდან მოდიოდა, დაინახა ნაფოტი, მოეწონა, აიღო და წაიღო სახლში ქოხის საფარებლად. მეორე დღეს ბებერი ისევ ლოცვაზე წავიდა. იქცა ნაფოტი ქალად, დაუგავა სახლი, დაუწმინდა ჭურჭელი, იქცა ისევ ნაფოტად და დაეფარა ისევ ქოხს. მოვიდა ბებერი, ნახა დაგვილი სახლი, შეჭამანდი მოხარშული

და მეზობლებს ლანძღვა დაუწყო: თქვენ რა საქმე გაქვთ, რომ ჩემ სახლში შემოდიხართ, ამ შეპამადსა დგამთ და ამ სახლს მიგვითო. მეზობლები გაჯავრდენ; ვისა აქვს შენი ჯავრიო, უყარაულე და ვინც შემოდის, დაიჭირეო. უყარაულა ბებერმა. ნაფოტმა სთქვა: ახლა კი წავიდოდა ბებერი ლოცვაზეო. იქცა ქალად, გადმოვიდა, აიღო ცოცხი და დაიწყო სახლის გვა. ამ დროს მისწვდა ბებერი და დაიჭირა ქალი... — შენ რა ხარ, რა სულიერი ხარ, რომ ჩემ სახლში შემოსულხარო. ქალმა უთხრა: ადამიანი ვარ და ადამიანის შვილიო, შემიბრალე და მიშვილეო. ბებერს ძალიან გაუხარდა,—მაინც შვილი არა მყავს და ჩემი შვილი იქნებაო. დაიწყეს ქალმა და ბებერმა ერთად ტკბილად ცხოვრება.

ერთ წელიწადს უბალახობა იყო. ხელმწიფეს სულ ეხოცებოდა სიმშილისაგან ცხენის ჯოგი; ქალმა უთხრა დედობილს: დედობილო, ხელმწიფეს ერთი, რომელიც დავარდნილი ცხენი ჰყავდეს, გამოართვი, მოიყვანე და გავასუქოთო. წავიდა ბებერი ხელმწიფესთან და უთხრა: დიდებულო ხელმწიფევ, ერთი, რომელიც უვარგისი ცხენი გყავდეს, ის ცხენი მე მომეციო. მისცეს ერთი ცოცხალ-მკვდარი ცხენი. წამოიყვანა ბებერმა და მოჰგვარა თავის ნაშვილებს. დაიბანა ქალმა ხელები და ისეთი ბალახი მოვიდა, რომ შიგ გაცურდებოდა საქონელი. ისე გასუქდა ცხენი, ისე გათქვირდა, რომ ვეღარ აპერენ. გაგიჟებული დარბის. ქალმა უთხრა დედობილს: წადი, უთხარი ხელმწიფეს, თავისი ცხენი მიიბაროსო. მივიდა ბებერი ხელმწიფესთან და უთხრა: დიდებულო ხელმწიფევ, ნაზირი გამოგზავნეთ და თქვენი ცხენი წამოიყვანეთო. ქალმა დაარიგა ცხენი: რომ მიხვიდე ხელმწიფის კარებზედ, დაწევ და რამდენიც უნდა გცეშონ, არ ადგეო, შინამ მე არ მოვიდე და არ გითხრა, ადექი, შე პატრონივით მუხანათოო, მაშინ ადექიო.

მოვიდენ ვეზირები ცხენის წასაყვანად. ისეთია ცხენი, სულ ვარსკვლავებს ეთამაშება. წაიყვანეს გახარებულებმა ცხენი და მიიყვანეს სასახლესთან. აქ კი ჩაწვა ცხენი და აღარა ქნა ძვრა. ბევრი ცემეს, ეწივნენ, მაგრამ არ ადგა. მაშინ ბებერმა მოახსენა ხელმწიფეს: დიდებულო ხელმწიფევ, მე ერთი ნაქალარი მყავს, რომელმაც ეს ცხენი გაჰკვება, იმან რო უთხრას, ადგება ეს ცხენიო. მაშინვე უბძანა ხელმწიფემ ბებერს: წადი და მოიყვანეო მოვიდა ქალი და უთხრა ცხენს: ადექ, შე პატრონივით მუხანათოო! ადგა მაშინვე ცხენი და შეითამაშა. ჰკითხა ხელმწიფემ ქალს: რად დაუძახე ჩემ ცხენს ან მე მუხანათიო?.. როცა გაიგო, ხელმწიფეს ძალიან მოეწონა ქალი. ქალმა უამბო ყველაფერი. ხელმწიფემ მეორედ დაიწერა ჯვარი, მოახლე ცხენის ძუას მოაბეს და ლუკმა-ლუკმად აქციეს.

ბერი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ტკვილი აქა.
ვთას ურემი ავაშენე,
წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით გამიძეხით,
საიქიოს ცხონებითა.

27. ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲚᲐᲪᲐᲠᲘ. ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔ

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მონადირე. ძალიან მძლავრი კაცი იყო. დადიოდა და ნადირობდა. ერთხელ გზაზედ მოდის და დაინახა, რომ მეურმეებს ღვინო მიაქვთ, ურმები ტალახში ჩაფლიათ, ეწევიან და ვეღარ ამოაქვთ.

— კაცო, რას ეწვალებით? ჰკითხა მონადირემ.

— ტალახში რუმბიანი ურმები დაგვეფლა და ვერ ამოვიღეთ.

— რას მომცემთ, რომ ამოვიღო?

— ღვინოს დაგალევინებთ.

მონადირე მოეჭიდა ურემს და უღელი გატეხა.

მერე დაავლო ხელი რუმბებს და ამოიტანა.

— ახლა დამალევინეთ ღვინოო, უთხრა მეურმეებს მონადირემ. მოხსნეს ერთ რუმბს თითი, მიეყუდა მონადირე და რუმბი სულ გამოცალა.

— კიდე დამალევინეთ! უთხრა მონადირემ მეურმეებს, ეს ერთი ყლაპი რა იყო?

— ვერ დაგალევინებთ — უპასუხეს.

— დამალევინეთ! მიეძალა მონადირე.

მეურმე ორი იყო. გაძალდენ მეურმეები.

მოუვიდათ ჩხუბი. მონადირემ აიყვანა, ერთი ერთ ჩექმის ყელში ჩაისვა, მეორე — მეორეში და წამოვიდა.

ჩამოიარა სოფელზედ, დაინახა, ერთი ქალი ძროხებსა წველის. ცხრა მოწველა, მეათე ფურ-კამეჩმა უკრა წიხლი და დაუქცია. სტაცა ამ ქალმა ფურ-კამეჩს ხელი, აიყვანა და ეზოს გარედ გადმოსვა. მონადირეს ძალიან მოეწონა ქალის ღონე. თუ არ შევირთე არ იქნებაო, სთქვა მონადირემ. მივიდა ქალთან და უთხრა: უნდა ცოლათ გამომყევო. ქალი ჯერ უარზედ იდგა, მერე უთხრა: თუ შემიტყობ, ჩვენს გვერდზე რომ სისხლის წყალი ჩამოდის, საიდან მოდის, გამოგყვები ცოლად, თუ არა და — არაო.—კარგიო, უთხრა მონადირემ. იმ ღამეს დაინიშნა ქალზედ, მეორე დღეს გამოემშვიდობა და შეჰყვა სისხლის წყალსა. მიდის და მიდის, ამ სისხლის წყალს თანდათან ემატება. ნახა ერთი გმირი შუბლზედ აბჯენია და სთვლემს; რამდენსაც დასთვლემს, იმდენს შუბს შუბლს დაკრავს, თვალს გაახელს და ცისკენ იხედავს. თურმე, — ეს სისხლის წყალი, მისი შუბლიდან გამოდის. მივიდა მონადირე გმირთან, დადგა და უცქერის.

— კაცო, უთხრა გმირს, რად შვები მაგრე, სისხლის რუს იდენ. რატომ არ დაიძინებ, ცისკენ რას იხედები?

— მე, — უთხრა გმირმა, ერთი თვის ძილი მჭირს; დევმა ქალი უნდა გამოატაროს, არ მინდა, რომ დამეძინოს, მინდა ქალი წავართვა, იმიტომ ვფხიზლობო. ამ შუბზედ თავს იმიტომ ვახლი, რომ როცა შუბი შემერჭობა, მატკენს და გამომეღვიძებაო.

— დაიძინე და მე გაგაღვიძებ, უთხრა მონადირემ.

— შენ მე ვერ გამაღვიძებ, ბევრიც რო იყვირო.

— აბა დაიძინე, თუ ვერ გაგაღვიძებ!

დაიძინა გმირმა, უყვირა მონადირემ, უყვირა გამოსაცდელად და ვერ გააღვიძა.

მერე ხმლის ყუა დაჰკრა შუბლში და ისე გააღვიძა.

— ყოჩაღ, უთხრა გმირმა მონადირეს, რომ გამაღვიძეო! კარგი, მე ისევ დავიძინებ, შენ მიყარაულე და, როცა დევს ქალი მოჰყავდეს, გამაღვიძეო.

დაიძინა გმირმა. მონადირე დგას და გაცქერის დევის გზას. გამოჩნდა დევიც.

ერთი ისეთი დაუყვირა მონადირემ, რომ გმირი სამჯერ შეხტა და დაეცა, მაგრამ მაინც არ გაეღვიძა. მერე დაუშინა შუბლში ხმლის ყუა და ძლივს გააღვიძა. წამოდგა გმირი, დაავლო ხელი იარაღს და შეუტია დევს: მაგრე რო მიდიხარ, ეგ რა ბიჭობაა, ჩამოდი, მეომე და რომელმაც დასძლიოს, იმას დარჩეს ქალიო. მიბრუნდა დევი, დასვა ქალი და შეცვივდენ რკინის კალოზედ შესაბმელად. იბრძოლეს და ერთმანეთი მხრეებამდის ჩასვეს მიწაში. გმირმა დაუძახა მონადირეს: მოდი, აიღე ხანჯალი და ამა და ამ ადგილას შემოჰკარიო. მივიდა მონადირე, შემოჰკრა ხანჯალი და მოჰკლა დევი.

მერე იფიქრა: მე რო დევი მოვკალ გმირი ქალს ხომ არ მიზიარებსო. მოვკლავ მაგასაც და ქალი მე დამრჩებაო. მოკლა გმირიც და ქალს უთხრა: უნდა ცოლად შეგირთოვო; ქალმა ცივი უარი უთხრა. მონადირე მაინც არ მოეშვა. ქალმა უთხრა: ჩემ დედამამას ცხრა ვაჟი ჰყავს და მარტო ერთი ქალი მე ვყევარ; წადი, ჩემი ცხრა ძმა თუ მოგცემს ჩემს თავს, შენსა ვიქნებიო.

— წამოვიდა მონადირე იმათ საძებნელად. მოდის. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ერთ მინდორზე კაცი დაინახა, ხელში ბარი უჭირავს, წყალი უდის, ხნულსა რწყავს. ისეთია ეს კაცი, როგორც უზარმაზარი დევ-გმირი. წავიდა მონადირე იმისკენ. მონადირე ცხენზედ ზის და ისე მიდის. მივიდა წყლის ნაკადულთან. დევ-კაცმა დაუძახა. კაცო, წყალში არ შემოხვიდე, მოგიტაცებსო. მონადირემ მაინც არ დაიშალა და შევიდა. შუაწყალში რომ მივიდა, მოიტაცა წყალმა და წაიღო. მივიდა მიწის მრწყველი, ამოსდო ბარი და ცხენი და კაცი ნაპირზედ გადმოყარა.

— რა ხარ, რა სულიერი ხარ, აქ რისთვის მოსულხარო,—ჰკითხა მონადირესა. მონადირემ უთხრა თავისი თავგადასავალი დაწერილებით და მოსვლის მიზეზიც. დევი მოვკალი, ქალი მიჰყავდა, ის ქალი მე დამრჩა, მინდოდა ცოლად შემერთო, მაგრამ ქალი უარზედ არისო. ამბობს, მე ცხრა ძმა მყავს, და სანამ იმათ არ ჰნახავ, არ შეგირთავო. მრწყველმა უთხრა, სწორედ მე ვარ იმისი ძმა, ჩემი რვა ძმა სანადიროდ არის. მოიცადე, დედაჩემი სამხარს მომიტანს, იმას გაჰყევ სახლში და საღამოზედ მეც მოვალო.

დაჯდა, დაისვენა მონადირემ. ცოტახნის შემდეგ გამოჩნდა იმ გმირის დედაც. თავზედ თაბახი ადგია, ზედ სამხარი უძევს. ერთი თონე პური, ერთი ცხვარი და ერთი კოკა ღვინო. დადგა ძირს და დაჯდა თვითონაც. შვილმა უამბო დედას მონადირის ამბავი. უთხრა: რო წახვიდე, შინ წაიყ-

ვანე და, რწყავას რომ მოვრჩები, მეც მოვალო. როცა ჭამას მორჩა დედამ მონადირე წაიყვანა და წავიდა.

გზაზედ ერთი მდინარე დახვდათ. რას გავა მონადირე? იმასაც დაა-ხრჩობს და იმის ცხენსაც. მობრუნდა დევ-გმირის დედა, მონადირე ერთ იღლიაში ამოიჩრა, ცხენი მეორეში და ისე გატოპა. ნაპირს რო გავიდა მშრალზე დასხა და უთხრა: ეხლა იარეო. ისეთია ეს ბებერი, რო მონა-დირე მიაჭენებს ცხენს, მაგრამ კიდევ ვერ ეწევა. მივიდენ ქალის სახლში. რვა ძმა სანადიროდ ყოფილიყო. მოვიდენ, თითო ირემი მოიტანეს. საღა-მოზედ მეცხრე ძმა მოვიდა, ხნულს რო რწყავდა.

მონადირეს უთხრეს: ჩვენ ისეთი სასტიკი მამა გვყავს, რომ სანამ არ დაიძინებს, ვახშამს ვერა ვსჭამთ, და სანამ არ გაიღვიძებს, — სადილსაო. გვინდა თავიდან მოვიშოროთ და არ ვიცით რა ვუყოთო. ადგა მონადირე, როცა ბერიკაცმა დაიძინა, დაჭკრა თავში ხმალი, მაგრამ ერთი ბეწვი ძლივს გაჭრა, დაჭკრა მეორედ, მეორე თმა ძლივს გასჭრა, დაჭკრა მესამედ, მესამე თმა ძლივს გასჭრა. წამოდგა ბერიკაცი, ჩამოივარცხნა თმა და მისი თმა ჩამოიტანა სავარცხელმა.

— თქვენ ცხრანი ხართ, აქ მეათეცა ყოფილა, მითხარით, ვინ იყო, თორემ ვაი თქვენი ბრალიო, — უთხრა შვილებს.

წამოხტა მაშინვე მონადირე, მორბის, მორბის თავგადაგლეჯილი, მო-სდევს ცხრა ძმის მამაც უკან. ტრიალი მინდორია. შუაზედ წყალი ჩამოდის, დაღონდა მონადირე, სად დაიმალოს? საფარი არაფერია. მიიხედ-მოიხედავს და დაინახავს, რომ ერთი კაცი თევზაობს. ბადით, გაიქცევა და მიირბენს მასთან.

— კაცო, რა ხარ, რა სულიერი ხარ, დამმალე, თუ ღმერთი გწამს.

— ვინ ხარ? ჰკითხა მებადურმა.

— ქრისტიანი ვარ და დამმალე შენი ღვთის-გულისათვის, თორემ იმ ბერი კაცს ვერ მოურჩები. ხო ხედავ, მომდევს.

მადლობა ღმერთს თუ ქრისტიანი კიდევა ვნახეო, უთხრა მებადურ-მა, რა გიყო, რაში დაგმალო? ხო ჰხედავ ცალიერი მინდორიაო. არა ქნა, არ მოეშვა მონადირე. მებადურმა უთხრა: მოდი დაგმალო. ორი კბილი ჰქონდა მოთხრილი, ერთი ერთ მხარეს, მეორე მეორე მხარეს.

— მოდი შემომიძვერ პირში, უთხრა მონადირეს. მონადირეც შეძვრა, მონადირე ერთ კბილში დააბინავა, ცხენიც მეორე კბილში. მოვიდა ცხრა ძმის მამა.

— რა იქნა ის კაცი აქ რო მოვიდა, სად დაიმალაო!? შეუტია მება-დურსა.—მე არ მინახავსო, ეუბნება მებადური, კაცი არ ეშვება, გაუქირა საქმე. დასცხო მებადურმა ამ გმირ კაცს ბადის ტარი და იქვე გააგორა. მონადირემ რომ სამი თმა ძლივს გაუჭრა, — მერე ჩამოსხა ძირს მონადირე, იმისი ცხენი და უთხრა, ეხლა გასწი შენს გზაზედაო.

მონადირეს ძალიან გაუკვირდა ამოდენა უზარ-მაზარი კაცი, მოუნდა შეტყობა, თუ რამ მოსტეხა ამ დევ-გმირს ეს კბილები. მოეჭიდა ჩოხის ბო-ლოზედ მებადურს: უნდა მითხრა, რამ მოგტეხა ეგ კბილებიო.

— გასწი, შენ გზაზე, თორემ შენც იმ ცხრა ძმის მამის დღეს დაგაყენებო, დაემუქრა მებადური. მორადირე მაინც არ ეშვებოდა, გაუპირა საქმე: მებადურმა უამბო:

ჩვენ ორი ძმანი ვიყავით. ერთხელ გზაზედ მოვდიოდით, გაგვიავდარდა. არაფერი იყო, რომ თავი შეგვეფარებინა. გზაზედ ერთი კაცის თავის გოხა[1] დავინახეთ, იმოდენა იყო, რომ მე და ჩემი ძმა შიგ შევძვერით. ერთი ერთ თვალში და მეორე მეორეში. იქ გადმოვიყარეთ ავდარი. ამ დროს თურმე ერთ მეცხვარის იქ ახლო-მახლო ცხვარი ჰყავდა, მიეპარა მგელი და ცხვარი მოსტაცა. არაფერი ჰქონდა მეცხვარეს, რომ მგლისათვის ესროლა. თურმე დაინახა ის თავის გოხა, ჩვენ რო ვისხედით, მოავლო ხელი, ესროლა მგელსა, ჩემი ძმა გამოძვრა გოხიდან და სად გადავარდა, ვერაფერი გავიგე, მე კიდე შიგ შევრჩი. თავის გორა კლდეზედ დაეცა, და ეს ორი კბილი იქ მომტყდაო. რომ გაიღვიძა, კანჭები ეხლაც იქა ყრია, ჰნახავო, იმ კაცისაო, და ის გოხაც იქვე არისო.

წამოვიდა მონადირე. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ამ მთიან და კლდიან ადგილას. ჰხედავს, რო თითო ისეთი კანჭი გდია, რო კაცი ზედ ვერ გადაალაჯებს. ძალიან გაუკვირდა და შეეზარა. მონადირე მადლიანი იყო და ღმერთს შესთხოვა: ღმერთო, გააცოცხლე ერთი ამ კანჭების პატრონი, ვნახო რა სულიერი იყოო, და თვალებს კი ნუ მისცემ, თორემ შემეშამსო! მართლაც უსმინა ღმერთმა ლოცვა, უცებ ძვლებიდან ერთი საზარელი რაღაცა აიყაყვა, ისეთი, ისეთი, ისეთი უზარმაზარი, თავით ცასა სწვდება. მონადირემ თავამდე თვალი ვერ შეუწვდინა.

— რა ხარ, რა სულიერი ხარ, დამენახვე, ან მოდი ხელი მოგეკიდოო, დაიძახა აყაყულმა დევ-გმირმა.

აიღო მონადირემ ერთი დიდი კლდე და უჩვენა. მოუპირა აყაყულმა კაცმა ხელი, დაფშვნიტა და ჩამოყარა, ეს ხო კლდეაო.

მერე ისევ ინატრა მონადირემ: ღმერთო, როგორც იყო, ისევ ისე გახადეო. უცებ დაიგრიალა ამოდენა კაცმა და ბრახვა მოსდგა. დედამიწა შეიძრა, ცამ ქექა-ქუხილი დაიწყო. ამოდენა სანახავის მნახველი მონადირე წავიდა ახლა იმ მეცხვარის საძებნელად. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, შეხვდა იმ მეცხვარეს. ახლა იმას ჩამოეკიდა: თუ არ მითხარ, არ იქნება, რათ ესროლე ის თავის გოხა მგელსაო.

— ჩამომეხსენ, შენთვის არა მცალიან, თავი დამანებეო, ეუბნებოდა მეცხვარე. მონადირე არ ეშვებოდა და მოეკიდა ბოლოზედ. მოთმინებიდან გამოსულმა მეცხვარემ მოიქნია ჩოხის ბოლო, ცხრა მთას იქით გადაისროლა და მოკლა. შემოეხვივნენ ამ მეცხვარეს მეზობლები და არცხვენდა ყველა: სირცხვილი არ არის, იმაზედ რა ვაჟკაცობას სცდიდი, დაჰნანდა თვითონ მეცხვარესაც, მაგრამ რაღას უშველიდენ საწყალ მონადირეს!

ეს დევ-გმირები დღემდე ცოცხლები არიან და კარგადაც ცხოვრობენ.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

---

[1] ჭვიტკირის მსგავსი კლდე.

28. ზღაპარი ივანე ცისკრისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა; იყო ერთი ქალაქში მეჭედელი. შვილები არ ჰყავდა, გულით კი უნდოდა. ერთხელ მეჭედლის ცოლი წყალზე იყო. კოკას რო ავსებდა, ნახა, წყალს სამი ვაშლი მოჰქონდა. მეჭედლის ცოლი დაეწოდა ვაშლებს, ამოიღო და წაიღო სახლში. ერთი ვაშლი ქმარს მისცა, ერთი თვითონ შეჭამა და ერთიც შუაზე გაიყვეს.

დაორსულდა მეჭედლის ცოლი. დადგა მეცხრე თვე; ასტკივდა მუცელი და დაუძახა ბებიას. საღამოზე დედის მუცლიდან დაიძახა ბავშვმა: წადით, მღვდელი მოიყვანეთ, რომ მომნათლოთ, თორემ დავიბადები თუ არა, გაეფრინდები ცაშიო. მართლაც, ბინდზე დაიბადა ბავშვი. მონათლეს და დაარქვეს **ივანე საღამოსი.** მოწოვა ვაჟმა ძუძუ და გაფრინდა ცაში. ის იყო მღვდელი უნდა წასულიყო სახლში, რომ მეორე ვაჟმა დაიძახა: მღვდელი არ წავიდეს, შუაღამის დროს მეც დავიბადებიო. შუაღამის დროს დაიბადა მეორე ვაჟიც. მონათლეს და დაარქვეს **შუაღამისა.** მოწოვა იმანაც ძუძუ და გაფრინდა ცისაკენ. თენებაზე, ცისკარზედ დაიბადა მესამე ვაჟი. მონათლეს და დაარქვეს **ივანე ცისკარი.** მოწოვა ივანე ცისკარმა და გასწია ცისაკენ.

აბის შემდეგ ძმები ცხოვრობდენ **ღრუბლებთან** და დასრიალობდენ **ვარსკვლავების** ახლოს. დედასთან დღეში ერთხელ მოფრინდებოდენ ხოლმე ძუძუს მოსაწოვად. ივანე საღამოსი საღამოზედ მოფრინდებოდა, ივანე შუაღამისა შუაღამის დროს და ივანე ცისკარი ცისკარზედ. მოსწოვდენ ძუძუს და გაფრინდებოდენ ისევ, რომ ერთხელ არ უნახავთ ძმებს ერთმანეთი. გავიდა კარგა ხანი და მოიზარდენ ძმებიც. ეხლა, რაკი ძუძუს არა სწოვენ, გვიან-გვიან მოდიან სახლში. მოვიდოდენ კვირაში ერთხელ, წაიღებდენ პურს და წაიდოდენ ისევ.

იმ ქალაქში ერთი ხემწიფე იყო. ხემწიფეს სამი მზეთუნახავი ქალი ჰყავდა. ქალები არ გამოდიოდენ გარეთ არც ღამე, არც დღე, ეშინოდათ, არ მოგვეკიდოს მზე, ან სიცივე. ერთხელ მამამ უთხრა ქალებს: შვილებო, მუდამ სახლში გდიხართ, გადით გარეთ, ნახეთ მზე — ქვეყანაო. ქალებმა უსმინეს მამას და გამოვიდენ სასეირნოდ. შუადღე იქნებოდა, რომ უცებ მოიღრუბლა, დაიწყო ელვა-ჭექა და ჩამობნელდა. მოფრინდა ერთი დევი, მოიტაცა ეს ქალები, შეისხა მხარზე და შეერია ღრუბლებში. გავარდა ხმა ქალაქში, ხემწიფის ქალები დაიკარგენო.

შეწუხდა მთელი ქალაქი, დაღონდა ხემწიფეც; შველა აღარსაიდან იყო. გაგზავნეს მაძებრები, მაგრამ კვალი ვერსად იპოვნეს. ბოლოს მოვიდა ბებერი — ბებია ივანე ცისკრის დედისა და უამბო ხემწიფეს, რომ ამ ქალაქში ერთ მეჭედელს სამი ვაჟი ჰყავს, სამივ ცაში ცხოვრობს, როგორც ფრინველები, ცაც იმათ ხელშია და ქვეყანაცაო. თუ ეცოდინებათ ისევ იმათ ეცოდინებათ, რა იქნენ შენი ქალებიო. ხემწიფემ მაშინვე წვეულობა გამართა

და გაგზავნა მეფეღლის შვილების დასაპატიჟებლად. დედამ პირობა მისცა ხემწიფის ქაცს, რომ დავაბრუნებ სახლში და გამოვგზავნი ხემწიფესთანო.

საღამოს ხანზე მოვიდა ივანე საღამოსი, უფროსი ეაჟი. დედა ძლივს მოესწრო შვილის ნახვას, ასვა, აჭამა და, როდესაც შვილი უნდა წასულიყო, დედამ დაუწყო თხოვნა: დარჩი, შვილო, ჩემთან ამაღამ, ხვალ ხემწიფეს წვეულობა აქვს და დაგპატიჟაო. დარჩა ივანე საღამოსი დედასთან; დედამ დაუგო ლოგინი და დააწვინა. შუაღამის დროს ივანე შუაღამისა მოვიდა. იმასაც გაუმასპინძლდა დედა და სთხოვა: დარჩი აქ ამაღამ, ხვალ უნდა ხემწიფესთან წახვიდეთო. ივანე შუაღამისა დათანხმდა დედის თხოვნას და დარჩა. სახლში მძინარე კაცი ნახა და უთხრა დედას, ეს ვინღა არის, რომ აქ სძინავსო, დედამ უთხრა: ეგ შენი უმფროსი ძმა არისო, ორნივ ერთ ღამეს დაიბადეთო. დაიძახა ივანე შუაღამისამაც, თენებას ივანე ცისკარიც მოყვა, იმასაც გაუმასპინძლდა დედა და დააწვინა ისიც ძმების ახლო.

თენდებოდა. უმფროსი ძმა ივანე საღამოსი ძილით იყო გამომცხვარი, ივანე შუაღამისა შუა ძილში იყო და ივანე ცისკარი ახალი დაძინებული იყო. უმფროსი ძმა ადგა და, რო ნახა ორი უცხო, ძალიან გაჯავრდა: სხვას რა ხელი აქვს, რომ ჩემ სახლში შემოდიან ჩემ დაუკითხავადაო. უნდოდა ამათი დახოცვა, მაგრამ არც ისარი ჰქონდა, არც ხმალი. მივიდა და დაეწოდა ივანე ცისკრის ხმალს, მაგრამ ძვრა ვერ უყო. დედამ დაინახა ივანე საღამოსი, რომ ხმალს ეზიდებოდა. შეშინებულმა ჰკითხა: რად გინდა, შვილო, ხმალი, აქ რა მტერი გაწუხებსო! — ესენი ვინ შემოგიყვანია სახლშირ, ჰკითხა ივანე საღამოისამ. — ეგენი შენი ძმები არიან. სამივ ერთ ღამეს დაიბადეთ და ეგენიც მოვიდენ პურის საჭმელად და დავაბრუნეო.

გამოიღვიძეს ძმებმა, გადეხვივნენ ერთმანეთს და გადაჰკოცნეს. მერე წავიდენ ხემწიფესთან, ხემწიფემ დიდი პატივით მიიღო ძმები და უბრძანა, რომ კარგად გამასპინძლებოდენ მათ. საღილის ბოლოს ხემწიფემ ჰკითხა უფროს ძმას, ივანე საღამოსას, ცაში დაჰდიხარ, ქვეყანას ჰხედავ, ჰნახავდი, ჩემი ქალები სად არიანო. ივანე საღამოსამ უთხრა, მე არ მინახიაო. ივანე შუაღამისამაც ისე უთხრა, ივანე ცისკარზე მიდგა ჯერი.

ივანე ცისკარი ადგა. დაუკრა თავი ხემწიფეს და უთხრა: ბედნიერო ხემწიფევ, ერთ მაღალი მთის წვერზედ ვიწექ, ცას ვუყურებდი და ღრუბლების რევასაო. უცებ მომესმა წივილი და ქალების ტირილიო. შევხედე და დავინახე, მოფრინავს დევი და მოაწივლებს ქალებს. მე მაშინვე შვილდს მოვავლე ხელი, მაგრამ მალე ისევ დავაგდე, რომ მომეკლა ჩამოვარდებოდა და ქალებიც დაიხოცებოდენ; წავიდა და წაიყვანა ქალები. მას შემდეგ აღარაფერი არ გამიგიაო.

ხემწიფეს გაუხარდა, რომ ბოლოს კვალი იპოვნა თავის ქალებისა. ივანე ცისკარს უთხრა: წადი, იპოვნე ჩემი ქალები, და თქვენ მოგცემთ ცოლებადაო. უმცროსი ისეთი ლამაზია, რომ მზეს შეშურდება იმის სილამაზე, ის შენი ცოლი იქნებაო.

ივანე ცისკარი დათანხმდა. მან აზრით იცოდა, სადაც ცხოვრობდა ის დევი, წაასხა ძმები და გაუდგა გზას. იარეს ცოტა თუ ბევრი და მივიდენ

ერთ მთასთან. მთას ერთი ფები ზღვაში ედგა და — მეორე ზღვაში. მაღალი წამოხურული კლდე იყო, რომ თვალი ვერ აწვდებოდა. კლდის ძირს ერთი კარავი ნახეს. კარავში ერთ რკინის კაცს თავი მ.ოასავით ჰქონდა.

ივანე ცისკარმა გაგზავნა ძმები, წადით, გააღვიძეთო. მივიდენ ძმები გამოსაღვიძებლად დევთან, მაგრამ ვერაფერი შეასძინეს, მობრუნდენ და ივანე ცისკარს უთხრეს: ვერ გავაღვიძეთო. ივანე ცისკარი მივიდა დევთან და ჩაჰკრა თავში შვილდი. რკინის კაცმა უთხრა ივანე ცისკარს: მოძმედ გამოგადგებიო. ივანე ცისკარმა უთხრა: შენი თავი იმაში ძეპირვება, იმ კლდეზე აგვიყვანეო. რკინის კაცმა უთხრა: შენ მეპედელი ხარ, გააკეთე ერთი დიდი ჯაპვი, შევტყორცნოთ ზევით, მოვსდვათ კლდეს და ავიდეთო.

ივანე ცისკარმა მოიტანა ბლომად რკინა, კვერები, მაგრამ გრდემლი დაჰვიწყებოდა. რკინის კაცმა უთხრა: აი ჩემი თავი იყოს გრდემლად და ამაზე გაძოკვერე ის ჯაპვიო. დადგა ივანე ცისკარი და გამოკვერა უზარმაზარი ჯაპვი. ჩაასვეს ერთი დიდი მარგილი[1], დაამაგრეს იმაზე ერთი პირი ჯაპვისა, მეორეზედ ჩანგლები მოაბეს და უთხრა ივანე ცისკარმა ძმებს: აბა ეცადეთ, შეაგდეთ, იქნება შეუწიოთო. მოვიდენ ივანე საღამოსი და შუაღამისა, მაგრამ ვერც კი დასძრეს. აბა, ახლა შენ, რკინის კაცო, უთხრა ცისკარმა. რკინის კაცმა მოავლო ჯაპვს ხელი, შესტყორცნა, მაგრამ ერთი სამი ოთხი ადლი მაინც დააკლდა წვერამდე. — ეგ არის შენი ღონეო, ჰკითხა ცისკარმა. — ეგ არისო. მაშინ ცისკარმა მოავლო ხელი, ასტყორცნა და აიყვანა წვერამდე.

მეეკიდნენ ყველანი, მოედვა ჩანგალი კლდეებს, გამაგრდა ისე, რომ ასვლა ხედ კარგად შეიძლებოდა. აგზავნა ძმები ცისკარმა, მაგრამ ძმები ვერ ავიდენ, კინაღამ ჩამოცვივდენ შიშით. მერე რკინის კაცი აგზავნა და უთხრა, არ ჩამოიხედო, თორეი ჩამოვარდებიო. წავიდა რკინის კაცი და ცოტაღა უკლდა ასვლას, რომ ჩამოიხედა ძირს, თავმა დასძლია და კინაღამ ჩამოვარდა. რის ვაი ვაგლახით ჩამოვიდა ძირს.

მერე დასტოვა ძმები ცისკარმა და უთხრა რკინის კაცს, თუ რამ დაუშავდება ამათ, შენი კისრიდან ამოვიღებო. ავიდა ცისკარი და გასწია თავის გზაზედ. ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ სპილენძის სახლთან. სპილენძის დევისა ყოფილიყო. შევიდა სახლში, ნახა ერთი ლამაზი ქალი. ვაჟმა გამოჰკითხა ყველაფერი. გაიგო რომ ეს ქალი ხემწიფის უფროსი ქალი ყოფილიყო. ქალმა დაღონებულმა უთხრა: ნეტავი არ მოსულიყავ, შვიდთავა დევი მოვა და მოგკლავსო. — ნუ შეწუხდეი, ბე ვიცი და იმანაო, უთხოა ცისკარმა. — მაშ, მე ბენი ცოლი ვიქნებიო, უთხრა ქალმა. — არაო, უთხრა ცისკარმა, შენ რძალი და ძე მახლიო. საღამო ხანზე შვიდთავა დევი ცხენით სახლში მოდიოდა, რომ მიუახლოვდა დევი სახლს, ცხენმა დაიბორძიკა. — აჩუ შე სამგლე, რა, ივანე ცისკარი დაგხვდება სახლში, რა გაშინებსო. მოვიდა შინ და მართლა ივანე ცისკარი დახვდა სახლში. ცისკა-

[1] სარი.

რი საჩრდილობელში იჯდა. გარედ დევმა დაუძახა: ცისკარო, გამაგებინე, სამტროდ მოსულხარ, თუ სამოყეროდაო. — შენთან სამოკეთო რა მაქვსო, მიუგო ცისკარმა, სამტროდ მოველო. გადმოხტა ცხენიდან სპილენძის დევი და დაუძახა: შეუბერე მანდ მიწასო. — გინდა შეუბერე, გინდა არაო, უთხრა ცისკარმა. შეუბერა დევმა და ფეხის დასამაგრებლად აქცია მიდამო სპილენძად. დაიჭიდნენ. მოიქნია ცისკარმა და ჩასვა მუხლებამდე, მოიქნია დევმა და ჩასვა მუხლებამდე. მოიქნია ცისკარმა და ჩასვა წელამდე. მოუსო ხმალი და მოსჭრა სამი თავი. გაცოფდა დევი, დაიქნია ცისკარი. ჩაიყვანა საზარდულამდე.

ამოფრინდა ისევ ივანე და მოსჭრა ის ოთხი თავიც, გამოართვა ქალს ბეჭედი ძმისათვის, გამოეთხოვა და წავიდა ახლა ცხრათავა მდევთან, რომელსაც საშუალო და ჰყავდა. იარა ცისკარმა და მივიდა ვერცხლის სასახლესთან. აქ საშუალი და დახვდა. აქაც საგრილობელში დაისვენა და ელოდებოდა დევს. ქალი ეხვეწებოდა, წადი, მოგკლავსო, მაგრამ ცისკარმა არ დაუჯერა. მოდის საღამოზე ცხრათავა დევი, უცებ ცხენმა დაიბორძიკა. — აჩუ, შე სატიალოვ, რა, ივანე ცისკარი დახვდებაო. მოვიდა სახლში და მართლაც ივანე დახვდა წამოწოლილი ხის ძირში. დაუძახა: ცისკარო, სამტროდ მოხველ, თუ სამოკეთოდაო. მე შენთან სამოკეთო რა მაქვს, უთხრა ცისკარმა. — მაშ შეუბერე მიწასო. არც შეუბერავ, არც არაფერიო, უთხრა ცისკარმა. ცისკარმა მალე მოჭკლა ცხრათავა დევი. დანიშნა თავის ძმისთვის იმისი ცოლი; გამოეთხოვა და წავიდა თორმეტთავიან დევთან. მივიდა იმის სახლში ცისკარი, მიდამო სულ ოქროსი იყო. შევიდა ვაჟი და ნახა იქ უმცროსი ქალი. მივიდა ცისკარი, გადაეხვია თავის საცოლოს და დაუწყო კოცნა. ქალს შეუყვარდა ცისკარი. ცისკარმა უთხრა. მე მოველ, ის დევი მინდა მოვკლაო. ქალმა ტირილი დაიწყო: ნუ, თორემ მოგკლავს, შენ იმას ვერაფერს უზამ, იმის მომრევი არავინ არისო. ცისკარმა უთხრა ქალს: ნუ გეშინია, თორმეტთავიანი დევი მე ვერ მომკლავსო. გავიდა და დაჯდა ხის ძირში და დაუწყო ლოდინი დევს.

დევი საღამოზე მოდის შინ, დაიბორძიკა ცხენმა. — აჩუ. შე სატიალო, იქნება ივანე ცისკარი გაშინებსო; შენა ჰნახავ, რომ იმის მძორს ყორნები სჭამდენ და იმის სისხლი ღვარივით მიდიოდესო. მოვიდა დევი შინ, დაინახა ივანე და შესჭყივლა: ცისკარო, სამტროთ მოხველ, თუ სამოკეთოდაო. სამტროდ მოვედი, უთხრა ცისკარმა, შენთან მოკეთეობა რას გამომადგებაო. — შეუბერე მიწასაო, უთხრა დევმა. შენ შეუბერეო, უპასუხა ცისკარმა.

გადმოუხტა დევი და ცისკარიც მიეგება, შეუბერა დევმა და აქცია ის ადგილი ოქროდ. იბრძოლეს. დევმა ცისკარი წელამდე ჩაფლა, ცისკარმა მხრებამდე და ცხრა თავიც მოსჭრა. დევი დაიღალა. მდევმა ჰკითხა: როგორ იციან თქვენში ომიო. ჩვენში ომობენ და დაისვენებენო, უპასუხა ცისკარმა. — მაშ დამასვენეო, სთხოვა დევმა. ცისკარმა იფიქრა, ეს რო დავასვენო და ამომასწროს, ხო მომკლაო. ამოფრინდა მიწიდგან და მოსჭრა ის სამი თავიც დევს. ეს კი ვაეკაცობა ვეღარა ქნა ცისკარმა: სამი თავი ღალატით მოსჭრა დევს.

წამოიყვანა ქალი ცისკარმა და წავიდა. რომ ამოსცილდენ სახლს, ქალმა უთხრა: ცისკარო გაიხედე, რამდენი ოქრო რჩება ტყუილადაო. დევებს ოქრო ვინ მისცაო, უთხრა ივანემ; ეგ სულ თვალის მოტყუება არისო. იმან მოგაჩვენა შენ, რომ ამ სიმდიდრით მაინც გართობილიყავ, რაკი მამის სახლს მოშორდიო. შეუბერა ივანემ და აქცია მტვრად, მოვიდენ შუალა დასთან, იქაც მტვრად აქცია ეერცხლის სახლი; წაიყვანა შუალაც, უფროსიც და მიიყვანა კლდესთან. ცისკარმა ჩაუშვა ჯერ უფროსი ქალი და დაუძახა უფროს ძმას, მოსჭიდე მაგას ხელიო. ჩაუშვა შუალა და და ის კიდე შუალა ძმას ჩააბარა. მერე თავის საცოლეს უთხრა, მაგრამ ქალი არ უჯერებდა, ის რკინის კაცი გიღალატებსო. შენთვის ამომდის მზეც და მთავარეც, რო გიღალატოს მერე რა ვქნაო. ცისკარმა არ დაუჯერა და ჩაუშვა. ჩავიდა თუ არა ქალი, რკინის კაცმა შემოჭკრა ჯაჭვს ლახტი და გასწყვიტა.

დარჩა ივანე ცისკარი მაღლა. რაღას იზამდა? ჩამოვარდნილიყო მოკვდებოდა. მაგრამ აღარც სხვა გზა იყო. ქალმა დაუძახა: ივანე, წადი, იმ დევს ერთი რაში ჰყავდა, ზღვაში რომ ცხვირივით კლდე დგას, იქ აბია, რადგანაც ერთხელ ჩამოაგდო, იქ დააბაო. წადი, ჰკარ წიხლი, იმ კლდეს დაანგრევ და იქ არის ის რაშიო. ცისკარი წავიდა, ჰკრა წიხლი კლდეს, დაანგრია და ნახა რაში. ხელის სისქე მტვერი და ჭუჭყი ედო ზურგზედ, რაშმა უთხრა. სამ დღეს შავ მთაზე გამიშვი, რომ ღონე მომივიდეს, თორემ დასუსტებული ვარ და ვერ გზიდავო. გაუშვა ცისკარმა სამ დღეს რაში, მესამე დღეს მოიყვანა, შეკაზმა და შედგა ზედ ფეხი, მაგრამ რაშმა ერთი ფეხით წაიბორძიკა. რაშმა კიდევ უთხრა: ამაღამ კიდევ დამასვენეო. იმ ღამესაც დაასვენა რაში ცისკარმა. მეორე დღეს შეკაზმა, შეჯდა და გასწია საჩქაროდ. რაში გაფრინდა ისარივით, და ორი დღის წინ, სანამ რკინის კაცი მივიდოდა, ქალაქში მოიღო ხუილი.

როგორც რაშმა დაარიგა, ცისკარმა შეკაზმა რაში, დაკრა ზედ თავისი აბჯარი, გამოაძრო სამი ძუა და გაუშვა ისევ შავ მთაზედ, თითონაც ჩაიცო ძველი ჩოხა და დაიწყო ქალაქში სიარული. ბოლოს მივიდა ერთ მეჭედელთან და უთხრა, შენი არაფერი არ მინდა, ვიმუშავებ, ოღონდ პური მაპამეო. მეჭედელმა უთხრა: ძალიან კარგიო. ცულს აკეთებდა მეჭედელი, უთხრა: მოიტა კვერი დამიკარიო. ცისკარმა მოავლო ერთ დიდ კვერს ხელი. დაარტყა ამ გრდემლს და კუნძს გააგდებინა. მეჭედელს ძალიან გაუკვირდა იმისი ღონე. გააკეთეს დიდი გრდემლი დიდ კუნძში, და დაიწყო ცისკარმა მუშაობა, მეჭედლის ხუთი დღის საქმეს ერთ საათში აკეთებდა. მეჭედელს ძალიან უხაროდა, რომ ამისთანა მუშა იშოვა. ბოლოს მოვიდა რკინის კაციც და მოიყვანა ცისკრის ძმებიც. დანიშნეს ქორწილის დღეც, მაგრამ მეორე ბეჭედი აღარ გამოაჩნდა უმფროს დას, რადგანაც ივანე ცისკარმა გამოართვა. გაგზავნეს ეს ბეჭედი, რომ ამისთანა ბეჭედი უნდა სხვა გაგვიკეთონო, მაგრამ ყველა მეჭედელმა უარი უთხრა, მერე ცისკრის აღასთან მოიტანეს. იმანაც უარი უთხრა, მაგრამ ცისკარმა უთხრა, გამოართვი, მე გავაკეთებო. იმ ღამეს დაიძინა მეჭედელმა. ცისკარმა ცოტა-მატა მიარაკუნ-მოარაკუნა, ამოიღო ბეჭედი და შედო თაროზედ. მეორე დღეს შევიდა

მეტეველი და წაჰკრა წიხლი: რა ჰქენ, იქნება ხემწიფესთან შემარცხვინეო. ცისკარმა გადმოუღო ბეტეკი და მისცა. გაგზავნეს ბეტეკი, მეტეველიც წავიდა ქორწილში, ივანესაც ეპატიჟებოდა, მაგრამ ცისკარმა უარი უთხრა. როდესაც უნდა გამოსულიყვნენ ეკლესიიდან, ძმა და ქალი, ივანე გამოვიდა მინდერად, შეტრუსა ძუა რაშისა და რაში იმასთან დაიბადა. შეჯდა ცისკარი და უთხრა: წადი და ცას მიეკარო. აფრინდა რაში და მიეკრა ცას. როდესაც ეკლესიიდან გამოვიდა ცოლ-ქმარი, ჩაეშო ივანე და ერთი სილა სთხლიშა თავის ძმას.

ბოლოს ჯერი რკინის კაცზედ მიდგა. დაუძახა თავის რაშს ცისკარმა, შეჯდა, აიღო ლახტი და უთხრა, აფრინდიო. აფრინდა რაში და მიეკრა ცას. რკინის კაცი რო მიდიოდა ეკლესიაში და მიჰყავდა ქალი, დაეშო ივანეც ცოდან, მივარდა, დაარტყა ლახტი თავში და სულ-ხორციანად მიწაში ჩაკარგა. გადმოხტა თვითონ და გადაეხვია თავის საცოლეს. შეირთო და როდესაც ხემწიფე მოკვდა, თვითონ გახდა ხემწიფედ.

29. ᲛᲖᲘᲡ ᲫᲐᲚᲘ

(კახეთში გაგონილი)

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო სამი ძმაკაცი. მოხნეს სამი დღის მიწა და დათესეს: ერთმა იქით, ერთმა აქეთ და ერთმაც შუაზედ. მოვიდა მშვენიერი ჯეჯილი; აღელდა ყანა ზღვასებრ, აღელდა პატრონის გულიც სიხარულით იმ ყანის ნახვაზე.

მაგრამ, დახე უბედურებას! ერთ მშვენიერ დღეს მოიქურუშა ცამ პირი, დაუშო სეტყვა და შუალა ყანა სუ მიწაში ჩაიტანა. ის ორი ნაპირისა კი დარჩა. მოვიდა პატრონი. დახედა ყანას და დასწყდა გული; მაინც აღარაფერი სთქვა, აიღო ნამგალი, გადიდო მხარზე და გაუდგა გზას ბედის საძებნად.

იარა, იარა და ერთ მდიდარ კაცთან მიეიდა; ასი დღის ყანა ედგა მდიდარ კაცს. მიეიდა და უთხრა, რას მომცემ, რომ ეგ ასი დღის ყანა ერთ დღეს მოგიმკოო.

— შუაზე გაგიყოფო, უპასუხა მდიდარმა კაცმა.

წავიდა ჩვენი ნაცნობი ვაჟი და ულოს [1] გრეხვა დაუწყო. შუადღემდინ ულო გრიხა, მერე მოუდო ნამგალი და გაუსო. ის იყო, ერთი ძნა-ღა ქონდა შესაკრავი, რო ჩავიდა მზეც. მოუხადა ვაჟმა ქუდი მზეს და შეევედრა, ნუ ჩახვალ ჯერ, ცოტა მოიცადეო, მაგრამ მზემ აღარ მოიცადა. შეკრა ის ძნაც, და მოვიდა ყანის პატრონიც, ძალიან გაუკვირდა ასეთი მკა და უთხრა: გავიყოთ შუაზედ ეხლა, როგორც პირობა გვაქვსო. მაგრამ მომკალმა არ უსმინა, გადაუგდო ნამგალი და უთხრა, მაინც ბედი არ მაძლევს და არ მაძლევს, პირობა ვერ შევასრულე დროზე. შენ შენთვის და მე ჩემთვისო. წავიდა, წავიდა.

---

[1] პურის ჩალის საკონაკი.

ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ ხემწიფესთან და დაუდგა მეცხკარედ ოთხი წლის ვადით, იმ პირობით, რომ არც მგელს რამე შეეჭამა იმ ოთხ წელში, არც ჭირს მოეკლა. ერთი სიტყვით, ბევრი არ უნდა დაჰკლებოდა. ბოლოს შუაზე გაიყოფდენ; ნახევარს ერთი წაიღებდა, ნახევარს მეორე. თუ დააკლდებოდა რამე, მეცხვარე ცალიერი უნდა წასულიყო. დადგა ვაჟი მეცხვარედ. გავიდა ოთხი წელი, ერთი თიკნის ყური არ დაჰკლებია; ისე გამრავლდა ცხვარი, რომ მიწა უმძიმდებოდა. ის იყო, ბაკში ერეკებოდა მეცხვარე ცხვარს გასაყოფად, რომ უცებ ერთი მგელი გამოიქცა, ეცა ერთ ცხვარს, მოიტაცა და გაქანა ტყისაკენ. ხემწიფე მაინც შუაზედ ყოფდა ცხვარს, მეცხვარემ არ ქნა. მე რომ ბედი მჰქონდეს, მგელი ცხვარს არ წამართმევდა და პირს არ შემირცხვენდაო. გადაუგდო კავი და წავიდა თავის გზაზე.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ მდინარესთან, დაჯდა და დაისვენა. გაიხედა და დაინახა, რომ სამი მზის ქალი ჩამოსულა და ბანაობს წყალში; ისეთი მშვენიერებია, რომ კაცის თვალი იმაზე კარგს ვეღარ ნახავს. ადგა ეს კაცი, მიეპარა ამ ქალებს, მოიპარა ერთი და გამოიქცა. ირბინა, ბევრი ირბინა, გაიყვანა ქალი ერთ ტრიალ მინდორზე, გაუკეთა ქოხი და დადგნენ იქ, მაგრამ არაფერი არ ებადათ. ქმარი აღარც სამუშაოდ წავიდა: სადაც ვიყავ, რასაც ხელი მოვკიდე, არ იყო ჩემი ბედი და ეხლა სადღა უნდა წავიდეო, ამბობდა ხოლმე.

ქალს ერთი ნატვრის ბეჭედი ჰქონდა, მისცა ის ბეჭედი ქმარს და უთხრა: ეს ჩემი ქრთამი და მზითვი, ამის მეტი მე არაფერი მაბადია და ესეც შენაო. მიწაზე დადებ, სუფრა გაიშლება, სუფრაზე დასდებ, სასმელ-საჭმელი ჩამორიგდებაო, ჩამოიტან ქვევით, ჭურჭელი დარიგდება, აიტან და ჩამორიგდებაო.

გაიხარა ქმარმა, უსაზომო შვებას მიეცა, ხელმწიფის დაპატიჟება ჩაიდვა გულში. ცოლმა უშალა: შენ ქერქში იყავ, მიუწვდომელს ნუ ეწვდები. ხემწიფის სტუმრობა ადვილი ნუ გგონია. აზნაურის სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო. ეგ ერთი ბეჭედი გვაქვს და გაკვირებით გინდა ეგეც თავიდან მოიშოროო.

— არ იქნება და არ იქნებაო, დაიჟინა ქმარმა: უნდა დავპატიჟო და ჩვენი გლეხური ცხოვრება ვაჩვენო; ნახონ, რომ ჩვენც შეგვიძლია ხემწიფის გამასპინძლებაო.

ადგება მეორე დღეს ეს კაცი და გასწევს ხემწიფესთან დასაპატიჟებლად, მიართმევს საჩუქარს და სთხოვს, გაგვაბედნიერეთ და მობრძანდით ჩვენსა სადილადაო.

ხემწიფეს გაეცინა. შენ რა ხარ და შენი სადილი რა უნდა იყვესო. მაინც უთხრა: მე კი ვერ მოვალ და ნაზირ-ვეზირებს გამოგაყოლებო.

ხემწიფემ დაიბარა ნაზირ-ვეზირი და უბრძანა, წადით, ნახეთ, ეს კაცი რო მეპატიჟება, რაზე მეპატიჟება, აქვს რამე, თუ აბუჩად მიგდებსო.

გაუძღვება კაცი და გაყვებიან ნაზირ-ვეზირებიც ჯარით. გზაზე რომ მიდიან, ჯარსაც და ნაზირ-ვეზირსაც პური მოშივდათ. მოკლეს ერთი ხოხობი, მისცეს ბიჭს და გაგზავნეს შესაწველად ქოხში.

სწვავს ხოხობს ბიჭი, თვალი მზის ქალზედ აქვს, ისე მოხიბლა ქალმა, რომ სრულებით დააავიწყდა, რომ ხოხობს სწვავდა. ნახევარი ხოხობი სულ ჩაებუგა. წამოუღო ნაზირ-ვეზირებს დამწვარი ხოხობი. ჰკითხვენ მიზეზს, რად დასწვი ხოხობიო.

— ღმერთმანი, ერთი ქალი იყო იმ კაცის სახლში, ისე მომტაცა გონება, რომ ვეღარაფერი გავიგეო.

ნაზირ-ვეზირმა დააჩქარეს ჯარი, შესხდენ და გასწიეს იმ ქოხისაკენ, ქალის ნახვა მოუნდათ. მივიდენ შორიახლო და ჩამოხტნენ. ჩამოურიგა მზის სიძემ ბეჭედი ცხენებს და სათითაო თივა დაედო და ქერიანი თოფრები ჩამოეკიდა. აატარა მერე და ცალიერი ტომრები ჩამოიხსნა. დადვა ბეჭედი და გაეშალა სუფრა ჯარს. მოვიდა და მოვიდა საჭმელი და სასმელი სულ ახალი და ახალი. ნაზირ-ვეზირი გაკვირებულნი იყვნენ: სახლი კი არსად უდგა, არაფერი უჩანს და ეს რა ამბავიაო. ნახეს ახლა ამის ცოლი და ჭკუაზედ შეიშალნენ. გაუმასპინძლდა მშვენივრად მზის სიძე და გააკვირვა ნაზირ-ვეზირი.

მივიდენ ხემწიფესთან ნაზირ-ვეზირები.

— როგორ გაგიმასპინძლდათ ის ჩემი ყმაო, — ჰკითხა ხემწიფემ.

ნაზირ-ვეზირებმა ძალიან უქეს: სულ უცეცხლო საჭმელი გაგვიკეთაო; მაგრამ იმას რომ ცოლი ჰყავს, იმისთანა კი აღარაფერი იქნებაო. ის იმას კი არ უნდა ჰყავდეს, ხემწიფეს ეკადრებაო, იმას ცოლი წაართვით და თქვენზე ბედნიერი არვინ იქნებაო.

— როგორ წავართვა? — ჰკითხა ხემწიფემ. — უმიზეზოდ ცოცხალი არ დამანებებსო.

ნაზირ-ვეზირებმა ურჩიეს: დაიბარე ის კაცი და შეუკვეთე: მზეს რომ ოქროს ერკემალი [1] ჰყავს, ის მომიყვანეთქო. ის იქ წავა, იქიდან ვეღარ მოვა, ცოლი შენ დაგრჩებაო.

მაშინათვე დაიბარა ხემწიფემ მზის სიძე და უთხრა, უნდა წახვიდე და მზეს რომ ოქროს ერკემალი ჰყავს, ის მომიყვანოო.

დაბრუნდა მზის სიძე და შესჩივლა ცოლს: ხემწიფე მზესთან მაგზავნის, ოქროს ერკემალი უნდა მოვუყვანოო.

— ეხლა რაღა ეშველებაო, — უთხრა ცოლმა, — ეგ წინათვე უნდა გეფიქრა, ეხლა ჯავრობით ვეღარაფერს გააწყობ, ისევ ისა სჯობს, ადგე და შეუდგე გზასაო. მისცა ნიშანი და გაგზავნა.

ბევრი იარა მზის სიძემ, ბევრი ქვეყანა გაიარა, გაათავა სახმელო და საზღვოს მოება. იარა, იარა და მივიდა იქ, სადაც მზე და მთვარე იყო. მზე სამგზავროდ ყოფილიყო, ქვეყანაზე წასულიყო სანათობლად.

მთვარემ ნახა მზის სიძე, იცნო და ძალიან გაუხარდა. დედას ახარა, ჩვენი სიძე მოვიდაო.

გამოჰკითხა სიძეს მისვლის მიზეზი. სიძემ უამბო ყველაფერი. მთვარემ უთხრა: მზე მოვა, შენ ვერ გაუძლებ იმის ნათელს და დაიწვებიო; აქციან ნემსად და შეარეო ბოძში.

[1] ვერძი.

საღამოზე მოვიდა მხეც. — სულიერის სუნი მოდისო — დაიძახა მზემ, — ვინ მოსულა ჩვენ საბრძანებელშიო.

— რას ამბობო, გაუჯავრდა, მთვარე, ქვეყანაზე შენ დადიხარ, შენ შოგყვებოდა სულიერის სუნიო. მართლა, შენი სიძე რომ იყვეს აქ, ხომ არ დასწვამო.

— არაო, — უფიცა მზემ, — ოღონდ თვალით მაჩვენეთ, როგორია ჩემი სიძეო. აქცია მთვარემ სიძე ისევ კაცად და წამოაყენა ძზის წინ. მზე ძიეალერსა და გამოჰკითხა მისვლის ძიზეზი.

— ხეშწიფე შენ ქალს მეკილება, უთხრა სიძემ: გაუგონია, მზეს ოქროს ვერძი ჰყავს და გამომგზავნა მის მოსაყვანად, თუ არ მივუყვანე, ქალი მისია.

— ფიქრი ნურაფრის გაქვს, — გაუმაგრა მზემ გული: წამოდი, ჩენ ბაღში დაისვენე.

შევიდა ბაღში ვაჟი; ნახა სადაც რამ იყო, საშინლად მოეწონა. მართლაც მშვენიერი რამ იყო: ზოგი მწიფე იყო, ზოგი ყვავოდა, ზოგი იფოთლებოდა, ზოგს კი ფოთოლი სცვივოდა.

მზემ უთხრა სიძეს, აქ ბაღში იყავ და სადილს მგელი და ელია შოგიტანენო.

მოშიედა მზის სიძეს, დაჯდა და დაუწყო მოლოდინი. მოვიდა მგელი და მოუტანა სუფრა; ძოვიდა ელია და მოუტანა სასმელ-საჭმელი, მზის სიძეს ერთი კომბალი ჰქონდა; მიუბრუნდა მგელს და ჰკითხა: მე რომ 4 წელიწადი ერთი თიკნის ყურიც არ დამკლებია, ისე ეუვლიდი და ყავლის გათავების დროს შენ რომ მოხველ და მომტაცე, რად ჰქენ ეგ საქმეო! წაუდო და წაუდო მგელს! იმდენი სცემა, რამდენიც ენება.

მერე გაიკითხა ელია და უთხრა: მე რომ სამ მამულში შუაადგილი მეპირა, შენ წამოუშინე სეტყვა და სულ მიწაში ჩაატაინე ჩემი ყანა, რად ჰქენი ესაო! დაუდო და დაუდო იმასაც, ჰკრა კომბალი თვალებში და გამოჩიჩქნა; დაჯდა მერე და შეექცა სადილს. მერე ადგა, დაუარა მზის ბაღს და ამტვრია და სჭრა ხეხილი, გაატიალა და გაავერანა ერთიან. მერე დაჯდა და დაისვენა.

წავიდენ მგელი და ელია მზესთან საჩივლელად, მივიდა ძზე სიძესთან და ნახა, რომ ბაღი ისე გაუვერანებია მტერს ეწყინება.

— რად ჰქენ მაგრე? ჰკითხა სიძეს მზემ.

— თქვენ რადღა ჰქენით ისე, რომ ერთი საწყალი ადგილი მედო, წამოუშინა ელიამ სეტყვა და გამოიხრა; 4 წელიწადი მეფეს ტყვილად ვეძსახურე, წილი დამაკარგინა მგელმა; ან მე რომ ასი დღის ყანა ერთ დღეს მოვმკე, ერთი ძნა-ღა დამრჩა შესაკრავი, გთხოვე, მოიცადე, ნუ ჩახვალ მეთქი და შენ ყური არ შეიბერტყე.

მზემ ვერაფერი უთხრა; მისცა ოქროს ვერძი და გაისტუმრა მშვიდობით.

მოუტანა ოქროს ვერძი ხემწიფეს, ხემწიფეს იმედი დაეკარგა ქალის ხელში ჩაგდებისა და ნაზირ-ვეზირს ჰკითხა, რაღა მეშველებაო.

ნაზირ-ვეზირმა ურჩია, საიქიოს გაგზავნე: თქვენმა მშობელმა დედამ, რომ ბეჭედი წაიღო, ის მოგიტანოსო.

დაიბარა მზის სიძე და უბრძანა, წადი, ჩემმა დედამ საიქიოს ბეჭედი წაიღო და ის მომიტანეო.

მივიდა ცოლთან მზის სიძე და შესჩივლა, ხემწიფე ახლა საიქიოს მგზავნის, შენი თავი უნდა წაართვასო.

ცოლმა ერთი ვაშლი მისცა და უთხრა, გააგორე ეს ვაშლი და სადაც ის წავიდეს, გაჰყევ შენც კვალზედაო.

აიღო ვაშლი მზის სიძემ, გააგორა და გაჰყვა კვალზედა.

მიგორავს ვაშლი და აი გამოვა ერთ ტუზ მინდორზე, ერთი ირემი დგას, რქები ცამდისა აქვს აწვდილი.

— გამარჯობა შენი, — ეტყვის მზის სიძე ირემს.

— გაგიმარჯოს, უპასუხებს ირემი. სად მიდიხარ, აქ რამ მოგიყვანა? ჰკითხა ირემმა.

— საიქიოს მივალ, ხემწიფის დედას ბეჭედი უნდა გამოვართვა და ხემწიფეს მივუტანო.

— მეც რამე წამალი მომიტანე. რქებს ვეღარ ვზიდავ! შეეხვეწა ირემი.

გასცდა ამას მზის სიძე და მივიდა ერთ კლდესთან. შიგ ერთი ხარი აბია; არც სასმელი წყალი აქვს, არც ბალახი, მაგრამ ისეთი მსუქანია, რომ ხორცი ასკდება სისუქნით. მზის სიძეს გაუკვირდა და ხარსა ჰკითხა: არაფერსა სჭამ და რამ გაგასუქა მაგრეო.

— რომ ჩამოიღლი, მაშინ გეტყვიო. უთხრა ხარმა.

გასცდა ამას მზის სიძე და ერთ მშვენივრად მორთულ მინდორზე გამოვიდა. ნიავის ქროლაზე ბალახი ზღვასავით ქროლავს; წყაროებს ჩუხჩუხი და ღურღული გააქვს ბალახებს შუა. მინდვრის შუა ერთი ხარი დგას, პირაკრულია, ვერც არაფერს სვამს, ვერც არაფერს სჭამს. ისეთი მშლეა, რომ კაჭკაჭი ვერაფერზე გამოეზიდება. მზის სიძე იმასაც ჰკითხავს, რამ გაგხადა მაგრე, სასმელი და საჭმელი წინა გაქვსო.

ხარმა უპასუხა: — ამვლელი ბევრი მინახია, გამომვლელი კი ალარც ერთიო.

მზის სიძე გასცდა მშლე ხარს და ერთ მღვდელს შეხვდა, ზურგზე საყდარი ჰკიდია, დადის და სადაც ერთ კაცს ნახავს, დადგამს და ულოცავს. მზის სიძე მღვდელს მიესალმა. მღვდელმა მგზავრობის მიზეზი ჰკითხა, მზის სიძემ კიდევ საყდრის ზურგზე აკიდებისა. მღვდელმა სთხოვა, საიქიოს რაკი მიხვალ, შემიტყე, რა ვუყო ამ საყდარს, მუდამ ზურგზე ხომ არ მეკიდება, ამბავი მომიტანეო.

გასცდა იმასაც ვაჟი და წავიდა; ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ ადგილას, ცულის ტარზე ცოლი და ქმარი წვანან, ერთმანეთს ეხვევიან, ჰკოცნიან და ცულის ტარი იქით და აქეთ კიდევ გადაპარბებულია. მზის სიძე გაკვირვებით შესცქეროდა საკვირველ ცოლ-ქმარს.

— თუ ღმერთი გწამს, ეგ როგორ ჭარის, ცულის ტარზე წევხართ ორი სული და იქით-აქეთ ადგილი კიდევ დარჩენილია? ჰკითხა.

— ამვლელი ბევრი გვინახნია და ჩამომვლელი აღარავინ — უპასუხე ცოლ-ქმარმა. აიარე, ჩამოიარე და ყველაფერს გიამბობთო.

გასცდა ამათ გაკვირვებული მზის სიძე და წავიდა.

ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ ცოლ-ქმართან, კამეჩის ტყავზე დაწოლილან. იქით მიწექ, მიიწიე, იქით მიწექო!—სწიხლავენ ერთმანეთს, ერთი აქეთ გორავს, მეორე იქით. ვაჟი მიესალმა მათ და ჰკითხა, ეგ რა უბედურებაა თქვენს თავს, რომ კამეჩის ტყავზე წევხართ და კიდევ ვიწროდ გეჩვენებათო.

— ამვლელი ბევრი გვინახნია, ჩამომვლელი არავინა! წადი და თუ ჩამოიელი, მიზეზს მაშინ შეიტყობ.

გასცდა ამათაც მზის სიძე და მიდის. გზაზე ერთი დედაკაცი შეხვდება, მოუგროვებია კვერცხები და კოშკს აშენებს: აიყვანს ცოტად, ააცილებს მიწას, იგრიალებს კვერცხები და ჩამოცვივა დაბლა. ის ხელ-ახლა ამოჰყვება და აშენებს კოშკს. მივა იმასთან მზის სიძე და გაკვირვებით ჰკითხავს: რას შვრები, კვერცხების კოშკი სხვას ვის აუშენებია, შენ ააშენოო.

— ჩამოიარე და მაშინ გეტყვიო, უპასუხა ქალმა.

გასცდა ამ დედაკაცსაც მზის სიძე და წავიდა თავის გზაზე. გზაზე ერთ ბორნეს მიადგა. ერთი დედაკაცი დგას და აცხობს პურს. ჩააკრავს თეთრ პურს, როგორც ბამბა, და ამოიღებს ისეთ შავს, როგორც ნეხვი. მზის სიძე მივა იმასთან და გაკვირვებული ჰკითხავს: ეგ რისგან არის, რომ თეთრ პურს ჩააკრავ და შავს, საძაგელს ამოაკრავო.

— ჩამომვლელი ბევრი მინახნია, ამომვლელი არც ერთი. ჩაიარე და, თუ ამოიელი, მაშინ გეტყვიო,—უპასუხა პურის-მცხობელმა დედაბერმა.

გასცდა იმასაც მზის სიძე და წავიდა. გზაზე ერთი კაცი ნახა, ხევზე ბიდადა სძევს; ვინც გაიელის და გამოიელის, ყველა იმაზე გახტება და ეამოხტება.

— ეგ რა ამბავია შენს თავსო,—ჰკითხა მზის სიძემ კაც-ხიდას.

— ჩამვლელი ბევრი მინახნია, ამომვლელი არავინ,— უპასუხა კაც-ხიდამ, ჩაიარე და თუ კიდევ ამოიელი, მაშინ გეტყვიო.

გასცდა ამასაც მზის სიძე და მივიდა ხემწიფის დედასთან.

— შვილმა შემოგითვალა, უთხრა ხემწიფის დედას, შენ რომ ბედი წაიღე, ის გამოგზავნეო.

მისცა ბეჭედი მზის სიძეს ხემწიფის დედამ და უთხრა: წაიღე და ხემ შვილს ასე უთხარ: დედამ შემოგითვალა, რადგანაც აქაც არ მაძლევ მოსვენებას და მაშფოთებ, შენამც იქნები წყეული, შენი საქმე ისე მოვიდეს, რომ შენმა ვეზირებმა შეგეპამონო.

მზის სიძემ ჰკითხა: ასე და ასე, გზაზე ერთი ირემი ვნახე, რქები ეამდი ჰქონდა აწვდილი, სიარული აღარ შეეძლო, წამალი დამაბარა და, თუ შეიძლება, მასწავლეო. ერთი მღვდელი იყო კიდევ, ზურგზე საყდარი ეკიდა, სადაც ერთ კაცს ნახავდა, მიიტანდა, დადგამდა და იქ ულოცავდაო. იმასაც უბძანეთ, რა უყოს იმ საყდარსაო.

ხემწიფის დედამ უთხრა: ირემმა მაისის წყალი დალიოს და გასცვივა რქებიო; მღვდელმა კიდევ წაიღოს ის საყდარი, დადგას შუა სოფელში, დაჰკიდოს ზარები, ვისაც ლოცვა უნდა, მოვა და ილოცავსო; ვისაც არ უნდა, არ მოვა, მისი ბრალი არ იქნებაო.

წამოიღო ბეჭედი და წამოვიდა მზის სიძე, გზაზე კაც-ხიდას შეხვდა. კაც-ხიდამ უთხრა: მე ხიდი მებარა, ზედ არავის ვატარებდი უფასოდ, საწყალი და გაჭირვებული არ ვიცოდი, ყველას ერთნაირად ვაძრობდი ტყავს და, აი, ეხლა ხომ ხედავ, როგორ ვარო.

გასცდა ამას მზის სიძე და წამოვიდა თავის გზაზე. პურისმცხობელმა დედაკაცმა უთხრა: მე იმ ქვეყნად ისეთი წუწკი ვიყავ, რომ პური რო ჩამეკრა და იმ დროს ან მშიერ მგზავრს გამოეკლო, ან გლახას, თვალებს ჩავიწვავდი თონეში, რომ არ დამენახა ისინი და პურის მიცემა არ მომდომოდა. ეხლა ესე ვარ, როგორც უნდა თეთრი პური ჩავაკრა, მიწად მექცევაო.

კვერცხების კოშკს რომ აგებდა, იქ მოვიდა. მე იმ ქვეყნად კვერცხებს ვიპარავდი და აი ეხლა ესე ვიტანჯებიო, ამან უთხრა.

დასტოვა მზის სიძემ კოშკისმგებელი და წავიდა თავის გზაზე. ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა კამეჩის ტყავზე მწოლელ ცოლქმართან. იმათ უთხრეს, იმ ქვეყნად ჩვენ ერთმანეთი გვძულდა: ქვეყანა ჩვენთვის ვიწრო იყო, ვერ ვთავსდებოდით და აი, ეხლაც კამეჩის ტყავზედ ვერ ვეტევითო. რამდენიც უნდა გვძულდეს ერთმანეთი, ვეღარ მოვშორდებითო.

მზის სიძე ცულის ტარზე მწოლელ ცოლ-ქმართან მივიდა. იმათ უთხრეს, იმ ქვეყნად ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა და აქაც გვიყვარსო. მოყვარულ ცოლ-ქმარს ცულის ტარიც არ ეპატარება საცხოვრებლად, ოღონდ ერთმანეთი ჰყავდეთ ცოცხალიო.

ბევრი იარა მზის სიძემ, თუ ცოტა, მოვიდა იმ მღვდელთან, ზურგზე რომ საყდარი ეკიდა და მოუტანა ამბავი, ხემწიფის დედის დაბარებული.

გასცდა მღვდელსაც და იმ ხართან მივიდა, მშვენიერ მდელოზე რომ ება, სასველ-საჭმელი ჰქონდა და მჭლე კი იყო. ხარმა უთხრა, მე ჩემ პატრონს არაფერში გამოვადექი, არაფერს ვუკეთებდი და აი ,ეხლა ესე ვარო.

მჭლე ხარს რომ გასცდა, კლდეში რომ მსუქანი ხარი ება, იმასთან მოვიდა. მსუქანმა ხარმა უთხრა, მე ჩემ პატრონისათვის თავდადებული ვიყავ, არ ვღალატობდი და პატრონიც კარგა მივლიდაო. ეხლა, თუნდაც არც არაფერი ვჭამო და ვსვა, მაინც მსუქანი ვიქნები და მაინცაო.

გასცდა ამასაც მზის სიძე და წამოვიდა. ირემთან მოვიდა, მოუტანა ამბავი, მაისის წყალი დალიე და გაგცვივა რქებიო. დალია ირემმა მაისის წყალი და გასცვინდა რქები. მოვიდა და მოუტანა მზის სიძემ ხემწიფეს დედის ბეჭედიც და წყევლაც... იქცა ხემწიფე კურდღლად, ნაზირ-ვეზირები — მგლებად და შეჭამეს ხემწიფე. სახემწიფო და ტახტი მზის სიძეს დარჩა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა!

30. შავ-თეიმურაზი, წითელ-თეიმურაზი და თეთრთეიმურაზი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი ცოლ-ქმარი, რომლებსაც ერთი შავი ჭაკი ცხენის მეტი არა გააჩნდათ რა. ეს ცხენი იყო მათი საზრდო და იმედი. წავიდოდა დილით ცხენი ტყეში, დამაკდებოდა იქ, მოვიდოდა საღამოზე, მოიგებდა კვიცს, დაჭკლავდენ ცოლ-ქმარი კვიცს და შესჭამდენ. ასე გადიოდა დღეები და წლები. ბოლოს მოსწყინდათ კვიცის ჭამა და სთქვეს: როცა ცხენი მოვა და მოიგებს კვიცს, თვით ცხენი დავკლათ, შევჭამოთ და მერე ისე ვიცხოვროთ, როგორც ღმერთი გვიჩვენებსო.

ცოლ-ქმარს ჰყავდა ერთი გულთმისანი ფინია. შეებრალა ფინიას ცხენი, შეეგება გზაში და ყველაფერი შეატყობინა. ცხენმა უპასუხა, თუ აგრე გებრალები, აბა მიშველე, მე ფეხებს თოკით შემიკვრენ, შენ წადი წინ, ეს თოკი დაკეფსე და როცა გამიჭირდება, ადვილად გავსწყვეტ, ავდგები და წიხლებით დავხოცავ ყველასო. ფინიამაც და ცხენმაც ყველაფერი ასე შეასრულა. ცხენი გადარჩა, წაიყვანა კვიცი, წავიდა შავ ტყეში და იწყო იქ ჩვეულებრივი ცხოვრება: დილით წავიდოდა, დამაკდებოდა, საღამოს კი კვიცს მოიგებდა. როცა დიდი ჯოგი გაუხდა ცხენების, დედა-ცხენმა სთქვა, ასეთი ყოფნა რა ყოფაა, სულ კვიცების შობა მომწყინდა, ღმერთო, როგორც გამაჩინე, ისე დამარჩინე და ერთი ადამიანის შვილიც ჩამისახე მუცელში, რომ ამ ცხენებს მოუაროსო. შეუსრულა ღმერთმა ნატვრა და ეყოლა ისეთი ვაჟი, რომ სხვა რომ წლობით იზრდებოდა, ის დღით იზრდებოდა, დავაჟკაცდა შვილი და მოინდომა გარეთ გასვლა, ქვეყნის გაცნობა, მივიდა დედა ცხენთან და სთხოვა: დედა, გამიშვი, წავალ, გავიგებ, ქვეყანაზე რა ხდება, ბევრი უშალა დედამ, მაგრამ არ დაიშალა. ბოლოს უთხრა დედამ: შვილო, რაკი აგრეა, აი ჯოგი, აირჩიე, როშელი კვიციც გინდა, შეჯექი და წადიო.

აარჩია ვაჟმა ერთი კვიცი და შეჯდა. დაიწყო კვნესა და გმინვა კვიცმა. ეს რა უსამართლობაა, უმცროსი ძმა უფროს ძმას ზურგზე აჯდებაო. ვაჟმა რა იცოდა, რას ნიშნავდა კვიცის სიტყვები. მივიდა დედასთან და ჰკითხა: დედა, რას ამბობს ეს კვიციო. დედამ უთხრა: შვილო, ეგ გაუშვი და სხვაზე შეჯდიო. მეორე კვიცმაც ისე სთქვა და იწყო გმინვა. ვაჟმა ისევ დედას ჰკითხა: ეს კვიცი რატომ ამბობს ამ საყვედურსო. დედამ არ გაუმხილა საიდუმლო და დაარიგა, სხვაზე შეჯექ და როცა დაიწყოს, ლაგამი ჩაჰკარ მაგრა პირში და ხმას აღარ გაიღებსო. ვაჟიც ასე მოიქცა და წავიდა.

მიდის გზაზე ვაჟი, მიდის და თანაც ფიქრობს, მივდივარ, მარა რომ ვინმე შემხვდეს და მკითხოს: ვინა ხარ, რა გქვია, ან ვისი შვილი ხარ, რაღა ვუთხრაო. მობრუნდა ისევ დედასთან და ჰკითხა: დედა, მითხარი რა მქვია, ვისი შვილი ვარ, მამაჩემის სახელი რა არისო. დედამ არც ახლა უთხრა ყველაფერი, მხოლოდ დაარიგა: წადი შვილო და თუ ვინმემ გკითხოს, მიუგე, რომ შენ ხარ შავი თეიმურაზი, შავი ცხენის შვილი და ტყეში შობილი.

წავიდა ვაჟი, მიდის და მიდის. იარა, იარა, ცოტა იარა თუ ბევრ იარა, ბოლოს შემოხვდა ერთი ჭაბუკი, რომელსაც **მზე-თეიმურაზი** ერქვა. შეუტია შავ-თეიმურაზს და შეჰყვირა: ვინ ხარ და როგორ გაბედე ამ ჩემ სამფლობელოში შემოსვლა, აქ ჩემი შიშით ჭიანჭველასაც ვერ გაუვლიან. შავმა თეიმურაზმა შეუტია: ვინა ვარ და მე გახლავარ შავ-თეიმურაზი შავ-ჭაკი ცხენის შვილი, შავ-მთაში გაზრდილიო. შეშინდა მზე-თეიმურაზი და ძმობა სთხოვა. შეფიცეს ერთმანეთს ძმობა და წავიდენ ერთად.

იარეს, იარეს, ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, შეხვდენ ერთ ჭაბუკს. ჭაბუკმა შეუტია მათ: ვინ ხართ, აქ რო გაგიბედნიათ მოსვლა, აქ ჩემი შიშით ჭიანჭველასაც ფეხი ვერ დაუდგამს მიწაზე, მე ვარ მთვარე-თეიმურაზიო. შავ-თეიმურაზი არც აქ შეშინდა, შეუტია მთვარე-თეიმურაზს და უთხრა: მე გახლავარ შავ-თეიმურაზი, შავი-ჭაკი ცხენის შვილი და შავ-მთაში გაზრდილიო. შეშინდა მთვარე-თეიმურაზი და ძმობა სთხოვა, დაძმობილდენ და გასწიეს ერთად ქვეყით.

იარეს, იარეს ძმობილებმა და მივიდენ ერთ სახელმწიფოში და როცა შემოაღამდათ, ერთ **დედაბრის** ქოხს მიადგენ და ღამის გასათევი ბინა სთხოვეს. დედაბერმა გაუღო კარები და როცა დაისვენეს, ჰკითხა: შვილებო, ვინა ხართ, ან რაზე მოსულხართო. სტუმრებმა უთხრეს: ჩვენ ესა და ეს ვართ, საცოლოებს დავეძებთ, ერთი კაცის შვილები უნდა იყვნენ და მზეთუნახავები, სხვას ვერ შევირთავთ. თუ იცი ისეთი კაცი, რომ სამი მზეთუნახავი ქალი ჰყავდეს, დედაშვილობას, გვასწავლეო. დედაბერმა უთხრა: შვილებო, აგეთი კაცი როგორ არ ვიცი, მაგრამ მისი ქალები, აი, იქ რომ გზაჯვარედინი მოჩანს, მარჯვნით ერთ ხაროში ჰყავს სამ ძმა დევს ცოლებად და იქ რო მიხვიდეთ, ვერც ერთი ცოცხალი ვერ დაბრუნდებითო. ხაროდან ისეთი სიცხე ამოდის, რომ ვინც მიეკარება, იწვისო.

ვაჟებმა სთქვეს, ჩვენი საქმე ეს ყოფილა, რაც მოგვივა, მოგვივა. წავიდეთ და ბედი ვსცადოთო. რადგან აღარ იშლიდენ, დედაბერმა ურჩია: შვილებო, თოკი მოიბით და თითო-თითო ჩადით ქვესკნელში, ერთმა თუ ვერ გაუძლოთ ქალების სიცხეს, მეორემ სცადეთ, ან მესამემო.

წავიდენ ვაჟები, მიადგენ ქვესკნელის პირს და ნახეს, რო ალმური ამოდის ქვესკნელიდან. მოიბა მზე-თეიმურაზმა თოკი და ჩაუშვეს ხაროში. შუაზე რო მიატანა, იყვირა: დავიწვი, დავიწვი, ძმებო, ზევით ამსწიეთო. ძმებმა ამოიყვანეს. შემდეგ მთვარე-თეიმურაზმა მოიბა თოკი, მაგრამ იმასაც ისე დაემართა. ბოლოს მიდგა ჯერი შავ-თეიმურაზზე. მოიბა თოკი და სთხოვა ძმობილებს: ჩამიშვით, მაგრამ თუ ვიყვირო, სულ ძირსა და ძირს ჩამიშვით, ზევით არ ამომიყვანოთო. ჩავიდა თუ არა შუამდი, იყვირა: დავიწვი, მიშველეთ, ზევით ამომიყვანეთო, მაგრამ რას გაუგონებდენ! სულ ქვევით და ქვევით ჩაუშვეს.

შავ-თეიმურაზი ჩავიდა ქვესკნელში. იარა, იარა და დაღამებისას მიადგა ერთი დედაბრის ქოხს და შეეხვეწა: დედაშვილობას, მზეთუნახავი ქალები მასწავლეო. დედაბერმა მიუგო: სწავლებით კი გასწავლი, შვილო, მაგრამ ქალები დევებსა ჰყავს ცოლებად: უფროსი თორმეტთავიანს, საშუა-

ლო ცხრათავიანს და უმცროსი რვათავიანს; რომ მიხვიდე, წაგახდენენ, შეგეპამენო. ვაჟმა არ დაიშალა და გასწია დევებისაკენ. იარა, იარა და მიადგა დევების სასახლეს. ჰკრა დაკეტილ კარებს წიხლი. შელეწა და შეეიდა. ქალი შინ იყო, დევი კი სანადიროდ იყო წასული. შავ-თეიმურაზი ისე ბოეწონა ქალს, ისე, ისე რო, ზე თვალები დარჩა, თანაც შეეხვალა და უთხრა: რა ლამაზი ყმაწვილი ხარ, ბრალი არაა, შენ რომ ახლა დევი შეგეპამსო. ვაჟმა მიუგო. ჩემი ჯავრი ნუ გაქვს, მე ვიცი და დევმა, შენ საპმელი გექნება და მე ის მომიტანეო. ქალმა მიუგო: აბა, რა უნდა მექნეს, რო გაპამო, მარტო თორმეტი თონე პური გამომცხვარი, თორმეტი ბოლა კამეჩია მოხარშული და ეს იმასაც არ ეყოფაო. ვაჟმა მოატანინა ყველა და ხელად გაათავა. ამ დროს მოვიდა დევიც. გადმოხტა რაშზე, შავ-თეიმურაზი ზის ოქროს ტახტზე, უკრაეს ოქროს ჩონგურს და ათამაშებს ოქროს კრავს. რაშმა იკრა ადამიანის სუნი და შეფრთხა. დევმა შეუტია: შე ოხერო, რა გაფრთხობს, შავ-თეიმურაზი ხომ არ ბოსულაო. შიგნიდან შავ-თეიმურაზმა დაუძახა: აქ გახლავარ და მობრძანდიო. შევარდა დევი და ეცნენ ერთმანეთს. გეგონებოდათ ორი მთა ეცენ ერთმანეთსაო. სძლია შავ-თეიმურაზმა, დასცა ძირს დევი და გააგდებინა თორმეტივე თავი. შემდეგ ამოიღო ოქროს ბეჭედი და დანიშნა ქალი. ქალს მოსწონდა ვაჟი და ვაუხარდა დანიშვნა, მაგრამ შავ-თეიმურაზმა უთხრა: შენ ჩემი უფროსი ძმის ცოლად გნიშნავო. ქალი დაღონდა, მაგრამ რაღას იზამდა.

მეორე დილას წაიყვანა ქალი და მიადგა ცხრათაკიანი დევის სასახლეს, იქაც შეამტვრია კარები, შეეპამა თორმეტი თონე პური და თორმეტი ბოლა კამეჩი, შეეხა დევს, მოსჭრა ცხრავე თავი, დანიშნა ქალი საშუალო ძმისთვის და წავიდა მესამე დევთან, მოჰკლა ისიც და წამოიყვანა უმცროსი ქალი თავისთვის საცოლოდ. ქვესკნელის კარს რომ მიადგა ზვეით ამოსასვლელად, ჯერ უფროსი ქალი მოაბა თოკს და აუშვა, მერე საშუალო. როცა ჯერი მის ცოლზე მიდგა, ამან უთხრა: ჯერ შენ ადი, მერე მე ამოვალ, თუ არა ძმები გიღალატებენ, შენ ქვესკნელში ჩაგტოვებენო. ვაჟმა არ დაიჯერა, ჯერ ცოლი აუშვა, მერე თვითონ მოეჭიდა თოკს, მაგრამ შუაზე რო ავიდა, ძმებმა მიუჭრეს თოკი და ისევ ქვესკნელში მოადინა ბრაგვანი შავ-თეიმურაზმა.ქალმა ჩასძახა: აკი გეუბნებოდი, რატომ არ დამიჯერეო. მერე ასწავლა, ნუ გეშინია, მანდ ბაღში **სამი თხაა: წითელი, შავი** და **თეთრი.** თეთრს თუ დაიჭერ და შეჯდები, მაღლა ამოგაგდებს, წითელი აქეთ-იქით მიგახეთქებს და შავზე თუ შეჯდები **მეორე ქვესკნელში** ჩაგაგდებსო. ირბინა, ირბინა ვაჟმა, მაგრამ ვერ დაიჭირა ვერც თეთრი და ვერც წითელი თხა. მხოლოდ შავი დაიჭირა და სთქვა: რა ვუყო, რაც იქნება, იქნება. ამაზე შევჯდებიო, შეჯდა და იმ წამსვე ქვედა ქვესკნელში მოადინა ბრაგვანი.

რაღას იზამდა ვაჟი? ადგა და გაუდგა, იარა, იარა და მიადგა ერთი დედაბრის ქოხს და ღამის გასათევად ბინა სთხოვა. დედაბერმა მიიღო და შეუდგა ვახშმის კეთებას. მოიტანა შარდი და დაუყწო შიგ ფქვილს ზელა. იყვირა ვაჟმა: ბებერო, ეგ რა ჰქენიო. რა ვუყო შვილო, უპასუხა ბებერმა,

—წყაროზე გველეშაპია, არავის წყალს არ გვანებებს, ვინც მივიდა, ყველა შეეპამა და მე რაღა ვქნაო. ჩვენი ხემწიფე წელიწადში თითო ქალს აძლევს, მაშინ ისიც, ვისაც ჰურჰელი აქვს, ყველას უვსებს წყლით, მე კი ჰუოქელი არა მაქვს წყლის საყოფი და ასე ვიტანჯებიო. ვაჟს სულ ცეცხლი მოედვა ბრაზით, დაავლო ხელი კოკას, შვილდ-ისარს და გასწია წყლისაკენ. წყალზე აბია ხემწიფის მზეთუნახავი ქალი და მწარედ ტირის. ვაჟმა ჰკითხა: რა გატირებსო, ქალმა მიუგო: როგორ რა მატირებს, გველეშაპი მოვა საცაა და შემეპამსო. ნუ გეშინიაო,—მიუგო ვაჟმა, დაჯე და ერთი კალთაში დამაძინეო. ჩაუდვა ქალს კალთაში თავი და ტკბილად ჩაიძინა. საცაა, იმხუილა ცაში გველეშაპმა და დაეშვა ძირს. ქალმა ცხარე ცრემლები გადმოუშვა თვალიდან, ერთი ცვარი ლოყაზე დაეცა მძინარე ყმაწვილს და გამოაღვიძა, ქნა პირი მწოლარემ ზევით, მოსწია შვილდს, გასხლტა ისარი, ეცა ჰაერში მომფრინავ გველეშაპს და შუაზე გააპო. იმოდენი იყო ის წყეული, რო სისხლისგან ზღვა გაკეთდა და ხორციდან დიდი მთები.

ქალი გახარებული მამასთან გაიქცა, ვაჟმა კი აავსო კოკა წყლით და მიურბენინა მშიერ დედაბერს ქოხში. დედაბრის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ ხემწიფეს ძლიერ შეეშინდა, ქალი რომ ცოცხალი დაინახა, იფიქრა გველეშაპს გამოპარვია, მოვა ახლა ის წყეული და მთელ სახელმწიფოს დამიჭამსო. ქალმა რომ უამბო, რაც მოხდა, გაუხარდა ხემწიფეს, მაშინვე მოიპატიჟა მთელი სამეფო და გამართა ლხინი. ქალს უთხრა: ვინც იყო ის შენი მხსნელი ჭაბუკი, დაუარე სტუმრებს და მიჩვენეო. ქალმა დაუარა, მაგრამ ჭაბუკი იქ არ აღმოჩნდა, თურმე ჭაბუკს ეთქვა დედაბრისთვის: ვინც მოვიდეს, არ უთხრა, რომ სტუმარი მყავსო. ხემწიფემ მეორედ გამართა ნადიმი და ყველა მოაყვანინა, მეტი გზა რომ არ იყო, ყმაწვილი გავიდა ჭალაში, დაიჭირა კურდღელი, ჩაისვა ჯიბეში და ისე დაჯდა სტუმრებში. დაუარა ქალმა და შეამჩნია ვაჟი, მაგრამ ახლოს ვერ ბედავდა მისვლას, მაშინვე ვაჟი კურდღელს ამოაყოფინებდა თავს ჯიბიდან და შეაშინებდა ქალს. ბოლოს გაუჭირდა ქალს საქმე და მოახსენა მეფეს; აქ გახლავს ის ვაჟი და მოაყვანინეო. მოიყვანეს მეფესთან ვაჟი. რა მოგცე, შვილო, მაგ სიკეთისთვის? ჰკითხა ხემწიფემ ვაჟს,— გინდა ნახევარ სახემწიფოს გაჩუქებო. შენი არაფერი არ მინდა, ოღონდ ზევით ამიყვანეო, უთხრა ვაჟმა. ხემწიფეს ემძიმა ეს თხოვნა, მაგრამ მაინც აღუთქვა: მოაყვანინა ფასკუნჯი[1] და უთხრა: შენ რო გველეშაპი შვილებს გიჭამდა, აი, ამ ყმაწვილმა მოჰკლა იგიო. მივარდა ფასკუნჯი ვაჟს და თაყვანი სცა. მერე ხემწიფემ უთხრა ფასკუნჯს, ზევით უნდა აიყვანო ვაჟიო. მაშინვე შეისვა ფრთებზე ვაჟი და წამოვიდა ზევით წიწინ-წიწინით. ზურგზე 12 ულელი ხარი ეკრა საგზლად. რამდენს დააღებდა მოშივებული ფასკუნჯი პირს, იმდენჯერ თითო-თითო ხარს ჩაუგდებდა ვაჟი. ცოტა-ღა აკლდა ამოსვლას, რომ შემოელია ვაჟს ხორცი. ფასკუნჯი წივის, შია, ხორცი უნდა! ვაჟმა მოიგლიჯა ბაყვზე ხორცი და შეაჭამა ფასკუნჯს. ერთი მძლავრად შეატრიალა ფრინველმა

[1] ზღაპრული ცხოველია.

ფრთები და ამოფრინდა ზედა ქვეყანას. ვაჟს ჰკითხა: რა იყო ისე ტკბილი, ბოლოს რო მაჭამეო. ვაჟმა უჩვენა მოგლეჯილი და სისხლიანი ბარკალი. ფასკუნჯმა მოუსვა ფრთა და ჭრილობა მოურჩინა, მერე გამოეთხოვა ვაჟს და ჩაფრინდა ისევ ქვესკნელში.

ჭირი იქ,
ლხინი აქ.

31. ტ ა რ ი ე ლ ი

ანუ

ხალხური ფეფხისტყაოსანი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი უწინდებური დიდი გმირი კაცი, სახელად ტარიელი. ჰყავდა ცოლად მეტად მშვენიერი მზეთუნახავი, სახელად მზე-ქალი. ისე ლამაზი იყო ტარიელის მზე-ქალი, რომ ღამე ბნელში ანათებდა და აშუქებდა როგორც ლამპარი, როგორც ცის მნათობი და მიტომაც ეძახდნენ მზე-ქალს[1].

ტარიელი უდიერი ლონიერი იყო და ქვეყანაზე ვერაფერი უმაგრდებოდა. ყველა ლონიერ დევს ეშინოდა და ერიდებოდა მისი. მუდამ სანადიროდ დადიოდა: დილით წავიდოდა, საღამოთი მოჰქონდა ცალ მხარზე მოკლული ირემი და ცალზე დიდი, უზარმაზარი ხე — შეშა. ტარიელი აიღებდა თავის დიდ ქვაბს, შედგამდა ნანადირევის მოსახარშავად, დააგლებდა ხელს იმ უზარმაზარ ხესა, დაანარცხებდა დედამიწაზე და სულ ლუკმა-ლუკმად აქცევდა შეშად.

ბევრს ედვა გულში მოტაცება ტარიელის მზე-ქალისა, მაგრამ ვერავინ ბედავდა ტარიელის შიშით. ყველაზე უფრო შურდათ ეს ქალი ტარიელისათვის ჭაჯებსა და მაცილებს (ეშმაკებს). ყოველ-დღე და ყოველ წამს იმის საცადში იყვნენ მაცილები, რომ ეშოვათ დრო და მზე-ქალი მოეტაცნათ და თავიანთვის წაეყვანათ. ერთხელ, როცა ტარიელი სანადიროდ იყო წასული, მოვიდენ მზე-ქალთან მაცილები და თან მოიტანეს ერთი ახალ-გაკეთებული კიდობანი. მაცილები იმ სახით მოვიდენ მზე-ქალთან როგორც ხორციელი ადამიანები და როგორც ტარიელის ერთგული მონები. მოახსენეს ტარიელის მზე-ქალს: კიდობანი მოგართვით ტანისამოსის შესანახადაო და მოგეწონებათ თუ არა — აბა ნახეთო. როცა მზე-ქალმა ნახა კიდობანი, მოეწონა. მაცილებმა უთხრეს: აბა, შიგაც შებრძანდით და დაათვალიერეთ სინათლე ხომ არ გადისო? მზე-ქალს არ ეგონა, თუ მაცილები არიან და ოინს მიზამენ, მიღალატებენო. შევიდა კიდობანში თუ არა მზე-ქალი, დახურეს მაცილებმა კიდობანი, ოთხივ-კუთხივ დარაზეს და მოიტაცეს; მივიდენ ზღვასთან და მისცეს წყალს.

დასხდიან მეკიდობნენი
იმბარ-ამბრი და უმბარნი.

---

[1] ეს მზე-ქალი უდრის რუსთველის პოემის ნესტან-დარეჯანს.

იმათ კიდობან ააგეს
ქებითა არა ქებითა,
შიგ ქალი შესვეს, მზე-ქალი,
ძალითა განა ნებითა!

მზე-ქალი შეაგდეს ქაჯებმა აღელვებულ და აზვირთებულ წყალში. ზღვამ შეიბრალა მზე-ქალი: დაწყნარდა და კიდობანი მაღლა-მაღლა ქანქანით წაიღო. წინ ნესტან-დარეჯანს გადაეღობენ, „გაებადნენ" გველები. შავმა გველმა თქვა: „შევჭამოთ", მაგრამ წითელმა გველმა შეუტია, უშქინა და დაუშალა; თეთრმა გველმაც მხარი დაუჭირა წითელს და თქვა: „ცის მნათობია, ქვეყნად მოვლინებული, და ნუ შევჭამთო, ნურას გავუბედათვო"

ქაჯებ მზე წყალში შააგდეს,
წყალს მისცეს დგან-დგარებითა[1]
წყალმა იბრალა, იწყალა,
გაიგდო ქანქანებითა.
წყალში რო გველებ დაუხვდეს,
ბადე-ბადეს აქვს გაბმითა;
შავმა გველ უთხრა: „შევჭამოთ",
წითელ უშქინა ავითა;
თეთრმა გველ უთხრა; „ნუ შევჭამთ,
ხმელთ მნათობარი მოვიდა".

ბევრი ცურვისა და ზღვაში ხეტიალის შემდეგ, ქაჯებმა გაიტანეს კიდობანი ნაპირზე ფასმანის[2] მიწაზე. გამოიყვანეს ნესტან-დარეჯანი და კიდობნის დირეზე, საძირკველზე ჩამოსვეს. ამ დროს დაინახეს ფასმანის მონადირეებმა, მოჰკიდეს თვალი თუ არა მშვენიერ მზე-ქალს, მაშინვე ჩაუხტნენ და დაუწყეს ომი. ქაჯებმა შეაცურეს კიდობანი ზღვაში. მონადირენი კიდევ არ მოეშვნენ და სამას სამოცი ისარი ჰკრეს კიდობნის დირეს.

ქაჯთა მზე გამოიყვანეს,
დასვეს კიდობნის დირესა.
ფასმანის მონადირეთა
დირეზე თვალი ჰკიდესა,
ჩავიდნენ, არ დაიშალეს,
მისწივნეს, არ დარიდესა,
სამას-სამოცი ისარი
ზე ჰკრეს კიდობნის დირესა.

მონადირეებმა ბევრი სცადეს, მაგრამ ვერ დაიხსნეს მზე-ქალი და წაიყვანეს ისევ ქაჯებმა. მიიყვანეს ქაჯებმა ქაჯეთის ციხეში და დამალეს იქ მზეთუნახავად. გაიგო თუ არა გმირმა ტარიელმა თავის მზე-ქალის

[1] „დგან-დგარებითა" — ე. ი. აზვირთებულს, აღელვებულ წყალს.
[2] ალბად უნდა უდრიდეს პოემის „ფატმანს".

დაკარგვა, გაშმაგებული შეჯდა თავის რაშზე და წავიდა სამეგრეოდ; დადიოდა ტყე-მინდორში და ზღვის პირზე, დღისით ტარიელი არ დაისვენებდა ხოლმე, ღამდებოდა თუ არა, მაშინვე დაიბინავებდა, როგორც-კი განათდებოდა და მზე ამოვიდოდა, ტარიელი მაშინვე შეუდგებოდა მგზავრობას და ძებნას. უფრო ზღვის პირზე ეძებდა ტარიელი, რადგანაც ეშვით იცოდა, რომ ზღვისაკენ უნდა ყოფილიყო მისი მზე წაყვანილი.

ტარიელ, მზის მაძებარი,
ზღვის ნაპირს იარებოდა.
მზე ჩახდა, — დადგა ტარიელ,
ამოხდა, — იარებოდა.
მას კლავი ჰქონდა ლოგინად,
მთვარე გულს ეფარებოდა.

ერთ დღეს ტარიელი მიადგა ერთ მდინარეს, სადაც ერთი კოშკი მონა დაინახა. მონა მიდი-მოდიოდა წყლის კიდეზე და ტიროდა.

— რა გატირებსო? — ჰკითხა ტარიელმა კოშკ-მონას.

— ისა, ბატონო, რომ ბატონთან ვარ დაბარებული და ამ მდინარეზე ხიდი არ არის, ისე ვერ გავედი და არ ვიცი რაღა ვქნაო. ტარიელს შეებრალა კოშკი მონა, გაიშვირა კლავი და გადვა ხიდად მდინარეზე; მონა შედგა ზედა და გავიდა.

მივიდა თუ არა თავის პატრონთან კოშკი მონა, მის ნაზირ-ვეზირებს უამბო ამ საკვირველი გმირი — ტარიელის ნახვა და მისი ამბავი. ყველა ეს ნაზირ-ვეზირებმა მოახსენეს თავის ბატონს (მეფეს). მეფემ მაშინვე დაიბარა თავისი საყვარელი და გამორჩენილი ორი გმირი: ადენ და ომარე და უბრძანა: გაჰყევით კოშკ-მონას და რომელ კაცსაც ეს დაგანახვებსთ მინდორში, ის მომიყვანეთო, ან სახელი და გვარი გამიგეთო.

ადექ მოემზადენით,
ჩემო ადენ და ომარე,
ის კაცი აქა მომგვარეთ,
ვინ იყვეს მინდროთ მდგომარე!..

ადენმა და ომარემ მორჩილებით თავი დაუკრეს თავის მეფეს და მოახსენეს: სახელის და გვარის გაგება და მისი ვინაობის, ოღონდ თქვენი ბრძანება იყოს, თორემ ორი კაცისაგან ერთი კაცის მოყვანა ძლიერ ადვილი სამსახურიაო.

ბძანება იყოს, ბატონო,
შენთა ბაგეთა ბროლთაგან,
ადვილი სამსახურია
ერთის მოყვანა ორთაგან.

ადენმა და ომარემ შეისხეს საუკეთესო-იარაღი, გაეშოიყოლეს კოშკი მონა და წავიდენ. კოშკმა მონამ მიიყვანა მდინარის ახლო და დაანახვა გაღმით ტარიელი. ადენ და ომარე წადგნენ წინ და დაუძახეს ტარიელს;

ბიჭო, ვინ ხარ, ვინ იყავ,
მარტო მინდორში მდგომარე?
ბატონ გიბარებს, აქ მოდი,
ან სახელ-გვარი მიბარე!

ტარიელმა მოისმინა თუ არა მათი ძახილი, შემოუძახა: თუ კარგი ბიჭები ხართ, მანდიდან ნუ-კი ჰყვირ.ით, ახლო მობძანდით და აქ გამიცანით, ვინცა ვარ; აქ გაცნობებთ ჩემ თავს და ჩემ კლავის ღონეს, აბა, შორით რას დამაფასებთო.

მინდორში ოქროს კოშკი დგას,
გარშამო — ვერცხლის თასები,
ახლოს მოდექით მოსულნო,
შორით არ დავიფასები!

ამ ხმაზე ადენ და ომარი გავარდენ გულადად გაღმა, მაგრამ მისთანა თქვენ მტერს, ტარიელმა იმათ საქმე დაჰმართა: ადენს ერთი მათრახის წვერი მოარტყა და სულ ჯარასავით აატრიალა მინდორში; ომარ ერთი მათრახის „გადანათებით“ ზეცას გაგზავნა, კოპლი მონა კი შორს იყო და გამოიქცა ბატონისაკენ, მაგრამ ტარიელი მოეწია, გამოჰკითხა ამბავი და, რო გაიგო ბატონისაგან იყვნენ გამოგზავნილები, წაავლო ხელი კოპლ მონას, ააგლიჯა ცალი მხარი, მისცა მასვე ხელში და უთხრა: წადი, მიუტანე შენ ბატონს ამბავი და ეგ შენი მხარიც სუფრის მისამატად, შესაახლებად მიართვიო.

მოვიდოდა კოპლი მონა,
თავში მოიცემდა ქვითა:
„ბატონ, შენი საყვარელნი
მოგიმშვიდნა მათრახითა...
ადენს შემოჰკრა მათრახი,
მინდორს ბრუნამს ჯარავითა;
ომარე ზეცას წალალა,
ჯერაც არ მოსულა ცითა,
მე რომ მხარი ამომწვადა,
ისე მომაქვს თავის მხრითა...
მითხრა: ბატონს მიუტანე,
სუფრა შაიახლოს მითა“.

ეს ამბავი ძლიერ ეწყინა მეფეს და სამძიმოდ მიიჩნია თავისი საყვარელი ორი გმირის სიკვდილი. მაშინვე შეჰყარა დიდი ჯარი და გამოეშურა ტარიელისაკენ. შემოახვია მწოლიარე ტარიელს დიდი ლაშქარი. დაუწყო ისრის სროლა სეტყვა-წვიმასავით.

ეგე იწყინა ბატონმა,
მეტად დიდი ჯარებს ჰყრიდა,
შამოეხვია გარშემო,
ჩალად ისარს მიაყრიდა.

ტარიელმა, როგორც დიდმა გმირმა, ჟამით-ჟამამდე ძლიერ მაგარი ძილი იცოდა და, სანამ გაღვიძების ჟამი არ მოუვიდოდა, მანამ ვერავინ ვერ გამოაღვიძებდა და გონს ვერ ჩააგდებდა. იმ დროს, როცა მეფე შეპოადგა დიდი ჯარით და დაუშინა ჩალასავით ისარი, ტარიელს ეძინა ნაბად-წახურულს და ვერაფერმა ვერ გამოაღვიძა. რაში, რომ ტარიელის განსაცდელს ხედავდა, ტიროდა და ტორსა სცემდა, მაგრამ, რომ ველარ გამოაღვიძა თავისი პატრონი, მაშინ დასწვდა ტარიელს და ცალი თითი მოაკვნიტა: ეგება ამით მაინც გამოვაღვიძოვო.

თავით უბამს ცხენი-რაში,
თვალებს ცრემლებს ჩამოჰყრიდა;
ჩაეწოდა, თით მოკვნიტა,
ოქროს თითი მოებმოდა.

თითის მოკვნეტამ ტარიელი გამოაღვიძა; დაინახა რაც ამბავი იყო, ნელ-ნელა აუჩქარებლად წამოდგა, გადაბერტყა ნაბდიდან ისარნი და მოჯვლო თავის რაშს.

გაიღვიძა ტარიელმა,
ნელ-ნელა წამოდგესა;
ფეხი შედგა უზანგოში,
ამოდ შეჯდა, არ შეშინდა...

მაშინ გაერია ამ ურდო და ურიცხვ ხატაველთა, ლაშქართა ჯარში, როგორც ქორი მტრედის გუნდში, და დაუწყო ქლეტა. კაცი კაცს ჰკრა, ცხენი ცხენსა და მკვდრის გორები დააყენა წამზე. გლეხი-კაცი ტარიელს ებრალებოდა და არ კადრულობდა მათთან ომს, დიდკაცებს და თავადებს-კი ქლეტდა საშინლად.

გაერია ხატაველთა,
როგორც მტრედის გროთა ქორი,
კაცი-კაცს ჰკრა, ცხენი-ცხენსა,
დადგა მაგაების გორი!..
არ იკადრა გლეხი-კაცი,
თავადებზე გადავიდა,
ზეცით წამოვიდა ორბი
ეგეთ ჯარი სიმრავლითა,
ბოძალი ჰკრა ტარიელმა,
მხართა შუა სისხლი სდინდა,
ჩაეწვადა, მხრები დასჭრა:
„ბოძლის[1] დასაკვრელად მინდა“.

ტარიელი ომში ერთ მშვენიერს ეაჟკაც-ჭაბუკს შეხვდა, რომელსაც შესძახა:

[1] ბოძალი — ისარი

— მე შენ არ მოგკლავ, იმიტომ, რომ თვალები ჩემ შინშს[1] გიგავსო და გამობრუნდა. ჭაბუკი შეკრთა და ტარიელს ვერაფერი ვერ უთხრა, ვერაფერი ვერ შეჰბედა. ამ შელერებულ ჭაბუკს ერქვა ავთანდილი და იყო მართლა ტარიელის ბიძაშვილი (შინში), მაგრამ, რადგანაც ტარიელს პატარა დაეტოვებინა შინ და მას აქეთ ერთმანეთი აღარ ენახათ, ავთანდილსაც დავიწყებოდა ტარიელის სახე და ვერ იცნო ომში. როცა ავთანდილი შინ მოვიდა, ყველა ომის ამბავი უამბო თავის მშვენიერს და კეკლუც ცოლს — თინათინს (თინას). მთელი ჯარი ამოგვიწყვიტა იმ ვიღაც საკვირველმა გმირმა და, როცა ჩემზე აიღო ლახტი და უნდა მოვეკალ, ჩამოიღო და მითხრა: მე შენ არ მოგკლავ, რადგანაც ჩემ შინშ ავთანდილს გავახარო.

— ეგებ შენი დაკარგული ბიძაშვილი — ტარიელი იყო!?...— შეჰკივლა თინათინმა: — რატომ არ გამოჰკითხე, ვინ იყო და ვინ არა. განა ეგრე წამოსვლა გეკადრებოდა? თუ ჩემი სიყვარული გაქვს და ან შენი ბიძაშვილის, ტარიელის პატივისცემა, ეხლად-ეხლავე ადექი და სძებნე, საცა იყოს ის გმირი; ეგებ ტარიელი იყვეს და როგორმე ეწამლე და მოეხმარო გასაჭირშიო.

ამ მკაცრი ბრძანების წინადადებაზე რალაცა ეჭვები შემოეხვია ავთანდილს გულზე. დაიწყო თავის უმანკო თინათინზე ეჭვიანობა: ეს მე მიტომ მითხოვს ასე უცბად სახლიდან, რომ ალბათ კურო, საყვარელი, ჰყავსო და ჩემი თავიდან მოშორება უნდაო.

— ადექ, ავთანდილ, ნუღარ აყოვნებ, წადი, მოსძებნე, ნახე ის გმირი და, თუნდა ტარიელიც არ იყოს, კარგია: მადლია, უცხო დაკარგული და გადახვეწილი მოყმის მონახვა და შველაო, — უთხრა თინათინმა. ამ თქმაზე ველარ მოითმინა ეჭვით საესე აღელვებულმა ავთანდილმა, აამღვრა გული და საშინელი სიტყვებით შეამკო თავისი უმანკო და მშვენიერი თინათინი:

ბოზო, რას ამბობ დიაცო,
არჯალო, აუგიანო!
უწყალო, ულარო წისქვილი
მთაში ვის აუგიანო?!
მოყვარეების, გულისთვის
ქმარი ვის გადუგდიანო?!.

თინათინი დიდათ შეაწუხა ამ უსამართლო ცილისწამებამ და მტკიცე ფიცით შეჰფიცა ავთანდილს თავის უმანკოებაზე: ღმერთმა და ყოველმა ხატმა ნრისხოს, თუ თინათინს შენს მეტი ქმარი უნდოდეს და ან მოეწონოს, თუნდ ათასჯერ შენზე უკეთესიც ნახოს და ზეციდან ჩამოსულიო. ნე გითხარი და გთხოვე, რომ ტარიელი მოგეძებნა, გეპოვნა უთუოდ ის გმირი ვინც იყო. ტარიელიც რომ არ იყოს, მაინც კარგია უცხო მოყმის შველა და შეშველობა-მეთქი.

[1] შინში — ბიძაშვილი.

ღმერთი რისხავდეს თინასა,
ხატი ყოველთა წმინდისა,
ქმარი უნდოდეს შენს მეტი,
ათას სხვა ჰყავდეს გულისა.
მოძებნა მაინც კარგია
მოყმისა დაკარგულისა.

დაიჯერა ავთანდილმა თავისი მშვენიერი თინას ფიცი და რჩევა და იმ ღამესვე გამოეწყო სამგზავროდ; საგზალიც მოამზადა. ისარიც ბლომად ჩაიწყო ქარქაშში და გასწია კიდეც უნათლივ ტარიელის საძებნელად შემდეგ მოგროვდენ ავთანდილის ჯარი და კარის კაცნი; მოიყარეს თავი და იახლენ ავთანდილს შინ. მაგრამ ციხიდან თინათინი გადმოდგა და გამოუცხადა მათი საყვარელი პატრონის წასვლა, სადღაც გაპარვა.

ციხით იძახა თინამ:
ავთანდილ გაიპარაო,
სამოცდასამი ისარი
ქარქაშში ჩაითვალაო,
შავი აქ დაკლა ვარია,
თეთრი თან წაიტანაო.

ავთანდილმა ბევრისგან ბევრი სძებნა ტარიელი და ძლიერ სწუხდა რომ ვერ იპოვნა და საწადელი ვერ აუსრულდა, ხოლო ამდენი სიარული ამაოდ შერჩა. ვინც-კი შემოხვდებოდა ავთანდილს წინ, ან ვისაც მიეწეოდა ყველას ჰკითხავდა ტარიელის ამბავს, მაგრამ თვალის მომკვრელსაც-კი ვერავის შეხვდა. ავთანდილი, როგორც გულთმისანი, გონიერი და ჭკვიანი კაცი, იმედს არ კარგავდა ტარიელის ნახვისას და, რაც ხანი გადიოდა თანდათან უფრო ემატებოდა მხნეობა და ხალისი ტარიელის ძებნისა.

ავთანდილს საგზალი მალე გამოელია და საზრდოობდა ნანადირევით, საცა მოშივდებოდა იქვე ინადირებდა, დაანთებდა ცეცხლს, დათლიდა შამფურებს, შეწვავდა მცვრიანწვადებს, მოიკეცდა თოქალთოზე და შეექცეოდა.

ავთანდილ გადინადირა
ქუდი მაღალი ტყიანი,
ვერც ხარი მოკლა, ვერც ფური
ვერც ბოჩოლა რქიანი;
შველსა ჰკრა გამოფრენილსა
ისარი ორბის ფრთიანი,
დაჰკიდა ცხენის ტახტაზე
ტყავ-გაუხდელი, რქიანი,
ჩავიდა ბურილ ძირშია,
ცეცხლი დაანთო პრიალი,

სადგომი ბინა დაუხვდა
ჭყანტიან-ჭაობიანი,
ქვითა საგებლად მოხადა
თოქალთო უნაგრიანი,
დათალა ეკლის შამფურნი,
მწვადი აასხა მცვრიანი.

ავთანდილი თოქალთოზე მოკეცილი რომ მცვრიან მწვადებს შეექცეოდა, იმ დროს შორს მინდვრის სივრცეში შავი ნისლივით მომავალ ჯგუფს მოჰკრა თვალი, რომელიც თანდათან უახლოვდებოდა ავთანდილს. ავთანდილმა გაარჩია, რომ ხალხი მოდიოდა მისკენ. შეფიქრიანდა: ვაი, თუ მეკობარნი[1] იყვნენ და არამც რა მაზიანონო. მაშინვე შეკაზმა ცხენი, გადაიკიდა თოფი, აიღო შვილდ-ისარი და მოემზადა საომრად: ვინიცობაა, მტერი იყოს, ჯაბნად არ დავხვდეო.

მინდორს დაინახა კაცნი,
ჯანის-ჯანადე[2] მომდინარნი.
— „ახლოს მოდე, ჩემო ცხენო,
აბჯარნო, გამეძალენით,
მტერს მოშლით ნურას შევხვდებით,
თვალშია ვეჯაბანებით[3]!“

ავთანდილმა მიატოვა გაშლილი სუფრა ცეცხლთან, მოკლული ირემი და ცეცხლზე შემოლაგებული მწვადები და შეეგება მომავალ ხალხს. ხალხში დაინახა, რომ სამ-კაცს ერთი თაყვატეხილი კაცი მოჰყავდა. ავთანდილმა „გამარჯვება“ უთხრა და ჰკითხა. რითი გყავთ დასნეულებული ეგ კაციო?

— ეს ძმა არის ჩვენი, — მიუგეს სამთავემ — ჩვენ ტყის პირას ვიყავით, რომ ერთმა გმირმა მოყმემ გამოიარა ჩვენს ახლოს; ჩვენ ძლიერ გაგვიკვირდა იმ დიდი გმირის ნახვა. ეს ჩვენი ავადმყოფი ძმა გამოეკიდა: ვინა ხარ, მითხარიო, მისძახოდა და ან საით მიეჩქარებიო. გმირი მოუბრუნდა, ერთი სილა გაჰკრა და, აი, თავი ოთხად გაუჩეხაო.

ავთანდილმა ამ ამბავისათვის მადლობა გადაუხადა, ისურვა მათი ავადმყოფის მშვიდობით მორჩენა, ასწაელა თავისი ბინა — ცეცხლი და მწვადები. წამალიც თავვატეხილისათვის: ირმის ტვინი წაუსვითო და დაუბეგსო. თითონ კი .ალარ მიბრუნდა; ბინაზე დანაც დარჩა ავთანდილს და ნუ დამიკარგავთო, შეეხვეწა. გააქანა ცხენი და გასწია ტარიელის საძებრად.

აიმა და იმ ხეთ ძირში
მწვადი უბრუნვენ ნებასო,
წყლულს ირმის ტვინი წაუსვით,
იტყვიან მოსვენებასო;
საპურყველე დანა დამრჩა

[1] მეკობარი — ყაჩაღი.
[2] ჯანის-ჯანად — ნელ-ნელა.
[3] ჯაბანი — მშიშარა, მხდალი.

იმ ჩემ ნადგომსა ბინასო,
ნუ დამიკარგავთ, გეთაყვა,
ი,ქვენი სნეულის ლხენასო.

ავთანდილმა გააჭენა ცხენი იქით, საითაც უჩვენეს მგზავრებმა გმირის წავლილი გზა. ესენი-კი მივიდენ ავთანდილის ნადგომ ბინაზე, ავადმყოფს დაადვეს წყლულზე ირმის ტვინი, შეუხვიეს თავი და მოასვენეს. თვითონ ისამხრეს გუნებიერად და შეისვენეს. შემდეგ სამივე ძმები დაეხვიენ ავთანდილის საყველპურე დანას, მაგრამ ხეზედაც ვერ მიაყუდეს და საცა ეგდო, იქვე დატოვეს.

ავთანდილი-კი იმ დროს გამალებული მიაქროლებდა თავის თეთრ ტაიჩს და მისდევდა ტარიელის გზა-კვალს. კარგა მგზავრობის შემდეგ ავთანდილს შემოხვდა ერთი უზარმაზარი დევი, რომელიც ძლივს კოჭლობით მიჩახუნობდა. ავთანდილმა დევი იცნო და გამარჯობა უთხრა. შემდეგ ჰკითხა მისი ამბავი, ვის საძებრად იყო წამოსული.—შენ მამიჩემის ძმობილი იყავი და სიმართლე მითხარი, აქეთ მგზავრი ხომ არავინ გინახავსო.

დევ, მამიჩემის ძმობილო,
ხომ არვინ ჩამოგიარა?

— ჩამომიარა ქროლით ერთმა პირქუშმა მოყმემ, უთხრა დაუეჭილმა დევმა. მე ვხნავდი, გუთნეული მება, გამიკრა ხელი გუთნეულს და ზღვას იქით გადამიყარა!.. მეც ერთი ფეხი წამამკრა და შორს გადამისროლა. აღარ მეგონა, თუ ცოცხალი გადავრჩებოდი. შენ ტყულად მისდევ, ავთანდილ, ვეღარ მიეწევი იმ მოყმეს, იმან საქართველო გადაიარა და სათათრეთში გავიდა. მე ისეთი დიდი გმირი არ მინახავს და არც ისეთი მშვენიერი: ერთი გაილიმა და ისეთი შუქი გამოკრთა, რომ მთა და მინდორი გაანათა.

ერთმა პირქუშმა მოყმემა
ცხენ ხეთქით ჩამომიარა,
ხელი გამიკრა გუთანსა,
ზღვას იქით გამისრიალა!..
წიხლი მკრა გუთნის-დედასა,
კ...მა გამოიარა,
ღიმი ქნა, კბილი გამოჩნდა,
მთას შუქმა გადაიარა,
მაგას ნუ მისდევ, ავთანდილ,
იმან დიდი გზა იარა,
გასწირა საქართველოი,
სათათრე გადაიარა.

ავთანდილი უფრო მეტი სიფიცხით გამოუდგა უკან ტარიელის გზასა და დღე და ღამე დაუსვენრად მისდევდა, მაგრამ ვერ მიწვდა, ვერსად მოჰკიდა თვალი. მიმავალმა ავთანდილმა ერთს მდინარის პირას დაინახა მიმდგარი ჯარი, ის დაურიდებლად მივიდა მათთან და იკითხა ტარიელის ამბავი, მაგრამ ვერა გაიგო-რა, მერე გამოიკითხა მათი ასე შეგროვების მიზეზი.

— ჩვენ მგზავრნი ვაჭარნი გახლავართ, — უთხრეს ავთანდილს, — აქ ჩვენი დადგომის და მწუხარების მიზეზი ის არის, რომ ამ მდინარეზე ეს ერთი ხიდია, სხვა გზა არ არის და ამ ხიდზედაც თითო პეშვ თვალ-მარგალიტის გადაუხდელად ამ ხიდის ბატონი არ გვიშვებსო.

— ნუ გეშინიათ, მე გაგიყვანთ და გაგანთავისუფლებთ. წადგა ავთანდილი წინ და შესძახა ხიდის ბატონს:

— მგზავრი და ქარავანი ღვთისა არის, მათი ძარცვა და წინ დადგომა ცოდვაა, საკადრისი არ არის; მოეცალე ხიდიდან და გაატარე ქარავანი, თორემ ტარიელის მზეს ვფიცავ, სამტკივნელოს დაგარტყამ და შენს ტვინს ზღვას ქაფად მივცემ:

ეს ქარავანი ღვთისია,
უერთოდ არ მამიცია,
ტარიელის მზემ, გაუშვი,
თორემ მტკივანი მიცია!..
ეგ შენი ტვინი და სისხლი
ზღვას პერად გადამიცია.

ხიდის ბატონი არ მოეცალა გზიდან და დაძმობილობა მოინდომა ავთანდილის: ორივემ გავიყოთ შუაზე ძმურად მაგათგან ანაღები თვალ-მარგალიტიო; — ეს სჯობს, თორეს რას გამოვრჩებით ჩვენ ორივემ, რომ ერთმანეთს თავი შევაკლათ და ჩვენი სისხლით ნახლმევ-ნაისრით და ნაშუბრით მინდორი მოვრწყათ და ავავსოთ... დამანებე ქარავანი, დღეს მე და შენ ძმები ვიყვნეთო.

მინდორს სისხლის ტბა გვიბრუნავს
ნახლმევ-ნაისრ-ნაშუბარი,
ეს ქარავან დამანებე,
დღეს მე და შენ გავხდეთ ძმანი.

ავთანდილს ეწყინა ესა და ერთი მათრახის გადაქნევით დედამიწაზე გაფშვნიტა მგზავრების მძარცველი ბატონი; გაუხსნა თავისუფალად გზა მგზავრებს და გაატარა. მგზავრებმა შესწირეს ლოცვა და დიდი მადლობა ღმერთს, რომ დამხსნელი გამოუგზავნა და ლოცავდენ ავთანდილის მოსვლის გზას.

ავთანდილი გაეშურა თავის გზაზე და მიჰქროდა გრიგალ-ქარივით; ის გავიდა თავის ბიძის — ფრიდონის მიწა-წყალში და მიაბრუნა ცხე-

ნი ფრიდონისაკენ. ამ სიარულში ავთანდილი მიადგა ერთ დედაბრის ჭოხს. ავთანდილმა იმასაც ჰკითხა ამბავი თავისი საძებრისა, მაგრამ ვერა გაიგო რა. ბებერმა ჰკითხა: სად მიხვალ ახლაო.

— მე მივდივარ ბიძა-ჩემ ფრიდონთანაო, — მიუგო ავთანდილმა. ეს დედაბერი თურმე "გულთმისანი იყო და ყველა გაიგო, რაც ავთანდილს სურვილი ჰქონდა. დედაკაცმა ფრიდონის სასახლის მარჯვე გზა ასწავლა.

— შენ თუ შენი საწადლის ასრულება გინდა, ბიძაშენ ფრიდონთან რომ მიხვიდე, ცხენი სთხოვე, როცა მოგცეს, წადი ჯოგში და რომელიც ჯოგს უკან ჩამორჩება გაჩინჩლული კვიცი, იმას სტაცე ხელი და მოაჯექი, ის გაპოვნინებს შენ საწადელს; მართალია, ის კვიცი თვალის შესახედავად ცუდია, მაგრამ გადამავალი ქარის ცხენია და მხედრის გულისპასუხის შემტყობელი. ბიძაშენ ფრიდონს არ ეამება იმ კვიცის წამოყვანა, მაგრამ ვეღარას იზამსო. — უთხრა ბებერმა და გზა დაულოცა. ავთანდილმაც მადლობა გადაუხადა და გამოეშურა ბიძისაკენ. ორი დღის მგზავრობის შემდეგ მივიდა თავის ბიძა ფრიდონთან და მოკითხვის და საუბრის შემდეგ უთხრა: ცხენი დამეღალა და უნდა ერთი მფრინავი კვიცი-ცხენი მაჩუქოვო.

ფრიდონ, გენუკვი, ბიძაო,
კვიცის რემაის ფრენასო.

— ბიძა მოგიკვდეს მაშინ, რომ მჯობნის-მჯობნე დაგიჭიროთ! შედი ჯოგში და რომელიც მჯობნის-მჯობნეა, მიირთვი, მიწყალობებიაო.

ფრიდონ მოგიკვდეს ბიძაი,
მჯობი გიწყალოს ჯოგშია,
შედი და გამოარჩიე,
რომელიც სჯობდეს მჯობშია.

ავთანდილი მაშინვე გაეშურა ჯოგში. გამოირეკა წინ ჯოგი და დაიჭირა ის პატარა კვიცი, რომელიც უკან ჩამორჩა და რომელიც ბებერმა ურჩია. ფრიდონს დაენანა, მაგრამ თქმით-კი ვეღარ უთხრა-რა ავთანდილს. ავთანდილმა დაადგა უნაკირი, მოახტა ზურგზე და გაფრინდა კვიცი, თვალი ვეღარავინ მოჰკრა!.. ბევრი სიარულის შემდეგ ავთანდილის ცხენმა იპოვნა ტარიელის ცხენის ნატერფალი კვალი; დაადგა ამ ნაკვალევს მფრენ-მრბენი და აღარ მოშორდა. ნაკვალევმა მიიყვანა ერთ გამოქვაბულ კლდეში, საცა ერთი დედაბერი ცხოვრობდა. ავთანდილი გადახტა ცხენიდან, მიეალმა დედაბერს და გამოჰკითხა ტარიელის ამბავი.

— აქ მოდის ხოლმე ჩემთან ტარიელი, — უთხრა დედაბერმა, — ახლა სანადიროდ არის წასული და ცოტახნის შემდეგ მოვაო.

— არა უთქვამს-რა, დედაშვილობას, შენთვის ტარიელს: ან დედა ან და დამრჩა შინ, ან ბიძაშვილი, ან ვის იგონებს კიდევ თავის საყვარელ ნესტან-დარეჯანის გარდა?

— ჩემთვის, შვილო, ტარიელს არა უთქვამს-რა და არც მე ჩავკითხებივარ, — მიუგო ბებერმა.

ავთანდილი შეეხვეწა დედაბერს, უთუოდ უნდა მომიხერხო და ტარიელი მაჩვენო პირის-პირო.

— არ შემიძლიან შვილოო, უთხრა ბებერმა, — ის ისეა გაშმაგებული და გახელებული თავის მზექალის დაკარგვით, რომ არავის არ ინდობს, არავის არ ეკარება, მისი ფიქრი და საწადელი მარტოკა თავის მზექალის პოვნა და გამოხსნა არის და რომ ვაჩვენო შენი თავი, ვაი თუ მოგკლას და ცოდვა დამედოს თავზეო.

მაგრამ ავთანდილი არ მოეშვა და დიდი ხვეწნა-მუდარით თუ მომკლავს, ალალი იყოს ჩემი სისხლიო, დაითანხმა ბებერი; ბებერმა ავთანდილი დამალა ქვაბში.

შეღამებისას მოვიდა ტარიელი სანადიროდან; ცალ მხარზე ნანადირევი ეკიდა და ცალ-მხარზე დიდი უზარ-მაზარი წიფლის ხე. მოვიდა ტარიელი ქვაბთან, დააგდო ძირს ხე და ნანადირევი გაატყავა, დაანთო ცეცხლი, შედგა ქვაბი და ჩაყარა ხორცი, როცა შინ შემოვიდა, დედაბერმა დაუწყო ტარიელს გამოკითხვა: ვინ დაგრჩა შინ, ან დედა ხომ არ დაგრჩენია, ან და, ან ბიძაშვილი, რომლის ნახვაც გენატრებოდესო? — არაო, უთხრა ტარიელმა — არავინ არ დამრჩენია შინ; დამრჩა მხოლოდ ერთი ბიძაშვილი, სახელად ავთანდილი, ის მახსოვს და იმის ნახვას ვინატრინეტავ ერთხელ კიდე მაჩვენა ჩემი ავთანდილიო.

— ეხლა რომ ნახო ავთანდილი, რას უზამ, დედაშვილობასა?

— ერთს მაგრად გადავკოცნი და გადავეხვევი, — უთხრა ტარიელმა.

— შენ რომ მაგრად გადაჰკოცნო, შვილო, ხომ მოკვდება, უთხრა ბებერმა. გაიგონა ავთანდილმა ტარიელის ხმა და, ჩქარა ნახვის სურვილით აკრჟოლებულმა, ჰკრა წიხლი, გამოამტვრია ქვაბის კარები: — აქა ვარ შენი ავთანდილი, ჩემო ტარიელ; — შესძახა და მივარდენ ერთმანეთს, საალერსოდ გადაჰხვიეს ხელი და დაუწყეს ერთმანეთს კოცნა.

ამ ალერსში, ტარიელისაგან მაგრად მოხვევნის გამო, ავთანდილს სამი გვერდის ნეკნი, ფერცხალი, ჩაემტვრა. ტარიელი მაშინვე ჩაეწოდა, ამოიძრო პაიჭიდან ფასკუნჯის[1] ფრთა, წაუსვა ნატკენ გვერდებზე და გაუმთელა, გაუკურნა.

შემდეგ დასხდენ ერთად და უამბეს ერთმანეთს თავიანთი ამბავი და თავგადასავალი. ტარიელი მოუყვა, რაც ჭირი და ვაება გადაჰხედოდა თავისი მზექალის ძებნაში თოთხმეტი წლის განმავლობაში. — ეს თოთხმეტი წელიწადია, ავთანდილ, ვეძებ ჩემს მზეს, დავრბივარ გარ-გარე და ნიშანიც-კი ვერ ვიპოვნეო, — უთხრა ბოლოს გულამოსკვნით ტარიელმა.

ავთანდილმა იმედი უთხრა: ნუ გეშინია, ძმაო, მე ვეცდები, რომ მოვნახო და ვიპოვო შენი მზექალი, და ან ჩემ თავს მის ძებნაში წავაგებო!.. შენ მხოლოდ ნუ ნაღვლობ და დამშვიდდი. უბრალო ხალხთან ხეხებით არ გაკეთდება-რა, თავს ტყუილად დაიბეჩავებ, სხვასაც ავნებ და შენ მზექალს მაგით ვერ იპოვნიო. გამოემშვიდობა ავთანდილი და წა-

[1] ფასკუნჯი — ზღაპრული ფრინველია.

ვიდა ნესტან-დარეჯანის საძებნელად. ტარიელიც არ დამშვიდდა და არ დაეთხოვა ძებნას, დარბოდა ტყე-ველში და ეძებდა გამუდმებით.

ავთანდილმა დიდი გზა გაიარა. ვისაც შეხვდებოდა ყველას ამბავს ჰკითხავდა და ასე კითხვა-კითხვით მიაგნო ნესტან-დარეჯანს. გაიგო დაბეჯითებით, რომ ზღვას იქით ქაჯებს ჰყავდათ დამწყვდეული ქაჯეთის ციხეში. ავთანდილი წავიდა ტარიელთან, გამოუარა ბიძა ფრიდონს, უამბო ნესტან დარეჯანის ამბავი და შველა სთხოვა. დასდეს პირობა ბიძა-დისწულმა და ავთანდილი წამოვიდა ქვაბში ტარიელთან.

ტარიელი ავთანდილს შინ არ დაუხვდა. მას უკან ორჯერ აღარ მოსულა შინაო, — უთხრა დედაბერმა ავთანდილს. ავთანდილი გაეშურა მინდორ-ტყეში ტარიელის საძებნელად. ტარიელი ნახა და ახარა მზე-ქალის პოვნა. მოვიდენ ქვაბში ორივენი. ავთანდილმა უთხრა ტარიელს: აჰა ძმაო, ჩემი ცხენი, მაღლა ასწევ აღვირს, ზეცას ავარდება, ძირს დასცევ ქვესკნელს ჩაძვრება; მათრახს გადაჰკრავ — ზღვაზე გაფრინდება. შეჯიქი ამ იფრინდაზე, გადაჰკარ მათრახი და გახტი ზღვის გაღმა. მე და ბიძაჩემი ფრიდონი ერთად წამოვალთ. ბიძაჩემი თოკს გადმოაგდებს ზღვაზე, მოსდებს ქაჯეთის ციხეს და მე ივ თოკზე გამოვფრინდები და ჩავბტები ციხეში კისკისითო.

ავთანდილი საჩქაროდ გამობრუნდა, მივიდა ბიძა ფრიდონთან, შეეხვეწა ჩქარა წავიდეთ, მივეშველოთ ტარიელს და თოკები ბლომად წავიღოთ, რომ მისწვდეს ქაჯეთის ციხემდეო. საწყალი ჩემი დედ-მამა, რომ ჯამბაზობას მასწავლიდა, თოკებზე რომ მარბენინებდენ, ასე მეგონა, ბიძია ფრიდონ, ტყუილად მაწვალებენ-მეთქი!. უბრალოდ ჩემი ტანჯვა და სიკვდილი უნდათ. ჩემ დედ-მამას მეთქი, ვფიქრობდი მაშინ მე უგუნური. ის კი არ ვიცოდი, თუ ჩემი დედ-მამა ჩემი თავის გამოსადეგს მასწავლიდა და მწვრთნიდა.

ბეჩავი ჩემი დედ-მამა
რა ცოდვა ჭირით მზდიდიან:
ერთი ციხიდან სხვა ციხეს
თოკები გამოჰკიდიან;
მე ისე ფრენით გავრბოდი,
რომ თვალნიც ვერ მამკიდიან!..
მე ის მეგონა, ქვე თუ მკვლენ,
იგინი თურმე მწვრთნიდიან.

ავთანდილი და ფრიდონი მოემზადენ სამგზავროდ; ჩქარაც წავიდენ და მიადგენ — ქაჯეთის ციხეს პირდაპირ — ზღვას. მაშინ ავთანდილმა კიდევ უთხრა ფრიდონს: აბა, ბიძია თოკების გაგდება აქედან და წვერის მოდება ქაჯეთის ციხეზედ შენი საცადით იყოს, და ზედ გაფრენა მე ვიცი.

ფრიდონ ბიძისა ცდით იყო
გაგდება თოკებისაო,
ზე გავლა ავთანდილისა,
როგორც მფრინავი ცისაო.

ფრიდონმა მაშინვე აიღო თოკები, ესროლა და მოსდო ქაჯეთის ციხის ბურჯს. ავთანდილმა მოიხადა ქუდი, ილოცა ღმერთი, შეხტა თოკზე და გრიგალ-ქარივით წამზე ჩახტა ქაჯეთის ციხეში. დაუწყო ხოცვა-მუსვრა ქაჯებს, მაგრამ, რამდენსაც მოჰკლავდა, იმდენი ისევ ცოცხლდებოდა და დაპრილი ადგილი უმთელდებოდათ. ამ დროს დაინახა ნესტან-დარეჯანმა ავთანდილი და იცნო თავისი ტარიელის ბიძაშვილი.

— აქ რამ მოგიყვანა ავთანდილ?! — დაუძახა ნესტან-დარეჯანმა, მაგრამ ავთანდილმა ყურიც არ ათხოვა, ის გაცხარებული ომში იყო და გულებაში წუხდა, რომ დახოცილი ქაჯნი ისევ ცოცხლდებოდენ. — ნაბდის ხმალი აიღე, ავთანდილ, ნაბდის ხმალიო... ავთანდილმა მიიხედა გვერდზე და დაინახა კედელზე მიყუდებული ნაბდის ხმლები. ავთანდილმა დააგლიჯა ხელი ნაბდის ხმალს და დაუწყო უწყალო ხოცვა ქაჯებს.

ბევრი ომის და ბრძოლისგან ავთანდილი მოიქანცა, დათვრა სისხლითა. ბაშველს ვერავის ჰხედავდა და უკვირდა ტარიელის ამბავი. მაშინ შესძახა ტარიელს: შინშო, მიშველე, მომეხმარე თორემ ამ მოზღვავებულმა ქაჯებმა ლამის გადაგვიარონ თავზეო.

შინშო, მიშველე, ტარიელ,
დაჭირდა შენი გმირობა!..
ავთანდილ დავსუსტებულვარ,
ქაჯებს აქვს ზემო ვლილობა!..

ტარიელი ამ დროს ციხის გალავან-გარეთ იდგა, სიყვარულისაგან გაშტერებულ-გახელებული და არაფერ საცადში არ იყო. ავთანდილის დაძახილმა გამოაფხიზლა ტარიელი ამ ღრმა გაშტერებისაგან. მაშინვე სმა შისცა ტარიელმა ავთანდილს: მე აქ სურვილისაგან გახევებული კარებზე თავსა ვცემდიო და არცკი ვიცოდი, შენ შიგნით იყავი თუ არაო.

შენ შით გადახველ, ავთანდილ,
მე კარზე ვდგევარ — ხე ვითა,
სურვილით გახარებული
კარს დავასკდები ქვევითა!..

გამოფხიზლებული ტარიელი მივარდა კარებს, დალეწა მთლად, დაამსხვრია გალავანი ციხისა, შევარდა შიგ და დაუწყო ჟლეტა ქაჯებს. ამ დროს მოვიდა ქაჯების ხელმწიფეც დიდძალი ქაჯის ლაშქრით და, როცა ნახა კარები და კლიტეები მთლად დალეწილი, შეწუხდა და მაშინვე მიხვდა: ამას ქვეყანაზე ვერავინ ვერ შეიძლებდა ტარიელის მეტიო. ეს უთუოდ ტარიელი მოვიდა, იმან დალეწა კარ-კლიტე, ქობალაქები და მიფანტ-მოფანტა მინდვრებშიო.

ქაჯებ სთქვეს ტარიელისა:
ეს საქმე მისეულია,
კარ-კლიტე, ქობალაქები
მინდორში დასრეულია.

ტარიელმა და ავთანდილმა ამოწყვიტეს მთლად ერთიანად ქაჯებისა სინსილა, წამოიყვანეს ტარიელის მზე-ქალი და წამოვიდენ. კარგა სიარულის შემდეგ მოადგენ ერთ მდინარის ხიდს. მაშინ უცებ გაიკრა ავთანდილმა ხმალს ხელი და შემოუქნია მზე-ქალს: უნდა ეხლავე გაგათავოო! — შესძახა ავთანდილმა. მზე-ქალს შეეშინდა, პირი წაიღო და სამი ქაჯი წამოაგდო პირიდან. ავთანდილმა მაშინვე დახოცა ქაჯები. ავთანდილი გულთმისანი, ტკვიანი კაცი იყო და იცოდა, რომ მზე-ქალს სამი ქაჯი ჩაუძვრა პირში. მორჩენილი და განკურნებული მზე-ქალი წამოიყვანეს და წამოვიდენ დიდი სიხარულით და მხიარულობით.

32. ᲔᲗᲔᲠᲘ

(ქახური)

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდ,
იყო შაშვი მგალობელი,
ღმერთი ჩვენი მწყალობელი.

I.

იყო ერთი უშვილო ცოლ-ქმარი. უშვილოდ გადაგებას აპირობდენ, რომ ცოლს არ დაეყენა ქმრისათვის: წადი მკითხავთან, აკითხვინე, გაიგე, რა მიზეზით არ გვყავს შვილი, იქნება წამალი იცოდეს და გვეშველოსო. წავიდა კაცი მკითხავთან და აკითხვინა. მკითხავმა სამი ვაშლი მისცა და დაარიგა: წაიღე ეგ ვაშლები, როდესაც მოშივდეს ცოლს, შეჭამოს და შვილი გეყოლებაო. გზაზე კაცს მოშივდა და თვითონ შეჭამა ორი ვაშლი. მოწყურდა წყალი და შეჭამა მესამეც. ვაშლები შეჭამა თუ არა, კაცს კანჭში ქალი ჩაესახა, მოიჭრა კანჭი კაცმა და გადააგდო გზაზე. გაიგო სუნზე ორბმა, მოფრინდა, დაჰყოყინა, დაჰყოყინა კანჭს, ჩასჭიდა ბრჭყალები და წაიღო თავის ბუდეში ერთი მაღალი ხის კენწეროზე. კანჭიდან გაჩნდა ქალი. უვლის ორბი, უზიდავს საჭმელს, წავიდოდა ორბი, დაივლიდა მთელს ქვეყანას, მოსძებნიდა, იპოვნიდა საცა კარგი საჭმელი იქნებოდა, და მიუტანდა ქალსა. ქალი დღით იზრდებოდა; ისეთი ლამაზი იყო, ისეთი ლამაზი, რომ იმაზე მშვენიერი ამომავალი მზე აღარ იქნებოდა.

II

იმ ადგილში ერთი ხემწიფის შვილი იყო, სახელად აბესალომი; იმ ადგილებში, სადაც ხე იდგა, სანადიროდ დაიარებოდა, შენიშნა ხეზედ ქალი და ჩაუვარდა იმისი სიყვარული გულში; მიდიოდა ყოველ დღე ხესთან და ესიყვარულებოდა შორით. აბესალომს ერთი ყმა ჰყავდა, სახელად მურმანი. ერთხელ აბესალომმა, ყელ-მოღერებული ეთერი რო დაინახა, ველარ გასძლო და დაუძახა ეთერს:

ჩამოდი, ეთერ, ძირსა,
მანდ რას უზიხარ ხესაო,
ჩამოდი, ცოლად გამომყევ,
მანდ ნუ იღერებ ყელსაო!

— არაო, უპასუხა ეთერმა, მე შენ ცოლად რას გამოგადგებიო.

მდიდარი ხარ, მდიდრის შვილი,
დედ-მამით ხარ ქებული;
მე ობოლი, ობლის შვილი,
ობლობით ვარ დაჩაგრული,
კაცის კანჭში ჩასახული,
შარის პირსა ნაგდებიო,
ორბის კლანჭით აღებული,
ხის კენწერსა გაზრდილიო,
შენ შენი ჰქნა და წახვიდე,
გამიშვა წყალ-წალებული!

აბესალომმა ღვთის ფიცი მისცა, არ გიღალატებო.

ზევიდან ღმერთი ცეცხლსა ჰყრის,
ქვეშ აბესალომ უდგება,
ეთერო, შენსა ამ ღალატს
ღვთის მეტი ვინ შეუდგება,
ომში ხმალ-ამოღებულსა,
აბჟარიმც ჩამომიწყდება,
წყალი უწყლოსა ალაგსა,
ზღვა იყოს ამომიშრება,
შვიდის წლის გზასა მავალსა,
საგძალი წამომიწყდება,
მუხლებზე ნადები თოფი
უბეშიმც ჩამიბრუნდება.

III

დაიჯერა ეთერმა აბესალომის ფიცი და დათანხმდა ცოლობაზედ; აბესალომმა ფიცს ერთი შავტარიანი დანაც მიაყოლა ნიშნად, შეიხვა ცხენზედ და წაიყვანა სახლში: აბესალომმა მურმანი წინ გაგზავნა თავის დასთან მარეხთან და შეუთვალა: ცოლი მომყავს, ოქროს თავმოსნიანი ეთერი და საქორწილო ტანისამოსი მოგვიმზადეო. მიიყვანეს ეთერი შინა, ჩააცვეს ტანისამოსი, დასწერა აბესალომმა წიგნები და კომლზე კაცი დაიბარა თავის სახელმწიფოდან: წიგნები მურმანს გაატანა. მურმანსაც თურმე შეჰყრია ეთერის სიყვარული და ჰკლავს იმისი სურვილი. — ვინ არის კაცი ისეთი, რომ იმოდენა შესძლოს, ეთერი აბესალომს შეაქმნოს და მე ჩამიგდოს ხელშიო, ამბობდა გზაში მურმანი. შემოხვდა წინ ეშმაკი მურმანს და ჰკითხა; სად მიდიხარ, ან მანგრე რას დაეღონებიხარო. მურმანმა თავის აზბავი უამბო. ეშმაკმა უთხრა: წამალს მე გასწავლიო, ისეთ წამალსაო, რომ აბესალომმა ეთერი თავის ხელით შენ მოგცესო, მაგრამ შენი სული მე უნდა მომცეო! — ოღონდ ეთერი ჩემი გახდეს და სულს როგორ დავზოგავო. უთხრა მურმანმა. — მაშ ქაღალდი დამიწერეო, უპასუხა ეშმაკმა, რომ შენს პირს აღარ გადახვალ, და მერე გასწავლიო. დაუწერა მურმანმა ქაღალდი და მისცა ეშმაკს. ეშმაკმა უთხრა: ჯვარს რო დაიწერენ ეთერი და აბესალომი, ეთერს ჩუმად ერთი მუჭა ფეტკი ხელუკუღმა შეაყარე, ეთერს მკბენარი დაეხვევა და, რამდენიც უნდა აცალონ, ვეღარ მოაცლიან, სანამ შენი ხელი არ მოხვდებაო. წავიდა გახარებული ეშმაკი თავის ბუნაგში, და სულგაყიდული მურმანი სახლში დაბრუნდა.

IV

ჯვარი რო დაიწერეს ეთერმა და აბესალომმა და გამოდიოდენ ეკლესიიდან, მურმანმა ჩუმად ეთერს ტანზე ერთი მუჭა ფეტკი შეაყარა და ქალიც მკბენარებით აივსო. აცლიან, მაგრამ უფრო მეტი ეხვევა. შეწუხდა აბესალომი, გამოიყვანა ეთერი ხალხში და საჯაროდ დაიძახა:

ორშაბათს შეყრილ მიჯნურნი
სამშაბათს გავიყარენით;
ვისაც რო შეყრა გეწყინათ
გავყრილვართ, გაიხარენით.
ვის გინდათ ქალი ეთერი,
მე ნადირობას მივალო.

აუსრულდა მურმანს გულის წადილი, გახარებულმა ჩოქით სალამი მისცა აბესალომს და შეჰღაღადა:

უბოძე შენსა მურმანსა,
შენი ერთგული ყმა ვარო.

აიღო აბესალომმა ეთერი და მისცა მურმანს. რაკი მურმანმა ხელი მოჰკიდა, ეთერს მკბენარი მოშორდა იმ წამსვე, წაიყვანა და დაისვა ცოლად.

V

ეთერის სურვილი ცეცხლად მოედო აბესალომს. შეხვდა მურმანს, ვეღარ მოითმინა და ეთერის ამბავი ჰკითხა:

მურმან, მურმან, შეხსა მზესა,
ეთერი როგორ რამეა?
მურმანმა უპასუხა:
რას ჰკითხულობ, ცათა სწორო?
ცოლის ქება აუგია;
შენ გინახავს ბროლის ციხე,
როგორ ცამდის მაღალია;
შიგა ზის ქალი ეთერი,
ყელი მოუღერებია;
წელი წვრილი, ბეჭი ფართე,
თეძოს თავი დაბალია,
შუბლი წვრილი, წარბი ბრტყელი,
საფეთქელი მწყაზარია,
ცხვირი სტვირი, კბილი მძივი,
ბაგე ხახვის ფურცელია;
ცხრანი მულნი გვერდს უსხედან,
ყველა პირის ფარეშია;
დედამთილი უკან უზის,
გიშრის დალალის მწვნელია;
ცხრა მაზლი კარებს ადგანან,
დალესილი ალმასია,
მამამთილი ერდოზე წევს,
გველეშაპის მყლაპავია.

VI

ამის გამგონე აბესალომი ეთერის სიყვარულით უფრო შეწუხდა და აუად გახდა, მოინდომა მურმანის დაშორება და ეთერის ისევ ხელში ჩაგდება; დაიბარა მურმანი და უბრძანა: წადი, უკვდავების წყალი მომიტანე, ეგები კარგად გაეხდეო. მურმანი გულში შეფიქრიანდა: ჩემთან ფარსაგი[1] არ არისო, — გამოსთხოვა ცხრა დღის ვადა აბესალომს და წავიდა ეთერთან გამოსათხოვებლად. ეთერს უთხრა:

---

[1] ფარსაგი — რიგიანი, გამოსადეგი, ხეირიანი, კეთილი.

ამაღამ კი ჩამიტოლე,
ქალო, მკერდსა ბროლისასა;
ქალო, ალგეთსა მგზავნიან,
პირსა ალგეთის მთისასა;
სურვილისა ქვას ისვრიან,
მონატეხსა ლოდისასა,
ვაიმე, თავს გაგვიტეხენ,
უზარელსა ლომისასა.
ნუ შეიხვეე ავსა კაცსა,
ნურცა ავი გვარისასა,
წავა სწორში დაიკვეხებს:
ხვევნას ვიყავ მთვარისასა!

ეთერმა უპასუხა:

გავიხდი ქამხა - ატლასსა,
ჩავიცვამ ბამბა - ბუმბასა,
ავიღებ კოკა - კუტალსა[1],
წყალს შემოვიტან მდინარსა,
არც შევალ შენის ძმისასა,
არც შენი მეზობლისასა,
თუ შევალ, ასრე გამოვალ,
როგორც და თავის ძმისასა.

ის ღამე მურმანმა ეთერთან გაატარა.

ამაღამდელო ღამეო,
ნუ გათენდები მალეო,
ვეხვევი ბროლისა მკერდსა,
ველარ ვიშოვი ხვალეო!

მეორე დღეს დედას და დას ძალიან შეეხვეწა მურმანი: გაუფრთხილდით ეთერსა, ნიავსა და მზის სხივსაც ნუ მიუშვებთ იმასთანაო.

აბესალომი საშინლად ავად გახდა, კვდებოდა, იმისი წამალი აღარ-სად იყო. ადგა აბესალომის და მარეხი, წავიდა სოფელში და შესჩივოდა ყველას: ძმა მიკვდება, მიშველეთ რამე, იქნება რაიმე წამალი იცოდეთო. — იქნება ეთერის სურვილი ჰკლავდესო, უთხრეს მარეხს, შეიტანე, დაუწყე ტახტზე ტრედის ფრთა, გამტკიცული პური, წითელი ღვინო, ყორნის ფრთა და ეშველებაო. შეიტანა მარეხმა ყველა ესენი და დაუწყო ტახტზე ავადმყოფ ძმას. აბესალომი მობრუნდა, აიღო ტრედის ფრთა ხელში და უთხრა: ტრედის ფრთავ, ეთერი ხარ, მაგრამ ეთერისთანა კი ვერა ხარო! აიღო ახლა გამტკიცული პური და უთხრა: პურო, გამტკიცული ხარ, მაგრამ ეთერის სახისთანა კი

[1] კუტალი—წყლის ჭურჭლის ხის საცობი.

ვერა ხარო! აიღო წითელი ღვინო და უთხრა: წითელო ღვინოვ, წითელი ხარ, მაგრამ ეთერის ლოყებივით კი ვერაო! ბოლოს ყორნის ბოლო აიღო და სთქვა: შავი ხარ, შავი, ყორნის ბოლოვ, მაგრამ, ეთერის თვალწარბისანა კი ვერაო. მარეხს უთხრა:

ადე, მარეხო-მასკვლავო,
ეთერსა კარსა უარე;
თუ გკითხოს ჩემი ამბავი,
დაჯექ და წვრილად უამბე!

VII

წავიდა მარეხი ეთერის მოსაყვანად. აბესალომის ავადმყოფობა რო გაიგო, ეთერიც შეწუხდა, გამოეპარა დედამთილს, შეეიდა აბესალომის ბაღში, ერთი ჭანდრის ქვეშ დაჯდა და დაიწყო ტირილი; ბევრი იტირა, დაიღალა და დაეძინა. მოვიდა მარეხიც და, რო დაინახა მძინარი ეთერი, დაუძახა:

მე ბანი-ბან დაგეძებდი,
შენ ბაღჩის ბოლოს გეძინა,
ოქროსა ღილი გაგეხსნა,
ბროლისა მკერდი გეჩინა,
ეგ შენი შავი დალალი
მორევისავით გეფინა.
ეთერო, შემოვიარე
იმ შენის ციხის არესა,
გადმოვიხედე, ავტირდი,
ლოგინი გიგავ მთვარესა;
ეს გაზაფხულიც მოვიდა,
მარტი, აპრილი, მაისი,
ადე, ეთერო, გამომყე,
შენ მამირჩინე ძმა ისი.
ავიღებ ბარსა, ნიჩაფსა,
დავხვეტავ გზასა ხვინჭასა,
ზედ მარმარილოს დაგიფენ,
ფეხი არ დასცე ქვიშასა!
ისეთს სასახლეს აგიგებ,
სულ მარმარილოს ქვისასა;
შიგაშიგ ფიცარს ჩავუყრი,
აბანოურის ხისასა;
წინ საჩრდილობელს მოვიყვან,
მაღალსა ალვის ხისასა;
ზედ ყაჭ-აბრეშუმს გადმოვფენ,

საჩრდილობელსა მზისასა;
შიგ ხალიჩეებს დაგიფენ,
ნაქსოვსა ფერადისასა!

ეთერმა გამოიღვიძა და გაჰყვა: ნეტავი ჩემის ნახვით კი მოგირჩეს ძმა და როგორ არ წამოვალო, უთხრა მარეხს. წავიდენ და მივიდენ აბესალოშის კარსა.

VIII

ქალმა რო ბანზედ შედგა ფეხი, აბესალომი სულს ებრძოდა, შორი დან იცნო კიდე ეთერის ფეხის ხმა, წამოიწია და დაიძახა:

ეთერი ბანზე შემოდგა,
ბანი და კარი შეინძრა;
ბანიდან ჩამოიხედა,
სულში ნათელი ჩამიდგა!
წამწამსა და წამწამს შუა
ბალი გამიშენებია,
ეთერის მობრძანებისთვის,
მადლი მამიხსენებია!
ეთერი ტყვილა გარჯილა,
ვარ საიქიოს მავალი;
უფალსა უბრძანებია:
გზა ვიწრო, მარტოდ სავალი.

შოვიდა მარეხი და ახარა აბესალომს:

ძმაო, მოვიდა ეთერი,
თუ თვალებში გაქვს ნათელი!
თუ მოვა, აქაც შემოვა,
ცოტა აქვს შემოსავალი.
ეთერსა ცხენი არ უნდა,
არსად არ არის წამსვლელიო.

ჩავიდა ეთერი. კარებთან რო მივიდა, ყმაწვილი გადაბრუნდა, პირი კედლისაკენ ქნა. მივიდა ეთერი და უთხრა:

შენ ყმაწვილო ბესიაო,
პირი კედელს გიქნიაო,
გადმობრუნდი, გენაცვალე,
ჩემი არა ბრალიაო!

გადმობრუნდა აბესალომი და იმ წამს სული დალია. ეთერიც მივიდა და დაეკონა მკვდარს, დაეკონა,აქვითინდა და ასე მოსთქვა:

აბესალომის დანაო
ჯიბეს მიდევხარ განაო,
ამოგიღებ და დაგიცემ
მარჯვენას ძუძუსთანაო;
პირი ჩემკენ, ტარი შენსკენ,
მეც დაგაკვდები თანაო,
ერთადამც დავიხოცებით,
ერთადამც დაგვმარხიანო,
გზის პირსაც დაგვაღირებენ,
გზის თავსამც დაგვმარხიანო,
მიწასაც მოგვაღირებენ,
ფოთოლთამც მოგვაყრიანო!
თავს ვარდი ამოსულიყვეს,
დილის ნიავი ჰშლიდესო,
ზედ მოდიოდნენ ჩიტები,
ბუდობდენ, ბარტყებს ზრდიდესო;
ზედ ნარი ამოსულიყოს,
ვირი საძოვრად ვიდესო;
ფეხთითა წყარომც გამოვა,
შიგ ოქროს თასი იდესო;
ყველა მუშა და მაშვრალი,
ყველა ჩვენ დაგვნატრიდესო!
დაჰლევდეს ამვლელ-ჩამვლელი,
შენდობას შეუთვლიდესო:
რა კარგნი რამ დახოცილან,
ისევამც ადგებიანო!

წამომდგარა ეშმაკი და უთქამს:

აღდგომა წესი არ არის,
სულითამც ცხონდებიანო!

ხალხიც ამას უმატებდა:

აბესალომ და ეთერი
ღმერთმა შეჰყარა ერთფერი!

IX

მოვიდა მურმანი, ნახა ეთერის და აბესალომის საფლავი, გაითხარა საფლავი და ისიც იმათ შუაში ჩაწვა. იმის საფლავზე მწარე ეკალი ამოვიდა, აბესალომისაზე და ეთერისაზე-კი ვარდი და ია. გადაიხრებიან ვარდი და ია ერთმანეთის მოსახვევად, მაგრამ ეკალი დგას შუაზე და უშლის. მურმანის ფეხთით ლეკვები ამოძვრებიან ხოლმე და დილა-საღამოს ყმუიან...

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
კარგი სიტყვა, კარგი მთქმელი,
კარგი ღვინო, კარგი მსმელი.

33. თძეულება იესო ქრისტეზე, ელია წინასწარმეტყველზე და წმინდა გიორგიზე

ერთხელ იესო ქრისტე, ელია წინასწარმეტყველი და წმინდა გიორგი ერთად გზაზედ მიდიოდენ. ბევრი რომ გაიარეს, დაიღალნენ, მოჰშივდათ და დასასვენებლად და პურის საჭმელად დასხდენ. იქვე, მახლობლად, ერთი ბეცხვარე ცხვრის ფარას აძოვებდა. მიუგზავნეს ელია და სადილად ერთი ბატკანი სთხოვეს.

— თუნდ ნახევარი ფარა მიირთვი, ოღონდ კი მითხარ, ვინა ხარო? უპასუხა მეცხვარემ ელიას.

— მე ელია წინასწარმეტყველი ვარ, ღრუბელთ წინამძღვარიო, უთხრა ელიამ.

— ვაჰმე! ჩემი ღმერთისა რომ არ მეშინოდეს, აი, ამ კომბლით თავს გაგიტეხდიო! უპასუხა მეცხვარემ.

— რათა? რაზე ხარ ჩემზე გულმოსულიო? ჰკითხა ელიამ.

— რაზედა-და, დასთესავს პურს ერთ დღიურ მიწას საწყალი ქვრივ-ოხერი ან ვინმე ღარიბ-ღატაკი, შენ კი მისდგები, არც აციებ, არც აცხელებ და იმ ყანას სულ სეტყვით გაუნადგურებო!..

დაბრუნდა ელია წინასწარმეტყველი ხელცარიელი თავის ამხანაგებთან და უამბო ყველაფერი, რაც მეცხვარემ უთხრა.

ახლა თვითონ იესო ქრისტე წავიდა მეცხვარესთან და ბატკანი სთხოვა.

— თუნდა ნახევარი ფარა ინებე, ოღონდ კი მითხარ, ვინა ხარო? უთხრა მეცხვარემ.

— მე შენი უფალი ვარ, ქვეყნის შემოქმედიო.

— ვაჰმე! მიუგო მეცხვარემ: ჩემი ღმერთისა რომ არ მეშინოდეს, აი, ამ კომბლით თავს გაგიტეხდიო!..

— რათა, რაზე? ისეთი რა დამიშავებიაო? ჰკითხა იესო ქრისტემ.

— რა-და ის, რომ ჭაბუკს წუთისოფელს გამოასალმებ ხოლმე, ბევრს მოხუცებულს კი, რომელსაც ცხოვრება მოჰბეზრებია, ცოცხალს ატარებ ხოლმე დედამიწის ზურგზედაო! მიუგო მეცხვარემ.

ასე დაბრუნდა იესო ქრისტეც ცალიერ-ტარიელი.

ახლა ადგა და წმინდა გიორგი წავიდა მეცხვარესთან.

მეცხვარე რომ შეეკითხა წმინდა გიორგის, ვინა ხარო, უპასუხა:

— მე წმინდა გიორგი ვარ, გაჭირვების დროს რომ შემეხვეწები ხოლმეო: მე გიფარავ ავსულებისა და ეშმაკებისაგან და თქვენის მტანჯველის ხელისაგან გიხსნით ხოლმეო.

— მთელი ფარა მომირთმევიაო! შესძახა მეცხვარემ წმინდა გიორგის და მის წინ მუხლი მოიყარა.

პურის ჭამას რომ მორჩნენ, იესო ქრისტემ კალთა დაიბერტყა და სთქვა: ამ მინდორზე საუკეთესო მოსავალი მოვიდეს: თითო ძნას ასი კოდი გამოსავალი ჰქონდეს.

წმინდა გიორგიმ იესო ქრისტეს ნათქვამი მეცხვარეს უამბო და ურჩია: მინდორი მოჰხანიო. მეცხვარეც ისე მოიქცა.

ხანმა გაიარა, და ამ საკვირველმა მგზავრებმა შემთხვევით იმავე ადგილზე გამოიარეს, სადაც ახლა ხშირი ყანა იდგა. როცა იესო ქრისტემ წმინდა გიორგისაგან გაიგო, რომ ეს ყანა სწორედ იმ მეცხვარეს ეკუთვნოდა, რომელმაც მას ერთხელ ბატკანი დაუპირა, ელია წინასწარმეტყველს უთხრა: ერთი ამ მეცხვარის ყანას სეტყვა აწვიე და ჩაულეწეო.

წმინდა გიორგიმ მაშინვე შეატყობინა მეცხვარეს და გააფრთხილა: შენს ყანას განსაცდელი მოელისო. მეცხვარემ საჩქაროდ თავის ყანა ორ ხარის ფასად ერთ ქვრივ დედაკაცს მიჰყიდა.

მოვიდა სეტყვა და ისე მირეგვ-მორეგვა ეს ქვრივის ყანა, რომ ნათესის ნაალაგევიც კი აღარა სჩანდა.

როცა იესო ქრისტემ მეცხვარის ოინები შეიტყო, მაშინვე ელია წინასწარმეტყველს უბრძანა: ქვრივის ყანა წინანდებურად აღადგინეო!

წმინდა გიორგიმ ეს ამბავიც დაუყოვნებლივ აცნობა მეცხვარეს და ურჩია ყანა გამოესყიდა. ელია წინასწარმეტყველს იესო ქრისტეს ბრძანება ჯერ კიდევ არ აესრულებია, რომ მეცხვარემ ქვრივისაგან ყანა გამოისყიდა, და ელიამ რომ მოსავალი წინანდებურად აღადგინა, მეცხვარემ პურის მკას მიჰყო ხელი და თითო ძნისაგან ას-ასი კოდი მოსავალი აიღო.

34. ნ ა ც ა რ ძ ე ქ ი ა

(ქართლში გაგონილი ზღაპარი)

იყო და არა იყო რა. იყო ერთი რძალ-მაზლი. მაზლი საშინელი ზარმაცი და ზორბა ტანისა იყო, არაფრის გაკეთება და მუშაობა არ შეეძლო: სულ ბუხართან იჯდა, ხელში ჩხირი ეჭირა და ნაცარს ჰქექავდა; ამისათვის ნაცარქექია დაარქვეს.

რძალი ეუბნებოდა: კაცო, აქეთ მოდეგ, იქით მიდეგ, იმუშავე და ოჯახში რამე შეგოიტანე, თორემ მე შენი რჩენის თავი არა მაქვსო!

რძალმა ვერაფერი ვერ გააწყო: მაზლი სულ ბუხართან იჯდა და კარში ვერას გზით ვერ გაიტყუა. აღდგომა დღეს ნაცარქექია ძლივს წირვაზე წავიდა და, წირვის შემდეგ სახლში რომ დაბრუნდა, რძალმა კარი ჩაუკეტა და შინ აღარ შეუშვა.

ნაცარქექიამ რძალს საგზაოდ ერთი გუდა ნაცარი, სადგისი და ახალი ყველი სთხოვა და გზას გაუდგა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა — არ ვიცით, ერთ დიდ წყალს კი მიადგა და მეორე ნაპირას უშველებელი დევი დაინახა. დევი წყალს დასწაფებოდა და სვამდა. ნაცარქექია ძალიან შეშინდა, მაგრამ

რა ექნა: ერთი გზის მეტი არ იცოდა. იმ გზით ისევ შინ რძალთან უნდა დაბრუნებულიყო, თუ არა და — დევის საუზმედ უნდა გამხდარიყო. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს ესე მოიგონა: აბა გავიქცევ, და მტევერს დავაყენებო. ნაცარქექიამ გუდას სადგისი უჩხვლიტა, გახვრიტა და რომ გაიარ - გამოიარა, დიდი მტევერი დადგა.

დევი გაჰკვირდა, შეშინდა კიდეც, ქვა აიღო და უთხრა: აბა, ამ ქვას წყალი გამოადინეო. ნაცარქექიამ უცბად ახალი ყველი ამოიღო, მაგრად ხელი მოუჭირა, თქრიალით წყალი გამოადინა და დევს შესძახა: აბა, აქეთ გამოდი, მხარს შემისვი და წყალს გამიყვანე, რადგან ფეხის დასველება არ მინდაო! დევი მაშინვე გამოვიდა, ნაცარქექია მხარზე შეისვა და უთხრა: ოჰ, რა ძალიან მსუბუქი ყოფილხარო.

— ეს მიტომ, რომ ერთი ხელი ცაზე მაქვს მიბჯენილი და თუ ხელი დავუშვი, მაშინ ველარც კი დამძრავო.

— რაკი ეგრეა, აბა დაუშვი ხელიო, უთხრა დევმა.

ნაცარქექიამ სადგისი ამოიღო, დევს კისერში ჩაურტყო. დევმა საშინელი ყვირილი მორთო და სთხოვა, ხელი ისევ ცისათვის მიებჯინა.

როდესაც წყალს გავიდენ, დევმა უთხრა: წამოდი, დღეს სადილად მეწვიეო. ნაცარქექია შეშინდა, მაგრამ რას იზამდა, უთუოდ უნდა წაჰყოლოდა.

— დევისას რომ მივიდა, ნაცარქექიას დევის მოსახლეობა ძალიან მოეწონა. დაინახა ვეება კეცი, ხმიადით ბუხარში შედგმული იყო. დევი სადილის მოსამზადებლად წავიდა და ნაცარქექიას დაუბარა, ხმიადისთვის ყური ეგდო, არ დამწვარიყო.

ნაცარქექიას უნდოდა კეცი მოებრუნებინა, რადგან დაინახა, ერთი გვერდი ძალიან შეწითლებულიყო. როგორც კი კეცს ხელი ახლო, მაშინვე გადმობრუნდა და ნაცარქექია შიგ მოჰყვა. ბევრი ეწვალა, მაგრამ კეცის ქვემოდან ვერ გამოძვრა. ბოლოს დევები შემოვიდენ ოთახში და ნაცარქექია კეცქვეშ მოყოლილი ნახეს; გაჰკვირდენ.

— კაცო, ეგ რა გიქნია? შეეკითხა ერთი დევი.

— მუცელი ძალიან ამტკივდა და თბილი კეცი მუცელზე დავიდე, ეგება როგორმე ტკივილმა გამიაროს - მეთქი. ეხლა კარგად ვარ, და აიღე კეციო! უთხრა ნაცარქექიამ.

შემდეგ სუფრას რომ მოუსხდენ, დევებს ღვინო შემოელიათ. აიღეს დიდი კოკა და ნაცარქექიას უთხრეს: თუ ძმა ხარ, გადი, ეზოში ქვევრია, ამ ხელადით ღვინო ამოიღე და მოგვიტანეო.

ნაცარქექიას შეეშინდა, უშველებელი დიდი კოკა რომ დაინახა, მაგრამ მაინც გავიდა ეზოში და დიდხანს აღარ დაბრუნებულა. დევებს ცდა მოსწყინდათ, გავიდენ და ნახეს: ნაცარქექიას ხელში ბარი აეღო და ქვევრის გარშემო მიწას სთხრიდა.

— მაგას რას შერებიო? ჰკითხეს დევებმა.

— ჯობს, მთლად ამოვიღო ქვევრი და ისე დავლიოთ, თორემ პაწაწინა ხელადით მოტანა ადამიანს მოსწყინდებაო.

დევებმა იფიქრეს: ჩვენ ცხრა ძმათ ძლივს ჩავსვით ცალიერი ქვევრი, და ეს კი მარტო აპირებს სავსე ქვევრის ამოღებასაო. შემდეგ თვითონ დევებმა აავსეს ხელადა ღვინით და შეუდგნენ სადილსა.

ამ დროს ერთმა დევმა დაახველა და ნაცარქექია ჰერს მიეკრა. დევებმა ბაღლა აიხედეს და ნახეს — ნაცარქექია ჰერის კოჭს[1] ეკიდება.

— კაცო, მანდ რამ აგიყვანა, რას აკეთებო?!

ნაცარქექიამ უპასუხა: როგორ გაჰბედეთ ჩემს წინ დახველება? ეს წკეპლა უნდა ჩამოვიღო და სულ გვერდები აგიწვაოთ!

დევები ძალიან შეშინდენ: ჩვენ ცხრა ძმათ ძლივს დავსძლიეთ თითოხე, და ეს კი წკეპლას ეძახისო! შეშინებული დევები სახლიდან გავარდენ და დაიფანტნენ.

ნაცარქექია, როგორც იყო, ბობღვით ჩამოძვრა და დევების ოჯახის თარეშობა[2] და პატრონობა დაუწყო.

ერთ დევს გზაზე მელა შეხვდა და ჰკითხა; დევო, სად მირბიხარ, რა დაგმართიაო?

— რაღა სად მივრბივარ? ჩვენთან ერთი კაცი მოვიდა, კინაღამ გადაგვყლაპა. დევმა უამბო, როგორი იყო ის კაცი.

მელიას გაეცინა:

— ეს ხომ ნაცარქექიაა, საცოდავი კაცი! რადგან არას აკეთებდა, რძალმა სახლიდან გამოაგდო, მე იმათ კარგად ვიცნობ: რაც ქათმები ჰყავდათ, სულ მე გავუჩანაგე. წამოდი, როგორ შეგაშინა მაგ ლაჩარმაო!

— ვერ გენდობიო, უთხრა დევმა.

მელია ბევრს ეხვეწა.

— მაშ, რომ არ მიღალატო, მოდი, ამ თოკით წელზე გამომებიო. მელიამ თვითონ მოიბა თოკი და მერე დევს გამოაბა. დევი ისე დაბრუნდა თავის სახლში თოკგამობმული.

ნაცარქექიამ რომ მელია და დევი დაინახა, ძალიან შეეშინდა, მაგრამ რაღას იზამდა. მაშინვე კარში ვამოეგება და მელას უთხრა: აჰ, შე საძაგელო! ჩემი თორმეტი დევი გემართა და ბედი მარტო ერთი მოგყავსო! დევს ისე შეეშინდა, რომ თოკი დაგლიჯა, მელია სულმთლად დაფლითა და თვითონ ცხრა მთას იქით გადაიკარგა.

ნაცარქექიამაც დევების სარჩოს და სიმდიდრეს, რაც ჰქონდათ, სულმთლად მოჰხვია ხელი, აქლემებს აჰკიდა და თავის რძალთან წაიღო; რძალი გაამდიდრა, ერთად ტკბილად ცხოვრება დაიწყეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა,
მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა,

---

[1] კოჭი — კედლებზე გადასადები გათლილი ხე.
[2] თარეშობა — ძარცვა - რბევა.

აქ სიცოცხლით გამძეხით,
საიქიოს ცხონებითა!
ჩიტი გაფრინდა ცხრაფრთანი.
ასი ტყუილი, ერთი მართალი!

საკარგიშო მეხუთე

1. რამ გაიმარჯვა ამ ზღაპარში — ფიზიკურმა ძალამ, თუ გონებრივმა?
2. მიუდექით ამ თვალსაზრისით მომყოლ ზღაპარს.

35. ოჩო-კოჩი

(ცალთვალა კაცი. მეგრული ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, ცხოვრობდა ზღვის პირად რვა ძმა. მუდამ დღ და მუდამ ღამე გემებზე ცხოვრობდენ, სულ თევზაობდენ. ერთხელ ჩაუგდეს თევზს წილკავი[1] და უცდიან, როდის დაიჭერენ თევზს. შეამჩნიეს, რომ გემს შუა ზღვისკენ მიათრევს რაღაცა. ასე იყო რამოდენიმე კვირის განმავლობა ში: გემს სულ უფრო და უფრო აშორებდა ნაპირს. მაგრამ მეორე მხარეზე შეამჩნიეს კლდოვანი ნაპირი, საიდანაც თაფლის წყარო ჩადიოდა ზღვაში-ერთ დღეს გამოცურდა ზღვიდან ერთი უზარმაზარი თევზი, მივიდა წყაროს-თან და დაუწყო სვლეპა თაფლს. პირი სამ ადლზე გაეღო, თურმე მეთევზეე-ბისაგან ნასროლი წილკავი ამ თევზს მოდებოდა ფრთებზე და თევზი მიათე რევდა გემს. მეტი რაღა გზა იყო, მეთევზეებმა მიაჭრეს წილკავს თოკები და გაათავისუფლეს გემი.

ერთ დილას გამოჩნდა ბანჯგვლიანი და ცალთვალა უზარმაზარი კაცი, ხელში უჭირავს ბოძის ოდენა კეტი. მით მიერეკება წყაროსკენ ცხვრისა და თხის ფარას. კეტს ხელში თითისტარივით ატრიალებს. ცალთვალამ რომ შეამჩნია გემი, შევარდა წყალში, გამოათრია ნაპირზე ხელით გემი, მეთევზე-ძმები დაიჭირა და მოუყენა ცხვრისა და თხის ფარას. მივიდენ ერთ ვაკე-ზე და რა დაინახეს ძმებმა? ცალთვალა კაცის სასახლე რამოდენსამე ქცევა[2] მიწაზე გადაჭიმულა. სახლის გარშემო ისეთი დაბურული ტყე ერტყა, რო ხის წვერებს კაცის თვალი ვერა წვდებოდა. ცალთვალამ ძმები დაამწყვდია, თხა და ცხვარი მათ ალაგზე შერეკა, თვითონ კი გააჩაღა ცეცხლი და მიუჯდ[3] წინ; მერე გამოარჩია მსუქანი ცხვარი, ცოცხლად ააგო შამფურზე, შესწვა-და შესვლიპა. მეორე დღეს ერთი ძმა ააგო შამფურზე და დაუწყო ცეცხლზე ტრიალი. ძმა ძალიან მსუქანი იყო და ცეცხლზე თვალები სულ დაუსკდა. წაავლო ხელი ცალთვალამ და შესვლიპა. ძმებს ერთი ბარკალი გადაუგდო, მაგრამ ძმები ძმის ხორცს როგორ შეეამდენ! აიღეს და მიაბარეს მიწას. ასე შესჭამა ოჩო-კოჩმა ექვსი ძმა. დარჩა ორი.

---

[1] გრძელი ბადე

როცა უკანასკნელი ძმის შეკმით ძალიან გაძღა ოჩო-კოჩი და დაეძინა, ორი ძმა ადგა, მოეკიდა შამფურს, მაგრამ ძლივს უყო ძვრა. გაახურეს ცეცხლში, ატაკეს კაციკამიას თვალში და თვალები წამოკუკეს. ბრმა ისე გამწარდა, რომ ახტა, ეტაკა ჭერს და თავი გაიტეხა. ძირს რო ბრაგვანი მოადინა, გამწარებულმა დაიწყო სახლში ბოდიალი, ძმებს ეძებდა, იქნება ხელი ვსტა

ადამიანთა ბრძოლა სოციალური ცხოვრების მოსაწყობად

დამოკიდებულება ადამიანთა შორის, ყოფა-ცხოვრება და შრომა, ანდაზები და სხვ.

36. ᲨᲠᲝᲛᲐ.

1. „ოდელა“ უთხრა ყანასა,
ნაფუზვარსა და ჭალასა!

2. ალალმაქო, დალალმაქო,
დიდ მიდორში ყანა მაქო;
მუშა ბევრი შევიწვიე,
საჭამადი აღარ მაქო,

3. განჯას წყალი შემოვასხი,
ვარდო-მანანასა!
ღმერთო, წვიმა მეიყვანე,
ვარდო-მანანასა!

4. ზემოთიდან წამოვედით
მე და ბიჭი ომანაო.
პურისფქვილისთვის გუდა ჯობს,
სიმიდისთვის ტომარაო.

5. წისქვილის ამბავს თუ მკითხავ,
მე მოგახსენებ, რა უნდა:
სათავე აშენებული,
ღარსა პირამდი თლა უნდა,
ქვეშ-ქვეშ ლამაზი ბორბალი,
შიგნი ლამაზი ქვა უნდა,
ხვიმირა[1] და სარეკელა[2]
საკინწიალო სხვა უნდა,
ზედ რომ პური დაარიგო,
იმასაც კარგი ფქვა უნდა.

6. პო ტპრუ, კამეჩო, ლომაო,
შეკრულო ვარდის კონაო.

7. კამეჩო, ლონიერი ხარ,
უღლივ აჰზიდავ გუთანსა,
თუ გაგიჭირდა, წაიღებ
თავისასა და სხვისასა.

---

[1] ხვიმირა—წისქვილის ქვის ზემოდან დაკიდებული ყუთია, რომელშიაც ხორბალი ყრიან

[2] სარეკელა — მოკლე და მოკაუჭებული ჯოხია, რომელიც წისქვილის ქვას ხვდება ხვიმირას ანძრევს და იქიდან ხორბალს ერეკება.

8. ისევ გერჩივნა, კამეჩო,
მუხრას გეძოვა ბალახი,
გენახნა ხილად და ხილად
ავლაბარი და ქალაქი.

9. ხარო, ხარი ვინ დაგარქო,
ხარო, სახე მშვენიერო,
ჩვენ ნუგეშად მოვლენილო,
ქედ-ნაკურთხო, ღონიერო!

10. ხარო, დადგა მაისი,
ახლა ხორცით გაივსი.
წყალია და ბალახი,
გასუქდი და გალაღდი.

11. მოკვდა კამეჩი ბეხია[1],
შეუშვერია ფეხია.
— წადი, უთხარი ჩემს პატრონს:
დანა გაირჭოს წელშია.
მე მაშინ მოგაგონდები,
დიდი ალმართის ყელშია,
შეგებას წვრილი მოზვრები,
იგრიხებოდენ წელშია,
„ატა-ტატას," იძახოდე,
„სული მოვიდა ყელშია!"

12. ღმერთო, შემასწარ დროებას,
წინ გაეუძღოდე ღორებსა,
საჭმელი ბევრი ეყაროს,
ვიჯდე და ვთვლიდე სოლებსა.

13. ტყეში ღორმა დაიკვეხა:
ყველგან გავიკეთე ბინა;
მე რომ კბილებს გავილესავ,
ვერვინ დამიდგება წინა;
ვერცარას თოფი დამაკლებს,
თუ არ არის ყარაბინა.

14. ბიჭები მკიან ყანასა,
ნარიასა და ჩალასა;

---

[1] ბეხია — კამეჩის სახელია.

სიცხეს შეუწუხებია,
ვეღარ ატანენ ძალასა.
მალი-მალ შეაგინებენ
მარიამსა და ნანასა.

15. ღმერთმა ხომ იცის, გუთანო,
შენი მიყოლა ძნელია:
დღისით გიგრიხო წნელები,
ღამე გავტეხო ბნელია!

16. ჯარჯი[1] ჩაჰხედავს ჯიხვებსა —
რა მშვენივრები დგანანო;
რქა რქაზე გადაეხვევა,
ანგელოზებსა ჰგვანანო!
„ჯარჯი, ნუ ჩასდევ ჯიხვებსა
მოგინელებენ ტიალნი...“
არ დაიჯერა ჯარჯიმა:
„ჯიხვ უნდა მოვკლა რქიანი“
გაუდვა ჯიუხვ ზეითა
სიათა სპილოს ძვლიანი.
წინ ჯიხვმა,უკან ჯარჯიმა
კლდეზედ გადიღეს გრიალი,
ახლოს წყალზედ ჩაცვივდენ,
არხალო-პერანგიანი...
ნუ ეტყვი ჯარჯის დედასა:
„ჯარჯი გდავ პირ-სისხლიანი“...

17. შენი პირიმე, გუთანო, გათლილო წმინდის ხისაო;
შენ აქმევ პურსა ცოცხალსა, დამმარხველი ხარ მკვდრისაო.

18. შენი პირიმე, გუთანო, მაგ შენი მრუდე ყელისა:
შენა ხარ პურის მომყვანი, დამძველებელი, ქერისა!

19. შენ, ჩემო გუთნის დედაო, ხარი გიბია მტრედაო;
სიმღერა კარგი გცოდნია, დასძახი ზედი-ზედაო.

20. უღელი ხარი ვიყიდე, ყანა ავიზიარეო,
მოვხანი, პური მოვიდა, კევრი დავაბზრიალეო.

21. გლესავ და გლესავ, ნამგალო, ნამგალო ჩემო რკინაო,
გაგლესავ სალესავითა, გასპერ, გამიძეხ წინაო!

---

[1] კაცის სახელია.

22. ურემო, ფერსო-მალალო, ხუნდი[1] გიყრია გიშრისო;
ხარები კარგი გიბია, მაგრამ ტალახი გიშლისო.

23. კამეჩი წევს და იცოხნის, თავის ამინდი ჰგონია,
ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ჰგონია.

24. ქარელში ტივი ავუშვი, ტივია ნაძვის ხისაო,
დავასხი ორთაყვირები[2] მოსასმელია წყლისაო.

25. ღვინოვ, შენ ჰაჰანაის ძევ[3], უცეცხლოდ ამოსდუღდები,
ჭკეიან კაცთანა ბრძენი ხარ, უჭკუოსთან ამოჭუხდები!

პურმა თქვა: მე ვარ ქებული, სუფრაზე ჩარიგებული.
უჩემოდ არვინ არ ვარგა, არც მეფე, არც დიდებული;
მკვდრისა და ცოცხლის ნუგეში, მლვდლისაგან მოხსენებული,
ვარ უფლისაგან ნაკურთხი, ნაწილში ამოღებული.

ღვინომ თქვა: მეც ვარ ქებული, სუფრაზე ჩარიგებული,
უჩემოდ კაცი არ ვარგა, თუ არის მირონ-ცხებული,
პირგემოვნება კარგი მაქვს, სახით ვარ გამშვენებული,
უჩემოდ ლხინი არ ვარგა, ქორწილი შემოკრებული.

ჭადმა თქვა: ერთსაც მეც ვიტყვი, მეც მოსავალში ვწერივარ;
პურთან კი, აბა, სად მოვალ? მასთან რა დასადრეკი ვარ?
მე არც არავინ მაკურთხებს, არცა ნაწილში ვწერივარ,
მთოხნიან, ძირს მიჩიჩქნიან, წვალებით მოსასვლელი ვარ.
ქართველი კაცი არ მწყალობს, არცა აცხობენ ცეცხლშია,
იმერლისთვის ვარ ცხონება, რო ჩამაკრამენ კეცშია,
გურიაშიაც მაქებენ, გავდივარ აფხაზეთშია,
ყველგან ვარ წარმოდგენილი სრულიად იმერეთშია.

26 ორშაბათობით გაშენდა ციხე-ქალაქი მთაზედა;
ადამიანის ცხოვრება ვერავინ იდო თავზედა;
ადგა, ხარმა მოახსენა: მე დამაწერეთ ქედზედა.
აინთო წყვილი სანთელი, მიიკრა ორთავ რქაზედა:
ვინც კვირა-უქმეს შეაბას, რისხვა მიადგეს კარზედა.

37. ადამიანთა შორის დამოკიდებულება და ყოფაცხოვრება

1. დედა, ობლების დამყრელი,
კაცის მკვლელს ედარებოდა:
უბეში უდგა გველები,
ძუძუებს ეტანებოდა!

---

[1] ფერსო და ხუნდი — ურმის თვლის ნაწილებია.
[2] მსხვილი და გრძელი ჭოგრია, რომელსაც ტივებზე ხმარობენ ნიჩაბივით მოსასმელად
[3] ჰაჰაჰანასძე — ე. ი. ჰაპის შვილი, ყურძნისა.

2. ალალი დედა მომიკვდა,
დამიჯდა დედინაცვალი,
იმას რო გერები მოჰყვნენ,
თვალში მაყარეს ნაცარი.

3. ყველა ფრინველი ხეზე ზის,
მწყერი მიწაზე გოგდება,
ქალი რათ გინდა უცხო მხრის?
დასნეულდება, მოკვდება!

4. ღმერთო, ნუ შეჰური ვაჟკაცსა
ცოლსა ყბედსა და მძინარეს,
ის მოჰკლავს, ის დააბერებს,
ის შეჰყრის წყალსა მდინარეს!

5. ლამაზი ცოლის პატრონსა
ძაღლი უნდა ჰყავდეს ფრთხილი,
ან ძაღლი უნდა ფრთხილობდეს,
ან-და ქალის დედამთილი.

ოჯახური ურთიერთობა

6. რა ვქნა, რა ვუყო თავსაო?
ამ ჩემ პატარა ქმარსაო?
არცა აქვს შენახვის თავი,
არცა მანებებს თავსაო;
კვირამდე კიდევ მოვუცდი,
მერე გავყვები სხვასაო.

7. ზოგიერთი პატარძალი
წამოწვება ძელივითა,
პირზე საბანს წაიხურავს,
იცქირება მგელივითა.

8. ავი პატარძლის ყოლასა
სახადი სჯობს სახლშიაო,
ქოთანი წამოქცეულა,
ციცხვი იცემს თავშიაო,

ჯამებს ფერხული დაუბამთ
გარეთ დერეფანშიაო...
ამისთანა პატარძალსა
დიდი კეტი თავშიაო.

9. უფლისციხიდან წამოველ,
გადმოვიარე გორზედა:
რძალ-დედამთილი ჩხუბობდა
ახლად შედღეებილ დოზედა;
რძალმა აჯობა დედამთილს,
თავი უხალა ბოძზედა.

10. სუფრა, ლხინი ხან-გაშლილი,
ზედა(ვ ღვინო ლალ-წითელი.
დედ-მამის უპატიურსა
ცეცხლში უდევს ენის წვერი.

11. დედამ მომცა ერთი ძმი[1]
გიშერია, ზედ წერია:
„ყველას კარგა მეეკიდე,
მე ვეღარას გიშველია!“

12. ვაჟკაცსა ცოლის სიავე
შუა გზას მოაგონდება,
საფიქრობელი წაიღებს,
წავა, კლდეს გადავარდება.

13. ძმაო, რაი სჯობს ძმობასა,
ერთმანეთისა ყმობასა.
ერთმანეთი ვერ ვიცანით,
დახე ჩვენ უგონობასა.
ძმა მაშინ მოგაგონდება,
შვიდნი გცემდნენ მარტოსა,
მიმშველებელი არ იყოს,
ეფარებოდე ფლატოსა.

14 სად მიხვალ, წყალო, მდინარო,
ნაწურო მაღლის მთისაო?
ჩამთქმელო ლურჯაისაო,
ზედ ლაღის ჭაბუკისაო,

[1] ძმი — ვძიკი

ნაპირზე გამომტანელო
ქუდისა, მათრახისაო!

15. ქალი, ქმრის დაწუნებული,
სამშობლოს მიშავდებოდა;
სამშობლო შინ არ შეუშვო,
პირი რომ უშავდებოდა.

38. სატრფიალო ლეძსები

1. იამა გშობა შობითა,
ვარდმა გაგზარდა ქებითა,
ნარგიზმა ძუძუ გაწოვა,
შეგამკო სურნელებითა!

2. მაღლიდან გადმოვიხედე,
დაგხედე მწოლიარესა:
ფერი მიგიგავს ლალ ღვინოს,
ჭიქაში მდგომიარესა.

3. სიცილი ელვას მიგიგავს,
როდესაც გაგეცინება;
სილამაზითა მზეს ჰგევხარ,
დილით რომ მოეფინება.

4. სად მოიცალა ი ღმერთმა
შენი თვალ-წარბის წერითა?
ან რით შეგამკო ეგეთი,
ან სად დასწერა ხელათა?

5. ციდან წამოვა ტოროლა,
ჩამოთვლის გალობასაო...
წიგნი, ჭრა-კერეა გცოდნია,
ნეტავ შენ ქალობასაო!

6. შენი ენება შემომესმა,
შენი კარგი თავისა;
გაივლი და გამოივლი,
შუქი გადგა მთვარისა!
ზურგზე ნაწნავი გაყრია,
სისხო ჩემი მკლავისა;
თმის წინადან შუბლი არი,

საწერელი კალმისა:
შუბლს ქვევიდან წარბები გაქვს,
მოწეული მაყვლისა;
აქეთ-იქით ლოყები გაქვს,
საკმეჩები ვაშლისა;
ლოყებს შუა ტუჩები გაქვს
სასუტები თაფლისა;
ტუჩებს შიგნით კბილები გაქვს
ჩემი გულის დარდისა!

7. პირ-მზეო, პირი მას გიგავს,
დილით ვარდს ნამი ეყაროს,
მთვარეს გავსილსა—პირიდან
ღრუბელი გადაეყაროს!
ნეტავი, შენთან მამყოფა,
გულს სევდა გადამეყაროს!

8. იმერეთი დამივლია, ქართლი შემიჯერებია[1],
არ მინახავს შენისთანა: ყელი მოგიღერებია.
წამწამსა და წამწამ შუა ბაღი გაგიშენებია,
შიგ სურვილი ჩაგისახავს, ყველა გაგიშტერებია.

9. ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გავეკ, ფრანგის ქვეყნები[2] ენახეო;
სულ დავიარე ხმელეთი, ვერ ვნახე შენი სახეო;
ანთებულ სანთელს გამსგავსე, დიღ̣ით ცისკარზე გნახეო;
ხელში გეჭირა ყმაწვილი, ფარსაგ[3] ვერ დაგინახ̣ეო;
შენს ლოყას ვარდი ყვაოდა, გშვენოდა ღია ფერია;
ღაწვს[4] მოციმციმე[5], ხალივით, ნამი ცით მონაბერია;
შურით დაგფრენდა[6] ნიავი, გირხევდა დალალ-კავებსა[7],
წარბი, წამწამი ყორნისა ჰბურავდა გიშრის თვალებსა;
თვალსა, რა თვალსა? ცის მნათსა, წყვდიადში მოელვარესა,
მოვლინებულსა ამ ქვეყნად, ნუგეშად დამაშვრალებსა[8]!
ტუჩს დაჰკდომოდა ღიმილი, ალისფრად მოღადღადესა,

---

[1] შეჯერება—შემოწმება, თავის თვალით ნახვა, გაცნობა.

[2] ფრანგის ქვეყნები—იგულისხმება ევროპის სახელმწიფოები.

[3] ფარსაგ—კარგი, გვარიანი, ხეირიანი; ფარსაგ—კარგად, ხეირიანად.

[4] ღაწვი—ლოყა.

[5] ციმციმი—ბრწყინვალება, კამკამი.

[6] თავს გევლებოდა.
დალალი—ნაწნავი (თმა).

[8] დამაშვრალი—დაღლილი, დაქანცული, მოწყვეტილი.

კბილ-მარგალიტი აფრქვევდა შუქურს[1] მიდამო და ველსა,
რა თამარ? რა ქეთევან? ვით შეგადარო ეთერსა?
ისარს დაუსომ გულს ბნახველს, ხელად[2] დარბოდეს ტყე-ველსა,

10. ფრანგის ქვეყნები დავაგდე, მივძარ-მოვძარი ზღვებია:
ვერსად ვერ შევხვდი სიტურფეს ეგრეთსა, შენ რომ გხლებია!

11. ხელსახოცსა გადმოგიგდებ, ოქრომკერდით მოქარგულსა,
შიგ გავხვევ ჩემსა გულსა, შენთვის დამწვარ - დადაგულსა!

12. ჩემო ამ სოფლის სიცოცხლევ, მაცოცხლებელო გულისა!
შენი თვალ-წარბის ჰირიმე, მაგ შენი წმინდა სულისა!

13. ნუ იცინი, ნუ მაცინებ, თორემ გაგვაჭორე ბენო:
სიყვარულს რომ გაგვიგებენ, დაგეაშორი-შორებენო!

14. ქალო, ნეტაი შენი ხმა ავადმყოფს გამაგონაო,
ექიმად შენვე გაქცია, შენს ახლოს დამალონაო!

15. ჩემო ამ სოფლის სიცოცხლევ, სული ხარ ამომავალი!..
ოდეს გამოვა იგი დღე პირსა გაკოცო მრავალი?

16. კოშკი ხარ მარმარილოსი, მძიმედ ნაგები კირითა,
უკვდავებისა წყარო ხარ, მოდიხარ ოქროს მილითა,
უცხო რამ კაბა გაცვია, ჩაყოლილია ღილითა,
ნეტავი თქვენთან მაჰყოფა ყოველ დღე, მუდამ ძილითა..
დავკარგო ყოველი დარდი, გული ამევსოს ლხინითა!

17. შენ, ჩემო დიდო იმედო, კოშკო, ნაგებო კირითა,
ჯახეთს მოვრილო ისარო, ქალაქს ნაღებო ინითა,
წითელო მოვის[3] პერანგო, შვიდგან შეკრულო ღილითა,
ცავ წმინდავ, ვარსკვლავიანო, მზევ, დაფენილო დილითა,
უკვდავებისა წყაროო, ნადენო ოქროს მილითა,
შენთანამც ყოფნით გამაძღო, შენთანამც წოლა-ძილითა!

18. ნეტაი ვარდად მაქცია, შენს წინა გავიშლებოდე!
პატარა ჩიტად მაქცია, უბეში ჩაგიძვრებოდე!
შაქარ-ყინულად მაქცია, ენაზე დაგადნებოდე!
მას უკან მომკლა,—რა მგამა?[4] —შენს კეთილს მოვესწრებოდე!

---

[1] 'შუქური—ძლიერი შუქი.
[2] ხელი—გიჟი.
[3] მოვი—აბრეშუმის ნაქსოვი (უფრო საპერანგედ).
[4] „რა მაგრამა“ — რა მენაღვლება.

19. ვერცხლისამც თასად მაქცია, რო ღვინით აგეესებოდი,
დაფერილი მქნა წითლადა, შემსმევდი, შეგერგებოდი!
ანა მქნა ვერცხლის სათითე[1], რო ხელზე ჩაგეგებოდი!
ან შენი ნამგლის ყანა მქნა, რო ფხაზე[2] შეგეჭრებოდი!
ანამც მქნა ვარდი-ყოილი[3], ცხვირპირზე დაგეყრებოდი,
ან შენი ნანდაური[4] მქნა,გულს ჯავრად ჩაგეჭრებოდი,
ანამც ძმა ვიყვე მოწილე, ცოცხალს არ გაგეყრებოდი!

თავფარავნელი ჯაბუკი

20. თავფარავნელი[5] ჯაბუკი ასპინძას[6] ქალსა ჰყვარობდა,
ქალი ანთებდა სანთელსა, სანთელი კელაპტარობდა;
ჯაბუკი წყალში შეცურდა, მიდის და მიუხაროდა,
ცალ მკლავზე გელაზი[7] ეცვა, მარჯვენას ისე ხმარობდა.
ქალი ანთებდა სანთელსა, სანთელი კელაპტარობდა;
ერთი სულმყრალი ბებერი აქრობდა, აბეზარობდა[8].
ჯაბუკი წყალმა დააღრჩო, ზედ ნიალვარი ჩქარობდა;
ჯაბუკის ძუძუ - მკერდზედა ორბი იჯდა და ხარობდა!

21. ზღვაში კურდღელი შეცურდა,
თან მელა შეჰყვა ტივითა.
ქალო შენი სიყვარული
მაბრუნებს ხარატივითა.

22. შემოგხედავ ლერწამს ჰგევხარ,
ტანი წვრილად აგიყრია,
ცხრა ნაწნავნი—გიშრის თმანი.
ზედ ბეჭებზე დაგიყრია.

23. ამოდუღდი, მარგალიტო,
ნაგუბარში ჩადექ წყალო.
არც ისეთი ლამაზი ხარ,
რა თავს იზვიადებ ქალო!

---

[1] სათითე — ბეჭედი.
[2] ფხა — ნამგლის ან მოლესილი პირი.
[3] ყოილი —ყვავილი.
[4] ნანდაური — სასურველი, საყვარელი.
[5] თავფარავანი—სოფელი და ტბა ჯავახეთში.
ასპი ნძა — სოფლის სახელია.
გელაზი — წისქვილის ქვა.
[8] აბეზარობა — თავის მობეზრება, მოთმინებიდან გამოყვანა.

24. ბოსტანშია გადვიხედე,
გაშლილიყო ბაიაო.
შენ რომ გლაბა ქმარი გყაედეს,
მე რა გიყო, დაიაო?!

25. პატარ ხეობაზეა
პატარა ღარი ღართული.
ქალოვ, ნეტავ ჩამაცვა
შენის ხელებით დართული.

26 ლამაზო, შენსა ხვევნაში
ღილი შემაწყდა პერანგსა,
მიპოვნე, გამომიგზავნე,
მაგ შენი ძმების ლხინასა.

27. პატარა ხარ, აგეთი ხარ,
გაიზრდები, რა იქნები!
შენ — ბატონი მწყალობელი,
მე — ერთგული ყმა ეიქნები.

28. ლამაზო და მშვენიერო,
ღვინისფერო მდინარეო,
მე რომ შენსკენ წამოვედი,
თავი მოიმძინარეო.

29. თინათინ, არე-მარეო,
ჩემო მზეე, ჩემო მთვარეო.
შენი გული მოწამეა
პატარა მოგიყვანეო,
სულ ჩემ-კალთაში გაგზარდე,
ბალიშს არ მიგაკარეო,
იაგუნდის ღვინო გასვი,
ლალიც არ მოგაკარეო,
დიმა — ატლასი ჩაგაცვი
ხამი[1] არ მოგაკარეო...
იმ დასაქცევ ორშაბათსა
ღამით კი გამეპარეო.

30. ნისლი წავიდა ცისაკენ, ნამი შაბერტყა ქარმაო,
ჩამოაბნია ცრემლები შაწუხებულმა ქალმაო.

---

[1] შინ მოკმოყოილ ბამბის სამოსელი.

30. იაგუნდის მარანშია ჭიქა დგას და ლალი ჭვირსა,
შიგ ალვისხე ამოსულა, ლორჩქია და ქარი ჰქრისა,
ზედ ბულბული შეხვევნია, იადონი ხელს უშლისა.
იადონო და ბულბულო! იაგუნდო და ზურმუხტო!
საქრისტიანოს ღრუბელო! შენ მზე ხარ დასავლეთისა!

31. საფრანგეთისა ატლასო, ალისგან გადამეტი ხარ!
უძირო ზღვაში ნაშობო, ლალისგან გადამეტი ხარ!
სამოთხის ველის ყვავილო, კვალისგან გადამეტი ხარ!
კვესით აბედის დამწველო, ტალისგან გადამეტი ხარ!
სირმა — ვერცხლისა ტაბაკო, ჩინეთით მოტანილი ხარ!
მკლავები შიმშას მიგიგავს, გულმკერდით დახატული ხარ!
ტანი ალვისხეს მიგიგავს, თითები ვერცხლის ლულასა,
პირის სახე მზეს მიგიგავს, ლოყები — ბამბის ქულასა!

32. ტურფა ბაღი და წალკოტი ეკლითა ვინმე შესარა,
რკინისა კარი შაება, კლიტე მე მომცა, შენ არა,
სიკვდილსა შენსა სანაცვლოდ თავსა მე მივცემ, და შენ არა,
ვაჰ, თუ ზედ ისიც დამერთას, მე მიყვარდე და შენ არა!

33. საყდრიდან რო გამობრძანდე, ტურფად წარბი აგეყაროს,
დსტარა წინ დაგედოს. ზედ ვარდები დაგეყაროს,
ოქროს თასით ღვინოს სვამდე, შიგ შაქარი ჩაგეყაროს.

39. ძალა სიყვარულისა

1. თუნდ ასე სთქვან, თუნდა ისე, ღამე მაინც ბნელიაო.
ნურც დამძრახავ, ნურც გამკიცხავ: სიყვარული ძნელიაო!

2. გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა[1] წყლისა ჩქერამა:
ყმაწვილი ბიჭი და გოგო ერთმანეთისა ცქერამა.

3. ქალო, შენის მოლოდინითა თოლს[2] ძილი მოსდის ალარა,
თმა გამითეთრდა და გული ნაღველ-ტიალამ დაჭლარა!

4. გოგომ ფიჩხი ჩააყარა, თონე ააპრიალაო;
მორჩა საქმეს და დამღერა, ხმები ააწკრიალაო:
რო შევხედე, შემომხედა, რეტმა[3] დამატრიალაო.

---

[1] სიპი ქვა — რიყის ქვა.
[2] თოლი — თვალი.
[3] რეტი — თავის გაბრუება უეცარის შემოკვრით.

5. ქვეშ-ქვეშ შემოგცქერს, თოვლს შეგყრის ჟუჟუნა[1] სვილის[2] ფერია,
თავს დახრის, წყნარად გაივლის, ვითომდა არაფერია!
ეტყვი: „რათ დამვერ?“ იძახის: „ბეჩა, რა ჩემი ბრალია?“
„კვესო[3], შენ ცეცხლსა მიაყრი და ნუ იფეთქებს ფალია[4]?!“

6. ქალავ, მაგ შენმა მერდინმა[5] ჰაერში გაიფრიალა:
სახე გამოჩნდა, თოლებმა[6] ელვასებრ გაიკრიალა,
ცხელმა ნიავმა ღამქროლა, გზად შეჯენ დამატრიალა,
გულს ცეცხლი შემომაყარა და ჩალად ამაბრიალა!

ქალ-ვაჟის ნატვრა

7. ამოიქროლე, ნიავო, ქვეითის მინდვრებისაო,
თან მოგვიტანე სურვილი ლამაზის ქალებისაო!

8. რა გენაღვლება, იქროლოს ზენა ქარმა და ქვენამა,
ეგების ერთად შეგვყაროს ჩვენმა ბედმა და წერამა!

9. ქალო, ლამაზად შეყრილო! ალვის ხეს გევხარ ტანადა!
ნეტავ ეს გული ტიალი თავს შამოივლო შანადა!

ქალო, მითხარი: „შენი ვარ“ გულ რაღად დამეხურება?
მთას თუ მზის შუქი ათბუნებს, ნისლით არ დაიბურება.

10. ქალ, შენეული ბარათი ვერ ვნახე ამის მეტადა,
დავინახე და დამადგა გულზე ნათელი სვეტადა.

40. სალხინო ლექსები

1. პურსა სჭამენ და ღვინოს სმენ,
სიმღერას არ იტყვიანო.
არ ვიცი რასა გლოვობენ,
არ ვიცი, არ იციანო!

---

[1] ჟუჟუნა — თვალჟუჟუნა, ლაპაზი თვალებიანი.
[2] სვილა, სვილი — ბეკავი, მცენარეა საპურე.
[3] კვესი — ცეცხლის ასანთები ფოლადის ნაპერი.
[4] ფალია — ძველებური თოფის ნაწილია, რომელზედაც თოფის წამალს აყრიდენ ხოლმე ასაფეთქებლად.
[5] მერდინი — აბრეშუმის თხელი ქსოვილი თავზე მოსახვევად.
[6] თვალებმა.

10. ხუროძე — ხალხური ზეპირ სიტყვიერება.

2. ლხინს ნურა გირჩევნია რა,
სინამ ერთმანეთს ვხედავდეთ;
წადექ და მეც წამოვდგები,
სინამ ხმალს მოვუღერავდე.

3. ერთი ძირი ბია მედგა,
ორი ძირი ბროწეული,
ღმერთმა ყველა გიდღეგრძელოს
ამ სუფრაზე მოწვეული.

4. წისქვილს პური დავარიგე,
ჩამოვიდა მინდობითა.
ღმერთმა ისე აგაშენოს,
თეთრი[1] მოგცეს კიღობნითა.

5. ჩვენი მასპინძლის სასახლე ტურფად ნაგები ხეაო,
შიგ არის სმა და ღრეობა, ნიადაგ კარი ღიაო.

6. მასპინძელ კარგად მასპინძლობს, გულითა მხიარულითა,
მწვანე ქოშები გაცვითა მარანში სიარულითა.

7. ღმერთო, ნუ მოშლი ამ სახლში ლხინსა და გახარებასა,
ვაჟების ქორწილობასა, ქალების გასტუმრებასა.

8. მეფეო, შენსა გვირგვინსა ღვთისგან სწერია ჯვარია,
ვერცა რა მტერმა იხარა, ნურცა რამც გაუხარია.

9. ეკლესიაში მოდიხარ, შემესმა კაბის ბიბინი;
იესო ქრისტემ მაჩვენოს შენი ლამაზი გვირგვინი!

10. ბიჭო, აიღეთ თოფები, ავდგეთ, წავიდეთ წყალზედა,
მოვკლათ დედალი ხოხობი, გადავიკიდოთ მხარზედა!

11. მოდით, ბიჭებო, ვილხინოთ, არჰალალე ვთქვათ მხრიანი,
უფალმა ნუ გაგვაგონოს თქვენი მარცხი და ზიანი.

12. ლაშქარს წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო.
დაბრუნდება და შინ მოსვლა, ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო.

13. ეს ბიჭი კარგად თამაშობს, თითის წვერებზე დგებაო,
ამან რო ფეხი იტკინოს, ის ხომ ჩვენ დაგვბრალდებაო.

[1]) ვერცხლის ფული.

41. სამგლოვიარო ლექსები

მიცვალებულის გლოვა თუშებში[1]

დალაი თქვით, დალაი, მხედრებო! — დალაი, დალაი!
ძნელი არს დალაობაი! — დალაი, დალაი!
ბრალია, ძმაო, ბრალია!... — დალაი, დალაი!
შენი ულაშქრო სიკვდილი! — დალაი, დალაი!
ლაშქარს გიკითხვენ სწორები! — დალაი, დალაი!
წინ ალარ გაუძღვებია! — დალაი, დალაი!
მტერთან ხმალამოღებულო! — დალაი, დალაი!
სწორში თავგამოდებულო! — დალაი, დალაი!
ჭკვიანო, საქციელიანო! — დალაი,დალაი!
იმედო თავის ქვეყნისავ! — დალაი, დალაი!
კარზე გიდგანან სტუმრები! — დალაი, დალაი!
სტუმართ არ დაუხვდებიო? — დალაი, დალაი!

შენი დედაი ბეჩავი! — დალაი, დალაი!
სანთლებურ ჩამოდნებაო! — დალაი, დალაი!
ეგ შენი ცოლი ბეჩავი! — დალაი, დალაი!
სუროსვით ექანებაო! — დალაი, დალაი!
ეგ შენი გვარის ქალ-რძალნი! — დალაი, დალაი!
შავითაც იმოსებაო! — დალაი, დალაი!

ეგ შენი ნაცნობ-ნამოსი[2]! — დალაი, დალაი!
დარბაზს ირ იცვითებაო! — დალაი, დალაი!
ეგ შენი წვერი, ულვაში! — დალაი, დალაი!
ია-ვარდივით ყვავისო! — დალაი, დალაი!

ნეტავ შენ, საიქიოსა! — დალაი, დალაი!
შიგ შეხვალ მტრედის ფერადო! — დალაი, დალაი!
სუფრა გიდგს გარიგებული! — დალაი, დალაი!
გაკათებული თეთრითო! — დალაი, დალაი!
ზედ გიდგან მეღვინეები! დალაი, დალაი!
ხუცითა, დიაკვნებითო! — დალაი, დალაი!
ამოიღებენ, დალევენ! — დალაი, დალაი!
ღმერთმა გაცხონოს სულითა! — დალაი, დალაი!

---

[1] მიცვალებულის პატივსაცემად თუშები დოღს ჰმარობენ ხოლმე, იმ ადგილას მიცვალებულის ტანისამოსია გაშლილი; ერთი მხედართაგანი დაიძახებს „დალაი თქვით, დალაი მხედრებო!“ მხედრები ბანს ეტყვიან: „დალაი, დალაი“ და ასე ბოლომდე ჩაათავებენ მთელ სამგლოვიარო ლექსს. შემდეგ იმართება დოღი.

[2] ე. ი. ტანისამოსი.

ქალის სიზმარი და დედის მოთქმა

ა. ქალის სიზმარი

წუხელი სიზმარი ვნახე, ნეტა, დედავ, რა�о?
ალვისხე წაქცეულიყო, ნეტა, დედავ, რა

?
ორი ტოტი მომტვრეოდა, ნეტა, დედავ, რა

?
ფურცელიც მთლად გასცვენოდა, ნეტა, დედავ, رااو?
წყაროს თვალი[1] დავსილიყო, ნეტა, დედავ, رااو?
წყალს კიდობანი[2] მოჰქონდა, ნეტა, დედავ, رااو?
თან სამოსელიც[3] მოჰქონდა, ნეტა, დედავ, رااو?
ბერი ხარი მობღაოდა, ნეტა, დედავ, رااو?
ბოსელში ფური ღმუოდა, ნეტა, დედავ, رااو?
ორი გვრიტი ღუღუნებდა, ნეტა, დედავ, رااو?
წვრილჩიტები მოფრინავდენ, ნეტა, დედავ, رااو?
წინ ყარამანი მოუძღოდა, ნეტა, დედავ, رااو?

ბ. დედის მოთქმა

(სამი დღის შემდეგ ის ქალი მოკვდა და დედამ ასე დაატირა)

ალვისხე რომ წაქცეულა, შვილო, შენი ტანი არი,
ტოტები რომ მომტვრევია, შვილო, შენი მკლავებია,
ფურცლები რომ გასცვენია, შვილო, შენი თმები არი,
წყაროს თვალი რომ დავსილა, შვილო, შენი თვალებია,
წყალს კიდობანი მოჰქონდა? შვილო, შენი კუბო არი,
თან სამოსელიც მოჰქონდა? შვილო, შენი სუდარია[4],
ბერი ხარი რომ ბღაოდა, შვილო, მამაშენი არი,
ბოსელში ფური ღმუოდა? შვილო, დედაშენი არი,
გვრიტები რომ ღუღუნებდენ, შვილო, შენი დედა არი,
ჩიტები რომ მოფრინავდენ, შვილო, ასაბია[5] არი,
ყორანი რომ მოუძღოდა, შვილო, დეკანოზი არი.

საკვარგიზოდ მეშვიდე

1. გამოარკვიეთ, რამდენ მარცვლოვანი ლექსი ჭარბობს ხალხურ შემოქმედებაში?

2. რომელი ქართველი პოეტების ლექსები უახლოვდება ხალხური ლექსების ფორმას? დაამტკიცეთ თქვენი აზრი მაგალითებით.

---

[1] წყაროს თვალი — ის ადგილია, საიდანაც წყარო გამოდის.

[2] კიდობანი — გამომცხვარი პურის შესანახი სკივრი.

[3] შინ მოქსოვილი ბამბეულის მატერია, რომლისაგანაც უმთავრესად საცვლებს იკერავდენ.

[4] სუდარი — მკვდრის შესახვევი ქსოვილი.

[5] ასაბია — მიცვალებულის პატივსაცემად მოსული სტუმრები.

3. ჩამოთვალეთ, რა და რა ეპიტეტებს და შედარებებს მიმართავს ხალხი მეტყველების სილამაზისა და მხატვრულობისათვის.

4. რა და რა ეპიტეტებით ამკობს მშრომელი გუთანს, ხარს და კამეჩს და რატომ?

5. რაგვარ გრძნობებს ამჟღავნებს ხალხი შრომის სახელდახელო პროცესების დროს და რა მიზნით?

6. რა და რა მოვლენებით არის გამოწვეული ესა თუ ის ხალხური ლექსი?

7. დაწერეთ რეფერატი შემდეგ თემაზე: „ხელოვნება ხელოვნებისათვის, თუ ცხოვრებისათვის"? მასალა — ხალხური სიტყვიერება.

8. მიუდექით ამ დავალების მუხლების მიხედვით ქვემომოთავსებულ მასალებს.

42. გამოცანები

ერთი სტუმარი მეწვია მისდღეში უსტუმრებელი:
ორი ულუფა მივართვი სუფრაზე დაუდებელი [1].

უსულო რამე ორსული, სულიერისა მშობელი,
შვილსა შობს, დედა მოკვდება, ვინ არის გამომცნობელი [2]?

ქორქოლამ დაიქორქოლა, გარს შემოისხა შვილები:
არც იყო მისი შვილები, არც მისი შვილი-შვილები [3].

სპრის და არ აკაკუნებს [4].

ერთი წევს და არა დგება, მეორე ჭამს და არ ძღება,
მესამე მიდის და დგება [5].

თავი ქვისა, ტანი ხისა, ფოთოლს სჭამს, ნაცარს ყრისა [6].
მამა დაჯღარკული, დედა — ლამაზი, შვილი — გადარეული [7].

თეთრად დავიბადე, წითლად ავიზარდე, შავად დავბერდი [8].

---

[1] ბავშვი და ძუძუები.
[2] კვერცხი და წიწილა.
[3] ყვეროული და წიწილები.
[4] ცეცხლი.
[5] კერა, ცეცხლი და კვამლი.
[6] ყალიონი.
[7] ვაზი, ყურძენი და ღვინო.
[8] მაყვალი.

შეიქნა ხმა და ძახილი, მრავალი წაიქცევისა,
უწყალოდ ჰყრია დაპრილი, სისხლი არ დაიღვრებისა [1].

მაღლიდგანა წამოვიდენ ხაპა-ხუპით ცხენოსანნი:
სულ აქეთ-იქით მიჰფანტეს ქვეითი და ცხენოსანი [2].

აბლი-ბაბლი, ვერცხლის ტახტი, მზით ავიღე, მთვარითდ ავდგი [3].

წყალში ზის — თევზი არ არის, ბალახს სძოვს — ძროხა არ არის,
ღუღუნებს — მტრედი არ არის [4].

ერთი თხა მყავდა ე რაო [5], შუაზე ება ენაო,
მისმა სიტყვა და პასუხმა ქვეყანა შეაჯერაო [6].

თეთრი ხნული, შავი თესლი, თესლი მთესველს ეუბნება [7].

მოვიდა თეთრი მოზვერი [8], გააგდო შავი მოზვერი [9].

ოთხით დავიწყე, ორზედ გავედი,
ორმა მიმტყუნა — სამს ვანდე ბედი [10].

ერთი დედა ზრდის შვილებსა, დიდსა, პატარას, წვრილებსა;
დაზრდის და თითონვე დასჭამს, კიდევ ილესავს კბილებსა [11].

შვიდად შეკრული შვიდი ფიცარი,
ვერც გახსნის მეფე, ვერც მისი ჯარი [12].

ერთსა ალვისა ხეზედა თორმეტი ტოტი ასხია;
სცვივა და სცვივა ფურცლები, ისევ იმდენი ასხია [13].

თორმეტმა არწივმა, ორმოცდა თორმეტმა კაკაბმა და
სამასსამოცდაექვსმა ჩიტმა ერთი კვერცხი დასდვეს [14].

43. ანდაზები და სიტყვის მასალა

ადამიანის პირის კანი ძალიან თხელია, მაგრამ თუ ერთხელ გახმა, კამეჩის ტყავზე უფრო გასქელდებაო.

ადრე ამდგომსა კურდღელსა ვერ მოეწევა მწევარიო.

ადგილის კურდღელს — ადგილის მწევარი დაიპერსო.

---

[1] ჰურის მკა. [2] სეტყვა. [3] ყინული [4] ბაყაყი. [5] ეს რაო. [6] სასწორი. [7] წიგნი. [8] ახალგაზრდა ხარი. [9] დღე და ღამე. [10] ადამიანი სამს ასაკში. [11] დადამიწა. [12] დიდი მარხვა. [13] წელიწადი. [14] ნაკიანი წელიწადი.

ავი კაცი აღდგომასაც ავიაო.
ავი შვილი_ დედ-მამის მაგინებელიაო.
ავი შემნახავი ქურდის ამხანაგიაო.
ავი ძაღლი არც თითონ სჭამს და არც სხვას აჭმევსო.
არა გყავდეს მოახლეო[1], თავი მოიმოახლეო.
არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.
აქლემს უთხრეს, კისერი მრუდე გაქვსო, სხვარა მაქვს სწორიო?
ბატონი იმღეროდა, ყმებო, ბანი მითხარითო.
ავადმყოფი რომ მორჩება, ექიმი შეძულდებაო.
ავადმყოფობა კაცის ტანში ურმით შევა და წვეთ-წვეთობით ძლივს გამოვა.
ავი კაცი აქე და ერიდეო.
ავი სიტყვა მის მთქმელსაო.
აზნაურის მხარ-ბეჭი აღლი და ნახევარია, საწყალი გლეხი კაცისა არც მისი ნახევარხა.
აზნაურის მოკითხული სუფრაზე არ დაიდებაო.
აზნაურის სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო.
აზნაური მჭადს არა სჭამს, თუ მოშივა ჭირსაც მომჭამს.
ასი დამკარ — ერთი მათქმევინე.
გლეხს ჭკუა თვალში აქვსო.
გლეხი-კაცი, რომ ცხენზე შეჯდება — ღმერთი დაავიწყდებაო.
დედა-კაცს სანამ ქმარი ჰყავს — ამირანია[2]; როცა ქმარი მოუკვდება — ამირანთ ამირანიაო.
დედინაცვალიო — თვალში ნაცარიო.
დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე.
დიდ აღმართს დიდი დაღმართი აქვსო.
დიდ სიყვარულს დიდი სიძულვილი მოსდევსო.
დილას ოქრო ხარ, სტუმარო, საღამოს ვეოცხლად იქცევი, თუ ხანი დაგიგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი.
დღეევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამსაო.
ენა ტკბილი, ენა მწარე, ენა ქვეყნის ამომგდები.
ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო.
დაუპატიჟებელი სტუმარი აბუჩიაო.
ერთი კაცი პურის ჭამაშიაც ბრალიაო.
ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.
ერთი მღვდელი საწირავში სახნისს აძლევდაო.
ერთ ქვეყანაში გამდელი არ იყო, ვირს ვარდისახარს ეძახოდენო.
ერთმა ქალამნიანმა ქმარმა აჯობა თორმეტ ჩექმიან ვაჟსაო.
ეს ფონი კარგია, მაგრამ ერთს ადგილს ახრჩობსო.

---

[1] მოახლე—მოსამსახურე ქალი.
[2] ზღაპრული გმირი.

ეს ქათამი ჩვენთან კაკანებს და სხვაგან კვერცხსა დებსო.
აზნაურები ჩადისო — ჩემი ხმა აღარ გადისო.
არ გათეთრდება ყორანი, რაგინდ რომ ხეხო ქვიშითა.
ისეთი ხიდი გასდე, რომ შენმა შვილიშვილმაც გაიაროსო.
აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორიეე ქურდია.
აჩქარებითა სოფელი არავის მოუპამია.
ახალს კიტრს და ახალს ამბავს ძვირად ნუ იყიდი: მალე გაიაფდება.
ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, ძველი მოიტანს ქვიშასო.
ბალი წვერში გამწარდებაო.
ბატონს ცალცალკე მოჩივარი — მართალი ეგონაო.
ბატონმა თქვა: მუხას ვაშლი აბიაო და შენ დაიჯერეო.
ბატონის ყმას ნუ გალახავ, თუ გალახო, ისე გალახე, გალახვა ერქვას.
ბატონმა ბრძანა: ხარი კუდით დააბიო და რა მეთქმებოდაო.
ბატონი გულში მღეროდა, ყმებო, ბანი მითხარითო.
ბედაური ცხენი მათრახს არ დაიკრავესო.
ბედი ხნავს და ბედი სთესავს, ბედი მოიყვანს ყანასო.
ბევრი გამდლის ხელში ყმაწვილი დაიჩაგრებაო.
ბევრი ბუზი ბზუისო, ფუტკართან ყველა სტყუისო.
ბერმა და მონაზონმა ჯოჯოხეთი აავსო.
გადი - გამოდი, გუთანო, ღირღიტავ[1], ბანი უთხარო.
გამხიარულდი, ბუხარო, გულჩახეული ნუ ხარო.
გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილი მოუბარიო.
გაპივრება მიჩვენე და, გაქცევას გიჩვენებო.
ეშმაკის მუშა — ღმერთმა დაფუშაო.
ვახშამს უკან ხილი უნდა — აზნაურთა წესიაო.
ვაი, ბატონო, მეღვინე მოგიკვდაო! ვაი, მეღვინის ბრალი, თორემ ბატონი მეღვინეს კი იშოვისო.
ვაის გავეყარეო, ვუის შევეყარეო.
ვინც მოითმენსო, ის მოიგებსო.
ვინც რა უნდა სთქვასო, საღვინემ კი ფქვასო.
ვინც რომ კაცია — ჩოხაც ჯაჭვია, ქუდი ნაბდისა — ჩაბალახია.
ვირს რქა არ გამოუვიდა, თავი პატარა ეგონა, ხბორებში გაერია.
ვისაც თევზი უნდა, საჯდომი სველი უნდა ჰქონდესო.
ვირის წიხლი არ უნდა გეწყინოსო.
ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო.
ვისაც შვილი არ მოჰკვდომია, შვილის სიკვდილს ნუ შესჩივლებო.
ზოგი ჭირი მარგებელიაო.
ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო.
ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დაშავდება.
ზღვა კოვზით დაილევაო.

---

[1] გუთნის მეორე პატარა გოგორა.

ზღვა ფაფად გადაქცეულიყო და ლარიბს კოვზი ვერ ეშოვნაო.
თავადიშვილის ყმობითა, ფქვილი ვერ ჩავდგი კოდითა.
კატამ შეჭამა ძეხვიო —ამოიკვეთა ფეხიო.
კაცია და გუნებაო.
კაცი კაცის წამალიაო.
კაცი კაცითა და ღობე ქაცვითაო.
კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა.
კაცის თვალი ხარბიაო.
კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს, განა კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდეს.
კედელს ცერცვი შეაყარე და მგელს კრავი შეაბრალეო.
კვიცი გვარზედა ხტისო.
კათალიკოზო, ქვეყანა დალოცეო; თუ მე `არა ვარ, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო.
კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წამოსდინდებაო.
კუდა-ხარი თავისთვის არ იყო და სხვას ბუხებს უვერებდაო.
კაცს თუ მრჩეველი არა ჰყავს, კედელს დაეკითხებაო.
კაცი რომ გაჭირვებას ვერა გრძნობს, თავი ბედნიერი ჰგონია.
კუმ ფეხი გამოჰყო: მეც ნახირ-ნახირო.
ლიტრას ეუბნებოდენ, კოკავ, შენ გესმოდესო.
ლუკმა გავარდესო, ჯანში ჩავარდესო.
მადლი ჰქენი და მარილიც მოაყარეო.
მამალმა თქვა: მე კი ვიყივლებ და თუნდ გათენდეს, თუნდ არაო.
მარტი რომ წინ გედვას, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო.
მაძღარი მშიერს წვრილად უფხვნიდაო.
მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო.
მგელმა თქვა: ჩემ დამჭეო ძაღლს ერთი შეხედვით ვიცნობო.
მგელს მგლობა დაერქვა, ტურამ ქვეყანა ამოაგდო.
მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო.
მგორაეს ქვას ხავსი არ მოეკიდებაო.
მელა მახეში გაება და თავი მოიმძინარა: სიზმარი იქნებაო.
მელა კვდებოდა და თავი საქათმისკენ მიჰქონდაო.
მდიდარს უთხრეს,მშე იდობაში ტანისამოსიო, ლარიბს — ვინ მოგცაო?
მეზობელს მეზობლის მკვდარი მძინარი ეგონაო.
მეფე გაგიწყრეს — თემს შეეხვეწე; თემი გაგიწყრეს — გადაიხვეწე.
მელამ თავისი კუდი მოწმად მოიყვანაო.
მელას რაც აგონდებოდა, ის ეზმანებოდაო.
მეტის მეტმა სიწმინდემა საბერძნეთი დააქციაო.
მზეს ვინც ტალახს ესვრის, მზეს ვერ მიუწვევს, მასვე თავზე დაეცემაო
მთა და ბარი არავის ვაუსწორებიაო.
მიზეზ-მიზეზ — დოს[1] მარილი აკლიაო.

---

[1] კარაქგამოცლილი მაწონი.

მიმპარავი ძაღლი მყეფარაზე უარესიაო.
მინდორს თვალი აქვს და კედელს ყურიო.
მკვდარი მკვდარს აეკიდა: სამარემდე მიმიტანეო.
მოგება და ზარალი, ამხანაგები არიანო.
მოვიდა სეტყვა — დახვდა ქვა.
მოჰკლას ხარი თივამაო.
მოყვარეს პირში უძრახვენ, მტერს პირს უკანაო.
მუცელს აქორებ — ქორია, აღორებ — ღორიაო.
მუნჯის ენა დედამ იცისო.
მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო.
მძინარეს გველიც არ უკბენსო.
მწვადი ისე შესწვი, არც მწვადი დაიწვას და არც შამფურიო.
ნავში მჯდომი მენავეს ეჩხუბებოდაო.
ნათხოვარი მოგიხდება, ისევ მალე გაგეხდებაო.
ნუ დასცინი სხვასაო: გადაგხდება თავსაო.
ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა.
ნუ იქმ ავსა და ნურც გეშინია ავისა.
ნუ შეხვალ, ნუ ებანები, ნუ გამოხვალ, ნუ თრთიო.
ობლის მამა — ღმერთიაო.
ნურც მგელი მშიერიო, ნურც ბატონს ზიანიო.
ობლის კვერი, ცხვა, გვიან გამოცხვა.
ორი კურდღლის მდევარი, ერთსაც ვერ დაიჭერსო.
ოხერს ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიანო.
პატივს ნურც მოითხოვ და ნურც დაითხოვო.
პირში შემქებელი ეშმაკის მოციქულიაო.
პური და ღვინო ძველი სჯობს, ბატონი ახალ-ახალიო.
პურ-მარილი ქვაზედ დასდევ, გამოივლი — იქ დაგხვდებაო.
რა ჰქნას კარგმა მონარდემა[1], თუ დუშაში[2] არ მოუა.
რაც ალხანაო — ის ჩალხანაო[3].
რაც არ მერგებაო, არც შემერგებაო.
რასაც დასთეს, იმას მოიმკიო.
როგორც ქუხს, ისე არა სწვიმს.
რომელ თითსაც მოვიჭრი, ყველა მეტკინეპა.
სადაც არ იყოს, ცოტა კმარიყოსო.
სადაც ძალა შევა, სამართალი ბანიდამ[4] ავაო.
სადაური სადა კვდება, სად უთხრიან სამარესა.
სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან.
საიდან სადაო, წმინდაო საბაო?

---

[1] მონარდე — ნარდის მოთამაშე. [2] შაში — ექვსწერტილიანი სათამაშო ძვალი ნარდში, დუშაში — ორი შაში, უდიდესი რიცხვია ნარდის თამაშში.

[3] ალხანა — ლახანი, თავდახვეული კომბოსტო: ჩალხანა — კარდალი, პატარა ქვაბი.

[4] ბანი — სახლის სახურავი.

სამართლით მოკრილი ხელი არ მეტკინებაო.
სანამ პეტრე მოვიდაო, პაულეს ტყავი გააძვრესო.
სანამ თორნე ცხელია, პური გამოაცხვე: განელდება--აღარ გამოაცხობსო.
სანამ ყმაწვილი არ იტირებს, ძუძუს არ აწოვებენო.
სანთელ-საკმელი გზას არ დაჰკარგავსო.
სახელის გატეხას — თავის გატეხა სჯობიაო.
საქმეს წაახდენს რეგვენი [1], ფათერაკს [2] დააბრალებსო.
სიკვდილი და სიცოცხლე ამხანაგები არიანო.
სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო.
სიცილს ტირილი მოსდევსო.
სიცილი გადამდებიაო.
სისხლი სისხლით არ გაიბანებაო.
სოფელი ვნახე უძაღლო, გამოვიარე უჯოხო.
სხვათა ჭირიო — ღობეს ჩხირიო.
ტრედს მისი სიმშვიდით ნისკარტი მოსჭრესო.
ტყუილის მთქმელს რა სარგებლობა აქვსო? ის და მართალსაც აღარ დაუჯერებენო.
ტყუილს მოკლე ფეხები აბიაო.
უბედურს კაცს ქვა აღმართში მიეწევაო.
ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მასუკან გამოჩნდებაო.
ფაფის შეშინებული — დოს უბერავდაო.
ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო.
თებერვალი ბერავსო, მარტი ტყავსა ჭყერავსო, აპრილი გაჩქარებულა, სახნის-საკვეთს ჰფერავსო.
ქალი მორცხვი, ვაჟი ხასი — ქვეყნის ფასი.
ფიცი მწამს — ბოლო მაკვირვებსო.
ფონი გასვლის შემდეგ უხდა დალოცოო.
ფურმა იწველა, ბოლოს ფეხი ჰკრა და სულ დაღვარაო.
ქათამი წყალს დალევს და ღმერთს შეხედავსო.
ქარის მოტანილს ისევ ქარი წაიღებსო.
ქორო, ბევრისა მდევარო, ბევრჯერ დარჩები მშიერი.
ქრთამი ჯოჯოხეთსაც ანათებსო.
ქუდი სიცხე-სიცივისათვის კი არა მხურავს, არამედ ნამუსისათვისო.
ქურდმა ფიცი იშოვნა, შინ მახარობელი გაგზავნაო.
ქურდმა ერთი ცოდვა ჰქნა, დამკარგავსა ათასიო.
ღარიბი კაცის პურისჭამა მადლიანიაო.
ღარიბსა კაცსა ვინ მისცემს აღების ღამეს ღვინოსა,ჭადი ჭამოს და წყალი სვას, დაწვეს და დაიძინოსა.
ღვინით გალახულს — ჯოხით გალახული სჯობიაო.

---

[1] რეგვენი — სულელი.
[2] ფათერაკი — მოულოდნელი რამ უბედურება, უეცარი განსაცდელი.

ღვინო არსად იყო და ეშმაკები ტიკს ალბობდენო.
ღმერთი უხვია, ღარიბო, გული ნუ შეგიღონდებაო.
ღმერთი მეკუდეა, ამ ქუდს დღეს მე დამახურებს, ხვალ შენ, ზეგ სხვასო.
ღრუბლიანი დღე პატარძალს დილა ეგონაო.
ყნედი ვინ მოღალა' და — მენჯმაო.
ყვავი ნეხვზე იჯდა და ბოლოს არიდებდაო.
ყვავს თვალი არ ჰქონდა — ღმერთს წამწამს თხოვდაო.
ყვავს რომ კაკალი გააგდებინო, ისიც კარგიაო.
ყველა საქმე ქვეყანაზე რიგდება, ცოლქმრობა კი ზეცაშიო.
ყველა ფრინველი ხეზე ზის, მწყერი მიწაზე გოგდება.
ყელი და პური — კეთილი გული.
ყურძნის სიყვარულით ღობეს ჰკოცნიდენო.
შავი გული და თეთრი კბილიო.
ყურძნის ქურდი იანვარში დაიკვეხებს.
შეგნებულ კაცთან ომი სჯობს, შეუგნებელთან ლხინსაო.
შინ შვილები გიტიროდეს, გარეთ ტაბლას[1] რა უნდაო.
შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო.
შეუნდოს შენს მკვდარსაო — ჩაედოს ჩეჩს ყბასაო.
ჩათრევას ჩაყოლა სჯობსო.
ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.
ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, რომ შერიგებაში შეგრცხვესო.
ცა ქუდად არ მიმაჩნია, დედამიწა ქალამნადო.
ციხე შიგნიდან გატყდებაო.
ცდა ბედის მონახევრეაო.
ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობსო.
ცული პატარა არის, მაგრამ დიდ ხეს წამოაქცევსო.
ცხვარი ცხვარია და, თუ გაცხარდა, ცხარიაო.
ძალა ალმართსა ჰხნავსო.
ძაღლი ხსენებაზედაო.
ძაღლსა სცემდნენ, რძალს ასმენდენო.
ძმა ძმისთვინაო, შავ დღისთვინაო.
ძმამ ძმას ანგარიში უყო და ისევ ძმები იყვნენო.
წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო.
წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.
წყალი რომ დაგუბდება, აყროლდებაო.
წყალწაღებული ხავს ეკიდებოდაო.
წყალგაღმა წაედავე, რომ წყალკამოღმა დაგრჩესო.
ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო.

---

[1] ტაბლა — საზოგადოდ ნიშნავს მაგიდას; აქ კი ნახმარია სანოვაგის (საჭმლის) მნიშვნელობით.

ჭიას რომ ფეხს დაადგამენ, ისიც გასხმარტალდებაო.
ჭირს გაძლება უნდაო.
ხელმა ხელი დაბანა, ორიეემ — პირიო.
ხერხი სჯობია ღონესა, თუ ჯაცი მოიგონებსა.
ხმა ღვთისა — ხმა ერისაო.
ხუცესი უწინ წაწყდებაო.
ჯერ ძილო, მერე სიზმაროო.
ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიუმატესო.
ჰჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.
ჰკითხე ასსა — ჰქმენ გულისა.

სავარჯიშო მერვე

1. რომელი კლასის წარმომადგენლის თვალსაზრისს გამოხატავს ესა თუ ის ანდაზა?
2. დაანაწილეთ ეს ანდაზები კლასობრივი თვალსაზრისის მიხედვით:
   ა) ჩაგრულთა აზრის მატარებელი ანდაზები;
   ბ) გაბატონებულთა თვალთახედვის შემცველი;
   გ) ძღვდლების და რელიგიის საწინააღმდეგო;
   დ) შემარიგებელი ხასიათის, ანუ პრაქტიკული გამოცდილების შემცველი ანდაზები.
3. ნათელჰყავით უკანასკნელი ჯგუფის ანდაზების კონსერვატული ხასიათი.
4. რა პირობებში ითქმის ესა თუ ის ანდაზა?
5. გამოყავით ანიმისტიური ხასიათის ანდაზები.

44. აფორიზმები

ღმერთი დიდად გაიჯარჯა
ჩვენი გამოსახვისთვინა:
ახლო—მახლო დაგვასახლა
ერთმანეთის ნახვისთვინა.

წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება:
თუ ერთმანეთს არ ვახარებთ,
ამის მეტი რა შეგვრჩება!

სანამ ცოცხალ ვარ, ასე ვიქმ:
ვახარებ ჩემსა იასა;
მოვკვდები, გაუხარდება
სამარის კარსა ჭიასა.

ერთი ვარ, ერთხელ მოკვდები.
ერთხელ ვატირებ დედასა,
ერთხელ სიკვდილი სჯობია
ნიადაგ დალონებასა.

დაეხსენ არმის ჭამასა,
ძრახვასა მეზობლისასა:
ჩვენც ისე დავიხოცებით,
როგორცა ვხედავთ სხვისასა.

ჩამოსხდებიან ყორნები,
არ გაირევენ ძერასა...
კაცი ვერ დაემალება
სიკვდილის ბედის-წერასა.

ნეტავ რა ზნე სჭირს სიკვდილსა,
ვერ მიხვდა ჩემი გონება!
შიგ ამოარჩევს ვაჟკაცსა,
რომელიც მოეწონება.

წყალი იქ უნდა მოსძებნო,
საცა რომ მილი მილობდეს,
ან კაცი უნდა კაცობდეს,
ან უნდა გვარიშვილობდეს.

არ ვარგა ჭირში გატეხა,
თუ კაცი გონიერია.
წავა და ყველგან დარჩება,
სოფელი ღონიერია.

არ გათეთრდება ყორანი,
რაც უნდა ხეხო ქვიშითა,
მტერნი არ შეგვიბრალებენ
ტირილითა და ვიშითა.

სტუმარო, შენი სტუმრობა
მე გულში არა მდებია;
არც შენი წასვლა მწყენია,
არც მოსვლა გამხარებია.

სუფრავ, გაშლილო, ლხინი ხარ,
ჭკვავ, ჩავარდი გონებასა!
ნამუსი მუდამ სჯობია

ასი თუმნის ქონებასა.
ერთხელ სჯობია სიკვდილი,
სულ მუდამ დალოხებასა.

ძნელი ყოფილა სიბერე:
სიპის ქვას შეეწონება,
დაჯდება, აღარ ადგება,
არგანზე[1] დაეკიდება.

რას დასდევ შავსა პეპელას,
გაგიფრინდება, წაგივა,
არც ხორცი გამოგადგება,
არც ტყავი ფასად გაგივა.

წუთისოფელი რა არის?
აგორებული ქვა არის.
რა წამს კი დავიბადებით,
იქვე საფლავი მზად არის.

სოფელო მიეთ-მოეთო,
საბრუნავისა მახეო!
ზოგსა ცათამდის აიყვან,
ზოგსა უკუღმა დაჰხეევ!

წუთისოფელმა ჩვენი დღე
სიმწარე დამალევინა,
მატარა ცხარე ცრემლითა,
ზღვისთვისაც შემარევინა,
არც მომკლა, არც მომარჩინა,
არც სული დამალევინა.

ნამუსისათვის გამოვა
ულვაშები და წვერია,
რაც გინდა ელაპარაკე,
თუ კაცსა არა რცხვენია.

---

[1] არგანი — ყავარჯენი.

45. ორი ქოსატყუილა

(ჩაწერილი ს. მერკვილაძის მიერ)

იყო ორი ქოსატყუილა: ერთი დათუა და მეორე პეტრიკელა. ერთხელ დათუა ქოსატყუილამ ერთი დიდი ტომარა მოიტანა, მაგრად ხავსით გატენა, თავზე ცოტა მატყლი დაატენა და იმერეთში გასასყიდად წაიღო. როცა კორტოხის წვერზედ (სურამის მთაზე) ავიდა და ტურფა იმერეთს გადახედა! პეტრიკელა ქოსატყუილა შემოხვდა, რომელსაც ნიგვზის ნაპუპე ბით სავსე დიდი ტომარა ეკიდა და თავზე კი ცოტაოდენი ნიგოზი დაეყარა.

— გამარჯვება, შენი! უთხრა დათუა ქოსატყუილამ.

— გაგიმარჯოს ღმერთმა, — მიუგო პეტრიკელამ.

— საიდან მოხვალ, ან სად მიხვალ აქეთ?

— იმერეთიდან მოვდივარ — ქართლში ნიგოზი მიმაქვს გასასყიდად.

— შენ საიდგან-ღა მოდიხარ, თუ ღმერთი გწამს?

— მე, ძმაო, ქართლიდან მოვდივარ: იმერეთში მატყლი მიმაქვს გასასყიდად. მაგრამ ერთ რჩევას მოგცემ თუ დამეთანხმები: ტყუილად აქეთ-იქით სიარულს რაღას გამოვრჩებით, ქალამნები დაგვიცვდება, სხვაც არა იყოს რა. მოდი! ჩვენი სავაჭრო გავცვალოთ: შენ ეს მატყლი წაიღე იმერეთში, გაჰყიდე და მე ეგ მომეცი, იმერეთში დავბრუნდები და გავყიდი.

— ძალიან კარგი რჩევაა, ძმობამ! ორივეს გვირჩევნია თავ-თავის სახლისაკენ გავბრუნდეთ, ტყუილა თრევით რა სარგებლობა მოგვივა? აჰა, შენც მოიხსენი და მომეცი შენი ტომარა.

ამგვარად ორივე ქოსატყუილამ გასცვალეს ერთმანეთში ტომრები და გაბრუნდენ თავთავიანთ გზისაკენ. ცოტა მოშორდენ ერთმანეთს და მოეფარნენ თუ არა, სწრაფად თავთავის ტომარას თავი მოხსნეს და რა ნახეს? ის, რომ ორივეს ერთმანეთი მოეტყუებინა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ შეხვდენ ერთმანეთს. გამარჯვების თქმის შემდეგ, დათუამ უთხრა:

მე ვიგონა, მარტოკა მე ჯიცოდი ტყუილი, მაგრამ არც შენ ყოფილხარ, შენმა ბზემ, ნაკლები.

— იმე! რათ გაგკვირებია შე კაცო! თუ კი შენ იცოდი რამე, რატომ მეც არ მეცოდინებოდა?!

— მაშ, მოდი დავძმობილდეთ.

— ძალიან კარგი რჩევაა.

— იცი რა, მოდი სადმე ერთად მოჯამაგირედ დავდგეთ.

— შენი ნება იყოს, ძმაო, ერთად დავდგეთ.

ამ პირობის დასკვნის შემდეგ ორივე ქოსატყუილა წავიდენ ერთად ბინის საძებრად.

ბევრი იარეს, თუ ცოტა, ბოლოს შეეტყვეს, რომ ვილაც ერთ დედაკაცს ორი მოჯამაგირე უნდაო მივიდენ ის დედაკაცთან და შეეკითხენ. დედაკაცმა უთხრა:

— მე ერთი ძროხა მყავს და ეს სახლი მაქვს. ერთი თქვენთაგანმა ძროხა უნდა ატაროთ საბალახოდ და სამწყემსურში, თან უნდა გქონდეთ სალამური, ჩონგური და დაირა, რადგან ჩემმა ძროხამ ცეკვა იცის; მეორემ კი აქაურობა უნდა დაჰგავდეს — დაასუფთავოს და ნაგავი სხვის ეზოში გადაჰყაროს. თუ თანახმა ხართ, ყველა ამას შეიძლებთ, დარჩით, დადექით ჩემთანო.

— როგორ ვერ შეეიძლებთ, თანახმა ვართო, უპასუხეს.

მეორე დღეს პეტრიკელა ქოსატყუილა შინ დარჩა სახლის დასასუფთავებლად; დათუამ აიღო ერთი პური, დაირა, სალამური და ჩონგური და ძროხას გაჰყვა... პეტრიკელამ ეზო დაჰგავა და, როცა ნაგავს სხვის ეზოში ჰყრიდა, ეზოს პატრონებმა დაინახეს, მისკენ ივლენ და მწარედ, უწყალოდ სცემეს. რას ჰქვია, სხვისი ნაგავი ჩვენს ეზოში მოგაქვსო. ცემისაგან გვერდებდალურჯებული პეტრიკელა ქოსატყუილა ბოსლის ტახტზე დაეგდო.

ამ დროს არც დათუა ქოსატყუილას ადგა კარგი დღე: გავიდა თუ არა მინდორში ძროხამ მაშინვე კუნტრუშით სირბილი მორთო და საღამომდინ ფეხშეუწყნარებლად დარბოდა; საღამოზე შინ მოვიდა და თან დათუა ქოსატყუილაც მოჰყვა... სირბილისა და შიმშილისაგან ისე დაქანცულიყო, რომ პურის ჭამაც კი ვერ მოეხერხებინა. შემოვიდა თუ არა ბოსელში, ჰკითხა პეტრიკელას:

— რა დაგემართა, ძმაო, ავად ხომ არა ხარ?

— ავად კი არა!.. ავად რა გამხდიდა?!..

— აბა რათ წევხარ?

— ბოსელი და ეზო დავგავე, ნაგავი სხვის ეზოში გადავყარე; დამინახეს პატრონებმა თუ არა, მაშინვე მიმიწვიეს სახლში და მშვენივრად გამიმასპინძლდენ. ნამეტანი კახურის სმით ცოტა თავი მიბრუა. შენ როგორილა დრო გაატარე?

— მეც, ძმაო, ძალიან ქეიფიანად ვიყავი... დავუკარი დაირა, ჩამოვკარი თითები ჩონგურის სიმებს და ჩავაწკრიალე სალამური. ძროხამაც დაუარა მშვენიერი კახური ფეხმარდი ცეკვა... გარშემო აუარებელი ქალი და კაცი შეკოგვეხვიენენ და ჩვენთან ერთიც მხიარულობდენ. წარმოიდგინე, პური ისევ მთელი მოვიტანე; სიხარულით ჭამაც კი არ მომგონებია.

— აბა, რალაი მაგრეა, ძმაო. ხვალე მე გაგყვები ძროხას და შენ ერთი ლაზათიანად გამოთვერი აქ მეზობლისას, — შენი ნება იყოს, არ გაწყენინებ, უთხრა დათუამ.

მეორე დღეს პეტრიკელა ქოსატყუილას ის დღე დაადგა, რაც დათუა ქოსატყუილას ადგა: საღამომდი თაექუდმოგლეჯილი არბენინა ძროხამ და და დათუა ქოსატყუილა კი ისე დაამჟავეს ცემით, რომ ძლივს მოათრია წელი ბოსლამდე.

იმ ღამეს რჩევა შეეკმნათ და თქვეს: თუ აქედან არ გავიპარეთ, ან შიმშილს ვერ გავუძლებთ, ან სირბილს და ცემა ხომ კიდევ მეტიაო.

გადასწყვიტეს გამოპარვა. მაგრამ კარებს ყოველ საღამობით ბებერი ჰკეტავდა კლიტით გარედან და ეს მიზეზი ძალიან ხელს უშლიდა მათი განზრახვის შესრულებას.

— მოდი, ეს ძროხა დავკლათ, თქვა პეტრიკელა ქოსატყუილამ: ჩავალგოთ ტომარაში, მერე ერთმა ჩვენგანმა მეორეს უკიბოს, ავიდეს მაღლა, პერიდან აძვრეს და თოკი ჩამოუშვას. მეორემ ჯერ ხორცი მიაწოდოს ტომრით და შემდეგ თითონაც მოეკიდოს თოკს და ამოვიდეს, მერე იქიდან ერთად წავიდეთ.

— ეგ ძალიან კარგი იქნება, თქვა დათუა ქოსატყუილამ. გარდაწყვიტეს ეს თუ არა, წამოაქციეს ძროხა და დაკლეს, გაატყავეს და ასო-ასოდ აქნეს. მოდი პეტიკელა აბა მიკიბე და ავალ მაღლა, უფრო ღონივრადაც ავზიდავ ხორცს და შენც ადვილად აგიყვან.

გადასწყვიტეს ასე. უკიბა პეტრიკელამ, დათუა ქოსატყუილა აძვრა ზევით და შემდეგ ძირს თოკი ჩაუშვა. პეტრიკელამ მოაბა მაგრად თოკს ტომრის ცალი ყური, შიგ ორივე ნაპერი ხორცი ჩასდვა და თითონაც ჩაჯდა და დაუძახა: წაიღე ხორცი და ისევ ჩქარა. ჩამოუშვი ტომარაო. დათუა ქოსტყუილამ ტომარა მაღლა აზიდა, მოიდვა ზურგზე და მაგრად გაჰქუსლა, ერთი დიდი მანძილი რომ გაირბინა, დაღლილს დასვენება მოუნდა, მოიხადა ტომარა ზურგიდან და ძირს დააგდო.

— ნელა, შე ოჯახ ქორო, არამატკინო რა, შესძახა პეტრიკელა ქოსატყუილამ, რომელიც მაშინვე ტომრიდან ამოძვრა.

— თითონ შე ოჯახ-დაქცეულო რაზედ მომწყვიტე წელი?

— აბა, თვითონ დაფიქრდი, ძმაო, თუ გასამტყუნარი ვარ. ნუ ულალატებთ ერთმანეთს ნურც ჭირსა და ნურც ლხინში, მაშინ საქმეს კარგად წავიყვანთ და არც წელი და გული მოგვწყდებაო, უთხრა პეტრიკელა ქოსატყუილამ.

ამის შემდეგ ორთავენი ძმურად, სიყვაურლით და ერთმანეთისათვის თავდადებით ცხოვრობდენ.

მელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა
ლხინი გაამოს ყველასა.

46. ბრიყვი და ჭკვიანი

ამბავი

ბრიყვი და ჭკვიანი შეიყარნენ გზა ჯვარედინზე. ჯერ გამარჯობა უთხრეს ერთმანეთს და მერე ჰკითხა ჭკვიანმა: სად მიდიხარო.— არსად აგერ ცხრა მთას იქით, სატირალში მეძახიანო, უპასუხა ბრიყვმა. შენ სადღა მიდიხარო? მეც აგერ ამ მთას გადაღმა ქორწილში მეპატიჟებიანო!.. ღმერთმა კარგი მოგცეს! ერთი გზა გვქონიაო!.. დაადგენ ორივე ერთად

ბარას და გააბეს საუბარი. პირველ მთის ძირამდე რომ მივიდენ, მოშივ-
დათ, სადილი მოინდომეს, დასხდნენ, მოიხსნეს გუდა-ხურჯინები, ამოალა-
ბეს საგზალი და დაუწყეს ჭამა, ცოტახნის სიჩუმის შემდეგ ბრიყვმა უთხრა
ჭკვიანს: კაცასავით რომ იცუცნები, თქვი რამეო! ხომ იცი, რომ ხმის
გაუცემლობა მომდურაობას ნიშნავსო? მართალია, მაგრამ არც ბევრი ლა-
პარაკი ვარგა სუფრაზეო, უპასუხა ჭკვიანმა. თუ შაინცა და მაინც ალარ
ეშლი, შენ „ციცუ-ციცუ“ მიძახე და მე „მიაუ-მიაუს“ დაგიძახებო. შეუწო-
ნა ბრიყვს და მოჰყვა „ციცუ-ციცუს“ ძახილს... პირში ვეღარა ჩაიდვა რა.
„მიაუ-მიაუო!“ იძახოდა ჭკვიანი და თან იტენდა პირს... სუფრა რომ აიღეს,
ჭკვიანი გამაძღარი დარჩა, ბრიყვი კი მშიერი. მთა რომ გადაიარეს,
ბრიყვს კიდევ უფრო მოშივდა და ამხანაგს უთხრა, ვისამხროთო!.. კარგიო,
მაგრამ ერთი ხაჭაპურის მეტი ალარა დაგერჩენია რაო და ის შენ არ გეყო-
ფა და ან მეო... თუ გინდა სანაძლეო დავდვათ: ერთ თავში შენ შოუქირე
კბილი, მეორეში მეო; გაეწი-გამოვსწიოთ და ვინც წაართვა, იმას და-
ჩესო, უპასუხა ამხანაგმა. — კარგიო დაეთანხმა ბრიყვი. მაგრამ შენ ახლა
„ციცუ-ციცუ“ იძახე და მე „მიაუს“ დავიძახებო. მორიგდნენ. მოუქირა
ჭკვიანმა კბილები ხაჭაპურს და მოჰყვა „ციცუ-ციცუ“!.. მოუქირა მეორე
თავში ბრიყვმაც კბილები და დაიძახა „მიაუ!“, გააღო პირი, გამოუარდა
ხაჭაპური და წააგო სანაძლეო. მოჰყვა წუწუნს; რალა ექნა ახლა მშიერმა,
შორი გზა მაქვს, საგზალი კი გამოლელიაო. არა გიჭირს რაო, ანუგეშა ჭკვიან-
მა. დაბრუნდი შინ, ცოლ-შვილში, ახალი საგზალი გამოაცხობინე. მაგ-
რამ ბევრი თუ არ იქნა, „ბრიყვის საგზალი მალე დაილევაო“.

47. რ წ ყ ი ლ ი

წუხელი რწყილმა მიკბინა გათენებისა ხანსაო,
ავდექ, ავანთე სანთელი, გამოვუდექი კვალსაო.
გავიხედე და გასულა აზამბურისა თავსაო.
დავუჩოქე და ვესროლე, შოვარტყი ბეჭის ფრთასაო.
ურემს დავადებ, შევუბამ ასსა ულელსა ხარსაო.
მიქონდეს წელის წყვეტითა, ამტვრევდეს ფესო-ჭალსაო!
ამას სტამბოლში ჩაეიტან, დიდი ვეზირის კარსაო.
ლიტრას აბაზად გავყიდი, უყურე მოგებასაო!

კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება

კლასობრივი ბრძოლა საზოგადოებაში მას აქეთ მომდინარეობს, რაც საწარმოო იარაღებზე კერძო საკუთრება გაჩნდა. ამ იარაღების მფლობელს შეექმნა ისეთი პირობები, რომლის საშუალებით იგი სხვის ექსპლოატაციას ეწევა. ამ ნიადაგზე წარმოიშვა ინტერესთა წინააღმდეგობა და კლასთა ბრძოლასაც ამ მომენტთან ეყრება საფუძველი.

საზოგადოების კლასებად დაყოფა აშკარად გამოსჩანს ხალხურ ზეპირსიტყვაობაში. ამის მაგალითები უკვე ვნახეთ განხილულ ნიმუშებში. მაგრამ ისიც უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ამ ბრძოლის სიმწვავე ამ ნიმუშებში მკვეთრად არ არის ასახული. ამის მიზეზი უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ კლასობრივი ბრძოლა კაპიტალიზმის წინაეკონომიურ საფეხურებზე არ იყო ისე გამძაფრებული, როგორც ამას აქვს ადგილი კაპიტალისტურ ხანაში. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ არას დროს არ ყოფილა საზოგადოებრივი ცხოვრების ისე სწრაფი განვითარება, როგორც ეს მოხდა კაპიტალიზმის დროს.

ამ განყოფილებაში თავი მოვუყარეთ ისეთ ნიმუშებს, რომლებშიც კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ჩანს. ნიმუშები ახასიათებს როგორც ფეოდალურ, ისე კაპიტალისტურ ხანას. აქვე მოვათავსეთ ე. წ. ისტორიული ლექსები და თქმულებანიც, ე. ი. ისეთი მასალები, რომელიც ცნობილ მეფეებს და სხვა ისტორიულ პირებს ეხება. ეს პირები ხალხს იმიტომ ახსოვს, რომ მათ სახელთან დაკავშირებულია რაიმე დიდი ისტორიული მოვლენები. ასეთ მოვლენებად ძველ ისტორიაში ომები ითვლებოდა: ხალხთა გადასახლება და ერთმანეთის დასაპყრობად მიმართული სისხლის ღვრანი. ეს გარემოება მიშინდელი ეპოქის კლასთა ბრძოლის ერთი ფორმათა განი იყო. ერთი ტომის გაპატრონებული ფენა მეორე ტომის დამონებას ცდილობდა. შოტყუებული და თვალებახვეული მშრომელი მასაც ხან ერთ მეფეს ან ვინმე მეთაურს მისდევდა ბრძოლის ველზე, ხან მეორეს. აი, ამ პირობებში ხდებოდა ამათუიმ მეფის სახელის განდიდება და მის შესახებ, ლექსებიც ითხზებოდა მის ახლო მდგომთა შორის, ე. ი. სამხედრო წრეებში და მერე აქედან ხალხში ერცელდებოდა. მართალია, როგორც „კომუნისტური მანიფესტი“ ამბობს: „თავისუფალი და მონა, პატრიცი და პლებეი, ბატონი და ყმა, ამქრის ოსტატი და ქარგალი, მოკლედ, დაჩა-

გრული და დამჩაგვრელი მუდმივ წინააღმდეგობაში უდგეს ერთმანეთს, ეწეოდენ შეუწყვეტელ ხან ფარულ, ხან აშკარა ბრძოლას". მაგრამ სხვა ტომის ხალხებთან ომი და სისხლისღვრა ყოველთვის აბრმავებდა შეუგნებელ მასას და ხელს უწყობდა შინ „საშოქალაქო ზავის" პირობების შექმნას. აი, ასეთ პირობებში ხდებოდა ძლიერი პირობების განდიდება და ზეპირი მეტყველების საგნად გადაქცევა. ეს საფეხურიც ერთგვარი გმირული ხანაა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამ დროის ზოგიერთი ვაჟკაცის სახელი ისტორიას შეუნახავს და ახსოვს, ამირანების პერიოდის გმირები კი დავიწყებული არიან და მათი ვინაობა გამოუკვლეველია.

გარდა ცალკე პიროვნებებისა ისტორიული ხასიათის ნიმუშები ისტორიის კონკრეტულ მოვლენებსაც ეხებიან. ყველა ამ ნიმუშში ნათლად ჩანს, რომ ხალხის შეგნება მითურ და გმირულ ხანებთან შედარებით, გაცილებით უფრო რეალური და ნაკლებადაა ფანტასტიკით დამძიმებული: ადგილი არ აქვს ნამეტან ჰიპერბოლას და მიზეზობრივ კავშირიც მეტის რეალობითაა მოცემული. ამის მიზეზითაა ადამიანის გონებრივად მომწიფება და სინამდვილის ცოდნით თანდათანი აღტაცება, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული მის ეკონომიურ და საზოგადოებრივ განვითარებასთან.

48. ძველი მეფეები

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა:
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შესდგა,
დიდნა მთებმა იწყეს დრეკა.

დავით აღმაშენებელი და დარუბანდის[1] ქარები

(ლეგენდა)

ერთ ქართველ ვაჟარს საქონელი წაელო გასაყიდად დარუბანდს. გზაში თურმე ლეკები დაეცნენ და, თუ რამე ებადა, ყველაფერი წაართვეს. ვაჟარი მიიქცა ლეკის უფროსისადმი თხოვნით: შენს საბრძანებელში მოვედი, საქონელი მოვიტანე გასაყიდად და შენმა ხალხმა სულ წამართვა; სამართალს ვითხოვ, წართმეული დამიბრუნეთო.

— შენ სადაური ხარ? — ჰკითხა ლეკის უფროსმა.

— მე ქართველი ვარ.

— ჰო, აბა, მიდი საქართველოში და შენს მეფეს, დავითს, ფეხ-ქვეშ ჩაუგორდი და სამართალი მას სთხოვეო, — უთხრა ლეკმა.

— სამართალს მე შენა გთხოვ, თვარა დავითს რომ ვუთხრა, საქმე ცუდად წავა.

---

[1] დარუბანდი — ახლანდელი დერბენტი, ქალაქი კასპიის ზღვის ნაპირას, დაღესტნის დედაქალაქია.

— ჰმ!.. ცუდად წავა... რას მიზამს დავითი, დარუბანდის კარები არ ჩამომიხსნას!..

ვაჭარი დაბრუნდა საქართველოში და ყოველივე უამბო დავითს; ისიც დასძინა, ლეკმა თქვა „დავითმა დარუბანდის კარები არ ჩამომიხსნასო“.

დავითმა ვაჭარს უბრძანა: რადგან შენ ლეკებმა საქონელი წაგართვეს და მათმა უფროსმა შენი თხოვნა არ შეიწყნარა, იმ დაკარგულ საქონელს საქონლითვე უკან დავიბრუნებო. ეს თქვა და მოაყვანინა ათასი ცხენი, ათასივე მათი წინამძღოლი. გააკეთებინა ორი ათასი კიდობანი და თითოში ჩასვა თითო შეიარაღებული ქართველი. ცხენების წინამძღოლები გამოაწყო ვაჭრულად. ყველა ამას წინ გაუმძღვარა მომჩივანი ვაჭარი და გაისტუმრა დარუბანდში; თვითონ-კი უკან მიჰყვა. როცა დარუბანდს მიუახლოვდენ, დავითმა გაგზავნა კაცი ლეკის უფროსთან: საქონელი მომაქვს გასაყიდად და ქალაქის კარები გააღეო. ლეკებს გაეხარდათ, უფრო მეტ საქონელს ვიშოვითო და გააღეს კარები.

დაღამდა. შუაღამისას დავითმა გაახსნევინა კიდობნები და ამოაშვებინა იქიდან შეიარაღებული კაცები. ფეხზე იდგა სამი ათასი გულოვანი მეომარი. ამათ აიღეს დარუბანდი, წაართვეს ქალაქის კლიტეები ლეკთა მთავარს და ნადავლით დაბრუნდენ შინ. დავითმა ჩამოახსნევინა რკინის კარები, რომელიც დარუბანდში შესავალ გზას იცავდა, შეუბა შიგ ლეკები და ისე ჩამოიტანა გელათში. ერთი ამ კართაგანი დღესაც მოწმობს დავითის სიდიადეს.

ლეკების მთავარს მეფე ლმობიერად მოეპყრო, დანაშაული აპატივა, დაჭერილი ჰყავდა და გაუშვა. მაშინ განთავისუფლებულმა უთხრა მეფეს: რადგან ამდენი სიკეთე მიყავ, ეს მადლიც ზედ დასძინე: ერთი ტყავის სიფართე ადგილი მიბოძე დასასახლებლადაო.

დავითმა უბოძა. ლეკთა მთავარმა მოიტანა ხარის ტყავი, დაჭრა იგი წვრილ-წვრილ თასმებად, გადააბა ერთი მეორეზედ და ამ სახით თასმა იმ სიგრძე შეიქნა, რომ მთელ დარუბანდს გარშემოუარა; დავითმა ვეღარაფერი თქვა და დარუბანდი ისევ ლეკებს დარჩათ.

3. დავით აღმაშენებლის ეპიტაფია

როს ნაჭარმაგევს[1] მეფენი
შვიდნი მე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი
საზღვართა გარე გამეხსნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან
იმერთა წყალთა შთამეხსნეს,
აწ ეამათსა მოქმედსა
გულზედაც ხელნი დამეხსნეს.

---

[1] ეხლა ს. კარალეთი, გორის ახლო.

4. თამარ-მეფე და ხონთქარი

თამარ-მეფე და ხონთქარი
მალალმა ღმერთმა წაჰკიდა.
ზღვაში ჩაუშო ხომალდი,
ზედ ალმასები დაჰკიდა,
შიგ ჩასხა ქართველთ ლაშქარი,
მრავალ წყალობას დაჰპირდა.

5. შუქურ-ვარსკვლავი და თამარ-მეფე

შუქურ-ვარსკვლავი, გამჩენი ზამთარ-ზაფხულისა, თამარ-მეფეს დატყვევებული ჰყოლია და ჯაჭვებით დაბმული. ამიტომ თამარის მეფობის დროს ზამთარი არ ყოფილა. როდესაც თამარ მოუნდებოდა გასეირნება, თურმე შუქურ-ვარსკვლავი იქცეოდა ცხენად; შეჰკაზმავდა თამარი და შეჯდებოდა ზედ. თამარს ერთი ალვირი ჰქონია, რომლითაც დააბამდენ ხოლმე შუქურ-ვარსკვლავს. თუ წამოჰყრიდენ ამ ალვირს, მაშინვე რაშად გადაიქცეოდა და ვერავინ დაიჭერდა. ერთხელ დაღლილი შუქურ-ვარსკვლავი თამარის გამზრდელს წაუყვანია წყაროზე წყლის სასმელად. როდესაც თამარის გამზრდელმა მიიყვანა წყაროზედ, შუქურ-ვარსკვლავმა უთხრა: აბა, ალვირიანმა როგორ უნდა დავლიო წყალი? თუ მადლს შეიბი, მარილიც მოიყარე: ალვირი წამომყარე და წყალი ისე დამალევინეო! წამოუყრია თამარის გამზრდელს შუქურ-ვარსკვლავისათვის ალვირი. რაკი თავისუფლება უგრძვნია შუქურ-ვარსკვლავს, უცებ გამქრალა, შემძვრალა ლულაში, წასულა და წასულა. გამოუყენა თამარმა ჯარები, მაგრამ შუქურ-ვარსკვლავმა ასტეხა თოვლი, ნამქერი, ბუქი, ჯარებს გზა აერიათ და ვერაფერი ჰნახეს. წავიდა შუქურ-ვარსკვლავი და შეჯდა იალბუზზედ. მას შემდეგ იქ ზის და ზამთარ-ზაფხული იმის ნება არის. თამარს გამზრდელი დაუწყევლია; გამზრდელი ჭკუაზე შეშლილა, ქცეულა ტარტაროზად. ახლა ეშმაკის უფროსად არის.

6. საქართველოს დედოფალი,
დედა ქართლისა თამარი,
სიმშვენიერით მოსილი,
ამომავალი მზის დარი,
დავით სოსლანის მეუღლე,
რომელს უმშვენა მან მბარი.
დიდუბეში იქორწინა,
სადაც რომ საყდარი არი,
ნადიმობა გაუმართა,
მოიწვია თავის ჯარი,
ასი სული ცხვარი დაჰკლა

და ორასი ნიშა ხარი,
ლურჯი სუფრა გაუშალა,
იქნებოდა ასი მხარი,
ქვრივ-ობლებსა უწყალობა
ოქრო-ვერცხლი დიდი ძალი.

7. თამარმეფის ეპიტაფია

უბისს[1] აეაგე საყდარი,
უწყლოსა წყალი გავიღე,
ისპაანს[2] დავსდე ბეგარა,
სტამბოლს ხარაჯა[3] ავიღე,
თეთრ ზღვაში რკინა ჩავაგდე,—
ხმელეთი ჩემკენ მოვიღე,—
ამდენი საქმის მომქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავიღე.

სავარჯიშო მეცხრე

რომელ საუკუნეში ცხოვრობდა თითოეული აქ ნახსენები მეფე? საზოგადოების რომელ წრეში იქნება შეთხზული მათ შესახებ ლექსი, თუ თქმულება?

49. ზურაბ ერისთავი და ხევსურები[4]

ზურაბ იყო არაგვის ერისთავი მე-17 საუკუნის ოციან წლებში. ამ დიდ ფეოდალს ხევსურების დამორჩილება და ყმებად გადაქცევა უნდოდა. ხევსურეთის მშრომელები მაშინვე დაირაზმენ და სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადეს მადაგახსნილ მემამულეს. კლასობრივი ომის ცეცხლი მრავალი წლის განმავლობაში გიზგიზებდა ხევსურთა მთაგორიან მიდამოებში. ბოლოს ეს ბრძოლა მშრომელთა გამარჯვებით დასრულდა და სისხლის მსმელი მებატონე ხევსურებმა სიცოცხლეს გამოასალმეს. ამ ბრძოლაში ზურაბ ერისთავს ზურგს უმაგრებდენ მისი მომხრე აზნაურებიც. ხევსური მშრომელი, რასაკვირველია, ამათაც ებრძოდა. ამ სასახელო ბრძოლის ეპიზოდები დღესაც აბსოვთ ხევსურეთში, ხალხურმა ზეპირსიტყვაობამ დღემდის შეინახა ეს ამბავი. ქვემო მოთავსებული ხალხური ლექსები მთელ პოემას შეადგენენ. ეს პოემა კლასობრივი ბრძოლის ცოცხალი სურათებია და მთლიან მხატვრულ შთაბეჭდილებას სტოვებს.

---

[1] სოფელია ბევრ იმერეთში, ცნობილია ძველი ტაძრით.

[2] სპარსეთის დედაქალაქი.

[3] ხარკი.

[4] ამ წიგნში ძალთავსებული ყველა ხევსურული მასალა ამოღებულია პროფ. ა. შანიძის წიგნიდან: „ქართული ხალეური პოეზია". 1931.

1. ხევსურეთშია, ზურსაბო, ვერ იქამ ერისთობასა,
გაგიწვრილდების კიბერი, ვერ შესძლებ ქეეითობასა!

2. ზურაბის გალაშქრება ხევსურეთზე

დუქეთ[1] იყრების ლაშქარი, არ ერგებიან[2] გზანიო,
სასმელად არ ეყოფიან ბაზალეთურნი ტბანიო[3],
სადგომლად არ ეყოფიან თრიალეთურნი მთანიო,
ქვეით ღულის[4] თავ მოვიდა, ნაკარეებს — ცხენოსანიო.
ბაცეს სუბბაჯეს ბიუდგეს: „სუმბატავ, შინა ხარიო“?
— შინა ორთ[5] ბიძა-ძმაწულნი, სამნი გვტანიან სხვანიო.
სკამზე გვიწყევის ისარი, ვამოვა ჯორის ცალიო.
ჯერ ფარ გამაიყოლა, მემრე მიშველი ხმალიო.
ბაცეს სასისკროდ[6] ატირდა აქეს ჩაბაკის[7] ქალიო:
„მიშველეთ, ჩენნო მამულნო, მტერმა მამეცა კარიო,
მამიკლეს თათარ-ქართველთა ხევსურთ მემეტე ქმარიო“.
საკამატეილოს[8] წამოდგეს ცხრანი ძიბლანი[9] ძმანიო.
„არ გამოგვისხნეთ დარნითა[10] შუქო, თამარო, დანიო“.
კვათეს ჩაყარეს ისარი, დილა რო ცამა ნამიო.
კიბეს ჩაწურეს ლაშქარი, რო საკალმახე წყალიო.
ვინ იჯე ღორღლოვანასა? გაგიწყარ კარატის ჯვარიო?
დაგუბებულსა ლაშქარსა შენ ვაასწავლენ გზანიო.
გუდელას დაჯდა ზურაბი, ატირდა ეგრ რო ქალიო:
„დამაკლდა სათვალავშიგა სამოცი ხმალოსანიო,
გაიქეც, ერისთვიშვილო, მოგდევენ ხევსურთ ყმანიო,
თორ კიდევ ჩაწითდებიან კეოს გორ ქცეულანიო.
აგერ ღულის თავს გახედე, მძიმე გადმოდგა ჯარიო“.
რბოლით[11] დაკრიფნა ზურაბმა გძელნი არაგვის გზანიო,
ჩარგლის კართ დახვდა მშავლები, აყოლეს სისხლის კვალიო.
ცოლი ეტყოდა ზურაბსა: „რად არ მოგიღეს მკვდარიო“?

---

[1] დუქეთ — დუშეთში.
[2] არ ერგებიან — არ ყოფნით.
[3] ბაზალეთის ტბა, დუშეთის მახრაშია.
[4] ღული, ნაკარეები, ბაცე და აქე ადგილების სახელებია ხევსურეთში.
[5] ორთ — ვართ.
[6] სასისკროდ — საცისკროდ.
[7] ჩაბაკი — კაცის სახელია.
[8] სოფლების და ადგილების სახელებია.
[9] ძიბლანი — გვარია.
[10] დარანი — სამალავი ადგილი.
[11] რბოლით — სირბილით.

3. ოგი ღულის თავს

ხარბოს, ენ შავხოციყვენით, გვაშაირებენ ქალნიო.
ბევრა[1] დაბრუნდა უკულმა დიჩინის ქალის ქმარიო.
ბევრამაც ტყეში ჩაიღა ქუჩუმიანი ფარიო;
ბევრმაც კი სისხლით დაფერა ვადა-ცვრიანი ხმალიო.
ღულის თავ მოგდევა, ბატონო, ლომნიურისძის ფარიო.
მარჯვნივ მოხყვებია ყმაწვილი, ხადუთ ას მეომარიო!
ლარაქიშთ ნანაისძეო[2], ღმერთმა გაცხონას მკვდარიო!
ღულის თავ კარგად უჭირე ლომნიურისძეს მხარიო.
უთურგი არ მოგეკვლივა მეწყინაისძე ხარიო.

4. წულიანი ლოგინი

ღულის თავ ხელით' ირჩევენ, ვისაც ფუნჩია ხქვიანო.
კაცი მასტყუვდი, აბაო, ჯინჭარაულო ჭკვიანო:
შენ დააბრუნე ხევსურნი, დართულნი, ფარ-აბჯრიანნი.
ახლის ხკიდავის ქუდ-ნისლა, საძახებელა ტიალი.
ხმან ჩაგიყარნეს აქესა, დადგ აქელების გრიალი.
ჩამაგეწივნეს, ზურაბო, დღე დაგიღამეს მზიანი,
ჩაგილეს აკუშოს ძირა[3], ლოგინნ ჩაგიდგნეს წულიანნი.

5. ოგი აკუშოს

აკუშოს ლაშქარ მავიდა, ხმა ლიქოკ ჩავარდებისა.
ქავის კარ ნასხდომთ ახალთა მუხლებს კარს შეუჯდებისა
სომეხასა და მინდოდას[4] წინ ვერვინ დაუდგებისა.
აკუშოს ღელეს შამახდეს, ხართ ულელ დაედებისა.
კალოთ გორ ჩამამდინართა ისართ დასცვითნეს ყიანი.
უქას აწითნეს წისქვილნი, აკუშოს თავნი კლდიანნი.
ზურაბ ჩატირის ჩარგლის კართ, როგორც რო ქალი თმიანი.
მსახურებ ეუბნებიან: „ზურაბ, ვერ იყავ ჭკვიანი".
აკუშოს რათ მიხვიდოდი? ჯვარი ხყავ დობილიანი.
მოგდიეს ვან-ხევამდია, მშვილდნი მოქეხდეს რქიანნი,
მოგდევდესთ, გოგაწუხებდესთ, ხმალნი მოწკებდეს ფხიანნი.

6. აზნაურების ხოცა

ბედიანაიმც დაჯდების ლიქოკ ლიქოკელთ ჯარზედა!
სათავეს უსხენ უფროსნი, აძრახდებიან[5] ჭკვაზედა.

---

[1] ბევრა — ბევრი.
[2] სახელებია.
[3] ადგილების სახელებია.
[4] ადამიანების სახელებია.
[5] ალაპარაკდებიან.

ბოლოში უნცროსებ უსახავ, ხელებ მიუდის ხმალზედა.
უხოცავ აზნაურები დაბლა აკუშოს წყალზედა.
უხიდოდ არ გაივალის იმ სისხლის ალაზანზედა.
ცხენთა შამახხდა მკერდზედა, მხედართა — უზანგაზედა.

7. ომი ოარწყალში

ერისთავ შახყრის ლაშქარსა, კანჭის ქედს დაგრავდებისა.
სახევსურეთოდ ღგულავის[1], არაგვზედ შამალგებისა.
აკუშოს წინ-წინ მავიდა, ხმა ლიქოკს გავარდებისა.
სომეხასა და მინდოდას მუხლებს ქარ შაუჯდებისა.
აკუშოს ღელეს შამოხდე[2], ხართ უღელ დაედებისა.
ქალოთ გორს ჩამადიოდეს, შუ ვაჩე[2] ჩაუდგებისა.
— „წყნარად ვიდინათ, სომეხა, თორე გზა ჩაგვიდებისა[3].
ფშავის ორ წყალში ჩავიდათ, მანდ ომი მაგვიხდებისა.
მანდ შავლენ ფშაველ-ხევსურნი, ზურაბიც მაშავდებისა.
იანვარ წოწკოლაური, მშვილდ, ძალზე გეზიდებისა.
ელიზბარ ფოცხვერიშვილი „ხმალ გაჭერ“ გეუბნებისა.
ერისთვის აზნაურებსა ყორნებ პშკლით[4] ეზიდებისა.
იოფას[5] დაუბარებავ: ჩემი ნულარ აქვ ლოდინი,
მე-დ სარუმს[6], მაგის ხუცესსა, ორწყალში გვიდგას ლოგინი.

8. ნ ე რ ო ნ ი

ფხიტუთ[7] მოვიდეს წერონი მაშვრალნი შორის გზისანი.
როშკის გორ ზურაბ ჩამოჯდა, შუქნ ჩამუტივნა მზისანი.
როშკას აწიწდეს[8] ციხენი, ბლოს პანნი ქვითკირისანი:
„გვეშინის, დაგვეცემიან ნაზლობნი[9] საძელისანი“.
— „დადეგ, დაგვეხსენ, ზურაბო, ნარჩომნ[10] ორთ შენის ხმლისანი,
თორ[11] ჩვენაც შამოგეცდებით, მესხნი[12] ჩვენაც გვყონ წყლისანი;
მაგვივლენ პირ-იქითითა ნაპირის ადგილისანი“.

---

[1] ხევსურეთისკენ აპირებს.
[2] შუაზე. ვაჩე (სახელია) ჩაუდგება.
[3] გაგვიგრძელდება.
[4] ბრეკლით.
[5] სახელებია.
[6] წეროები.
[7] ადგილებია.
[8] შიშით ახმაურდენ.
[9] ნაზლობანი — მონახეთქი მიწა.
[10] დარჩენილები ვართ.
[11] თორ — თორემ.
[12] მესხნი — ხლაპრული არსებაა.

თან მახყვეს ქალუნდაურსა მამუკას შუქნი მზისანი,
ბეგენ-ეორ ჩამოეწივა, ყმან ჩაჭრა ზურაბისანი,
ამანდით[1] ამაბრუნვილმა სამანნ ჩახყუდნა ქვისანი[2],
როენიც გარდააქცევდა, ცოდვან მახკიდა ხმლისანი.

9. უ ტ ი[3]

როშკის გორ დაჯდა ზურაბი, შუქნ მზისან ჩამოუტივნა[4].
ამაგით გითხარ, ზურაბო: „ხევსური კაცი უტია[5].
აგერ ბეგენ-გორს გახენე, — ფუტკარს ღაგე[5] გამოუტია.
ქალუნდაურმა ფრანგული ქარქაშთით ამოუტია.
ხმლითა სცა ზურაბის ჯარსა, სისხლმა სიმურში[6] უწია.

10. ქიჩბარაული

გუდან[7] მოვიდა ლაშქარი, ჭიე კარვებმა შაფარა;
ლურჯამა ოთხით ნაჭედმა თავი ლაშქრისკენ დახარა;
მასზე დამჯდომმა მხედარმა გული საომრად წაყარა.
ხელში ნაჭერი ვაჟამა შუბი თავ-დაღმე დახარა;
ტანზე ნაცვამი ეეგთარი[7] ვაჟმა ფქვილებურ გაყარა.
მარტუან ქიჩბარაულმა ლაშქარ წყალ-გაღმა გაყარა.
სისხმა ვადათათ ნადენმა[8] სამკლავე სამკან დაღარა.
იქით ჩამონადენმა ჯაჭვის კალთეებ დაყარა.
ზეითით ქალმა დაჰხედნა, მანდელი[9] მაღლა შახარა:
„გაქებენ, ქიჩბარაულო, ჩემს საქმარესამც შაგყარა!
ხელთ მისცა თავის აბჯარი, ლურჯა საფერხედ მიღგვარა!
თუ იმას დააჭარბებდი, ცოცხალიმც ნუღარ მამგვარა!
თუ ის შენ დაგაჭარბებდა, სამკლავეებიმც წაგყარა“!

11. ბრელა ნადირიშვილი

ერისთავ შახყრის ლაშქართა, ტყეს ფათვლად გადასწვდებისა;
შამაუყენა არაგვსა, ფხიტუს მთას გარმახტებისა;
ოსაურ გადმაიარეს, როშკის ხორხ დაგროვდებისა.
ერისთავ ეტყვის ლაშქართა, რაც ჭკვაში მაუხდებისა:

---

[1] ამანდით — მანდედან.
[2] ჩაყარა ქვის სამანეები.
[3] ჯიუტი.
[4] მზის შუქი ჩამოუშვია.
[5] ჰგავს.
[6] ადგილებია.
[7] საომარი პერანგი.
[8] ხმლის ტარიდან ნადენმა სისხლმა.
[9] მანდილი.

„როშკის გორ თეთრი ციხეი ჩვენ ძალზე შაგვიხდებისა;
ნადირიშვილი ჭრელაი შიგ რაით შაგვიხდებისა“.
ჭრელამ შაუტყვა ღალატი, ციხეში მაუხდებისა.
წელზე ხმალი მრტყავ ფოლადი, თოფს ტყვია მაუხდებისა;
ვაკისას არ გარმაუშვნა: „ჩემს როშკას არ მიხდებისა“.
ვაკის ძირ გარმაიარეს, ხარხოს წყალს გამახდებისა.
ბეკენთ-გორ ქალუნდაური ყორნის გრილოვებს ხყვებისა.
ბმლით უთხრით, ხევსურთ შვილებო, ადგილი ჩვენ დაგვრჩებისა.
ბმლითა სცეს ხევსურთ შვილებმა, სისხლის გუბ-გუბი დგებისა!

12. ვიგრის ტყავი[1]

ქალმა თქვა: ვიტყვი სიტყვასა, ძმათ თუნდა მამჭრათ თავეო,
გადმოდის საძელეზედა თავ-უჩინარი ჯარეო.
ელია-წმინდას დაქუჩდა ქუჩუმიანი[2] ფარეო.
დასკინინან გათენებისას ქმოსტსა და როშკას ცანეო.
როშკის-გორელთა ციხეთა ჩაიცვეს მიგრის ტყავეო.
შიგ ნადგომმ ახალ ვაჟებმა, დააყრევიეს მკვდარეო.
არ გადმაუშვეს ვაკისას, წვერისას დასხნეს გზანეო.
„ჯერე ჩვენ ვაკმევთ სადილსა, მერმ მოკლედ ხევსურთ ყმანეო.
მოგვივლენ ჯერე ღულითა ჭრელაის შვილნი, ძმანეო.
შოგვივლენ გუდანელები, ხვადებმ მაიღა ჩქამეო[3]“.
ოშათა ნათელისძესა მოხყვა გუდანი ჯვარეო.

13. ძერაულ-ქიჩბარაულნი

გორ-შელმ წამაე, ზურაბო, ნახენ ქერაულნ ყმანია!
მაშინ მოხვიდი, ზურაბო, ერტყას უნცროს ხმალია.
უნცროსსა ქიჩბარაულთას არ აუტანავ ფარია.
ზენ-უბინით ჩამაემართნეს[4] ქიჩბარაულნი ძმანია.
ვეთეს ჩაყარეს ლაშქარი, ხოცეს ზურაბის ჯარია.

14. ზურაბის ჯავრი

ზურაბს ჯავრი კლავს ორისა: ხევსურეთისა, ფშავისა.
ხევსურეთ ბორმეშავისა[5], ბორმეშავ კლდისა შავისა,
შიგ მდგომლის მარტიანისა, ხმალსისხლიანის ვაჟისა.

---

[1] ალბად ვიგრის ტყავი იგულისხმება. „ვიგრის ტყავ ხლვის თევზის ტყავს უხმობენ და ხმელთა ცხოველიც არის. მისი ტყავი ძვლით მოლურსმელია“ (ს.ს. ორბელიანი).

[2] ფარის მოხატულობა.

[3] ულაყმა ცხენებმა მოიღეს ხმაურობა.

[4] ჩამოვიდენ.

[5] სოფლებია.

15. მისურაული

კაცი გამოვა სანესსა[1], წვერს გამაივლის კლდიანსა.
ეფიქრებოდა ზურაბსა: „ეგ რაით მიზამს ზიანსა“?
ნეტარ ქრთამს ვერ მივსცემდია მისურაულსა ხმლიანსა?
ალაეელ ვაკეს ჩამუჯდა, მშვილდსა დაზინა რქიანსა.

16. მ შ ა ვ ე ლ ა

მშაველაი ორ, ნუ მაბოლ, ზურაბვ, არ მოგცემ ზაკსაო.
მშვილდსა დავზინებ[1] ახალ-გორ, ხიდის ყურ ვაქნევ ჩქამსაო.

17. ზურაბის წადილი საარხვატოდ[2] გალაშძრებისა

ზურაბ როშკის გორს ჩამოჯდა, თანა ხყავ თავის ჯარიო,
ახიელ ციხეს მოხქადის, კუთხს არ მოგლიჯნას ქვანიო?
არ გამორეკნას შიგითა ჯურჯიაულნი ყმანიო!
ქავთარაულთა ეაეებსა დაცდილი ერტყა ხმალიო.
ორდანათ ხომიზურასა არ დაგვიტეხნას რქანიო!
ალიათ ბაბღეს უძახეთ: „ბერმა გვიჭირას მხარიო“.
შარუმამ მათურლიშვილმა ვეფხვმა დაშალნა მწკალნიო[3].

—

ამაგ სიმღერის მოთქმანი, ხიზნის[4] პატრონიც ვარიო,
მიქერავ ბალახურისძეს შიშნიას თოფის ტანიო,
თავ ხიზანს ვერ დაონებე, თვალით მიჩინდეს გზანიო.

18. ღალატით დახოცვა ხევსურებისა

ზურაბმ ხოყანა აიფრა[5], ბევრს ვაეს უტირა დედაო,
ბევრს ქალს გაუხსნა ფარაგი[6], უკბინა ძუძუზედაო,
მეჩქარე დააგვიანა, აუბნა ნებაზედაო.
უბარა ღუდუშაურსა, კაცს მისწევს ზედი-ზედაო:
„ხევსურებ, ჩამომივიდან, ვინც ომში გამოდგებაო,—
მშაველა ჯინქარაული ნიადე[7] ნუ დადგებაო!
სამნაიც გამაიყოლას, ომს გვერდით დაუდგებაო“.
— „ხევსურებ, სამნა ნუ წავას, — მჭედელი დაგვაკლდებაო.

---

[1] დავზინებ — მოვზიდავ.
[2] სოფელია.
[3] მ`კალი — ბრეყალი.
[4] ხიზანი — ოჯახი.
[5] ქცეყანა აკილო.
[6] გულის პირი.
[7] რასაკვირველია.

ხირიმებს თოფებს აკეთებს, ქურთემული გაუსქდებაო“.
არ დაიჯერა სამნამ: „ნათვალ ორ არ მიხდებაო“.
ხევსურნ არაგვზედ ჩადიან, ყორან ჩახყეფდა ზედაო.
ღერენა ცაბალუკისძე ცხენთ ქვეითაი ხყვებაო.
პირ-შიშველაი ყოფილას, თავ რად არ შასწყალდებაო?
შამეეხვინენს ზურაბსა თრუსოსნი სადილ-ხედაო.
გახუა ხეთეშაური ხევსურთ კას ეუბნებაო.
„ზურაბს მოგიკლავთ, ხევსურნო, თქვენ, საქმე კარგად ხდებაო“.
ხევსურებმ არ დაიჯერეს, ზურაბის ეტლი ღრევდაო[1].
„ხმლებს ნუ დაიხსნით, ხევსურნო, ზურაბ არ დაინდობაო“.
დასხდეს, დარიგდეს ხევსურნი, ზურაბ მეღვინეთ დგებაო.
ეუბნებოდა მსახურსა: „ჩოფინავ, რასა ღიედაო“?
„ამოდ მეექეც, ზურაბო: აქა გვყვან, ერა ხედაო.
სამოცს თაეს მოვსპრი ხევსურსა, თრუსოს რო სისხლი წყლევდაო“

—

თრუსოს ნახოცთა ხევსურთა ზედ ავი დარი დეეცა,
მშაველა ჯინჭარაულსა ტანს სისვი სკლატი[2] ჩეეცა,
ბეჭებს აასხეს ისარი; ბრალია, ჯაჭვი არ ეცვა!
ალუდი ალექსაური, ზურაბ, რა ხერხად მაგეცა?
მოგიკლა პირის მეღვინე, თაოდ ცოცხალი გაგექცა.
შენ მოგიქნია, ზურაბო, შენი მსახური შეეკა.
ღმერთსამც ვინ გაღმარჯვებიყვა, ხმალ-დაშნას წვერიც ნეეკრა
ხახონას ბერდიაულსა მხართ თეთრი მშვილდი გადეცვა,
ამაგის მოზინიბული[3] ზურაბისადამც დეეკრა!

19

ზურაბო, ერიცთვის შვილო, სისხლისმც დამლევს წყალია!
შენ დაგვიხოცენ ლალატით ნარჩევ ხევსურთა ყმანია.
რად არ გაუშვენ ველადა ხევსურნი-დ, შენი ყმანია?
ამაშინ გამოჩნდებოდა, ვისიცა სჯრიდა ხმალია!

19ა

სევდამც მაგხვდების, ზურაბო, დაგლევდამც სისხლის წყალია!
თრუსოს ეწიენ ხევსურნი, ხელით არჩიენ ყმანია;
გაატეხინე დოლეთი: „ფარა მალაღეთ, ცხვარია.“
თრუსოს მაასხენ მაშვრალნი, დანდობით გასჭერ თავია.

---

[1] ხევსურისას ზურაბის ბედი ძლევდა.
[2] რუხი მაუდი.
[3] იმის მოზიდული.

რად არ სწორ-და-სწორ გააწყვენ ხევსურნი-დ შენი ყმანია?
თოთოს კი დაგიკანჭსევდეს ფარს ქვეშ ნაწურთნი ყმანია!

—

თრუსოს დახოცილ ხევსურთა, მშაველ სჯობ ჯინჭარაული,
ცოცხალთა შინ წამასულთა ალუდა ალქსაური.

ალუდა ალექსაურო, დიდხან ცოცხალიმც ხარია!
წელითამც არ შაგეხსნების თრუსოს რაც გერტყა ხმალია!

20. ზურაბის მოკვლა

ზურაბ, თან გახლდეს მსახურნი, ერთხან რო დაიბადეო:
ისპანანამდე გაითქვი, ყეენთან გაიზარდეო;
ოსეთი ასუქებულა, ხარ-ცხენი ამაღლალეო;
სოსლომის შვილის ლურჯია სიმამრსა გაულალეო;
ახლა გიბარებს სიმამრი: „მოდი, საფურცლეს მნახეო!“

—

ადგა, წავიდა, ზურაბი მორთული თავის ყმითაო;
წამაეგებნეს ზურაბსა: „მოგვიხვედ მშვიდობითაო!“
ხილი მიართვეს ზურაბსა: „ზურაბ, შეექეც ხილსაო!“
ჯერ სვა და ჭამა ზურაბმა, მერმ პი ი წახყვა ლხინსაო.
დაადგეს, მოჩანგეები დააძინებენ ძილსაო;
მოუსხდეს მოღალატენი ახლოსა, ყურის პირსაო;
ხმლითა სცა თუშთ მოურავმა: „დახკარით კახპის შვილსაო!“
ხანჯარ ხკრა ყორჩიბაშისძემ ბეჟანმა გულის პირსაო.

—

თუშთ მოურავსა უბოძეთ ზურაბის ცხენი საღარი!
ტყავ-კაბა საგინაშვილსა, ქუდი ვათალრის მაღალი!
ბარამ ბატონსა შახხდება ზურაბის ქამარ-ხანჯალი.
კაცი წავიდეს თუშეთში, ფშავ-ხევსურეთში ჩაფარი:
„საფურცლეს მაკლეს ზურაბი, ძილ დაძინეს მაგარი“.
ფშაველ-ხევსურთა უთხარი, წელთით დაიხსნან აბჯარი.
ფშაველ-ხევსურთა ჭალ-ხალმა ძილ დაიძინან მაგარი.

21. ზურაბის დაწყევლა

ზურაბო, ერისთვის შვილო, შვიდსამც წელსამც ხარ სნეული,
მეშვიდეს წელსამც მახლდები სიმამრის ხელ-მარეული[1].

---

[1] სიმარ-თლის ბიერ დაძლეული.

22. ზურაბის სიმაგრე

თემურაზ ჩაეუბნების იმერეთ მეფის შვილსაო:
„თუ ზურაბს მახკლავ, ქალს მოგცემ, მონა არ დაგცემს ცხვირსაო.
ზურაბმ ვერ იგრძნა ღალატი, სმალზეით ზურნას ხსნისაო“.
„დაბკარით, ნულარ გაუშვებთ — იძახდეს — კახპის შვილსაო“.

23. აღდგომაც იყვა

ვიყვენით ცოტინიკანი, ადგილ გვეჭირა ხმლითაო,
წლით მოგვდიოდეს ლაშქარი ძაღლისა ზურაბისაო,
ვხოცილვართ სიუკოვითა, ისევ აღდგომაც იყვაო!

ხავარჯიშო მეათე

1. საქართველოს რომელ კუთხეში ხდება აქ აწერილი ამბები? დაასაბუთეთ თქვენი აზრი გეოგრაფიული ადგილების დასახელებით და ენის თავისებურობით.
2. ვისი სახელი აკავშირებს პოემის ცალკე ამბებს? ვინ არის გამოსული ზურაბის წინააღმდეგ, ცალკე პირები, თუ მასები? რა საერთო ინტერესი ამოქმედებს მასებს? ვინ იბრძვის ზურაბთან ერთად ხევსურთა წინააღმდეგ?
3. ვისი ინტერესების დაცვას ემსახურება პოემის ავტორი?
4. რითი განირჩევა პოემის ენა ძირითად სალიტერატურო ქართულისაგან? კიდევ რომელი ქართული დიალექტები იცით?

50. შიოლა ღუდუშაური[1]

ცხენს ხკაზმებს მიქელიშვილი: „ცხენ. დავდგათ ჯუთის გზაზედა;
მოგვივა მამუკაური ბერდია პირობაზედა;
შიოლას ღუდუშაურსა დილას მიუდგათ კარზედა!
სტუმართად კარგსა იტყვიან, მაგვეგებება გზაზედა“.
ხარი საკარგ-ყმოდ დადვიან, — ვინც ურეკებდა ფარზედა.
ხელზედ დაიკრავს სამკლავეთ, ჩაჩქანს იხურავს თავზედა.
ხელი გაიკრა ფრანგულსა: „მადექით შიოლაზედა“.
ორი გაწოვის დედამ, არა გაგწირა ერთზედ.
შიოლაისა ნაქნარსა ეეღარც ვინ იქმოდ თემზედა.
შიოლას ღუდუშაურსა დაჯდომა ულირს ჯარზედა.
შიოლა ღუდუშაურმა წამოგეაკეტის ძალიო;
კარკუჩას მოგვაწირვინა საციხედ ნაზიდნ ქვანიო.
მემრე ცხენს უთხრა ბურდულმა: „ეწ გადავლახნათ ძთანიო.
მაგვივა ბაბურაული, ჩავიდათ ხევის წყალზედა“.

---

[1] შიოლა ღუდუშაური ჰე-17 საუკ. ცხოვრობდა. ერისთავისაგან მან აზნაურობა მიილო. ხევსურებმა მოითხოვეს ფარი ეთქვა ამ წყალობაზე, თორემ მოკლავდენ. შიოლამ ძალათ მოინდომა მათი დამორჩილება. მშროველმა ხევსურეთმა მას ომი გამოუცხადა და კიდეც მოკლა ერთმა მათგანმა — მბრეთელმა.

საგარმყმო დადგეს ხევსურთა: „შიოლას ვინ სცემს ფარზედა“,
— ძიოლას ბლოელ ბერდიამ შამუარ მარჯვენაზედა;
ძოკლიამ გააპრიალა, შუქნ გადიყარნეს მთაზედა;
მოკლიამ ჩამააცვითა, სისხლი გაწითდა ტანზედა;
შიოლა გაწითლებული გაწირა ხევის წყალზედა.
ნუ უღალატებთ, ხევსურნო, ქალ აურჩიეთ თემზედა.

შიოლა და მთრეხელი

აქამდე, ღუდუშაურო, სკამს იჯდე ერისთვისასა,
აეხლა გამისხორიგდი, მსახურს გაფერებ სხვისასა,
არ გაუტიე მთრეხელი, ხევს მიმავალი დისასა,
ცხენი მასთხოვე, გიბოძა, მშვილდს რადაღ სთხოდი რქისასა?
— „მშვილდ თაოდ უნდა მთრეხელსა, ნაპირის ადგილისასა;
გზა ყველაისად სწორია, რად არ გამიშობ, ღვთის მადლსა?
მგონიხარ ნახალიზარი[1], ყამს თუ არ იყავ მტრისასა“.
არ დაიშალა, გადასწვდა, მხართ ნადებს მშვილდსა რქისასა.
„გახლავარ ღუდუშაურო, არ დაგიფერებ სხვისასა“.
გულს დახკრა, სხვაკე გაღვარდა, ფალავანს აჩხვატისასა.
„კარგა ხანს სჭამე აჩხვატი[2], ეხლა მე გაქმევ მიწასა“.
გამავბრუნდების მთრეხელი, დაელნებას ღგავ ცისასა,
მოზდევენ ღუდუშაურნი, განრისხებას ღგონ ხთისასა,
მიღმართა ყოვლაწმიდასა, დედას მშობელსა ხთისასა;
კარნ არ დაუხვდეს ღიანი ნაგებსა დედუფლისასა.
მივა და შაიხვეწების ძმისა მამკლავი დისასა:
„დაო, ვერ შემინახმდი? ცხონებას შენი ძმისასა!“
— „წამოდი, შავო და ბნელო, თუ სულს ვაამებ მკვდრისასა,
ნუ მახკლავთ, ჩემნო მანულნო, ნაჭაპნს ნუ მამქრით თმისასა
კარისას არ გაუტივნა, საკმვით დაუკვრენ ისარსა.“

—

ამბობენ ჩამაქცევასა ახალციხურის კლდისასა,
თან ჩაყოლასა ამბობენ ქერბეღელაის ძისასა, —
ვერ შეინახა სტუმარი, ვაი, ვა, დედას მტრისასა![3]

სამარჯიშო მეთერთმეტე

თემები რეფერატებისთვის:
ა) „ფეოდალების ტიპები ძველ საქართველოში“.
ბ) „წოდება წოდების წინააღმდეგ ფეოდალურ საქართველოში“.
გ) „ქართული სალიტერატურო ენა და მისი დიალექტები“. მასალა სამივე თემასათვის: „ზ. ერისთავი და ხევსურები“, „შ. ღუდუშაური“ და „არეშიძეების ამოწყვეტა“.

---

[1] ნა ალიზარი — დაჩვეული.
[2] სოფელია.
[3] დაამუშავეთ „შ. ღუდუშაური“, მეათე სავარჯიშოს ცალკე მუხლების მიხედვით.

ა რ ა ბ შ ი ძ ე ე ბ ი ს ა ბ ო ლ ო ყ ვ ე ტ ა

(რაჭველ გლეხის ნაამბობი ლექსად)

I

„პირველ საყმონი ვყოფილვართ
ჩვენ ორის ბატონისაო,
ორთა ძმათ არეშიძეთა
ნუ სწყალობს პირი ღვთისაო.
არ ნაზოგავან ქვრივ - ობოლთ,
ცოლებს ნართმევან[2] ყმებსაო;
არ შინებიათ ცოდვისა,
არც ნაკითხავან[3] ღმერთსაო.
ღმერთმა ულხინოს ზვიადას,
ზვიადას ლობჯანიძესო.
არ დაელევა შენდობა,
სანამ მზე მიწას უმზერსო.
დიდხანს ყოფილა ზვიადა,
რომ არ შეერთო ცოლიო,
ზიზღის თვალით ნაყურება,
ცოლს რომ ნართავა[4] ყოვლიო.
ზვიადას უთქვამს; „ღებურნო,
მიკვირს რატომ არ გრცხვენიათ,
რომ ამდენი ბიაბრობა
ბატონთთვის შეგირჩენიათ!
ჯვარს იწერთ, ცოლები მოგყავთ,
უწინ ბატონთან მიგყავთო;
გამხდარხართ დედაკაცები,
მათი ჩიქილით დახვალთო.
კაცი უნდა კაცი იყოს,
არ ჰგავდეს ბებრუცანასა,
არ იკრუნჩხოდეს შიშითა,
ფეხ - ქვეშ არ ეგოს ყველასა.
დროა, პასუხი გავსცეთ მტერს,
ბატონთ დავარტყათ შეხიო,
ამიერიდგან მათ თესლსა
ამოუწმინდოთ ფეხიო.

---

[1] ართმგვდენ.
[2] არ კითხავდენ.
[3] ირთავდა. ასეთი გამოთქმები ახასიათებს დასავლეთ საქართველოს.

ხომ კარგათ იცნობთ გაგნიას,
ბატონთა მოურავსაო.
დავქრთამოთ, დავასაჩუქროთ,
მტრებს ის ჩაგვიგდებს ხელსაო:
სანადიროს წამოიყვანს,
ჩვენ ჩაეესაფროთ ხევსაო,
ჯილა - შვილდები ვესროლოთ,
თავი ვაცნობოთ მტერსაო.

II

ღებურთა ახალ ვაჟათა
ზვიადას დასცეს დასტური;
დაიპატიჟეს გაგნია,
მიართვეს ღვინო და პური.
შეზარხოშებულ მოურავს
ღებურთა უთხრეს ყოველი,
უანგარიშო აჩუქეს,
ფიციც მოსთხოვეს ცხოველი.
გაგნიამ უთხრა: „ხვალ დილას
წამოვალთ სანადიროსა,
ღამე იქნება რომ მოვალთ,
წინ ჭალის ხიდის ბოლოსა;
წინ ჭალის ხიდის ქუტმებში
მზად დაგვხვდით ჩასაფრულები,
წინეთ მე შევალ ხიდზედა,
არ აგიჩქარდესთ გულები,
არვინ მესროლოთ ისარი,
არ წაიწყმიდოთ სულები?
ჩემს უკან ვინც დაინახოთ,
ჰკა იმათ მზვავე ისრები.
არ დაზოგოთ მოსაკლავათ,
ორთავ დასჭერით კისრები.
შეიარაღდნენ ღებურნი,
გასწიეს წინ ჭალისკენა,
გაგნიაც დაფიქრებული
გაეშურა შინასკენა.
ღამე ყოფილა მისული,
გაგნია ბატონის სახლში,
წამდგარა ბატონების წინ,
უთქვამს; „წამობრძანდით მთაში,
ამბობენ, თურმე, ნადირი
ურდოთ დადი საჯიხვეში,

არ იქნება მონადირემ,
რომ არ მოჰკლას ოთხი დღეში.
ხელი შევაელოთ შვილდ-კაპარჭთ,
წვერი ულესოთ ისრებსო,
სიზმარიც ვნახე მისთანა,
რომ ბლომათ დაეხოცთ ჯიხვებსო".
ბატონთა უთხრეს მოურავს:
„წავიდეთ, ჩემო გაგნია,
მაგრამ რა ვქნათ, გვეშინია,
სიზმრებმა სულ გადაგვრია".
ერთმა სთქვა: „სიზმარი ვნახე:
მე ვსტიროდი არა ცრემლით,
ვკვნესოდი, სული მიწუხდა,
გული სდუღდა მღელვარებით.
ამერია თავში ტვინი,
სასიკვდილოთ მივიწურე,
მუჯირას ვებჯინებოდი,
შემაგრება მოვისურვე.
მაგრამ მესროლეს ისარი,
ისარი მოშხამულიო,
სიცოცხლის დღე დამიმწარეს,
გლახ დამიკოდეს გულიო.
ეს ვნახე, ჩემო გაგნია,
მე წუხელ სიზმარშიდაო.
ამიტომ წასვლას ვიშიშვი,
დღეს სანადიროთ მთაშიო."
„ბატონო, ნება მიბოძეთ,
ეხლავ აგიხსნათ სიზმარი,
სულ ეშმარიტს მოგახსენებ,
თუ მწამს დღეის წირვის ზარი:
ბლომად დახოცავთ ჯიხვებსა,
ჯიხვებსა შავის კლდისაო,
ზურგს ავიკიდებ მძიმე ტვირთს
მოკლულსა ნადირისაო.
დაღლილნი, დაქანცულები,
მუჯირებს დავებჯინებით,
სვენებ - სვენებით წამოვალთ,
შინისკენ გავეშურებით.
ეს გახლავთ თქვენი სიზმარი,
ცხადი, ნამდვილი, მართალი:
და თუ ეს ასე არ ახდეს,
მომთხარეთ მარჯვენა თვალი.

III

დაუჯერეს ბატონებმა,
მიჰყვნენ გაგნიას-რჩევასა,
თითო ფარფალა დალიეს,
მთვარეში გაუდგნენ გზასა.
ხევს ჩასაფრულნი ღებურნი
ელიან არეშიძეთა,
მოკიმული შვილდ-ისრები
ყველას მზად უპირავს ხელთა.
გათენებისას მივიდნენ,
არეშიძენი ხიდზედა,
ღებურნი რომ დაინახავენ,
ღიმი მოუვათ პირზედა.
ზვიადა ეტყვისო: „ბიჭებო,
არ დამრთოთ ჭირი ჭირზედა,
ყველანი მარჯვეთ იყვენით,
მჯავრი ვიყაროთ მტერზედა.
ჭირათ უქციოთ ბატონებს,
რაც ლხინი ნახეს ჩვენზედა,
სულები დავაფრთხობინოთ,
აქავე ბოგირ ხიდზედა.“
ეს სთქვა ზვიადამ და უცბად
შეიქნა ისართ გრიალი,
ერთბაშად დასცეს კიჟინა,
მოისმა ღებურთ ღრიალი:
„ჰარი არეშიძესაო,
ისარი ქარქაშს ძევსაო,
თუ ბატონობა მოისპოს,
დარჩეს ლობჯანიძესაო?“
მოჰკლეს უმფროსი ბატონი,
უმცროსიც დასჭრეს ფერდსაო,
რიენის[1] მორეეში ჩავარდა,
შველა შესთხოვა ღმერთსაო.
ცურვით წყალს აპობს, მიღარავს,
თავსაც არიდებს ქვებსაო,
უკან ღებურნი მიზდევენ,
ისრებსა სერიან ბევრსაო,
მაგრამ არც ერთი არ ხვდება,
სანამ არ მივა ღებსაო.

---

[1] რიენის—რიონის.

IV

სოფელს ღებს რიონის პირად,
მაღლა გორაზე სახლი სდგას,
გარს გალავანი არტყია,
აქ ძვირად ნახავთ ამის ფარდს;
ამ სახლში მდგარა გულითად,
გვარად გავაშელიშვილი,
ავად ყოფილა საბრალო,
საბრალო დედ-მამის შვილი.
სახლში შეუდის დიაცი
და ეუბნება გულითადს:
„ნეტაი მითხრა, რა უნდათ
დღეს რიონის პირს ამდენ ხალხს!
ურდოთ მოსდევენ ბიჭები,
თითქოს ეძებდენ რისმეს კვალს“.
გულითად, როგორც მისანი,
მიხვდა დიაცის სიტყვასო,
უთხრათ: „ამწიეთ, გამიყვათ,
ამ ჩელტით ბექის პირსაო,
ხელთ შვილდ-ისარი მომეცით,
ისარი მოღერილია,
ვესროლო, წუწკსა მცურავსა,
გავაფრთხობია სულია.
მე ვიცი ღებურთ ბიჭები,
ვისაც მოსდევენ წყალშია...
ამწიეთ, ჩქარა ამწიეთ,
გამიყვათ მალე კარშია“!
ასწიეს ჩელტით გულითად,
ბექის პირს გაიტანესა,
შვილდ-ისარი და კაპარჭი
მიართვეს, მოუტანესა;
უცბად მოსწია შვილდ-ისარს,
გახდა რივნისკენ შხუილი,
დასჭრა მცურავი ბატონი,
დააწყებინა ღმუილი...
შენი ჭირიმე გულითად,
რომ კიდე გერჩის ლონეა,
მოგვიკალ მტერი მოსისხლე,
სახელი მოიფინეა.

გამართეს ლებურთ მეჯლისი,
ღვინო დალიეს ბევრიო,
გულითადიც ადღეგრძელეს,
ქება შეასხეს ბევრიო[1].

51. ხამაჟაკაცო ლექსები

1. ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი[2] უნდა ხისაო,
თვალნი ქორებულ მხედველნი, მუხლები შევარდნისაო!
2. ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს მამული, თავის ერია,
არ შეფრთხეს, თუნდა ბუზივით ეხვიოს თავზედ მტერია,
არ გადიწყვიტოს იმედი, არ შეიცვალოს ფერია,
თორემ დაჰგმობს და დასწყევლის მოძმე, ერი და ბერია!
3. ვაჟკაცს არ გამოადგება სოფელ შვენება თავისა:
უნდა მას ხმალი უპრიდეს, იმედი ჰქონდეს მკლავისა!
4. ვაჟკაცსა ქალაჩუნასა ქალი სჯობია თმიანი:
მტერსა ვერ უზამს მტრობასა, ძმას — ძმობას ვაგლახიანი,
გონჯად იქნება ყველასთან თავ-ცხვირ-პირ ტალახიანი.
5. ბიჭო, რას ჰფიქრობ, მშიშარა, მშობელი დედის მგმობია!
თაველაფ-დასხმულსა სიცოცხლეს სიკვდილი არა სჯობია?
6. თემის გამტეხსა ვაჟკაცსა ნუ დაელევა ჭირიო:
შეურცხევს იმას ულვაში და გაუშავდეს პირიო!
7. კაცი ამ ქვეყნად დევნილი ყველგან იშოვის ბინასო:
უჯობს არაფერს შეუდრკეს, გული უგავდეს რკინასო!
8. ბიჭნო! ყველასაგან დევნილნო, ძმა ძმას რად ვუწევთ მტრობასო?
ისა სჯობს, მხარი მხარს მივცეთ, — უფრო ზეშვენის ძმობასო!
9. მეც ვიცი შევარდენი ხარ, მაგრამ რომელის ბუდისა?
ნეტა, რა ღედამ გაგზარდა ეგრე ფოლადი გულისა?!...
10. ნეტა, რა დედამ გაგზარდა ეგეთი მშვენიერიო?
ზრდილი, ქველ-გმირი, მამაცი, ბრძენი და გონიერიო!
გიხდება პრტყელი მხარ-ბეჭი ,წვრილი, წერწეტა წელიო,
ტურფა სახეზე თვალ-წარბი, შავი ულვაში, წვერიო,
მოძმისთვის თავის გაწირვა, საპირნახულო დღენიო,
იარაღ-ჩაკიპულობა[3], ცქვიტი, მფრინავი ცხენიო,
გული ამაყი, ფოლადი, მკლავი მტრებისა მსვრელიო!
ქვეყნის ორგულთა დამსჯელო, ხარ მათი სისხლის მსმელიო!
ნეტა, რა დედამ გაგზარდა, ეგეთი მშვენიერიო?
მოყვარე ღმერთმა გიცოცხლოს და გაგიწყვიტოს მტერიო!

---

[1] დაამშშავეთ მეათე სავარჯიშოს მიხედვით.
[2] აბჯარი — საომარი იარაღი.
[3] იარაღ-ჩაკიპულობა — შეპურვა, შეიარაღება.

52. ლექსები ერეკლე II

1. ერეკლე ბატონიშვილი

ბატონიშვილს ერეკლესა
ირმის ძუძუ უწოვნია,
წყალი უსვამს ალგეთისა,
თრიალეთზე უძოვნია,
დაკარგულა საჩალეში,
მონადირეს უპოვნია.

2. პატარა ქახი[1]

ჩვენი ბატონი ერეკლე
ერთი პატარა ქახია.
ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს,
გაჰკრა ხელი და გახია.

3. ერეკლე მეფე და რაჯაბა[2]

რაჯაბაი შეიკაზმა
ჯაჭვითა და ჯინჯილითა:
— უნდა ქალაქს შემოვერტყა,
ამოვწყვიტო შიმშილითა.
ეს რომ ერეკლემ გაიგო,
გადაბრუნდა სიცილითა:
— შენი ერეკლე ოგიკვდეს,
ვერ გაგხეთქო სირბილითა,
განჯა შემოგარბენინო,
დაღესტანი ტირილითა!
ისე გაუწყვიტა ჯარი,
ერთი მირბის წინწილითა,
შეჭამანდი შეუნელა
კოჭითა და პილპილითა.
— დაჯე, რაჯაბ, პური ჭამე,
არ მომიკვდე შიმშილითა.
— რა პურისა მენაღვლება,
კუჭი მტკივა სირბილითა.

---

[1] პატარა ქახი—ერეკლე მეორე, მეფობდა 1744—1798 წ. წ.
[2] რაჯაბა—ლეკების ბელადი ყოფილა.

4. ერეკლე და ფაშა

ეს ურჯულო ერის ფაშა
ერეკლეს აეშალაო...
ერეკლემ ჯარი შეჰყარა
თვალი ძლივ მოატარაო,
ათასი რუსი გაგზავნა,
იმისთვის ისიც კმარაო,
დალაბანდი დაუკარი,
გაუწყრა ჯარსა ჩქარაო.
თითო ზარბაზნის სროლითა
სამოცდასამი ყარაო,
რაც რომ ზარბაზანს გადურჩა,
მას მტკვარმა უყო ძალაო,
კბილებში ხმალი შემოჰკრა,
ულვაში დაატანაო.

5. ერეკლე და აზატხანი[1]

აზატხან წამომდგარიყო, თან მოაქვს მთა და ბარია,
თორმეტ ათასი კაცი ჰყავს, ჯარია მეომარია,
მთაზე დაიცა კარავი, ქვეშ დადგა ოქროს სკამია.
დურბინდით ვამოიხედა, სად არი ღორიჭამია?
წადით, ცოცხლები მომგვარეთ, ერთსაც არ მოსჭრათ თავია.
ესე რომ ერეკლემ შეიტყო, წელს შემოირტყა ხმალია;
მიშველეთ, ქართლო, კახეთო, შვილები ხართ, თუ ძმანია!
ერთი ზღვა გადმოვარდნილა, ვერ გადასწვდება თვალია,
ცოლ-შვილს ყელებს დაგვიჭრიან, მაშინ დადგება თვალია!
გავიქცეთ, ვერსადა წახვალთ, ცხენი არა გვყავს მალია.

6. ერეკლე და აზატხანი

(მეორე)

ასე ადიდდა აზატხან, თოფი ძირს აღარ დაიღო,
აქ მე ვარ, სტამბოლს — ხვანთქარი, ყეენი ჩემთან რა იყო!
განჯის ხანს შემოუტია, სურსათი ბევრი აიღო,
გოგჩის ტბაზე რო ჩავიდა, იქ ავღნის ჯარი მდგარიყო,
ავღნებმა შექნეს ჩორჩოლი, გუშინ ერეკლეს თქმა იყო,
ერთი ავღნების უზბაში ოქროს უნაგირს მჯდარიყო,
ამისთვის გურჯები მოვლენ, ცხენიდან ჩამომხტარიყო,
ეს სიტყვა რო დაამთავრა, ერეკლეც წამომდგარიყო.

---

[1] სპარხეთის მფლობელი, რომელსაც ერეკლე ეომებოდა 1752 წელში.

საქრისტიანოს გულისთვის ერეკლემ ხმალი აიღო.
ერეკლემ რო ცხენი გასძრა სისხლმა გაიღო თქაფანი,
უკრავდა ,აცსა, მოჰკლავდა იმისი ცხენის ქაქანი,
სისხლისა შესდგა მორევი, ცხენს შეეღება ფაფარი,
ასეთი გარბის აზატხან, როგორც ხორასნის ჩაფარი.
ერეკლე უკან მისძახდა — მოსვლა და წასვლა რა არი!
რას მამდევ, გურჯო ერეკლე, რა მიმაქვს შენი დავლაო?
ყველა მანდ გამაშვებინე, თოფი და ჯაბარხანაო.
იმდენი არა მიმაქვს რა სადილი ვეპამო ხვალაო.
— აგრე მოგდევ თავრიზამდე, ვით წყაზარი გარიელსა.
ცხენ-ჯორებს დაგაყრევინებ, ძუა ნაღებს თაღიანსა,
სუყველაში გაგაცურებ, გაგისტუმრებ ცარიელსა,
ხუნძახმა ცხენსა მიმართა, მუხლი ვერ გაიტანაო.
კუდ ქვეშა სდებდა ლაგამსა, თავი სად დამემალაო?
ისე შეშინდა ხუნძახი, ვეღარ ჩაიცვა ჩუსტური,
მე აქეთ აღარ წამოვალ, ქართველთ ,ოდნიათ ხუსტური.

7. აღა-მახმად-ხანის შემოსევა

ყეენი რო წამოვიდა, ქვეით ჯარსა დაუძახა,
ასწივა ავლაბრის ხიდსა, ფიცხლავ წყალში ჩაუძახა.
ჩაჰყარა რკინის ულელი, გაჰკრა რუსეთს გაუძახა,
ასი ,ორასი თათარი ერთ ღელეშია ჩაიმარხა.
ორშაბათს და პარასკევსა იყო მაშინ მშვიდის მარხვა,
ორ აბაზად ცხვარი იყო, სამ აბაზად დიდი ძ-ოხა,
ლეწა ყმაწვილების კალო, ოროველა შემოსძახა,
ცოდვის კითხვა მაშინ იყო, დედამ შვილი ვერა ნახა.

8. ერეკლე-მეფე და ლევან-ბატონიშვილი

ხმალი სჭირის ბაგრატივნისა მეფისა ირაკლისაო.
ნეტავი გამაცნობინა, ლევანს[1] უქებენ შვილსაო;
აჯობა თავის მამასა, სანამ იცვლიდა კბილსაო.
ურჯულო გამოამტვრია, როგორც ნაპირი ტყისაო.
თუ ლევან იქით მიბრუნდა, საქმე სჭირს დაღისტნისაო.

53. ნ ა ნ ა ხ ი ა

(მეგრული ნაძირია)

იყო ერთი ღარიბი და უშვილო ,ოლ-ქმარი, მუდამ ღმერთს თხოვ-დენ შვილი მოგვეცეო. ერთ ღამეს ამათ ესტუმრათ მდიდარი ვაჭარი და კარგადაც გაუმასპინძლდენ. შუალამეს ამ ვაჭარს შემოესმა ანგელოზის ხმა,

[1] ლევანი ერეკლეს უფროსი ვაჟი იყო, ყველა მის შვილებზე ნიჭიერი,

ერთმა ანგელოზმა თქვა: ამაღამ ბავშვი რომ დაიბადება, იმას მივცეთ ოცდა-ათი წლის სიცოცხლე და წყლის ბედი. მეორემ თქვა: მე ვაძლევ სამოცი წლის ვადას და ცეცხლის ბედსო. მესამემ თქვა: მე მიმიცია ოთხმოცი წლის სიცოცხლე, კარგი ბედი, ილბალი და აქ რომა ბდიდარი კაცი წევს, იმისი სიმდიდრეო. მიაძახეს ამინ სამჯერ და გაქრნენ. ვაჭარმა იფიქრა, რაც უნდა იქნეს, ხელში უნდა ვიგდო ამ ბავშვის სიცოცხლეო. მართლაც, გლეხის ცოლს ეყოლა ვაჟი. ამ ვაჭარმა უთხრა: მაგას შენ მაინც ვერ მოუვლი, ღარიბი ხარ, მომყიდე მე შენი შვილი და ათას მანეთს მოგცემო. მამა ჯერ შეწუხდა, მაგრამ ფულმა მოჭრა თვალი და მიყიდა შვილი. ვაჭარმა წაიყვანა ბავშვი, მივიდა ერთ დაბურულ ტყეში და დააგდო იქ.თანაც მიაძახა: ახლა წაიღე ჩემი სიმდიდრე, თუ მარჯვე ხარო! სამი დღის შემდეგ ერთმა მონადირემ გაიარა ამ ტყეში. გაიგონა ბავშვის ტირილი და ძლიერ გაუკვირდა. მივიდა იმ ალაგას, სადაც ბავშვი ეგდო, აიყვანა და წამოიყვანა სახლში. ამ მონადირეს შვილი არ ჰყავდა, იშვილა და დაარქვა სახელი ნაძირია (ნანახი). ბავშვი რამდენი დღე მიდიოდა, იმდენს იზრდებოდა. ერთ დღეს ამ ვაჭარს მოუხდა იმ სოფელში გავლა, დაინახა ეს ბავშვი, იცნო და ძლიერ გაუკვირდა, აქ ვინ მოგიყვანაო. მერე მივიდა მამასთან და შეეჯაჭრა. მამამ ვერ გამოიმეტა, მაგრამ, როცა მამა წავიდა სანადიროდ, დედამ თქვა: 3000 ოქროს მაძლევს, შვილი არაა ჩემი და ძირი, რას დავეძებო და მიყიდა. ვაჭარმა შეუკრა ხელები და ფეხები, ჩაისვა გუდაში და წაიყვანა.

მესამე დღეს დაბრუნდა მონადირე, მოიკითხა ნაძირია, მაგრამ ცოლმა უთხრა: მე იმაში 3000 ოქრო ავიღე და ვაჭარს გავატანეო. ძლიერ ეწყინა ნაძირისა დაკარგვა, ბევრიც ითავცემა, მაგრამ რას ვახდებოდა. ვაჭარმა მიიყვანა ნაძირია თავის სახლში და მეორე დღეს გათენებისას წაიყვანა ზღვის გალმა გასაყიდად. იარეს, იარეს ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, შევიდენ ერთ დაბურულ ტყეში. ვაჭარმა იფიქრა: აქ ბევრია ნადირი, მოდი აქ გაუშვებ, გაყიდვას ეს სჯობს, რომ გავყიდო, იქნებ ისევ მომაგნოსო. დააგდო და გაეპარა. მაგრამ ბიჭი იმდენად წამოზრდილიყო ახლა, რომ გზას დააკვირდა და დაიმახსოვრა. მერე ადგა, დაბრუნდა უკან და ცხოვრობდა სახლში. ბოლოს იფიქრა: იმ სულის მტერს ამდენი როგორ შევარჩინო, ერთი რამ უნდა მეც მოვახერხო, ასე რომ გადამკიდებიაო. ვაჭარს ერთი ქალი ჰყავდა, მიეჩვია ამას და როცა ვაჭარი შორს იყო წასული, ქალს უთხრა: მამაშენმა დამაბარა, ჩემი სიმდიდრე ხუთი ჯორკიდებულ მომაშველე, თვარა საქმე მიხდებაო. ქალმა მაშინვე აჰკიდა ჯორებს ფული და გაატანა ნაძირიას. ნაძირიამ ეს სიმდიდრე მამისას მოიტანა. მამობილს ძლიერ გაუკვირდა: ამდენი სიმდიდრე ჩემმა შვილმა საიდან შეიძინაო. მაგრამ ამაზე უფრო ის ახარებდა მონადირეს, რომ ნაძირია ცოცხალი ნახა, ასე ეუბნებოდა. შენ მყავდე ცოცხალი, შენს მეტი რა გამაჩნია და მე, როგორც მიჯახირებია, ისევ ვიჯახირებო. ამასობაში მოვიდა ვაჭარიც და რო დაინახა, საქონელი არ იყო სახლში, რჯულზე მიბეგვა შინაურები, მაგრამ რას იზამდა ამით? იფიქრა, ეს ნაძირიას საქმეა და თუ რამე არ მოვუხერხე მას, ჩემი საქმე ცუდად იქნებაო. არც უნდოდა თავისი ხელით მოეკლა, წაიყვანა ისევ თვალებ-

აკრული ტყეში; შვიდი დღის შემდეგ ვაჭარმა გამოუშვა და მისცა წერილი. — წადი და ჩემს ცოლს მიუტანეო, ვაი შენდ ღეს, თუ გახსენიო! ბიჭმა მიუგო, რო გავხსნა მაინც რას წავიკითხავო. წერილში ეწერა, როგორც მოვიდეს, მაშინვე მოკალით და გადააგდეთ მდინარეშიო. ბიჭმა იარა, გზა არ იცოდა და კვალი. ბევრი ხეტიალის შემდეგ მივიდა ერთ მინდორში, სადაც თოხნიდა სამი კაცი და ერთი თავზე ადგა. ბიჭს შიოდა, დაინახა, ხეზე კალათი ეკიდა და იფიქრა: მოდი ჩამოვხსნი კალათს, მჭადი იქნება შიგ და შეეჭამო. მიეპარა კალათს და რომ უნდა ამოიღოს, უცებ წაადგა პატრონი და უთხრა: ჭამე, შვილო, რამდენიც გინდა. მაგრამ ის ქალალდი მათხოვე, რომელიც ხელში გაქვსო. ბიჭმა ჯერ უარი უთხრა, მაგრამ ქალალდი გაუვარდა ხელიდან და აიღო ამ კაცმა. კაცმა წაიკითხა და თქვა: ვაი უბედური ბიჭი! დაკეცა ქალალდი, მისცა ბიჭს და უთხრა: ნუ გეშინია, ახლა წადიო. ბავშვმა ისაუზმა, მადლობა გადაუხადა და წამოვიდა სახლში. უკან რო მოიხედა, ვერც ეს კაცი დაინახა და ვერც მუშები. ბიჭმა პირჯვარი გადაისახა და თქვა, ეს უსათუოდ მოჩვენება იყო. ბევრი სიარულის შემდეგ გავიდა იმ სოფელში, სადაც ცხოვრობდა ვაჭარი და გადასცა მის ცოლს წერილი. როცა წერილი გახსნეს შიგ წაიკითხეს: ეს ბიჭი ჩემი ერთგული გამოდგა და მსურს ჩემს ქალიშვილზე ჯვარი დამიწეროთ მოსვლის თანავე, მე ნუ მიყურებთო. ქალს ძალიან გაუკვირდა, მაგრამ რას იზამდა, მეტი გზა არ იყო, უნდა აესრულებიათ. მაშინვე დაწერეს ჯვარი და გამართეს დიდი ქორწილი. როცა ჩამოვიდა ვაჭარი, ძალიან შეწუხდა, დახედა ქალალდს და იცნო თავისი ნაწერი. ბოლოს იფიქრა, მეტი ღონე არ არის, უნდა ვისმე მოვაკვლევინო, თვარა აგერ, დაეპატრონა ჩემს ქონებასო. წაეიდა, იქირავა ერთი კაცი და უთხრა: შენ თუ მომიკლავ ჩემ სიძეს, ნახევარს ჩემს საცხოვრებელს დაგიმტკიცებო. იგი დათანხდა. ვაჭარმა უთხრა: ხვალ დილას ეინც ადრე მოვიდეს წყლის პირას, ესროლე თოფი და მოკალიო. ეს კაცი წავიდა საყარაულოდ. ნამარიას ცოლმა გაიგო ეს ამბავი და უთხრა ქმარს: ასე და ასეა საქმე და მამა ჩემმა რომ გითხრას, ნუ წახვალო. დილას ვაჭარმა დაუძახა სიძეს, აბა, შვილო, მდინარის პირას ჩვენი ხომალდი მოსულა და საქონელი ჩაიბარეო. მე წამოვიდოდი, მაგრამ ცოტათი უქეიფოდ ვარ. ბიჭი ადგა, გავიდა გარეთ, მაგრამ სხვა მხრით ავიდა. გაიარა ორ-სამ საათმა, ვაჭარმა იფიქრა: ახლა წავალ და მკვდარს დავმარხავ. როცა მიუახლოვდა მდინარის პირას, ყარაულს სიძე ეგონა, დაუმიზნა თოფი და იქვე გააგორა. ნამირიამ მოიყვანა აქ თავის მამობილი და ცხოვრობდენ ბედნიერად ისე, როგორც ანგელოზებმა თქვეს.

გუშინ იქ ვიყავი,
დღეს აქ წამოვედი.
სამი ვაშლი, სამი ბროწეული,
გაისად კიდევ თქვენსას მოწვეული.

54. ნ ა ტ ვ რ ა

ერთ მდინარეზე სამი კაცი იდგა და მეოთხე გაღმიდან იყურებოდა. ერთმა თქვა: ღმერთო, პურ-ღვინოს, ოქროს და ვერცხლის ილბალი მომეცი და დალია წყალი, თანაც პირჯვარი დაიწერა. მეორემ თხოვა ღმერთს: ღმერთო, ისეთი სწავლა მომეცი, ყოველი ქვრივი, ობერი გამომეზარდოს და დალია წყალი პირჯვრის წერით. მესამემ თხოვა: ღმერთო, დოვლათიანი ქალი მომანიჭეო. რო დაათავეს თხოვნა, მეოთხე კაცი მიუახლოვდა ამ სამ კაცს, სულ დაკონკილ ტანისამოსში იყო გახვეული. პირველს ჰკითხა: შენ რო პირჯვარს იწერდი, რას ევედრებოდი ღმერთსო. მე, ბატონო, პურ-ღვინო და ოქრო-ვერცხლი ვთხოვე ღმერთს, უპასუხა კაცმა. გლახამ ამოიღო უბიდან ერთი ოქრო, მისცა კაცს და უთხრა: წაიღე, ჩადე კიდობანში, არც პურ-ღვინო გამოგელევა, არც ოქრო-ვერცხლიო, ოღონდ კაცის პატივისცემა არ დაგავიწყდესო. მოიტანა ამ კაცმა ეს ოქრო და მართლა პურ-ღვინით და ფულით აივსო. გააღო ბეღლის კარები და ხაზინა, მოაწყდა მშიერი და საწყალი ხალხი. მდიდარი ტრიალობს, არიგებს, ყველას ეწევა, მაგრამ სიმდიდრე არ აკლდება.

დაკონკილმა კაცმა რომ მეორეს ჰკითხა, რატომ იწერდი პირჯვარსო მან მიუგო: მე უსწავლელი კაცი ვარ, ქვეყანაზე არი გამეგება რა, ამიტომ სიღარიბეც მაწუხებს და შეევედრე უფალს: ღმერთო, სწავლა მომეცი-მეთქი. გლახამ ამოიღო უბიდან წიგნი, მისცა კაცს და უთხრა: აჰა წაიღე, იკითხე, ისწავლე, მაგრამ სხვის სწავლებაც ნუ დაგეზარებაო. მოიტანა თუ არა ამ კაცმა ეს წიგნი სახლში, მთელი სახლი წიგნებით აივსო, წიგნები თვითონ ეძალებოდა საკითხავად. მოვიდენ მასწავლებლები. ხალხი და გაიმართა მთელი სკოლა: სწერენ, კითხულობენ, მასწავლებლები ჯამაგირს არ თხოულობენ, განათლდა ქვეყანა.

მესამე კაცმა მიუგო გლახას: მე, ბატონო, ღარიბი კაცი ვარ, ვშრომობ და ვერ ვცხოვრობო; ამიტომ იმას შეესთხოვდი ღმერთს: ღმერთო, ილბალიანი და დოვლათიანი ცოლი მომეცი-მეთქი. გლახამ ასწავლა: ეს ერთი ოყა პური წაიღე, ეს ერთი დედალი ქათამი წაიყვანე, შენს მეზობელს რომ ქალი ჰყავს გასათხოვარი, იმაზე ჯვარი დაიწერე და არაფერი გიშავსო. წავიდა ეს კაცი, შეირთო მეზობლის ქალი, თვითონ ყანაში მუშაობდა ერთგულად და ცოლი შინ ერთგულობდა. ქათამი ყოველ დღე თითო კვერცხს უდებდა, ის ერთი ოყა პური ყოველდღე ახლდებოდა და კმაყოფილი იყვნენ თავისი ბედისა.

გავიდა კარგა ხანი. გლახამ თქვა, მოდი წავალ, ჩემ მეგობრებს ვეწვევი და შევიტყობ, როგორ იქცევიანო. ადგა და მივიდა პირველთან. აათვალ-დაათვალიერა ყველაფერი, მაგრამ ვერავინ დაინახა, გარდა ამ კაცისა და მისი ფარეხისა.

— მიცანი თუ ვერა?

ჰკითხა გლახამ მდიდარს.

— გიცანი, ბატონო!

— მერე, რატომ ქვრივ-ოხრები არსით ჩანან?

— ყველდღე დადიოდენ, ბატონო, მაგრამ დავიღალეთ ამოდენი სამსახურით და ყველანი დავითხოვეთ, რომ აღარ მოსულიყვნენ.

— მეც ძაან მჭირდება და, თუ შეიძლება ჩემი ოქრო დამიბრუნე, შენ ისედაც ბევრი გაქვსო.

— შენს ოქროს ამოდენა ოქროში ვინ იპონვის, თვითონ მოძებნე და წაიღე, თუ ნახოვო.

გლახამ მიაგნო თავის ოქროს, წაიღო და გაქრა თუ არა იქიდან, იმ კაცის სიმდიდრეც დაილია სულ.

მივიდა ახლა მეორესთან და ჰკითხა:

— მიცანი თუ არა?

— როგორ არა, ბატონო!

— რატომ ბავშვები არ სწავლობენ აქ?

— მომწყინდა, ბატონო, მათი ყიყინი, ავდექი და მასწავლებლებიც გავყარე და ბავშვებიც.

— ჩემი წიგნი ხომ აღარ გჭირდება?

— შენი წიგნი რად მინდა, სახლი წიგნებით მაქვს ავსილი!

— აბა მიბოძე, წავალ, მე თვითონ მჭირდება ახლა ჩემი წიგნი.

— ამდენ წიგნებში ვინ იპოვის შენ ჩიგნს! სადღაც მიგდებულია, თუ გჭირდება, თვითონ მოძებნე და წაიღე!

გლახამ მონახა წიგნი და წაიღო. მოშორდა თუ არა იმ კაცის სახლკარს, ეს კაცი ისევ ისე იქცა, როგორც წინად იყო: უვიცი, ღატაკი და მშიერი.

ბოლოს ეწვია მესამე კაცს. შინ დედაკაცი დახვდა, კაცი ყანაშა იყო

— მიცანი, ვინ ვარ? ჰკითხა ქალს.

— ვერა, შენი ჭირიმე.

— შენი ქმარი სად არის?

— ყანაში ცოდვილობს, ბატონო! დღე და ღამ მოსვენება არა გვაქვს, მაგრამ ჩვენი დასახლება არ იქნა. ერთი ოყა პური გვაქვს და ერთი დედალი დღეში თითო კვერცხს გვიდებს, ის არის ჩვენი ავლა-დიდება.

— მშვიდობით, მშვიდობით! ღმერთი მოწყალეა, ნუ შეშინდებით!

— ბატონო, საკადრისი კი არაფერი გვაქვს, მაგრამ უპურ-მარილოდ ვერ წაბრძანდებით, მოითმინეთ, ჩემი ქმარიც მალე გიახლებათ და სადილი მიირთვით; მართალია ღვინო არა გვაქვს, მაგრამ კაი წყაროს წყალს მოგართმევ და ნუ დაგვძრახავთ.

— კარგი, კარგი, ქალაქში გავიარ-გამოვიარ და სადილობის დროს გიახლებით.

უთხრა გლახამ და წავიდა.

ქალი დატრიალდა, დაანთო ცეცხლი, დაკლა ერთად-ერთი დედალი, ქმარსაც შეუთვალა, ვიღაც საწყალი სტუმარი გვეწვია და სადილათ მოუსვლელი არ დადგეო.

გლახა და მასპინძელი კაცი ყანიდან მომავალი კარებში შეხვდენ ერთმანეთს და მიესალმნენ.

— დედაკაცო, რა გაქვს სადილად ამ ძვირფასი სტუმრისათვის?

ჰკითხა კაცმა ცოლს.

— ერთი ოყა პური, ერთი დედალი, ერთი სურა წყალი.

— შე საწყალო, ვერ იცან, ვინ არის ეს? სხვა ვერაფერი ვერ იშოვნე, რომ მოგერთმია!

— მე მაშინვე მოვახსენე ჩვენი სიღარიბე და ბოდიში მოვიხადე.

ბიუგო ცოლმა.

დასხდენ და დაიწყეს ჭამა.

ამოიღო უბიდან გლახამ ოქრო, მდიდარს რომ ასესხა, მისცა დედაკაცს და დალოცა: შენ გეყოლოს ოთხი ვაჟი, ეს ოქრო კიდობანში დადეგი, შენი სახლი ოქროთი აივსება.

მერე ამოიღო წიგნი, მისცა კაცს და დალოცა: შენ შენი შვილების გამოზრდის თავი არ გექნება, ეს წიგნი წაიღე და შვილები თავის თავად სწავლული გამოვლენ და ბედნიერნი იყვენით.

თქვა და გაქრა.

მისი ნათქვამი ყოველივე ასრულდა და იმ ორი მდიდრის დოვლათი ამ ოჯახში გამოვიდა.

55. ხ ა ხ უ ტ ა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო სამი ძმა. უფროსი და შუათანა შრომის მოყვარენი იყვნენ, უმცროსი — ხახუტა, ზარმაცი და მუქთახორა. სმა-ჭამის მეტი არაფერი აგონდებოდა. ძმებს მოსწყინდათ ხახუტას რჩენა და გააგდეს კარში. წილად არგუნეს სახლი და სამი თხა.

ხახუტა ცოლიანი იყო. მოიხმო ცოლი და უთხრა, ეს თხები რო შიმშილით გვეხოცება, მოდი ერთი წავიყვან მთაზე, გავუშვებ იქ და გაისამდე გამრავლდებაო. ცოლმა მოუწონა ეს ფიქრი, მოუმზადა საგზალი და გაუშვა ქმარი. ხახუტამ აიყვანა თხები მთაზე, გაუშვა იქ, თვითონ შინ დაბრუნდა და ერთი წელიწადი მოსვენებით იყო. წლის თავზე წავიდა თხების მოსარეკად, მაგრამ ერთიც აღარ დახვდა. თან მშვილდისარი ჰქონდა და ნადირობა დაიწყო, იქნებ თანაც ჩემ თხებს წავეყარო სადმეო. შეხვდა ერთი მგელი, დაიჭირა, დაკრეჭია კბილები და, როცა კბილებზე სისხლი შეამჩნია, ხახუტამ იფიქრა, სწორედ ამას შეუჭამია ჩემი თხები და მოვკლაო. მაგრამ მგელი შეეხვეწა, ნუ მომკლავ და ბედს გწევო.

— რა ბედს? — ჰკითხა ხახუტამ.

— რას და, აი, მთაზე რო მწყემსები თხებს აძოვებენ, თიკანს მოვიტაცებ და გავიქცევი, მწყემსები მე დამედევნებიან, შენ ფარას მოუსვი ხელი და შინ წაასხიო. გაიქცა მგელი, მოსტაცა თიკანი და გაიქცა. მწყემსები რომ მას დაედევნენ, ხახუტამ იხელთა, წამორეკა თხები და მორეკა შინ.

ძმები შურით გაივსნენ ამოდენა თხის შეხედვაზე.

— ხახუტა! ჰკითხეს პოლოს ძმას, — ეგ თხები სად იშოვე?

— სადა და მე რო სამი თხა მარგუნეთ, გავრეკე მთაზე, დავტოვე ერთი წელი მარტოკა, მერე ავიდი და ამდენად მოშენებულიყვნენო.

ძმებს მართალი ეგონათ, მოუსვეს ხელი თავის თხებს, გარეკეს მთაზე, დასტოვეს ერთ წელიწადს, მაგრამ ყველა ნადირმა შეჭამა და დარჩნენ ძმები ცარიელ-ტარიელი. მოვიდნენ შინ მოტყუებულნი ძმები და ხახუტას სახლი გადაუბუგეს.

რაღას იზამდა ხახუტა, გააესო ნახშირით გოდორი, ისესხა ცოტა ვერცხლის ფული, მოაყარა ნახშირიან გოდორს თავზე და გაუდგა ქალაქისაკენ გზას. გზაში ერთ მდიდარ სოვდაგართან შეუხვია და ღამის გასათევი ბინა სთხოვა. სოვდაგარმა ბინაც მისცა და თანაც ჰკითხა, სად მიხვალო. ხახუტამ მიუგო: სად მივალ და ხაზინაში ეს ერთი გოდორი ვერცხლი მიმაქვს შესანახად და ამაღამ არავინ მომპაროთო. სოვდაგარს გაუკვირდა ხახუტას სიმდიდრე. როცა დაიძინეს მასპინძლებმა, ხახუტამ წაიღო გოდორი, მიიტანა მდინარეზე, ვერცხლი აქეთ-იქით მიაბნ-მოაბნია და ნახშირი და გოდორი წყალში გადაუძახა, თითონ მობრუნდა და დაიძინა. დილას ადგა და ასტეხა ღრიალი, სოვდაგარო, ერთი-ათად თუ არ გადაგიხდია, ახლავე გიჩივლებ ქურდობასო. შეეშინდა სოვდაგარს, გაუვსო ათი გოდორი ვერცხლით და გაატანა ხახუტას.

ძმებმა რო ამოდენა ფული ნახეს, შურით აივსნენ და ჰკითხეს ძმას, სად გიშოვია ამოდენა ფულიო. ხახუტამ მიუგო, თქვენ რო სახლი დამიწვით, ნახშირი გავიტანე ქალაქში და სულ ვერცხლში გამიცვალესო.

ძმები აქაც მოსტყუვდენ; გადაბუგეს თავისი სახლები, წამოიკიდეს ზურგზე ნახშირიანი გოდრები, გავიდენ ქალაქში და ყვირიან: ვის გინდათ ვერცხლი ნახშირშიო. ყურიც არავინ ათხოვა. პირიქით, ყველამ გიჟებათ მიიღეს ეს მენახშირეები. დაბრუნდენ ბრაზმორეული ძმები შინ და ჯავრზე ხახუტას ცოლი მოუკლეს.

რაღა ქნას ახლა საწყალმა ხახუტამ? წავიდა ქალაქში, იყიდა ფარეულობა, შეაკერინა, გამოაწყო კარგად მკვდარი ცოლი, გაიდო მხარზე და გაუდგა გზას, მიადგა ერთ მდინარეს, რომელზედაც წისქვილი ბრუნავდა. მეწისქვილეს ორი მზეთუნახავი ქალიშვილი ჰყავდა. ღამის გასათევად ხახუტამ ამ მეწისქვილესთან შეუხვია, მაგრამ ცოლი წისქვილის არხში მიაყუდა ხეზე და დასტოვა. მეწისქვილეს გაუკვირდა, ცოლი რატომ არ მოიყვანაო და მიზეზი ჰკითხა. ხახუტამ უპასუხა: ძლიერი მორცხვია და ვერ გაბედა აქ მოსვლაო. გაიქცა ერთი ქალიშვილი, ეხვეწა ბევრი, მაგრამ მკვდარი რას გაუგონებდა. წავიდა მეორე და ისიც ეხვეწა, ეეედრა და რომ ვერა შეასმინა რა ხელით წამოზიდა წამოსაყვანად. მკვდარი წყალში ჩავარდა და წაიღო წყალმა. შეშინებული ქალი მივარდა წისქვილში და მომხდარი უბედურება უამბო. მორთო ხახუტამ ყვირილი, ცოლი დამიხრჩესო. შეშინდა მეწისქვილე და შეეხვეწა ხახუტას, ოღონდაც ნუ გააგებინებ ნურავის და ამ ორ ჩემ ქალში, რომელიც გნებავდეს ინებეო. ხახუტას მეტი რაღა უნდოდა. აირჩია უმცროსი ქალი და გაუყენა გზას.

ძმებიც ახლა შურით აივსნენ და ჰკითხეს: ვინ მოგცა ასეთი ლამაზი ქალიო. ხახუტამ უპასუხა: გავიტანე ქალაქში ჩემი მკვდარი ცოლი და დავიძახე: ვის გინდა ცოცხალში მკვდარი? შემომეხვივნენ, ყველამ შემომაძლია თავისი ქალშვილი, მე ეს ავირჩიეო. მაშინვე დახოცეს ძმებმა თავისი ცოლები, მოიკიდეს ზურგზე, გაიტანეს ქალაქში და მორთეს ყვირილი: ვის გინდა ცოცხალში მკვდარიო? ქალაქელებმა მიუგეს, ვინ ოხრები ხართო? ჩვენ, ჩვენი მკვდრისთვის ვერ მოგვივლია და შენი მკვდარი რათ გვინდაო! წამოვიდენ სახლისკენ დაღონებული ძმები, მივარდენ ხახუტას, სცემეს, სტყეპეს, მერე ჩააგდეს ძარში და კლდის პირად დააგდეს, ეგონათ, გაინძრევა და გადავარდებაო.

ხახუტას ბედზე ერთი კაცი თხის ფარას მოერეკებოდა, ხახუტამ განგებ მორთო ყვირილი: არ მინდა ხემწიფობა, ნუ მაძლევთო. მეთხემ უთხრა: შე კაი კაცო, მე დავდგები მეფეთ, თუ შენ არ გინდაო. ხახუტა დაეთანხმა, ამოაშვებინა თავი ძარიდან, ჩასვა მეთხე შიგ, ჰკრა ხელი, გადაუძახა კლდეში, შემოუძახა თხის ჯოგს და მორეკა შინ. ძმებს გაუკვირდათ და ჰკითხეს, როგორ გადარჩი, ან თხები ვინ მოგცაო. ხახუტამ უთხრა, მე რომ კლდეში ჩავგორდი, შშვენიერი აბრეშუმის მსგავს პოლზე დავეცი, აქეთ-იქით თხები იყვნენ უპატრონო, უთვალავი, რამდენსაც მოვერიე, წამოვრეკე და მოვიყვანეო. შეეხვეწნენ ძმები, ჩვენ გადაგვაგდე იმ კლდეში, თუ ეგ ბედი გვეწევაო. წაიყვანა ხახუტამ ძმები, ჩასვა ძარში, ჰკრა ხელი, გადაუშვა კლდეში, სადაც ნაკუწ-ნაკუწად იქცნენ, თვითონ მობრუნდა შინ, დაეპატრონა ძმების ქონებას და ცხოვრობდა ბედნიერად.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ალიართალი, მალიართალი,
ზოგი ტყუილი, ზოგი მართალი.

---

56. ეს ტიალი სიღარიბე
ჩემზედ არის ასეული;
სადაც წაველ, თან დამყევება,
ტყავის კალთას გახვეული.
ტანზედ მაცვავ შალის ჩოხა,
მაუდს კი ვარ დაჩვეული.
შინ რომ ველარაი ვეჭამე,
ქიზიყს დავალ დამშეული.
აგებ გავასუქო ცხენი — .
ჯერ ვაქმიე დარკეული;
ჯაგლაგა ცხენი არ ნიყვარს,
ორღლას ვარ დაჩვეული.
სიღარიბე არ მეშვება,
ე ღვთისაგან დაწყეული!

ჯალაფთ ფურებ გაიუყიდე,
სუ გაუშრე სარძეული;
ორასამდე ცხვარ გავყიდე,
თავისი და სხვათეული;
ახლა ხმელა პურზედა მყვან
ყველ-ერბოზედ დაჩვეული!..

57. მოჯამაგირის სიმღერა

სხვათა მოჯამაგირობას,
ადვილად იტყვის ენაო,
დილიდან საღამომდისინ —
არ მქონდა მოსვენებაო:
დილით ძროხაში მგზავნიდენ,
საღამოს ღორისკენაო,
ქორ-მეძებრებს თან მატანდენ:
— ხომ ინადირებ შენაო!
თუ კურდღელი დაიჭირო,
ტყავი შენ, ხორცი ჩვენაო.
და თუ მელასა დაიჭერ,
ტყავი ჩვენ, ხორცი შენაო.

დავალება მეთოთრმეტე

1. ხალხის რომელი ნაწილის ინტერესებს ესარჩლება თითოეული ეს ზღაპარი?

2. ამ ზღაპარში გამოყვანილია ვაჭარი, გაღარიბებული კაცი, მოჯამაგირე, ნახსენებია ქალაქი და ოქრო-ვერცხლი. რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ამის მიხედვით — რომელი ეკონომიური ვითარების ზეგავლენა ჩანს ამ ნიშუშებში?

58. ბატონყმობა

კამეჩების არტალაო საკნიაზო გამხდარაო!
ბატონ-ყმობა გადავარდა, სამოვარი ჩამქრალაო!
ორი ბატონის ყმა ვიყავ, ხან ესა მცემდა, ხან ისა,
ორივე ერთ დღეს მომიკვდა, ხან ეს ვიტირე, ხან ისა!
მოდი მოუსვი კუდსაო, ბატონი მოგვცემს პურსაო,
მოგვცემს და ისევ წაგართმევს ნუ დაგაკლდება გულსაო!
შენი ჭირიმე ხელმწიფე, არა გვყავს ბეგრის ხარები!
როცა ქალალდი მოვიდა, მაშინ დაგვიდგა თვალები!
სახლში ცეცხლსა ვეღარ ვანთებთ, გამოგვეხურა კარები!
ჩვენ ცოლებს ვეღარ ვინახავო, ტყუილა ვყავართ ქმარები!
უფალო, შენ შეგვეწიე, იესო დაგვეხმარეგი!

ვაი და ვაი, ვასაო,
ამილახვრიანთ ყმასაო,
წამოჰკიდებენ ქვასაო,
დააძახებენ „დაჰსაო“.

ამილახვრიანთ ყმობითა
პური ვერ დავდგი გოდრითა,
ვერც გავიტანე გუთანი,
ვერც ყანა ვლეწე მოზვრითა.

ავი ბატონის ხელშია,
დილა-საღამოს მეძახის:
წალდი გაირეკვე წელშია.

ამილახვრიანთ მომასწრეს,
წელი მომწყვიტეს ცემითა,
შავთვალა ხარი წამართვეს,
თვალი ამივსეს ცრემლითა.

ამილახვრიანთ ბიჭებსა
შორით იცნობენ ქუდზედა.

ამდენმა აღმართ-დაღმართმა
წელი მომწყვიტეს მუდამა,
პური ბატონმა წამართვა
„შენ მჭადი ჭამე მუდამა“.

დასაქცევი მებატონე
ჩამოივლის ვარიანსა;
წიოკობას აუყენებს
ქათამსა და ვარიასა.

ციციშვილ ზაქარიასა,
ღმერთო, შენ მიეც ზარალი,
ცოლ-შვილი ამოუწყვიტე,
თავს დააწვინე მარანი.

ოდელია. ოდელია,
ეს როგორი სოფელია?
ნახევარი ქვრივი არის,
ნახევარი ობოლია!

ქართლი იმისთვის დავაგდე
თოვლს დასდებს, აღარ აიღებს,
რაც რომ მოსავალი მოვა,
მოვა ბატონი-წაიღებს.

ჩვენ სილარიბე რას გვიზამს?
ბატონი მოგვცემს პურსაო,
მოგვცემს და ისევ წაგვართმევს:
„ნუ დაგაკლდება გულსაო“.

ბატონ-ყმობა გადავარდა,
გლეხო კაცო, გაიხარე!
აზნაურო და თავადო,
თავში კოხი ქვა იხალე!

თავადებმა რომ გაიგეს,
ვაი დედი, თქვენი მზესა,
ერთმანეთსა გადახედეს,
რჯულიც ბევრი აგინესა:
ჩვენი უბედურება
ჩვენი ცოდვით მოგვიხდესა:
ქვრივსა ობლებს ვუყიდიდით,
ვაწუხებდით მსახურებსა,
სამსახურს არ ვჯერდებოდით,
ნიადაგ ვახდენდით გლეხსა,
ეხლა იმის გულისათვის
თვით ჩვენ მიგვცეს განსაცდელსა.

ქალებო, ქალბატონებო,
უნდა წახვიდეთ როვლესა,
თქვენი ჰატარა კეკელა
უნდა ადევნოთ ლორებსა.

ახალმოდის ფარანი,
შიგ სანთელი არ არი,
სამოვარი ჩამქრალა,
ჩამბერავი არ არი.

ბატონ-ყმობა გადავარდა!
ასე როდი მეგონა!
თუ ხელმწიფე ტყუილს იტყვის,
ასე როგორ მეგონა!
მეგონა, მეგონა,
ასე როგორ მეგონა!
თუ ხელმწიფე ტყუილს იტყვის,
ასე როგორ მეგონა!

ღმერთო კარგი დარი ქენი,
დარი დარზე მოაბიო,
აზნაურები გაწყვიტე,
მკვდარი მკვდარზე მოაბიო,
გლეხი კაცი მოაშენე.
კომლი კომლზე მოაბიო.

59. ანდუყაფარ

ანდუყაფარ სანადიროდ საქართველო შეჰყარაო,
ტყე და ველი მოიარა მთა და ბარი დაღარაო,
შველიც ბოკლა, ჯერანიცა, კურდღელმა კი დაცარაო.
მაჩაბელო! ჩამომეხსენ, ნუ ხარ ცუდი მასხარაო,
ცხენი ცხენსა არ მიხალო, არ მომიკლა ჯაფარაო.
სამას თუმნად ცხენი მიღირს ორას თუმნად ავშარაო.
მაჩაბელმა გააჭენა, ცხენი ცხენსა უხალაო,
ანდუყაფარ გადმოვარდა, თავი ქვაზე ახალაო.
დედას კაცი მიუვიდა: „ანდუყაფარ მომკვდარაო“.
ანდუყაფარს რა მოკლავდა, თუ ღვინით არ დამთვრალაო?
ლოყაზე ხელი გადისვა, სისხლის ცრემლი დაღვარაო,
თავზედაც ხელი ვადისვა, გიშერ-თმანი დაყარაო.
კაბაზე ხელი გადისვა, მარგალიტი დაყარაო.
მამას წიგნი მიუვიდა: „ანდუყაფარ მომკვდარაო“!
— ანდუყაფარს რა მოკლავდა, თუ ღვინით არ დამთვრალაო?
მაინც ავი კაცი იყო, ჯანაბას, თუ მომკვდარაო!

60. როსაფა ამირეჯიბი

როსაფა ამირეჯიბი ჩამოსხმულია ტანშია.
ბიჭად, ვაჟკაცად ნაქები ამხანაგსა და გვარშია.
ოსების მოურავია, ყმებიც იქა ჰყავს მთაშია,
ოსის ქალს გამოეკიდა, შეაგდო თავის სახლშია.
ეს რო შეიტყეს ოსებმა, ფიქრი ჩაიდეს თავშია,
დაირჩნენ ოსის ბიჭები, როსაფს დაუხვდენ გზაშია,
როსაფა მოწიწინობდა, როგორც ჟინჟღალი ცაშია,
გადუყრია ყუთმაჯები, მოიგრიხება ტანშია.
ერთი ოსი იმას ამბობს, ცრემლი მომიდის თვალშია.
ცოდვაა მისი სიკვდილი ასე უბრალოდ გზაშია,
ერთი ოსი თოფსა ფერავს, ლამაზად მართავს ტანშია,
ერთი დედაკაცი მყავდა, ველარ გამოდის კარშია,
ამას მაინც ვერ მოვითმენ, ხანჯალი მცემოს თავშია,
დაუჩოქა და ესროლა, მოარტყა როსაფს გვამშია.
ოსი ტყეში გადავარდა, ისე გავიდა გზაშია.

როსაფი ამას ამბობდა, თუ რომ კაი ბიჭმა მომკლა,
ნეტავი მაინც მენახე, მიამებოდა თვალშია.
ადუღდა გულის ჯაგარი, როგორც დუღარე ქვაბშია,
რაც რამ ნაშენობა მქონდა, ყველა გამოდის კარშია.
ადეთ, ბიჭებო, ცხენს შემსვით, ეგებ მივიდეთ სახშია.
შუა გზაზე რო მივიდა, სული გაგზავნა ცაშია.
იმისმა ცოლმა სოფიომ ნახა სიზმარი ძნელია:
უკუღმა შეკაზმულიყო საწყლის როსაფის ცხენია,
გარს ხალხი შემოხვეოდა, წინ მოუძღოდა მღვდელია.
მოახლე ეუბნებოდა, სიზმარი არაფელია,
მახარობელი მოვიდა, სახელად ერქვა ბერია,
ყმაწვილო, ამბავს რას მეტყვი?
მისთანა თქვენი მტერია,
საწყლად მოგიკლეს როსაფი, ტყვია მოარტყეს ცხელია.
ატირდა და გამოვარდა, დაედვა ცივი ფერია,
აღარც ეძება ურემი, აღარც ეძება ცხენია,
ქვეითად გადურბენია მისი მინდვრები გძელია,
შეხედა, მოაქვთ როსაფი, დაედვა ცივი ფერია,
სულ იმას გეევედრებოდი, ჭკუა ისწავლე ბრძენია,
ნუ გინდა მყრალი ოსები, მათზე აიღე ხელია,
ნეტავი მაინც ვიცოდე, ვინც არის შენი მკვლელია,
ნეტავი თვალით მაჩვენა, კბილით გამოვკრა ყელია.

61. არსენას ლეძსი

არსენა ბოძალაშვილო, კარგი ბიჭი ხარ, დელია,
წელში წვრილი ხარ, მაღალი, ბეჭებში უფრო სქელია.
ბარათაშვილის გოგოზე აღარ აიღო ხელია.
ბარათამ კაცი გაგზავნა სამი და ოთხი ღვდელია,
არსენა ჩამომეთხოვე, თუ ძმა ხარ საყვარელია,
თვარა ოსებში გაგგზავნი, სადაც რომ კაცის მკვლელია.
აგი შეიტყო არსენამ, ულაშს გადისო ხელია,
შენი არსენა მოგიკვდეს, თუ ეგი არ გიქენია.
ორშაბათ დილა გათენდა, მაგრამ შეიკრა წელია.
ბარათაშვილის ჭიშკარზე ფირცხლავ მიაგდო ცხენია,
ვარდია კარში გამოდი, ამოუკოცნა ყელია,
ერთი წლის სასიარულო საათში გაარბენია,
კიდეც უსვამს, უკამია, ახლა კი დაგვითვერია,
სოველ-სოველი ბაწრები მაჯაში ჩაუკერია,
მოსამართლეს მიუყვანეს, ეს არი კაცის მკვლელია,
ქალაქი რომ ჩეიარეს, ქლიბს დაატანა ხელია,
ასე გახადა ბორკილი, როგორაც ტუტა-მტვერია,
გაუარა მამასახლისს, უტირა თმა და წვერია.

62. ბატონ-ყმობის ლექსი

ლექსი ესე, ბატონ-ყმობის ნაწერია ნასრაძისა.
ბატონ-ყმობა გაიყარა, ბედი ჩვენი რად არ ღირსა!
ბატონი აღარ გვაწუხებს, ბრძანებაა მეუფისა,
სადღეგრძელოს უნდა ვსვამდეთ იმპერატორ ხელმწიფისა.
ბატონ-ყმანი განათვისა, ერთად აღარ შეათვისა.
ახლანდელი ყმაწვილები შექმნლია კვირა დღისა.
საქმე დღეს ვინ მოგვაცლიდა, მსახური ვართ ბატონისა,
დღისით უნდა გვემუშავნა, ღამე არ მოგვკიდებს ძილსა.
ჰქონდათ სტოლი გამართული, სანთელი კართოფილისა,
დალევდენ და დაულევდენ, მოყვებოდენ ძილისპირსა,
ლხინობდენ და ქეიფობდენ, გაიხსნიდენ გულის პირსა,
თავადმა და აზნაურმა ერთად მისცა პირი პირსა,
ჩვენ ჩვენი ყმები გავგლიჯოთ, უნდა ეყოს შვილიშვილსა,
თორემ ჩვენი ბატონ-ყმობა აღარ არის დიდი ხნისა.
ეხლა უნდა ვიმუშავოთ, ღირსი ვიყავთ ამ ყოფისა?!
ვერ ვახერხებთ ხვნას და თესვას, ვერც გავიტანთ ცულის პირსა,
აბა რა ვქნათ, რა ვიფიქროთ, რა დაარჩენს ჩვენს ცოლ-შვილსა?
ანუ ვიფიქრებთ, რაი გვიპირს, ნუ წავიხდენთ ჩვენ ჩვენს პირსა,
მამულის ღალა გვეყოფა, ჯამაგირი ხელმწიფისა.
ყმას და მამულს ვინ წაგვართმევს, ხელს მოვიკიდებთ ხმალზედა,
თავადი და აზნაური ყველა გავდგებით განზედა,
ამისთანა ანგარიში ადამს აქეთ არ მომხდარა,
ღმერთმან ბრძანა, აღასრულა კაცისაგან არ მოხდარა,
ხელმწიფემ გამოაცხადა: ბატონ-ყმობა გაიყარა,
გაიგონა გლეხმა-კაცმა, მისმა გულმა გაიხარა.
შიშისაგან გამოსულან, მხრებში მაშინ აიშალა.
ბატონისა გადამკიდე ქალი ვერვინ მოიყვანა.
ახლა გახშირდა ქორწილი, ვინღა გვთხოვა ერთი ფარა!
მოახლეები გათხოვდენ, ბატონს აღარა აქვს ძალა;
ხელმწიფემ მოგვცა უფლება, ღმერთიც ახლა მოგვეხმარა,
„გლეხი-კაცის სამართალსა თავზე დიდი ქვა ეფარა!“
დიდება ჩვენს მეუფესა, ვფიქრობთ ახლა წამომდგარა.
ყმამ უთხრა მებატონესა: ვერ გაიგე, რაც მომხდარა!“
პირველმა გამოცხადებამ ბატონ-ყმანი აამყრალა,
ბატონი ყმას არ ზოგავდა, თუ რამ ქონდა, შეათალა,
დიდება ჩვენს მეუფესა, ერთად გაგვათანაბარა.

63. არსენას ლეძსი

I

(მესტვირული)

შაირსიტყვითა მესტვირემ ღმერთი მაღალი ახსენა:
„ღმერთმა მოგცეს გამარჯვება, ოძელაშვილო არსენა“!
ქეიფი იმას უყვარდა, გზებზე სუფრის გადაფენა.
შვიდ წელიწადს ტყვეთ იარა, მთა და ბარი შეაჯერა.
რო შეიქნა თექვსმეტის წლის, ულვაშები დაიმშვენა;
შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე, გააკენ-გამოაკენა.
ზაალი ბარათაშვილი ძალიან გაგვინაწყენა:
ბატონს რომ ერთი გოგო ჰყავს, არსენას მოეწონება.
— „გოგო მე მამე, ბატონო, შენ კი არა წაგიხდება“!
რა რომ შინადგან გავიდა, ბარათაშვილს გადემტერა.
— „ეს არსენა რა გაგვიხდა, რა არის მაგისთანაო?
ბიჭო არსენავ, რა მიყავ, ყმა იყავ მაგისთანაო“!
— „მოგიტან თორმეტ თუმანსა, ბოგითელი ჩქარა, ჩქარაო“.
ეს რომ ზაალმა გაიგო, წარბი არ შეიხარაო:
„თორმეტი აღარ მიგდია ბიჭები შენისთანაო“?!
— „აბა თუ თორმეტიცა გყავს, ადექ და მამყევ თანაო“!
ე რო ზაალმა გაიგო, ქოში უკუღმა ჰყარაო;
კარიდან ველარ შეასწრო, ფანჯრიდან გადიპარაო.
მოსტაცა ბატონს მოახლე, ახალციხეს გადუყენა,
ჩითის კაბები გახადა, სხვა ფარჩისა შეუკერა;
იმის ქვემოთ შეიდიში[1] კოპებამდინ დაუმშვენა.
მობრუნდა ჩვენი არსენა ცოლშვილი გაანამტვერა.
ეს რომ გაიგო ზაალმა, ორთავ თვალით შექნა ცრემლა,
დაჯდა ის ჩვენი ზაალი და სტოლზე წიგნი დასწერა,
ქალაქში გამოაცხადა, ღუბერნატორს მოახსენა:
„გამივარდა ერთი ბიჭი, დამაქცია, დამანელა!
ერთი კარგი გოგო მყავდა, წამართო და გადმიყენა;
წამახდინა არსენამა... თუ რამეს მიშველით თქვენა!..
თუ თქვენ იმას ვერ დაიჭერთ, ძნელია ჩემი დარჩენა“.
ათი-თორმეტი ყაზახი გასწევს თრიალეთისკენა.
კოდაზე რომ შემოვიდნენ, წინ იქ დაუხვდათ არსენა:
„დრასტი ზნაკომ, გაგიმარჯოს; კუდა იდიოშ, საითკენა“!
— „ჩვენ შენი ჯავრი არა გვაქ, მივდივართ მარაბდისკენა[2].
ერთი ბიჭი გამოგვეკცა, სახელად ჰქვიან არსენა, —

---

[1] შეიდიში — აბრეშუმის ქსოვილი, ჩვეულებრივ წითელი ფერისა, როპელსაც ქალის შარვლად ხმარობდენ, ქალის შალვარი.

[2] მარაბდა — სოფელია ალგეთის პირად, არსენას სამშობლო.

თუ ვისმე კი გაეგონოს, — გვინდა იმისი დაპერა".
ეს რომ არსენამ გაიგო, ჩაიცინა ნელა-ნელა,
ნაბადი გვერდზე იქცია, თოფი ფეხზე შეაყენა;
ჯერ რომ თოფი დაახალა, მერე ხმალი შეაშველა;
ათი-თორმეტი ყაზახი სულ ცხვარივით გადმოდევნა.
თელეთის ბოლომდინ მიჰყვა, სომხეთში არ გააჩერა.
„ნას კაკოიც" მიაძახა: „თავათ გახლავარ არსენა"?
სულ უკან იხედებოდენ: „ალარ მოგვდევდეს არსენა".
ქალაქში რომ ჩამოვიდნენ, თავის უფროს მოახსენა:
„უზარბაზნოდ არ იქნება თქვენი არსენას დაპერა.
ან არი მდევი, ლომ-გმირი, ან არის რკინის მკენეტელა.
თუ ჩვენგან არ დაიჯერებ, ნეტავი მარტო გაჩვენა!
რომელსაც ხელი მოგეკიდა, ფეხზე ალარ დაგვაყენა.
ექვსა თოფები წაგვართო, სულ მიწებით დაგვიტენა".
ეს რომ ზაალმა გაიგო, ორთავ თვალით შექნა ცრემლა:
„ნეტავი კაცი მაჩვენა იმ არსენას დამპერელა,
ოქრო და ვერცხლი ვაჩუქო, რა ფულები ამოტელა!
ალმასის წყალზე ურიებს აწყევინა ბედის-წერა.
გამოართვა ხახამს[1] ადლი, ოთხს კისერში ჩაადებსა:
თუ კარგ ადათს არ დაიპერთ, გაგწყდომიათ ხენა და თესვა.
ძალით გაჰმევთ ლორის ხორცსა, კეფაზე დაგასხამ წვენსა,
თუ იმას არ დამჯერდები, ქართულათ დაგპარსავ წვერსა,
ჩამოხვიდოდით ქალაქში, ყიდულობდით ფარჩას ჭრელსა,
ჩამოხვიდოდით სოფლებში, ლამაზათა ჰკაზმავთ ცხენსა;
ქვრივსა და საწყალს გვიტყუებთ, ნამეტნავათ პატარძლებსა,
მათი ადლი რომა ნახა, არსენას არ დაუჯდესა,
გატეხა და გადააგდო: „ფუ, გამქედი გაწწყდესა"!
შინდის ჯოხი გამოუჭრა, რომელიც რომ გრძელი თქვესა;
შვიდი მტკავლით გაუზომა: „მისხალი ერ დააკლდება;
თუ ამითი არ გაჰყიდეთ, ვაი დედი თქვენის ღმერთსა!
საცა რომ შემოგეყრები, სუყველას გამოგჭრი ყელსა"!
იმ საწყალმა ურიებმა სულ კანკალი დაიწყესა:
„ჩენ რომ ამითი გავყიდოთ, რაღა დახლი დაგვიჯდესა?
ისევე ჩვენი ფართალი, იმ ჩვენ დუქნებში დალპესა.
არსენა რომ დაიბადა, ჩვენი საქმები წახდება"!
— „საახალუხე მომყიდეთ, იმ თქვენი დედ-მამის მზესა"!
არა ღირდა ორ მანეთათ, ერთ თუმნათ დაუფასესა.
მაშინ ჩვენი არსენაი თითო მუშტებს წაადებსა.
დახედე, საახალუხეს სულ ტყუილათაც წაართმევსა.
კიდევ იმას ეუბნება: „თქვენ ჯიბეში ფული ძევსა;

---

[1] ხახამი — ებრაელთა მღვდელი.

ურიავ, ფულები მამე, ვიცი საგზლათ მამინდესა“.
ი საწყალი ურიები დაეკითხნენ ერთმანეთსა:
„ვაქო ე ფულიც ვაჩუქოთ, ეგებ ცოცხალს გაგვიშვებსა“.
ამოიღეს და გადუგდეს თუთხმეტი თუმნის ოდენა.
ხუ ი თუმანი აიღო, ათი უკან გაადევნა.
„ოღონდ დაგვეხსენ არსენა, გამოვაცხობთ სეფისკვერსა,
ქართულათ დავინათლებით, კარგა დავიპარსავთ წვერსა,
ძალათი ვქამთ ღორის ხორცსა, ზე თავზე დავისხამთ წვენსა“!
გზას სომეხი მიდიოდა, არხეინათ ნელა-ნელა;
არსენა რომ დაინახა, თავქვე ცხენი დააქენა.
წინიდგან წამოუარა: „საით მიბრძანდებით თქვენა?
ეგ ქულაჯა გაიხადეთ, ეს თექა[1] ჩაიცვით თქვენა“.
ის ქულაჯა წამოისხა და ბექები დაიმშვენა.
ცხენი გრილოში დააბა, თავათ იქაც მოისვენა.

II

ბრძანება შემოეთვალათ (თბილისიდან უფროსებსა):
„ერთი კაცი აგრე ჩადის, ათასი რას შეიძლებსა?
ასი ოქრო გაუჩინეთ, ვინც არსენას დაიჭერსა.“
კარახტინები[2] შეუკრეს, ლეკში[3] არსად გადვიდესა.
„თუ რომ ეს ლეკში გადვიდეს, ყაჩაღობას დაიჭერსა.
ყაჩაღობას ვინ დაეძებს, თბილის-ქალაქს წაგვიხდენსა“!
გაუწყრა მაღალი ღმერთი ფარსადან ბოდბის-ხეველსა:
ნათლიმამად მოიკიდა, მაგრამ ის ულალატებსა.
როცა შირაქში დაცხება, თრიალეთს აასხამს ცხვრებსა.
თაფარავანის ტბაზედა წინ არსენა დაუხვდესა:
— „არსენავ, გეთაყვანები, რატომ არ მოდიხარ ჩვენსა“?
— „მიღალატებ, ნათლიმამავ, მიტომ არ მოვდივარ თქვენსა“.
— „არსენას როგორ გიღალატებ, სამის შვილის მომნათვლელსა,
ჩემის მირონის მომღებსა?!“
ძირს დედამიწას აძლევდა და მაღლა ზეცაში ღმერთსა.
მაშინა სთქვა არსენამა: „მირონს როგორ დამიქცევსა“!
მოიტყუილეს არსენა, ტკბილის ღვინით დაათვრესა;
აი ლამაზი ღვინითა, ის არსენა დაგვითვრესა;
შემწვარი და მოხარშული წინ ტაბაკით მიართვესა.
დამთვრალსა და გალოშვილსა ტკბილი ძილი მოუნდესა.
იარაღი აიყარა, ნათლიდედას აბარებსა:
„ხვალ თუ მშვიდობით გათენდა, ადრიანათ დამეირდესა“

[1] თექა — თაქ-ნაბადი, ჩული.

[2] კარანტინი — ადგილი, სადაც გზებს შეკვრენ ხოლმე მგზავრებისა გასაჩხრეკად სენის დროს.

[3] ე. ი. დაღესტანში.

ალუჩი და ბალიში საჩქაროზე მიართვესა,
ზედ ტყავები წააფარეს: „არსენს არ შეგვიციოდესა“.
ამ მამაძაღლს ფარსადანსა გუნებაში რა უძევსა?
შუალამე რომ შეიქნა, თავის ამქარში გასწევსა.
ათი-თორმეტი მეცხვარე თავ-მძინარეს დააწვესა.
არსენამ წამოიწივა, შეეეედრა მეუფესა:
— „ე მამაძაღლის ტიელი, რა ბუზები მასხედს ესა“?
ათსა აგრე წამოუდგა, სულ მუშტით დაამტვრევს ყბებსა,
მეთერთმეტე, მეთორმეტე არსენას გაუკრავდენ ხელსა.
ისე მაგრა გაუპირეს, ფრხილებში სისხლი გასწვეთსა.
„ნათლიმამავ, ნუ მღალატობ, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა:
ათასწილათ სიკვდილი სჯობს იმათ ხელში განსაცდელსა!
მე მღალატობ, ნათლიმამავ, იქ რას ეტყვი მაღლა ღმერთსა?
ჩემს მაგიერ სამართალსა ღვთის-მშობელი გაგიჩენსა.
ნუ მღალატობ, ფარსადანო,' ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა,
ორას თუმანს აქ გაჩუქებ, სამას თუმანს გომარეთსა“.
ფარსადანს ასე ეგონა, ჩინს მომცემენ, ტემლაკებსა.
ეს არსენა ცხენზე შესვეს, ძირს ფეხები გაუკრესა:
ბიეი მარდია არსენა, გზაზედ არსად გადმოხტესა.
წამოიყვანეს ქალაქში, თვალიდგან ღერიდა ცრემლსა.
მთელი ქალაქის ბიეები მტრედის გუნდივით დასდევსა:
იმერლები იძახიან: „კი, კი, კი, კი, სადა თქვესა!.
სომხები გაიძახიან: „ლაეე ბიეი არი ესა!“
ოსები კი იძახოდნენ: „ხორზუ, ხორზუ არის ესა“!
რუსები „ოჩენ ხაროში, ეი ბოლუ მალადეცა!“
ბებრები გაიძახიან: „აბ, ნეტავი დედა შენსა“.
პატარძლები იძახიან: „ნეტავი შენს მეუღლესა!
ნეტავი იმის სოფელსა, ვისაც გადაუხვევ ხელსა“!
მაგარი ბორკილი მიაქვს, თვარა წვრილებს დამტვრევსა.
ჯილის ტოლა თვალები აქვს, მტერი რაღას დააკლებსა.
მოუბრუნდება არსენა, კამბეჩივით შეუბღვერსა:
— „რას მიპირობ, ნათლი-მამავ, თუ წაუველ ამათ ხელსა?
თრიალეთში ცხვარ გაგიწყობ, მინდორში დ:გიწვავ ძნებსა,
მირონსაც აღარ დავეძებ, ღორივით გამოგვრი ყელსა.“
იმ უფროსის კარებზედა არსენა მიიყვანესა.
უფროსი გამობრძანდება, ბალკომიდამ გადმოსცქერსა.
ფარსადანს გაუჯავრდება, თავსა და პირს დაამტვრევსა:
„შე წუწკო და მამაძაღლო, რათ იქერდი ე მაგ ტყვესა?
ერთი გავარდნილი კაცი ტყეში ეფარება ხესა“!
არაფერი არ აჩუქეს ფარსადანს იმის დამქერსა.
ფარსადანს ასე ეგონა „ჯამაგირსაც გამიჩენსა!.
იმტელი მამა უცხონდა, რამტელიც იმას მისცესა,

ერთი ოთხიოდ პანლური ამოჰკრეს და გააგდესა.
უფროსმა ნახა არსენა, ძალიან შეიბრალაო:
„რა კარგი ვაჟ-კაცი იყო, ზეზეურ ჩამომხმარაო?
რაც შენი ამბავი მომდის, რათა ჰქენ, ჩემო არსენა“?
— „მე არც ერთი არ მიქნია, სულ ტყუილი მოგეხსენა:
მართალია, გავარდნილი დავდიოდი მშიერ ველა,
მაგრამ მდიდარს თუ ვართმევდი, მიყვარდა ღარიბის ჭმევა,
დანაშაული ესა მაქეს, ნება თქვენი ასრულდესა“.
არსენს ხელები შეუხსნეს, ფეხში ბორკილი მისცესა,
იმ ნარიყალა ციხეში[1] ის არსენა შეაგდესა,
შვიდი კვირა და შვიდი დღე იმ ციხეში ამყოფესა;
საციმბიროთ გაამწესეს, ცალი წვერი მოჰარსესა.
მაშინა თქვა არსენამა: „ვაი დედი ჩემის ღმერთსა!
მე რომ ამ ციხეში მოვკვდე, ბიჭობას ვინ დამიგდებსა“?
იმ აფიცრებს შეეხვეწა: „იმ თქვენი დედმამის მზესა,
აბანოში ნაჩვევი ვარ, ტანზე ჭუჭყი მაწუხებსა;
წამიყვანეთ აბანოში, ყარაულები მისდევსა,
ერთი საწყალი მანათი არსენს ჯიბეში უდევსა,
ამოიღებს, გადაუგდებს მიკიტანს და სირაჯებსა:
— „ამის ოტკა ჩამოასხით, მისვით მშიერ სალდათებსა“.
დახედე, ის მიკიტნები მეგობრათაც გაუჩნდესა;
სირაჯმა და მიკიტანმა თვალი უყვეს ერთმანეთსა:
სალდათებს ოტკა ჰგონიათ ჩუმათ რომი ჩაუსხესა.
ისე დათვრენ სალდათები, ვერა სცნობენ ერთმანეთსა.
აბანოს კარზე მივიდა, შევიდა და შეაღებსა,
უკან მიკიტანი მისდევს, ჯიბე'ში ქლიბს ჩაუგდებსა.
მაშინა სთქვა არსენამა: „ჰა დიდება მოწყალესა!
ჩემი საქმე არის ესა!“
აუზებთან რომ მივიდა, აიწევსა და გადახტესა.
მიდგა ეს ჩვენი არსენა, ბორკილს ხეხვას დაუწყებსა,
ყარაულებსა ჰგონიათ: „აგურით იხეს ფეხებსა“.
აქეთ-იქით შემოხეხა გადასწევსა დაამტვრევსა,
ფეშტამლები[2] დაახვია, რაკლა-რუკლს არ დაიწყებსა.
გატეხა და გადმოაგდო: „ფუ, გამჭედი გაგიქრესა“!
ამ ხანად მოდის უფროსი, აბანოში შევიდესა,
აიყარა ის შინელი, მაღლა ბალკონზედ დადებსა;
გამოვა ჩვენი არსენა, შინელ გაუგდებდა მხრებსა:

---

[1] ნარიყალას ციხე თფილისშია, სოლოლაკის თავს, ეგრეთწოდებული ბიტანიკური ბალისაკენ.

[2] წინსაფარი, არდაგი.

„ვნახო როგორ მარგებს ესა?“
რუსულ ჩექმებს ჩაიცვამდა, რუსულ შლაპკას დაიდებსა,
კარებში რომ გამოვიდა წინ დოინჯსაც გაიგდებსა;
შემოხედა ყარაულებს: „ხაბარდა და სტარანეცა!“
სუყველა ყარაულებმა, სუყველამ გზა დაუგდესა.
იმათ ბატონი ეგონათ, ეს არსენა გამოძვრესა.
პატარა გამოიარა, თან სიცილი აუტყდესა.
მეიდანზე გამოვიდა, მოაძახა მედროშკესა:
„ფიცხლავე დროშკა მომგვარე, თორე? ცხენებს დავკრი ყელსა!“
რომელიც კარგი დროშკაა, იმ არსენას მიართვესა.
დაუჯდა ბიჭი არსენა, გაუდგა დამოენის ვზებსა.

III

კუმისის მთაზე გადადგა, — ბიჭი მოუძღვის სიდედრსა.
არსენამ რომ დაინახა, თქვა: „დიდება მოწყალესა,
ჩემი საქმე არის ესა!“ თავდაბლა მოახსენებსა:
„თუ უკაცრავად არ ვიყო, დედი, ჩამობრძანდი ცხენსა!
მე ტყვე ვარ გამოპარული, არც მე მატკენს ეგ ფეხებსა.“
დახედე, იმისი სიძე ხანჯალზე დაიდებს ხელსა:
გასწი იქით, გამეცალე, როგორ მოგცემ ამ ჩემ ცხენსა?
ხემწიფის გზაზე მიხვდები, — ეს კაცი არ გაგიყდესა!“
მაშინ ჩვენი არსენაი კამბეჩივით შეუბლვერსა;
„მოგიბრუნდები, შემოგკრავ, მუშტით დაგამტვრევ ყბებსა“.
რაღა ბევრი მოგახსენო, ხელითა სცეს ერთმანეთსა,
არსენა ლონიერია, იმ ბიჭს ქვეშ წამოიგდებსა;
ორი მუშტი რომ შემოჰკრა, ყალფუზივით[1] დააბნევსა,
დედაკაცი ეხვეწება: „ნუ მომიკლავ ჩემ სიძესა,
მაგ ჩემ გამამცხვარ ნაზუქებს ღმერთი ტკბილათ შეგარგებსა.
ცხენიც იმას დაულოცა, ზე ხურჯინებს გაატნებსა.
— „დედავ, დედავ-შვილობასა, შენ ნუ დამიწყევლი გზებსა.“
ის დედაკაცი ლოცავდა: „ღმერთმა მშვიდობა მოგცესა,
სადაც წაბძანდ-წამობძანდე, არსენა, გაგიმარჯვდესა!
მაძღარს ართმევ, მშიერს აძლევ, ღმერთი როდი წაგახდენსა!“
პატარაზე გაიარა, ხურჯინს ჩხრეკას დაუწყებსა:
ცალ ხურჯინში ტიკპორაა, ცხრა ნაზუქი თავსა ძევსა;
ცალგნით ორი ქათამია, ინდოური თავსა ძევსა.
დაჯდა ეს ჩვენი არსენა, ლამაზათ ქეიფსა სწევსა.
ერთი სომხითელი ბიჭი ქალაქისკენ გამოსწევსა,
ორი მანეთი ეჩუქა, ორ სიტყვას დააბარებსა:
„ესე უთხარი ქალაქში მიკიტნებს და სირაჯებსა:

---

[1] ყალფუზი — სახამთრო.

არსენა რომ დაიჭირეს, ქვეით მოდიოდა დღესა.
მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, — ღმერთი როგორ წაახდენსა?
სადაც თათარს დაინახავს „ბურ და ვალას“ აძახებსა;
სადაც ტიტველასა ნახავს, თავის პერანგს ჩააცმევსა.
ორ კვირაზე იმ ბებერსა ისევ გაუგზავნის ცხენსა.
ერთი თუმანი აჩუქა, რაც რომ ნალი გაუცვდესა.
ბებერიც ამას უთვლიდა; „ღმერთმა მშვიდობა მოგცესა“!.
სამადლოს დუქანზე მივა, ფილიპეს ცხენს წაართმევსა:
თუ უკაცრავათ არ ვიყო, მაგ ცხენზე აიღებ ხელსა:
მე ტყვე ვარ გამოპარული და ქვები ფეხებს მატკენსა!
მეჯინიბეს ეუბნება; „უნაგირი სადა ძევსა?“
— „უნაგირი და ლაგამი ორთავე თავით უძევსა.
ცხრა მოსართავს თუ მოუპერ, თორემ ოთხ-ხუთ გაგიგლეჯსა,
ლიტრა[1] აღვირს თუ ამოსდებ, თორემ თავსა წაგართმევსა.
— „ბიჭი არსენა მოგიკვდეს, თუ ცხენი გადმომაგდებსა“!
გადაჯდა და გამოსწია, გადმოუდგება მინდვრებსა.
ყაზახში რომ გადავიდა, ემსახურა თათრის ბეგსა:
იქიდგანაც წამოვიდა და სოფლითში გამოსწევსა.
ორი თვის გამოსავალი გამოირბინა ორ დღესა.
იქ ჩავიდა ქიზიყშია, ნათლი-მამას მიაგნებსა.
ბოდბის -ხევში რომ შევიდა, სულ კარები ჩაკეტესა.
ის ფარსადანმა შეიტყო, იმისთანა თქვენსა მტერსა.
მეტის-მეტის ჯავრისაგან ადგილზე ვეღარ დადგესა.
ძმებსა კაცი გაუგზავნა: „არსენა არ მამარჩენსა“.
მაშინ ფარსადანის ძმები არსენას გადასდებს ხელსა:
„გვაპატიე ფარსადანი, რაც რომ უნდა გაგვიხდესა“,
— „ვიდრემ ფარსადანს არ მოვკლავ, გული როდი გამიძლებსა“.
მაშინ ფარსადანის ძმებმა ოსტატობა იხმარესა.
ერთ უადგილო ალაგას დიდი ორმო ამოსჭრესა;
ის საწყალი ფარსადანი შიგ ორმოში ჩაგდესა.
ზედ ფიცრები წააფარეს და მიწა დააყარესა:
„ვიცი, არსენამ მოგასწრო, ცოცხალს როდი გაგიშვებსა“!
ორი დღე უყარაულა, თვალს კი ვერსად მოასწრებსა,
მესამე დილა გათენდა, მაშინ პირჯვარს დაიწერსა:
„თუთხმეტ წელს ყაჩაღათა ვარ, კაცის ცოდვა არა მძევსა,
ეხლა მოვკლა ნათლიმამა, ბოლოს სული წამიწყდება!
გამობრძანდი, ნათლიდედავ! ხელში მოჰკიდებდა ხელსა:
„გამოუში ფარსადანი, არას ვერჩი არაფერსა;
ვაპატიებ ნათლიმამას, ჯერ მირონს და ბერე ღმერთსა,
ფარსადან მაინც არ მოვკლავ, თუ გინდა რომ წინ დამიხვდესა“!

---

[1] ლიტრა — ცხრა გირვანქიანი.

ღვთაებობის მადლი გწყალობთ, მარტყოფის თავში სვენია;
იქ იყო მისი დღეობა, თითონაც გიახელია.
სუმბათოვიც იქ მობძანდა, ის ჩვენი ქალაქელია.
სუმბათოვსა და მაკაროვს თან შეეკაზმა ცხენია;
კნეინებიც იქა ჰყვანდათ, ზედ გადეხვიათ ხელია.
როცა წირვა გამოვიდა, — იმისი მადლი შენია, —
რო დაინახა არსენამ, -პირჯვარი დაუწერია;
იმ სუმბათოვს ეუბნება: „ა, გამარჯვება შენია,
ქალაქში რო შარს მიგდებდი, ახლა ხო მოგასწერია!
მაგ შენს აპელატებზედა შენით აიღე ხელია!
კნეინა ეუბნებოდა: „შენი ჭირიმე, შენია!“
თვარემ ეგ არსენა არის, ვიცი გამოგჭრა ყელია:
სუყველა ოხრად დაგრჩება დროშკა და შენი ცხენია.
მე ხომ არსენა წამიყვანს, შენ დარჩი ცარიელია“.
შინლიანებ გარდმოუგდო აპელატები სქელია.
წამოიფინა არსენამ, გამორბის როგორც მშველია.
მაკაროვს თავის ხმალზედა ააღებინა ხელია!

IV

ორ კვირა თონეთში იყო, ქეიფებსაც ბევრსა სწევსა,
გამვლელსა და გამომვლელსა სუყველას ღვინოს ასმევსა.
მეორე კვირა გათავდა, ქალაქისკენ გამოსწევსა.
მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდივითა სდევსა.
ღმერთს უშველია არსენა ამიერით განსაცდელსა.
საცა მივა მიკიტნებთან, ყველა დაუქნევენ ხელსა.
ამოიღებს იმ ფულებსა, ტოლ-ამხანაგებს აძლევსა:
„შესანდობელი დალიეთ, როცა არსენა მოკვდება“.
რაც იმას საქმე ეამბა, იმისთანა თქვენსა მტერსა:
— „ვნახე წუხელი სიზმარში, სისხლში ვიღებავდი წვერსა:
წრეულ მე ხომ არ მოვრჩები, რაც რომ უნდა გადაწყდესა.
ან თათარი მიღალატებს, ქართველი არ მომარჩენსა.
ვერ დავესწრები აღდგომას, ვერ დავიჭერ წითელ კვერცხსა,
თუ ძალათ არავინ მომკლა, ნებით გამოვიჭრი ყელსა“.
— რას ამბობს ბიჭი არსენა! როდი ემეტება ღმერთსა!
თუთხმეტ წელს ყაჩაღათ დადის, კაცის ცოდვა არ აძევსა.
სადაც ტიტველასა ნახავს, ჩოხას იხდის და აცმევსა.
მაშინ ი ჩვენი არსენა ზემო ქართლისკენ გასწევსა.
დიღმის სწორა რომ გავიდა, მიკიტნებმა დაათვრესა.
კი ბევრი დაალევინეს, ტიკში ბევრი ჩაუსხესა,
მცხეთის პირდაპირ მივიდა, მუხათ-ფერდში ქეიფს სწევსა.

ის რომ პურის ჭამათ დაჯდა ცხენს ბალახზე გაუშვებსა.
იმ გიორგი კუჭატნელსა გამჩენელი გაუწყრესა.
წამოსულა კახეთიდან, იმერეთში გამოსწევსა.
„გამარჯვება“, „გაგიმარჯოს“, სალამათ ხომ ეს იყვესა.
„გიორგი, ღვინო მიირთვი, იმ შენი დედ-ძმის მზესა“.
გიორგი შემოაგინებს დედისა და მამის ყელსა.
„ვა შე, საწყალო არსენა, რათა ხარ ჭკუა თხელია?
მე დღეს ღვინოს როგორ დავლევ — წითელი პარასკევია.
თუ ეგრე ღვინო მინდოდეს, ჯიბეში ფული ბევრია!
ეს რომ არსენამ შეიტყო, მუხლზე დაიკრა ხელია:
„კაცად როდიღა ჩამაგდო, რაღა ბიჭობა ჩემია.
ბიჭი არსენა მოგიკვდეს, ვერ შეგიცვალო ფერია!“
გაჯავრებული არსენა პირიდამა ჭყრიდა ცეცხლსა.
წამოვიდა ის არსენა, იმ გიორგის დაუხვდესა.
„გიორგი, საით მიდიხარ? არსენა არ გაგიშვებსა.
ან უნდა მამცე ფულები, ან შენი ცხენი დამრჩესა“.
გიორგიც ეუბნებოდა:
„ნუ გგონივარ ზოგ-ზოგები შენ რო მოჭიდებდი ხელსა.
ლეკის პირდაპირ ვიყავი, ოცი ტყვია მოჰარტყესა.
ორმოცი ტყვია მომარტყეს, ვერაფერი დამაკლესა!“
მაშინ გაჯავრდა არსენა, ხმალზედ მოისვამდა ხელა.
პირით რომ ვერ გამეტა, ყურით გადაუკრა ცხენსა.
ხმალი ვადაში გადუტყდა, ის ცარიელი დარჩესა.
მაშინა თქვა არსენამა: „დღეს მზე დაბნელდა ჩემია!
ვაბ, როგორ დროს მიღალატე, გაგიწყრეს გამშვედელია.“
შემოუქნივა გიორგიმ, ძოსპრა მარჯვენა ხელია!
დაღონებული არსენა ცხენიდამ გადმოვარდესა.
ცაცია ხელით ხანჯალსა არსენა მოისვამს ხელსა.
ცოტა კიდეც მიაწვდენდა ბარძაყზედაც ხანჯლის წვერსა,
ცალი ყური ჩამოთალა, ლოყაზედაც მიჰყოფს ხელსა:
„ვერ გაგიშეტე, გიორგი, ვაი დედი ჩემის ღმერთსა!“
ერთი ლეკის ბიჭი ჭყვანდა, იმ გიორგი კუჭატნელსა,
ბეჭებში ტამბაჩა დასცა, პირში ბოლი გავარდესა.
დაღონებული არსენა აიწევსა და ვერ ადგესა:
— „რახან მოკალი, გიორგი, სიტყვა მაინც დამცალდესა:
ჩემი შვიდასი თუმანი, კასპში ერთ დიდს კლდეში დევსა.
ღარიბსა, არას მქონებსა, მეეცეს და მოხმარდესა“.
ამ სიტყვას რომ გაათავებს, არსენა ძირს დაეცესა.
მცხეთელებმა რომ გაიგეს, თვალიდგან ცრემლი ჭყარესა.
ზოგი წყალში გამოვიდა, ზოგი ხიდზე მოირბენსა.

ოძელაშვილი არსენა ზედ ბორანზე დაუდვესა.
გაიყვანეს მცხეთაშია და ანდერძი აუგესა.
მარმარილოს ქვა დასწერეს, დასწერეს და დაადვესა:
„აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა!“

ᲮᲐᲛᲐᲠᲯᲘᲨᲘ ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲢᲔ

1. რომელ ხანაში და საქართველოს რომელ ნაწილშია შეთხზული „არსენას ლექსი“? რითი აიხსნება მისი გავრცელება მთელ საქართველოში?

2. რომელი წოდების დასაცავად არის შეთხზული არსენას ლექსი? რომელი წოდებების წარმომადგენლებს ებრძვის არსენა? როგორ აფასებს ხალხი არსენას ბრძოლას? ვის მხარეზეა ამ ბრძოლაში მთავრობა?

3. არსენას ნამოქმედარის გათვალისწინებით ჩამოთვალეთ მისი ხასიათის თვისებები.

4. როგორი ხასიათი აქვს არსენას ბრძოლას — პიროვნული თუ კოლექტიური? რა არის ამის მიზეზი? როგორი ხასიათის ბრძოლას აწარმოებს კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარიატი — პიროვნულს თუ კოლექტიურს?

5. თემები რეფერატებისათვის: 1) წოდებათა ბრძოლა ბატონყმობის დროს; 2) ხალხური შემოქმედება, როგორც კლასობრივი ბრძოლის იარაღი (მასალა: ყველა აქ მოყვანილი ნიმუში).

ᲮᲐᲛᲚᲒᲓᲔᲚᲝᲔᲑᲐ

1

ჰერემში ერთი მღვდელია,
ციკანს მიუკავს წვერია,
ის ხომ იმას არ კითხულობს,
რაც რომ ქაღალდში სწერია,
დარდი და გლოვა დაუდგეს,
გასთხელებოდეს წვერია.
ღმერთო, შენ ამოუწყვიტე
მინდორში ლურჯა ცხენია!

2

მამაძალლი ჩვენი მღვდელი
ფინთად აცმაცუნებს წვერსა,
სადაც ტაბლას დაინახავს,
იქით მიაჭენებს ცხენსა.
ხორაგს ხურჯინში ჩააწყობს,
ქოთანში ჩაასხამს წვენსა,
დასწერავს ფარშივ ქაღალდსა,
აღარ მოაწერავს ხელსა.
ეს რომ ვანუამ გაიგო,
ჯავრით ელდა გაუჩდესა.

— შენ ვანუავ, რათა დარდობ?
იმ მღვდელს კიდევ ნახავ ჩვენსა.
ცხენი კარებზე დაბა,
შიშით ვერ აკმევს ქერსა.
დიაკვანი უკან ძოსდევს,
შორიდანვე ჰკარგავს ფერსა.
— თუ ეგ საქმე გაფალშივდეს,
ჩემს ქალს მოგცემ დანარჩენსა,
წადი, ამბავი წაულე,
მამასა და დედაშენსა!
ჩვენი ტერტერა მობრძანდეს,
ცხენსა ქერი დავუყაროთ,
„პოლსაპოჩკები“ გავხადოთ,
ალაგობრივ შევუნახოთ,
ჯერ კარგა ღვინით დავათროთ,
მერე გარეთ გავატაროთ,
ჩვენი ტერტერა რომ მოკვდეს,
ცხარე ცრემლები დავღვაროთ.
შაბათ დილით ადრე მოკვდეს,
კვირა დილით მივაბაროთ,
სუ ჩვენმა მრევლმა ვიტიროთ,
ქართველი არ მივაკაროთ!
— ფოფოდია, ნუ იტირებ,
მღვდელი კარგა დაგვიმარხეთ,
თუ ის კიდევ ზეზე ადგეს,
გარე ჯვარი დაგვიბარეთ.
ყარაული დაგვაყენეთ,
ეკლესიას მივაბარეთ,
სუ ჩვენმა მრევლმა ვიტირეთ,
ქართველი არ მივაკარეთ!

3

ამოწყვეტა ვის მიეცეს?
— დიაკვანს და მღვდელსაო!...
ჯერ პირნახული წამართვა,
მერე აგროვებს ბზესაო.
— გებრალებოდეს ღარიბი,
ღვდელო, რათ ართმევ ბევრსაო?
— მდიდარი კაცი მიჩივლებს,
დამაგლიჯავენ წვერსაო,
მაგ ბენი სილარიბითა,
ვერსად გაიგებ გზებსაო,
თუ წმინდა პურს არ ამირწყავს,

რად დაგჯერდები ქერსაო?!
დიაკვანს ძალზედ უწყრება,
აგინებს მამის სულსაო;
— შენ წილი აღარ გერგება,
რომ არ იკიდებ ბევრსაო.

4

გურიანთელი ქალი ვარ,
სახელათ მქვიან მარინე.
ხუცესმა მითხრა —„გაკოცებ“,
ვარი უთხარი, ვარი მე.

5

ციება შემომეჩვია
აღარა მაქ კლავში ძალა,
მღვდელი მალ-მალე კითხულობს:
„ის ბიკი ხომ არ მომკვდარა?“
მეკი თავი დამანება,
მღვდელი კი თან გადიტანა,
იმისმა ლამაზმა ცოლმა,
მე მეღვინეთ წამიყვანა.
ზურგიელი და სალათი
ყველამ ჩემ წინ მოიტანა.

6

მღვდელს დიაკვნად მიეებარე
ვერ მასწავლა ანა-ბანა,
ამ პატარა ჩემმა სტვირმა
მთა და ბარი დამატარა.
ოხრად დამრჩეს ციებაი,
მკათათვეში შემეყარა;
სასიკვდილოდ გამიმეტა,
ჩვენი მღვდელი გაახარა.
ეს ჩვენი ბღვდელი კაკანა,
თავქვე ჩამორბის ჩქარჩქარა,
ეკითხება ქალებსა,
მესტვირე ხომ არ მომკვდარა?
მე კი ღერთმა დამიფარა,
საწყალი კი გარდიცვალა.

7

ოსიაური მღვდელიო
ჭკუაზე არის თხელიო,
თვითონ გორისკენ გაგზავნეს,
სახლზე აიღო ხელიო,
კომუნისტებს ეხვეწება:

„მეც მოგიწერო ხელიო!...
თუ რამე საქმეში შევცდე—
დამადეთ მაკრატელიო!...
მე ხო თმას აღარ დავეძებ,—
ნუ დამიკარგეთ მრეველიო.

9

ხუცესო და ხუთმუცელო,
ხუთი დოქის გამომცლელო.
ხუცესო, შენი საწესო
გუ[illegible]ბე სენივით მაწევსო.

10

ბერო, გაუშვი ბერობა,
სხვა დაიპირე ხელობა.

11

ხუცესმა უთხრა ხუცესა:
აღაპი არის რუსეთსა:
— კი არ მეშორებაო,
მაგრამ მეპორებაო.

12

დიაკონო, დიაკონო!
აარიგე, მოარიგე,
ფაშვი გლეხებს დაურიგე,
სხვა ხურჯინში ჩაარიგე.

13

დეითხოვე ეს ხუცესი,
ჩვენსა ნუ დაიარება,
აღარ გვინდა მისი წირვა,
აღარც მისი ზიარება.
ჩვენ რომ წირვაზე გვგონია,
ქალებში დაიარება.

64. მღვდელი და მაცხოვარი

მრეველიდან დაბრუნებულ მღვდელს სახლისაკენ ჯორით ბევრი საკურთხი მიჰქონდა. გზაში მაცხოვარი აემგზავრა, რომელსაც აბგით სამი პურის მეტი არა გააჩნდა რა. ბევრი სიარულის შემდეგ, ორთავემ გზაში ერთ ადგილს დაისვენეს. მაცხოვარს მიეძინა. მღვდელმა ამასობაში გახსნა აბგა და მაცხოვარს ერთი პური მოჰპარა. გაიგო, რასაკვირველია, მაცხოვარმა მღვდლის მოქმედება, მაგრამ მღვდელს არაფერი უთხრა და ისევ შშვიდობიანად განაგრძეს გზა. რადგან მაცხოვარმა წამლობა იცოდა, ბევრჯან შეყავდათ სოფელში ავადმყოფების სანახავად. იგი ხშირად სჭრიდა ავადმყოფს და თავისი ღვთიური ძალით არჩენდა—სრულიად უსასყიდლოდ. მღვდელი ვერ ითმენდა და ხშირად ჩუმად ართმევდა სოფლელებს ფულს.

ერთხელ იესო ქრისტეზე უბრალო წამლობის ნაყურები და მით გათამამებული, თვითონ წავიდა ავადმყოფის მოსარჩენად. მან იესოს ჩვეულებისამებრ გაჭრა, მაგრამ დახეთ უბედურებას, კინაღამ ავადმყოფს სული გააფრთხობინა. ჭირისუფლებმა ბღვდელს მოკვლა დაუპირეს; შეშინებულმა მღვდელმა საშველად ისევ მაცხოვარს მიმართა, რათა მოსალოდნელი ხიფათისგან გადაერჩინა.

მაცხოვარმა ალერსიანად მიუგო: დიდი სიამოვნებით დაგეხმარები, თუ მეტყვი, ჩემი ერთი პური ვინ მოიპარა.

მღვდელი ეფიცებოდა—არა ვიცი რაო. მაცხოვარი მაინც წაჰყვა, ავადმყოფი მოურჩინა, დაიხსნა მღვდელი უბედურებისაგან.

განვლო ხანმა, ერთხელ მღვდელი და მაცხოვარი მიადგნენ ერთ დიდ მდინარეს. მაცხოვარი ვითარცა ღმერთმა, ფეხდაუსველებლივ გავიდა წყალზე; გათამამებული მღვდელი უკან დაედევნა, მაგრამ წყალმა ვერ დაიკავა და ხუცესმა ხრჩობა იწყო. გაჭირვებაში მყოფი მღვდელი წინანდებურად მაცხოვარს შეეხვეწა—ამომიყვანეო. მან კიდევ უთხრა: თუ მეტყვი, ვინ მოიპარა ჩემი პური, ამოგიყვანო. მღვდელი ისევ უარზე იყო. მაცხოვარმა აქაც ამოიყვანა და მღვდელი დახრჩობას გადაარჩინა.

წავიდნენ ისევ სოფელში საეკლესიოდ. თუმც მაცხოვარი უარს ამბობდა ავადმყოფებისგან სასყიდლის მიღებაზე, მაგრამ მღვდელმა მაინც ფული ბლომად შეაგროვა. ბოლოს მაცხოვარმა უთხრა მღვდელს, ხომ მე ვარჩენდი ავადმყოფებს. მოიტა ეგ ფულები და თანასწორად გავიყოთო. მღვდელი დათანხმდა. მაცხოვარმა გაანაწილა ფულები სამ წილად. მღვდელს გაუკვირდა და უთხრა—ეს მესამე ნაწილი ვიღასიაო. მაცხოვარმა უპასუხა: ეს ერთი ნაწილი ხომ მე, ეს მეორე შენ და ეს მესამე ვინც ჩემი პური მოიპარა იმასო. ჰო, კარგი, კარგიო, წაილუღლუღა გახარებულმა მღვდელმა და ფულის მესამე ნაწილიც თავისაკენ მიიხვეტა. მაშინ მაცხოვარმა თავისი ნაწილიც მას მიუტოვა და სთქვა: „არ გაძღა შენი მუცელიო“.

65. თბილისელებზე, ბამბასახლისზე, 1905 წლის რევოლუციაზე

რუსთ ხელმწიფე და ხონთქარი
ორივე თავადებია:
მოვლენ, დაგვწვავენ, დაგვდაგენ,
იოლად მოგვედებიან.

ბიას ჩადგა „ზეკუცია“,
პრიჰტავი და პომპოლიკი,
ხალხის ცემა ძიელ იყო,
მათრახების ტონტორიკი.

რეაქცია

თავისუფლად მოვდიოდი,
ვიღაც მეცა, წამაქცია,
შეეკითხე, ვინა ხარო,
მიპასუხა: „რეაქცია“.
ჟანგიანი ხმალი ჰქონდა,
მიცხუნა და წამაქცია.
გავიხედე ჩემს ეზოში,
სულ დამწვა და დამაქცია.

„პრაპაგანდები“ ბომთხოვა,
ყბაში მკრა, არც კი აცია,
ბორკილები შემიყარა
არხანგელსკში გამაქცია.
ბაკუნია ცარიცაო,
შენი ტახტი წაიქცაო,
აღარა გყავს შენი მეფე,
ჯანდაბაში გაიქცაო.

66. მამასახლისებზე

ახალმა მამასახლისმა
ეხლავ აკვავსო ვალითა,
რა წამს ეს ვალი მოვიდა,
ქალალდი წერა კალმითა.
კანცელარიაში დასხდენ,
ფული შეკამეს მალვითა,
მდიდარ კაცს ვერას რჩებიან,
ღარიბს ართმევენ ძალითა.
მთავრობას გამოვუცხადებთ:
„ეხლავ აგვავსო ვალითა“!
ეს რო ხელმწიფემ გაიგოს,
წერეს ჩამოჰპარსავს დანითა,
იმათ ციმბირში გაგზავნის
სამ-სამი წლობის ვადითა.
მამასახლისის მუშასა
შიმშილით არა უშავს რა!
ეს ჩვენი მამასახლისი,
გონებით არის სრულია,
სოფელში არ დააყენა
მეწვრილმანე და ურია,
ბეგრები შემოგვაწერა,
სამჯერ წაიღო ფულია.
სუდია — მამასახლისი
მოგვიხტებიან კარზედა,
შენმა მზემ, იმათ შიშითა
ვერ გამოვსულვარ ბანზედა.
„თუ შენ არ იკი კანონი,
მე დაგაყენებ გზაზედა.
აგკიდებ დიდრონ კოკებსა,
ეხლავ გაგზავნი წყალზედა.
პავლია მამასახლისი
მაღალია ხესავითა,
ბოქაული დაიბარებს,
მაშინ წავა თხლესავითა,
ულეაშებსა რომ აწიწკნის,
ფულს შეიტანს ბზესავითა.

მღებრიშვილი ტიტიკო ვიყავ, ზაქარიასძეო.
ოცი წლისა რომ შეეიქენ სალდათად წაველ მეო.
ერთობის ხმა შემომესმა, რაზმი შევყარეო,
თავადი და აზნაური დავაწიოკეო,
მათი ცოლი და შვილი ღორებს ვადევნეო.

ძმობას, ერთობას, საყვარელს
ტახტი დავუდგათ ქებული,
ძირს ჩამოვაგდოთ ნიკოლოზ
ჩვენს ზურგზე გასუქებული.

ათასი შვილი რო მყავდეს
არ დავარქმევ ნიკოლოზს,
ღმერთმა მუშებს გაუმარჯოს!
მთავრობამ ძირს იგოროს!

ათასი შვილი რო მყავდეს,
არ დავარქმევ ალექსისა,[1]
სალდათები ჩვენია,
არც ერთი თოფს არ მესვრისა.

---

[1] ალექსი ერქვა ნიკოლოზ მეფის ვაჟს — ტახტის მემკვიდრეს.

67. ხალდათის დანაბარები

ხალდათად ჩამამიყვანეს, ნიჩაო, არაფერია!
რუსეთსაც იტყვის ლექსებსა, კაც თუ კი გამომთქმელია.
გავიდა გრანიცაზედა ნახშირაულის ფერია.
ხუთ სატენიან ბერდენკა, გილდი კაზიონ ბევრია.
იაპონიის სამძღვარი საყარაულო ჩვენია.
რა ცუდად ვიყავ ავადა! ეხლა კი გამოვძვერია.
არ მოკვდა არხოტიონი, დარჩა იქვავ მთელია.
თორმეტი მყვანდა დოხტური, დაიდვეს სინის ფერია,
თან მოხყვებოდეს ფერშლები ზოგ ახალ, ზოგი ძველია.
კოიკას მიკრავ დოსკაი, ზედ გვარ აწერავ ჩემია,
ბოლოზედ ლისტი ფურცელი, ნუმერ ასხავის ჭრელია.
შინ უნდა წერილ გავგზანო, არვინ არს წამამსვლელია.
„ვერაით წახოლ, ქალალდო, ზღვაი გაქვ გასასვლელია,
კანვერტში უნდა ჩაგადგა, მარკა დაგაკრა ჭრელია.
სწორად უამბე ყველასა დაბარებული ჩემია.

—

უთურგათ დავითს უთხარით: ნიკაპ დაგეწვა მტყელია,
სასიკვდილო რო მიქნიე, კაცო, კაცი ხარ ბერია.
ჩვენით რო ხმალი წაიღე, გან — თუ — რად იყო შენია?
გაყიდეთ, ჩაბაკაურნო, არ შაგიხდებისთ გძელია, —
წელთ კი ვერავინ შაიბომთ, ნახშირაულის ფერია,
ტანში კარგად ას ნაქნარი, ვადა ვერცხლით აქვ ჭრელია.
ვაი თუ ვერვინ უმხედრეთ, არ მიგიწვდებისო ხელია,
იცის მტრისაკენ ზიდილი, იყო ძალიან მჭრელია.

—

ჩემს ძმას ბაბუას უთხარით; „კარგა გაკვებე ცხენია!
კარგა მიყურე ხანჯარსა, ეჯანგებოდა წვერია.
სიზმარში სამჯერ გამიტყდა, შიშით მწყდებოდა წელია.
დაჩვეულია, ვერ გაზძლებს; თუ არ გამოზდის პერია.
იქავ მაუვას პატრონი, მალ-მალ მაისვას ხელია.
სრუ გამოვწმიდენ ჯალაფნი, არ გაუწირე მტვერია.
სხვა კი არას — ვინ ამბობდა, — ჯავრობდა მამას — ჩემია.

68. ოდისაი და ცდისაი

ლექსებ თუ გინდათ, მოხკითხეთ ძუგარას მშავლის შვილსაო.
უნდა მოგბეჭდო ლექსები ომისაი და ცდისაო.
პოლიცელების ამბავი, პრიკაზი მოგვიდისაო,

ქალალდით შეგვატყობინეს ამბავი რუსეთისაო.
შიგ დაგვიწერეს: „გვიქერაე მიჯნაი გერმანისაო.
სრუ აიქ გადაგვაყენეს ჯარები ხევსურისაო.
დღეს კი ისრეე ორთ ცოცხლები, ხვალისა არ ვიცითაო.
ომ მაგვიხდების აგეთი, სისხლის წყალ გაივლისაო.
ზოგს კი ხმაიც კლავს ტყვიაი, ალბად გულ უძევს ქვისაო.
გვაშინებს გასაოხრები ერიპლავნები ცისაო.
ჰაერზედ გაატარებენ, გომბები გარმადისაო.

—

თავ გავანებათ რუსეთსა, ვიამბათ ჩვენის მთისაო.
ოხერი ჩვენი ადგილი სათავეს იყო წყლისაო.
სრუ ყველკნით გადმოსახედი, ყველკან გზაია მტრისაო.
ახლა დათოვა წვერები, გაჩერდა ოჟი მთისაო.
ცოტახან მოხდა შაბაში ჩვენი და ქისტებისაო.
გაზაფხულისა მოგვივლენ ე ხალხი გრანიცისაო.
რუსეთჩი გადაფანტული მაღლა დაზდილი მთისაო.
ჩვენა წაგვისხეს ხარები, გადავლა ღგულავ მთისაო.
შუალამის დღოზედ გაწირეს ჩვენის ადგილის მიჯნაო.
„სამშვიდობოს გავედითავ, ახლა აღარა გვიშაო.“
ხმა გატყდა ნეღა ხანჩია, ხანია ას შუადღისაო.
მზე დადგა შუას ცაზედა, წითლად გამოხფენს პირსაო.
'მაჩქარდეს შავნი არწივნი, შავნი და შავის კლდისაო.
მთაზე შახდეს, იძიეს, მოხელეს კვალი მტრისაო.
ქისტების გადაკვალული, გათეთრებული ქვიშაო.
გამაემართნეს კვალზედა, რო ლემადეი[1] ცისაო.
თავის სალოცავ გამ-ხყვა, ჩამობოინდა ცითაო.
გადაიარეს წვერები ქოთითა, სიცილითაო.
მადის და მადის მდევარი, ოფლით მაიბანს პირსაო.
მე წინ — წინაზე მეგონა; თბე[2] დაიშალა კლდისაო.
გულ მაკვდა, მუხლი მამეჭრა, უნდა დავბრუნდე მზითაო.
არ შააშინათ, ძაღლებო, მდევარი თოფის ხმლითაო,
არ დააბრუნათ უკუღმა შამხდარი წვერის ძერსაო!
ბისნას გახურდა ხორწილი, ტოშის ხმა გამადისაო.
აქით ჩვენ, იქით ქისტებმა, ბიბინ დგას თოფებისაო.
დაჯავრებულებ ვაჟები დაიბრუნებენ პირსაო.
„ჩვენის საქონის გულისად ჩვენ მოვკვდათ, არა გვიშავო,
შანამდე უნდა მივზდიათ, მანამ კვალია მტრისაო.
ჩვენ ავათავთ ანდრეზი იმ წინას მამ-ჰაპისაო.

---

[1] ლემადე — ქარბუქიანი ნისლი, თანაც ბნელი.
[2] თბე — ფრთა.

ვე ნ თოფით როგორ ვერ მოვხკლავთ? იმათ უხოცავ ხმლითაო.
სავსე ყოფილას ლილოი იმათ ნახოცის მკვდრითაო".

—

ეგ თქვენი გამარჯვებისა, თქვენის თოფისა, ხმლისაო!
თქვენ სახელ არ მაიწყინათ, გაჯავრებაი მტრისაო!
მე ქება არ მამწყინდების, მე ვიცი ლექსის თქმისაო.

69. ნიკალას დაცემა

დროება გამოიცვალა, კაცი სრუყველა ხკვირსაო,
რუსეთით მოდის ამბავი: „ნიკოლა დასცეს ძირსაო".
ბევრის ცოდვისა ამტანო, მშობელ გაგწირა ხთისაო!
გეწია ცოდო ქართლისა, ცოლ ნაწოლი გუავ სხვისაო.
ომი წააგე, დაგემხკვა სამეფო ეშმაკისაო,
ჩვენ რალას გვემართლებოდი, ხენწიფევ დიაცისაო?
თუშნო, ხევსურნო, ქართველნო, გავლა გმართებდეთ გზისაო,
წავიდეთ ქალაქისაკენ, შველა იქ უნდა ძმებსაო.
უცხო რად გვინდა ბატონი ადგილსა ქართველისაო?.
პირ დგება გაზაფხულისა, შრობა არხოტის მთისაო.
საზღვართ მღქარა მავიდა: ოსმალ აგროვებს ჯარსაო.
რუსობა დამარცხებული მიუდის თავის კარსაო.
არიქათ, ხევსურთ შვილებო! თორ საქმე მარხე ჭირსაო,
აპზადეთ თოფ-იარაღი, პატრონა ვარშავისაო.
წინავაც გვიბრუნებია ლაშქარი მრავალ მტრისაო.
სცოდნია ჩვენ შამა-პაპათ ხმარება ხანჯრებისაო.

70. თვითმპყრობელობის დამხობა

გერმანელებ შამოებნეს ნიკოლას მაგ რუსის შვილსა.
საომრები გამუგონეს, მანქანები ეშმაკისა.
მაღლა ჰაეროპლანები ცის ღრუბლებში მიდ-მოდისა.
ზღვაში ხომალდებ ჩაუშვეს, მაგრამ თვალით არა ჩინსა.
ქალაქები გამოართვა, ციხე-სიმაგრეებს შლისა.
წინ მაკენზენ გაძღვების, დიდო მუხავ, გითხრის ძირსა.
ცალ მხარეს კი მოგითხარა, ვიცი გვერდზე გადაგხრისა.
მერე დაბლა დაეცემი, როცა ფესვებს დაგაჭრისა.
ათას კილოზედ მოგექცა, საომარში გამოგცდისა.
წინ მიიწევს გერმანელებ, უკან აღარ ბრუნდებისა.
ჩარხ უკუღმ გადაგიბრუნდა, თავზედ გადგა რისხვა ღვთისა.
მაგრად ბორკილით ჩაგჭედეს ეგ მპყრობელი რუსეთისა.
მერე ცოლ-შვილ დაგიტყვევეს, ცოდო გიწევს ჩვენ ქვეყნისა.

შენ შენი სიავკაცეი სუ მუდამ წინ გიძღვებისა.
შენ არც ტკბილ გინდა, არც მწარე, ფიცი გვწამ და ბოლო ჩინსა.
გულ მოგვეიკალ, მუხლი მოგვეჭერ, სისხლი გამოგვეშრებისა.
ღმერთო, რად არ გაგვიცოცხლებ ერეკლეს იმ წინას გმირსა?
ამოდეგ, დიდო ბატონო, შენი საქმე კარგათ ჩინსა,
ქართველთ გული, შენზედ წყლული, შენ გიგონებს შენზე სტირსა,
სულ ხორცამდენ გაგვატყავეს შენნი ყმანი ერეკლისა,
ყორნების საკმელად გავხდით ყმანი მძლავრის არწივისა,
ახლაც ქებით გიხსენიებთ ხევსურები, ხალხი მთისა.

დავალება მეთოთხმეტე

1. შეადარეთ „ამირანი“ და „არსენას ლექსი“ შინაარსის მხრით და გაარკვიეთ რისთვის უყვარდა ხალხს თითოეული ამ ნიმუშის გმირი. რისთვის უმღეროდა თითოეულ ბათგანს? რამ გამოიწვია ხალხის შეგნების ასეთნაირად შეცვლა? ამ ორ ნიმუშიდან, როელში არ არის ფანტასტიური ელემენტები და რატომ?

2. რითი აიხსნება, რომ ხალხური შემოქმედება სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა საკითხებს ებება?

3. რა ცვლილებებს იწვევს საწარმოო იარაღების გაუმჯობესება ადამიანის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში?

4. როგორია ხალხური მეტყველება სურათიანობის და აზრის მარტივად გამოთქმის მხრით. ჩამოთვალეთ ხალხური შემოქმედების ფორმები.

5. რომელმა ქართველმა მწერალმა ისარგებლა ხალხური სიტყვების ნიმუშებით? როგორი შინაარსი ჩაუდვეს თითოეულ მათგანს ხალხურ თქმულებაში: თავისი დროისა თუ ძველი ეპოქისა?

6. როგორი პიროვნება უყვარს სხვადასხვა ეპოქის ხალხს, პირადი კეთილდღეობისათვის მებრძოლი, თუ თავისი წრის ადამიანებისთვის თავდადებული?

7. კლასთა ბრძოლის ასახვა ხალხურ სიტყვიერებაში. ხალხური სიტყვიერების ნიმუშები, როგორც კლასთა ბრძოლის იარაღი (მოიყვანეთ მაგალითები).

8. შეკრიბეთ ხალხური სიტყვიერების ნიმუშები, როგორც წარსული, ისე თანამედროვე ცხოვრებიდან.

9. ამხ. ფ. მახარაძე თავის თხზულებაში „ხალხური პოეზია და ბატონი მ. კელენჯერიძე“ სწერს: „ხალხური სიტყვიერება წარმოადგენს ნედლ მასალას ხალხის წარსულის, მისი კულტურის, ე. ი. მისი საზოგადოებრივი ურთიერთობის, მისი უფლების, მისი ენის, მისი სარწმუნოების და სხვ. შესასწავლად[1]“, — დაასაბუთეთ ამ აზრის თითოეული დებულება.

---

[1] ტ. V, გვ. 90.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი

	გვ.
I. ადამიანი და მისი მოქმედება ბუნებაში	9
II. ხალხური სიტყვიერების ზოგადი ხასიათი	10
III. რა მნიშვნელობით იხმარება ტერმინები: სიტყვიერება, ხალხური და ზეპირი.	12
IV. ადამიანთა დამოკიდებულება და ბრძოლა ბუნებასთან. ამ ბრძოლის დამახასიათებელი ხალხური პოეზია	14
V. ადამიანთა ბრძოლა სოციალური ცხოვრების უკეთესად მოსაწყობად; ამ ბრძოლის დამახასიათებელი ხალხური პოეზია	20
VI. ადამიანის დამოკიდებულება და ბრძოლა ბუნებასთან . . .	22

მითოლოგია

1. მზე, მთვარე და ვარსკვლავები	27
2. მზე და მთვარე . .	27
3. მზე და სიკვდილ-სიცოცხლე . . — .	27
4. მზის საგალობელი	27
5. მზეო ამოდი	28
6. ბურო, იარე . . .	28
7. ბატონების საგალობელი	28
8. საწერლის ლოცვა	29
9. თვალის ლოცვა .	29
10. კალანდა გურიაში .	30
11. დამჭერის ლოცვა .	32
12. მოდი ვნახოთ ვენახი	33
13. საბრალო დედაბერი . . .	35
14. მელია, მამალი, ბატკანი და ჩიტი	35
15. თხები და მგელი .	36
16. მგლის ბერად შედგომა .	37
17. წიქარა . .	38
18. კატა და ლომი	42
19. გველ-ვაჟი	43
20. თხუპნია . .	46
21. მონადირის შვილი .	48
22. მელა და მეწიქვისლე .	50

გმირული ხანა.

23. ამირანი .	52
24. როსტომიანი . . .	65
25. როსტომი და ზურაბი	74
26. ცხრა ძმა	78
27. გმირების ზღაპარი .	88

28. ზღაპარი ივანე ციხკრისა 87
29. მზის ქალი 92
30. შავთეიმურაზი, წითელთეიმურაზი, თეთრთეიმურაზი 93
31. ტარიელი ანუ ხალხური ვეფხისტყაოსანი 103
32. ეთერი 117
33. თქმულება იესო ქრისტეზე ილია წინასწარმეტყველზე და წმინდა გიორგიზე 128
34. ნაცარქექია 120
35. ოჩო-ჯოჩი 129

ადამიანის ბრძოლა სოციალური ცხოვრების მოსაწყობად

36. შრომა 25 ნიმუშით 133
37. ადამიანთა შორის დამოკიდებულება და ყოფა-ცხოვრება 15 ნიმუშით 136
38. სატირუიალო ლექსები 33 ნიმუშით . 139
39. ძალა სიყვარულისა 11 ნიმუშით 144
40. სალხინო ლექსები 13 ნიმუშით 145
41. სამგლოვიარო ლექსები 2 ნიმუშით 147
42. გამოცანები 149
43. ანდაზები 150
44. აფორიზმები 19 ნიმუშით 157

ხალხური იუმორი

45. ორი ქოსა-ტყუილა 160
46. ბრიყვი და ჭკვიანი 162
47. რწყილი 163

კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ი ს გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ა.

48. ძველი მეფეები 7 ნიმუშით. . 165
49. ხურაბ ერისთავი და ხევსურები . . 168
50 შიოლა ღუდუშაური . 177
51 არეშიძების ამოწყვეტა . 179
52. სავაკაცო ლექსები 184
53. ლექსები ერეკლე მე-II-ზე 8 ნიმუშით 185
54. ნანახია 187
55. ნატვრა . 190
56. ხახუტა 192
57. მოჯამაგირის სიმღერა . 195
58. ბატონ-ყმობა 30 ნიმუშით . 195
59. არსენას ლექსი . . 199
60. სამღვდელოება . . 210
61. მღვდელი და მაცხოვარი 213
62. თვითმპყრობელობაზე, მამასახლისზე, 1905 წლის რევოლუციაზე . 214
63. მამასახლისზე . 215
64. სალდათის ფანაბარევი 216
65. ოფისანი და ცეისანი 216
66. ნიკალას დაცემა 218
67. თვითმპყრობელობის დამხობა . 218